ანეული

ლიტერატურული ჟურნალი
N2 2024



მხატვარი – ქეთევან ჯავახიძე

თემურ ჯაგოდნიშვილი – თემურ ჩაღაბაშვილზე

ფიქრები ჩუსთავველის ახალი პოეტიკის გამო

ქართული მეევიმატყვეობა და თანამედროვეობა



საქართველოს მეგობრები

ივანე ჯაფარიძის საიუბილეო საღამო ჭიათურაში

ჩევაზ ინანიშვილისადმი მიძღვნილი დღესასწაული ხაშმში

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები: ნინო არსენაშვილი, გულნაზ გვალია, თამარ გაბროშვილი, მაია მჭედლიშვილი, მალხაზ საჯაია, ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილი, თამარ შაიშმელაშვილი, ხათუნა შავგულიძე.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900

შოთა ჩუსთავველის პორტრეტი

მხატვარი – რეზო (ემელიანე) ადამია

ახალი წიგნები





ანეული

№2 (№43) ივლისი. 2024

ლიტერატურული ჟურნალი

პოეზია **თენგო ავსაჯანიშვილი** 3

არაგველური

თამარიელა ნონოხია ლექსი – ქადაგი 4

თენგო ავსაჯანიშვილის სსფენისადმი მიძღვნილი ლექსები

მანანა ბელაძე, ბიოხბი ზებიტაშვილი, ჯუბა ღებელი, ნინო უძილაური 5

ლიტერატურული წერილი

თემურ ჩალაბაშვილი თემურ ჩალაბაშვილის გახსენება 6

ივანე ჯავფარიძე – 80

ზაურ ნაჭყებია არისტოკრატი 9

ივანე ჯავფარიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ჭიათურაში 9

შესვლადრები წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 10

პოეზია

ნინა სამხარაძე 11

ლეილა სიჭინავა 13

თამარ ბაბოძე 15

პროზა

შალვა ხვასხვაძე ივლისის თბილი ღამე 17

თეატრალური

ბიელი მეიადაშვილი ჩანახატი რუსთაველის შემოქმედებაზე; შთაბეჭდილება 19

ნინო ბოხუჩავა წარმოდგენა მოცარტის თეატრში 20

საბა ქვათაძე სამი ნოველა – Agni parthene; კეხურა; იმმორტალისი 21

პოეზია

ლინა ბარათაშვილი 27

მარიამ ხელაშვილი 29

კარგი ტრადიცია

ნინო არსენაშვილი ქართული მეჭევრმეტყველების მოკლე ისტორია და თანამედროვეობა 31

პოეზია **შალვა მჟელიშვილი** 37

თარგმანი

ომარ სეიფედინი, საბაჰათინ ალი

თურქულიდან თარგმნეს: ნანა კაჭარავამ, თამარ და მონიკა ნაჭყებიებმა 38

ანა ახმატოვა რექვიემი რუსულიდან თარგმნა ნინო ქუთათელაძემ 45

პოეზია

ედუარდ უბელავა თემურ ჩალაბაშვილს 47

ელბეჯა მარლია რობაიები ჯუბა ღებელის წინასიტყვაობით 48

ნინო უძილაური 50

გერმანული პოეზია თარგმნა გიორგი ვარამაშვილმა 52

თითქოს დღეს დაიწერა

მედეა ხახიძე პატრიოტები 53

დემიუფი **ანა სამსიანის** მინიატურები 57

თამარ ბაბალოშვილი ბეწვის ხიდი – მინიატურები 59

ავთანდილ არაბელი ბედი და ბედისწერა, რუსთაველის ახალი პორტრეტის გამო 61

ესე **ალოსტომ ჩხეიძე** რატომ არის შავი ზღვა ასეთი მლაშე – მ. ლოხვიცკი 63

ინტერვიუ პედაგოგ **ნინო იშხანიძესთან** 64

პოეზია **ბეთი ბოლნელი** 66

პატარემისთვის **მზებელი ტყეშელაშვილი** 67

პოეზია

ალი ასაბაშვილი 69

თამარ ჭეიშვილი 70

ოთო ოთარ ნარმანია 71

საქართველოს მეგობრები

ჯუბა ღებელი კადიევი ანვარბეკ მანსუროვიჩი 71

ISSN 1987-9717

ჟურნალ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ ახსებული
ლიტერატურული გაერთიანება:

რეზო (ემელიანე) ადამია
ნინო არსენაშვილი
რევაზ ბალანჩივაძე
თამარ გაბროშვილი
თამარ მიქაძე
თენგიზ უთმელიძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილისა
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
ჯუბა ღლებელი
თამაზ ხმალაძე
თემურ ჯაგოდნიშვილი
ივანე ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორი
თამარ შაიშმელაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე: ქეთევან ჯავახიძის ნამუშევარი
გარეკანის ბოლო გვერდზე: მხატვარი – ქეთევან ჯავახიძე

ჟურნალ „ანეულის“ ყველა ნომრის წაკითხვა შესაძლებელია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე: www. nplg.gov.ge – ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ვებგვერდზე.

ლოგოს ავტორი
ბიოხბი ზუხუბიანი

რედაქციის ტელეფონი: 551 00 50 58

redaqciis inteRnetfosta: aneuli@mail.ru; aneuli.inanishvili@gmail.com

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოსაქვეყნებელი სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს

ჟურნალი დაიბეჭდა გამომცემლობა „მნიგნობარში“

პოეზია

თენგო ავსაჯანიშვილი

არაგველური

არაგვი ჩამორბის ღელვით,
მთა დგას ამ მიწა-წყლის მცველად,
ეს არის სამშობლო ჩემი,
ვინც მზარდა სიკვდილის მკვლელად.
ნუ ტირი, ნაშალო ციხის,
ნუ ჯავრობ, ხალხურო ლექსო,
ეს გულიც იმ ცეცხლით იწვის,
რა ცეცხლიც თქვენს გულში ენთო,
ზღვაშიც ვცნობ არაგვის ზვირთებს,
არაგველს თუ ეძებთ, მე ვარ –
ხან მდგარი ქვითკირის ციხედ,
ხან კრწანისს დაღლილი ვწევარ.
დაღლილს მაქვს საფლავი სანგრად,
ეს მიწა მეც სისხლით ვქარგე,
სიცოცხლე სულ მლესავს ხანჯლად
საფლავის ჯვარიან ქვაზე.
ო, როგორ უხდება ყანებს
ყაყაჩო ნარევი წითლად,
სისხლს თუ ღვრით, მამულზე ღვარეთ,
ყაყაჩოდ იხაროს სისხლმა!
შენზე ვთქვი – თეთრ არაგვს ჰგავსო,
პირველად რომ გნახე, ქალო,
ხან მთის ყვავილივით სათნოვ,
ხან ავაზასავით მწყრალო.
დამინთე სანთელი ბევრი,
სამასი სანთელი ერთად.
იქნება სიკვდილის მკვლელის
ცოდვა მეც შემინდოს ღმერთმა.

ლექსი – ქადაგი...

თენგო ავსაჯანიშვილის ერთი ლექსი – თაობის პულსაცია

ჩემი თერგივით ღელვით ვიწყებიო, და ზუსტად ამ ლექსით იწყება თენგო ავსაჯანიშვილის პირველი პოეტური კრებული „მელოდე“, რომელიც 1998 წელს დაიბეჭდა.

ეს კრებული სულმღაფავი მეოცის პოეტური ტრაქტატი და ამავე საუკუნის ბოლო მეოთხედის განდობილთა სიმღერა იყო.... ყოველგვარი კლიშეებისგან, ცენზებისგან და ისტურ-იზმური რევერანსებისაგან თავისუფალი. სწორედ ამიტომ გაეხსნა ავტორს ზეცის შვიდივე და ანგელოსთა ცხრა სალხინებელი...

ამ კრებულის ლექსები თაობელთა თვალების ღამისთევების მოწმეც იყო და უძილოთა თილისმაც; ასევე,იმ იშვიათ დროთა წუთგამოუტოვებელი ღაღადიც და ღირსების ქადაგიც.

ამ კრებულის სხვა ლექსებთან ერთად ეს გამორჩეული ლექსი შეყვარებულთა ღამეების სიზმარი და ქვის გულის მქონეთა ამდუღებელიც იყო;

თენგოს ლექსები უიმედოთა გრძნობების თრიაქიც და საუკუნის უცნაურ მონაღვლეთა გულების თილისმაც იყო... ასე ციმციმ რომ შემოინახა ჩვენი თაობის თბილისმა,ამ უკანასკნელმა რომანტიკულმა თაობამ, რომელსაც რომ არაფერი დააცალეს ამწუთისოფლური...

ჯერ ძალიან ახლუხებად რომ თვლიდნენ (დასძახოდნენ – თქვენ ომი არ გინახავთო და შემდეგ, ალბათ, ამ ყვედრების ძალით არ უნდა დავენდეთ და ქალაქის გულში მოწმე უნდა ვყოფილიყავით შიშის და ხვადგურის! ეს ულექსიკონო და უსემანტიკო სიტყვა – ხვადგური, მხოლოდ რითმის თანაცალად არ გამოიყენა გალაკტიონმა ამ მოვლენებამდე ცოტათი ადრე, ამ გონებითი სიძაბუნეების შემოქმედთთათვის!!!

ამ სიტყვის ზრიალი ხმოვანება და მძიმე და უხერხული დინამიკა სასუნთქ სივრცეს არ უტოვებს თაობას). და მერე კი, იმავე თაობას, უცებ „ჩარეცხვა“ გადაუწყვიტეს სამუდამო ჟანგისფერ-ფრთიანებმა!

ამ დროს გამოჩნდა თენგო ავსაჯანიშვილი ქართულ პოეზიაში უჩვეულოდ ლაღი და ხმამაღალი ლექსებით...

მისი პირველი ლექსები იბეჭდებოდა რაიონულ გაზეთ „დარიალში“, 1990 წელს კი დაიბეჭდა გაზეთ „ქართულ ფილმში“, შემდეგ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ და ჟურნალ „ანეულში“....

იგი არის რამდენიმე კრებულის ავტორი, რომელსაც სულ ელოდა მკითხველი და თენგოც გულისგამაწვრილებლად არასდროს ალოდინებდა...

ბედის მწერალმა ასე დააბედა პოეტს და მას და მის ლექსებს დღესაც ველოდებით... ველოდებით, ოღონდ უკვე გორისციხის ან სტეფანწმინდის ჟანგბადით გაჯერებული ლურჯი მწვერვალებიდან კი არა, არამედ, ხან რეანიმაციისა და ხანაც ქიმიოთერაპიის მოლურჯო ოთახებიდან...

თენგოს გამოჯანმრთელებას კვლავ ჯიუტად ველოდებით მისი ლექსის მოტრფიალენი...

თქვენი, ყველას თანადგომით ველოდებით, რომ თენგო ავსაჯანიშვილი მალე – სრულიად ჯანმრთელი – ფეხზე წამოდგება!

მოლოდინის დრო კი ჩართულია!!!

ანგარიშის ნომერს სანამ დავდებდე, თენგოს ეს ლექსი წაიკითეთ, რომელზეც ამბობს „ჩემი ბევრი ლექსი ვიცი ზეპირად (და არამარტო ჩემი, სხვათა ლექსებიც), მაგრამ რო ვითვრები, ლექსებიც მავიწყდება. ეს ერთადერთი ლექსია, რაც არ უნდა მთვრალი ვიყო, არ შემეშლება. ჩემი პირველი ლექსთა კრებულიც ამ ლექსით იხსნება... სკოლის დამთავრების მერე დავწერე“.

ეს ლექსი არის ოდა სიყვარულზე, ჩვენი სტუდენტობის ჰიმნი... პოპულარობით ლებანიძის „მელიქიშვილის გამზირის“ სასიმღერო ვერსიას უტოლდება,თუმცა უფრო რომანტიკული და ღრმაა..

ბელურასავით ხელში გიკვდებიო – ეს მაინც როგორ იწინარგუმანა... ჩვენი თანადგომით უნდა გავუბათილოთ ამ სიტყვების მაგია და მხოლოდ ლამაზ ლექსმეტყველებით სახედ უნდა ვაქციოთ...

თენგო, ვკოცნი ამ ლექსის სტრიქონებს...

ჩემი თერგივით ღელვით ვიწყები,
ჩემი თერგივით ცრემლით ვმთავრდები,
შენ კი არასდროს არ მავიწყდები,
შენ კი არასდროს არ გედარდები.
ბელურასავით ხელში გიკვდები,
და სიყვარულით ცამდე ვმაღლდები,
ამ სიყვარულზე კვლავ მოგიყვები,
როცა მეორედ დავიბადები.
როცა ზეციდან კვლავ გესტუმრები,
ცისფრად მოსილი, თოვლის ვარდებით...
მაშინ ნამდვილად მოგეწონები,
მაშინ ნამდვილად შეგიყვარდები.

თამარელა წოწორია
ლიტერატურათმცოდნე,

7 მარტი, 2024 წელი.

ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ რედაქცია პატივს მიაგებს თვალსაჩინო პოეტისა და სახალხო მთქმელის – თენგო ავსაჯანიშვილის ნათელ ხსოვნას!

მანანა გელაძე

შეხვედრამდე...

გა(რ)დაზაფხულდი.... გჭირისუფლობს სრულიად
— ერი,
მზებუდობისას გადირჩევა იფქლი და ქერი,
ლექსის მაყრიონს გაყოლებენ პოეტი ძმები,
ჩაიცრემლება ამბიონთან დაფნა და ძნები....
გა(რ)დაზაფხულდი... მიუყვები ზეცის
ბილიკებს,
აღარც დაღლა და არც ტკივილი „გაგაქილიკებს“,
ეჰეი, ბიჭო! გაიცისკრა, ყივის მამალი,
„ვინდა მომწეროოო წერილიიიი“ თუ გულით
ნამალი?!
ეჰეი, შავლეგ! დაიძარღვე ღრიალით, თერგო!
ჰო, საქართველოს დაუბნელდა პოეტი — თენგო!
ეჰეი, ქარი ჩაგქვითინებს, სად არ ნათრევი,
საფლავ-სასთუმალს გაგისწორებს ღამენათევი!
წავლენ-წამოვლენ... დარჩებიან აქვე ქვიშანი,
ზეციდან მომეც სანუგეში რამე ნიშანი,
ეჰეი, „სიკდილს შეეუღლე“! — შეგინდოს ღმერთმა,
„სამას სანთელად“ იცისკროვნე მლოცველმა —
ერთმა,
ლექს-მერცხლებს როგორ დაუჟანგე პრიალა
ფრთები?!
გარ(რ)დიზაფხულე!... გჭირისუფლობთ მე და ეს
მთები!..

გიორგი ზუბიტაშვილი

თენგოს ხსოვნას

ისეთი შეგრძნებების პოეტი, როგორიც თენგო ავსაჯანიშვილი იყო, ჩვენს თანამედროვე პოეზიაში იშვიათია! ბატონ თენგოს თავისი გამორჩეული ხმა ჰქონდა, რითაც ყოველთვის გამოარჩევდა კაცი მას! არახელოვნური პოეტი იყო, ნამდვილი პოეტი! ეჰ, რამდენჯერ მითქვამს, ნეტავ, სადმე შემხვდეს, ნეტავ პირადად გავიცნო ეს დიდი ადამიანი-მეთქი, მაგრამ არ მოხერხდა.

მე იგი მისმა ლექსებმა გამაცნეს! ალბათ ოდესმე ხევში ჩავალ და სანთელს დავანთებ მის საფლავთან! ერთი ვიცი, ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს გაქრება მისი სახელი!

შენ შენი თერგის ჩქერი იყავი
და შენი მთების მკერდზე დიოდი,
გულით დაგქონდა უფლის იგავი,
საწუთროს როგორ შეელეოდი?!
შენი სიცოცხლე არ ჰგავდა სხვისას,
მით მსახურებდი ნამუსს და სინდისს
და ყოველივეს ეტრფოდი წმინდას,
როგორც გაზაფხულს — ყვავილი შინდის!
მაგრამ დაგემტრო იგი ჯაბანი,
ვინც ყველასა მტრობს ხმალშემართული...
ჯერ ადრე იყო მიწის საბანი,
შენ უნდა გცმოდა ჩოხა ქართული!
ხალხში სიკეთის დათესე სიტყვა,
დაე, მოგხმარდეს სამოთხის კარებს,
მსუბუქი იყოს ის მიწა, ის ქვა,
მარადისში რომ დაგასამარებს!
შენი სიკვდილიც არ ჰგავდა სხვისას,
ის ჟამი იყო მიმცხრალი ბინდის...
შენ ყოველივეს ეტრფოდი წმინდას,
როგორც გაზაფხულს — ყვავილი შინდის!

ჯუბა ღებელი

თენგოს

ეს ღამეც წუხელ მოვისოცქსელე,
მრავლდები, გადის რაც დრო, მით უფრო,
ვეღარ ვკითხულობ მე აქ შენს ლექსებს,
ვერც კომენტარებს ვეღარ ვკითხულობ...
რა ზღვა დარდია, რა ემოცია,
რა სიყვარულის მრუმე ფერები,
დღეს პოეზია სევდამ მოიცვა
და მეც ბავშვივით მომდის ცრემლები...
თან ვიმალები, ჩუმად ვსლუკუნებ,
ვფრთხილობ, გულს რამე აქ არ დავმართო,
არ შევერიო ამ ცის უკუნეთს,
ცოლს არ გავუხდე სახათაბალო...
არადა ახლა, იქნებ, ვინ იცის,
ჩემი მანდ ყოფნა როგორ გჭირდება,
გასანთლული ვარ, ძმაო, ცვილივით,
ვიწვი და ცეცხლი არ მეკიდება...
ეს დროც, ხომ იცი, გავა რა მალე
და, რა თქმა უნდა, ხევში ამოვალ,
გუდაურიდან დარიალამდე,
სუყველგან შენი კარ-მიდამოა...
ძეგლად დადგომა მშობლებს შეჰპირდი,
ახლა პირობა უნდა გართულდეს
და ძეგლად მაღალ მთების შეგირდი,
მთელ სტეფანწმინდას უნდა დაუდგე!..
შენი გარდასვლაც ორ დროს მოუნდა,
გაზაფხულიდან გახველ ზაფხულში,
დრო, არც თავად დროს, როგორც რომ უნდა,
არა აქვს, ძმაო, შემოსაზღვრული!..
შენ მანდ იყავი ხევისბერივით,
მე კი ამოვალ სვანი მახშვივით,
ვარდისუბანთან, გადმოსახვევში,
როგორც იცოდი, ისე დამიხვდი!..
ნელ-ნელ გავწიოთ გორისციხისკენ,
„მამა-წმიდაზე“ შევხვდეთ ალიონს,
გადავინაცვლოთ მერე გზის იქეთ
და შენს საფლავზე ღვინო დავლიოთ!..

ნინო უძილაური

თენგო ავსაჯანიშვილს

სიკვდილო, სად გაგექცევი,
ანდა სად დაგემალები,
არც ისე უგუნური ვარ,
ცრემლმა დანამოს თვალები.
არ დავიტირებ სიცოცხლეს,
სამყაროს ათასფერებით,
მხოლოდ დამტანჯავს სატრფოზე,
ვერ მოფერების ფიქრები.
მაინც მადლობა, რომ წუთი,
მაგემე ამა სოფლისა,
ღიმილით ვდგავარ, გავცქერი,
გზას, ჩემი მარად ყოფნისას.

4.06.2024

ლიტერატურული ნერილი

თემურ ჯაგოდნიშვილი

თემურ ჩალაბაშვილის გახსენება

თემურ ჩალაბაშვილი 2005 წლის ოქტომბერში გავიცანი მწერალთა კავშირის სასახლეში, მაჩაბლის ქუჩაზე, ჩემი წიგნის („ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“, ტომი I, XIX საუკუნე, თსუ გამომცემლობა, 2004) პრეზენტაციაზე. მის შესახებ ბევრი რამ მსმენოდა, პირადად კი არ ვიყავი შენახვედრები.

წიგნის პრეზენტაციის დასასრულ იქვე პატარა სუფრა გაიშალა, ხაშმური საფერავით დამშვენებული. მამაპაპურ სადღეგრძელოებს ქართული სიმღერები შეუერთდა, საოცარმა ხმებმა შეძრა დარბაზი. მომღერლებში თემურ ჩალაბაშვილი გამოირჩა ჯერ თავისი ხმიანობით, მერმე ქვეტექსტურად დაყანებული წვერ-ულვაშითა და ჩაცმულობით, რაც იმ დროს ისე არ იყო გავრცელებული, როგორც ამჟამად). მანერულობა არ ეთქმოდა, უფრო სტილის დემონსტრირება იყო, გარეგნობისა და, როგორც შემდეგ დავინამდვილე, ცხოვრებისა. თემური თემურ შავლაძეს, უნიჭიერესმა პოეტმა და ჩემმა უნივერსიტეტის მეგობარმა, გამაცნო. გაცნობისთანავე საოცარმა სითბომ და სათნოებამ შემოგვანათა და აგვავსო... და კიდევ სიკეთემ, თემურ ჩალაბაშვილის თვალებიდან რომ იფრქვეოდა და დათაფლული ქართულით რომ იყო გასრულებული.

მას შემდეგ წლები გავიდა. შორიდან ვადევნებდი თვალს თ. ჩალაბაშვილის მოღვაწეობას, მიღწევებს... შეხვედრით მწერალთა კავშირის თავყრილობებზე ვხვდებოდით. თბილი და კეთილი სიტყვა არასოდეს დაგვიმადლებია ერთმანეთისათვის. თ. ჩალაბაშვილი პოპულარული პოეტი იყო ქართველი საზოგადოებისათვის... ლექსებითაც და ულექსებოდაც. იგი არ ჰგავდა იმ პოეტებს, ვისი ლექსიც გაპოპულარდება. იმღერება, ავტორს „ჩამოშორდება“ და დავიწყებას ფარდას ააფარებს.

თ. ჩალაბაშვილი ულექსებოდაც იყო პოპულარული, თავისი პიროვნულობით, იერით, ტალავარის სტილით იყო ცოცხალი ლექსი, რომელიც ვიზუალურად იბადებოდა ჩვენ თვალწინ, იბადებოდა მის პიროვნულობაში და ამის გამო მისი თანამოსაუბრე ხშირად ლექსის მსმენელიც იყო, ადრესატიც და თანაპოეტიც. ან გზით იქმნებოდა მისი პოეზიის ის ხიბლი, რაც პოეტური განცდით მსმენელისა თუ მკითხველის სულის ავსება იყო და რაც „მისი ტკივილისა და სიხარულის სხვის ტკივილად და სიხარულად“ ქცევის უნარად აღიქვეს (უწმინდესი და უნეტარესი ილია II).

თ. ჩალაბაშვილის გამორჩეულობის უმთავრეს ნიშნად გულწრფელობა და განცდის სისპეტაკე ამოიკითხეს. ამიტომაც იყო, რომ მას „მუდამ თან სდევდა ხალხის სიყვარული და აღიარება“ (თ. შაიშმელაშვილი).

მიუხედავად აღნიშნულისა, თ. ჩალაბაშვილი მაინც განუყოფელია თავის ლექსებთან იმდენად, რომ თავისი პიროვნულობითაც ავსებს მათ, ხოლო ლექსები, თავის მხრივ, ამთლიანებს მის პოეტურ ნატურას.

* * *

თემურ ჩალაბაშვილმა „ჩვენი დროის გამორჩეული შემოქმედის“ სახელი ადრევე დაიგდო. ეს დიდი შეფასება კი იმით დაიმსახურა, რომ „საქართველოს უჭირისუფლა“, მთელი ცხოვრება იმ „წყევლა-კრულვიანი კითხვის“ პასუხის ძიებას შეალია, რასაც ადამიანის ამქვეყნიური სიცოცხლის აზრის ძიებას ჰქვია. პასუხს მან მამულის მსახურებაში მიაგნო და ეროვნულის გასაოცარი შეგრძნებით გაჯერებულ ლექსებთან ერთად თავადაც, თავის პიროვნულობითაც „მშობელ მიწას ჩაკიდულ და ჩადუღებულ ქართველად“ (ზ. ბოტკოველი) დამკვიდრდა.

კიდევ ერთი ნიშანი, რითაც გამოიხატა თ. ჩალაბაშვილისა და მისი პოეზიის აღქმა, არის ეპითეტური გამოთქმა „სულ სხვა“, „სხვა“ („სხვა კაცია“, „სხვა მოვლენაა“..., „სხვა გემოვნების პოეტია“..., „მისი პოეზია სხვა ელფერს ატარებს“... და ა. შ.). გამოთქმა „სულ სხვა“ სხვათაგან განსხვავებულს აღნიშნავს, მაგრამ ამ განსხვავების რაგვარობაზე არაფერს ამბობს. არა და ერთია განსხვავებულობაზე მინიშნება და მეორეა (და მთავარიც!) იმის ჩვენება, თუ სახელდობრ, როგორია ან რაში გამოიხატება ეს „სულ სხვა-ობა“. ამ ეპითეტის კონკრეტული შინაარსით ავსება, როგორც ჩანს, ჯერ არ მომხდარა, ჯერაც თავის დროს ელის.

დღევანდელობის გადასახედიდან თ. ჩალაბაშვილის პოეზიის „სულ სხვაობის“ ერთი ნიშანი გრძნობა-განცდის გულწრფელობა და სისპეტაკე უნდა მივიჩნიოთ; ისიც, რომ თემური არ კეკლუცობდა და არ კოპწიაობდა თავისი ლექსებით. იგი ყოველთვის იმას ამბობდა, რაც ხდებოდა და როგორც ხდებოდა; არ თამაშობდა პუბლიკაზე, არ მანერულობდა. „სიცრუით სავსე ჩვენს დროში ამის მიღწევა ადვილი არ არის“ (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).

სიცრუე კი არცთუ შორს იყო თ. ჩალაბაშვილისაგან, მის ცხოვრებასაც „მოხდენილად“ ამყოფებდა გაწბილების მორევში. მაგალითისათვის თუნდაც ასეთი ფაქტი გამოდგება:

2022 წელს თ. ჩალაბაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე იყო და თავისი ლექსების კრებულის გამოცემა („საუბარი

გულთან“) ვერ შეძლო სხვათა (ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის) დაუხმარებლად. სხვა არა ერთი ასეთი ფაქტის გახსენებაც შეიძლება, მაგრამ ეს სხვა დროს...

თემურ ჩალაბაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი მეტ-ნაკლებად სრული ნარკვევი ჯერაც არ დაწერილა. არც თავად პოეტი ცდილა საკუთარი ბიოგრაფიის ფაქტების დოკუმენტურად დაფიქსირებას. მისი შემოქმედებითი ისტორიის მასალები მის ნაწერებშია მიმობნეული (ლექსებშიც და მინიატურებშიც), ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი ფაქტებისა და მოვლენების ანალებში. მათი წყალობით ხერხდება იმის წარმოდგენა, როგორ ცხოვრობდა, როგორ ქმნიდა პოეტურ შედევრებს, ვისით და როგორ იშინაარსებდა ამქვეყნიურ არსებობას, გზას, რამაც მოუტანა აღიარება და პოპულარობა. საგულისხმოა ისიც, რომ საკუთარი ცხოვრების ფაქტებს თვითმიზნურად არ ჩართავდა ნაწერში. საკუთარ ამბავს მთავარი სათქმელის დასტურის ფუნქციით ჩაურთავდა (იმის ღრმა რწმენით, რომ პოეტის პირადი ცხოვრება და მისი პოეზიის იდენტობა („ტყუპისცალივით მგვანება“) არის შემოქმედების უტყუარი კრიტერიუმი. ამგვარი ქვეტექსტურობებით იკითხება მისი ცხოვრების გზის ნაფეხურები: ნაზი კილასონიას, მარი აბრამიშვილის, ანა კალანდაძის, გულქან რაზიკაშვილის, ჰამლეტ გონაშვილის, ოთარ ჭილაძის, ალექსანდრე შანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, მურმან ლებანიძის, თენგიზ არჩვაძის, ნოდარ ტაბიძისადმი მიძღვნილ მინიატურებში. ამ მინიატურულ მოთხრობებში მოჩანს მთხრობელის ავტობიოგრაფია, სადაც ადრესატების გვერდით თავად მთხრობელი პერსონაჟობს, სასაწაულებრივად ახერხებს გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების უცნობი ფაქტების გამომზეურებას და საკუთარი ბიოგრაფიის ფაქტების, ინტელექტუალური გარემოს და პოეზიის ორიენტირების შთამბეჭდავ თხრობას. მაგალითად, თ. ჩალაბაშვილმა 1984 წელს გამოსცა ლექსთა კრებული „მზე მამულის კვამლში“ (გამომცემლობა „მერანი“). აქ დაიბეჭდა მიძღვნითი ლექსები მიხ. ჯავახიშვილის და ჰამლეტ გონაშვილის შესახებ.

მიხ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი გახდა მწერლის ოჯახთან დაახლოების საბაბი. მწერლის ქალიშვილს – რუსუდანს უსტუმრებია და უჩვენებია მამისადმი მიძღვნილი ლექსის ჩარჩოში ჩასმული და კედელზე საპატიო ადგილზე დაკიდული თ. ჩალაბაშვილის ტექსტი.

ამავე კრებულში დაბეჭდილი ჰამლეტ გონაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი კი სახელოვანი მომღერლის მიერ განხორციელებული რეკლამის საბაბი გამხდარა, რადგან მომღერალს კრებულის ასი ეგზემპლარი შეუძენია და გაუვრცელებია ნაცნობებს შორის. აქვე, ჰ. გონაშვილისადმი მიძღვნილ მინიატურაში ფიქსირებულია თ. ჩალაბაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ფაქტი, კერძოდ, ის, რომ 1982 წლის 22 იანვარს, ომარ კელაპტრიშვილის ინიციატივითა და ანსამბლ „რუსთავის“ მონაწილეობით, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში ჩატარებულა თ. ჩალაბაშვილის პოეზიის საღამო. ადვილი წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებდა პოეტის შემოქმედებით წინსვლაზე, მის პოპულარობაზე ეს ფაქტი. ერთი მიზეზი ესეც უნდა იყოს იმისა, რომ თ. ჩალაბაშვილი უფრო თავისი პიროვნულობით იქცევდა თანამედროვეთა ყურადღებას და მისი პოეზიის მიმოხილვებშიც უპირველესად მისი პოეტური პორტრეტების დემონსტრირება გახდა ერთგვარი სავიზიტო ბარათი (ისე არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან თანამედროვეთათვის მათ გვერდით მდგომი პოეტი უპირველესად ადამიანია. ყოველდღიურობა კი იმგვარი მოვლენა, რომელიც აჩვეულებრივებს პოეტის (და საერთოდ ნიჭიერი კაცის) ნიჭის გამორჩეულობას).

* * *

თუკი ვინმეზე ითქმის, ბუნების შვილია და თავადაც ისეთია ბუნებით, როგორიც მისი ბავშვობის, ყრმობის თუ მოწიფულობის დროჟამულობის ბუნებაა, ეს თ. ჩალაბაშვილზედაც ითქმის. იგი კახეთში დაიბადა და ბავშვობა ძველ ანაგაში გაატარა. სწორედ კახეთმა, მისმა სანახებმა, წყალ-ჭალებმა, ხევ-ხუვებმა და ველ-მინდვრებმა განსაზღვრა თ. ჩალაბაშვილის ცნობიერება, გარემოს აღქმის მანერა, მოტორიკა, ვერბალიზების სტილი, მისი პიროვნულობა – იერი, ცხოვრების წესი...

კახეთის ბუნება კახურია, მსუყე, მსუყე ფერებით მოხატული; რაღაცნაირად დინჯი და ფიქრიანი, მჭვრეტელობითი... ემოციურობაც ლაგამამოდებულია და გონებით მართული, ყოველ შემთხვევაში კონტროლირებული, აუმღვრეველი... ცისარტყელას ფერებით აფერადოვნებული, ყველა ფერი რომ მკაფიოა, ზღვარდადებული, თავისთავადობაშენარჩუნებული, ტეხილი, კონტრასტული. ერთი ფერი მეორეს ისე ემეზობლება, რომ ფერთა გარდამავლობაში არ იკარგება.

ამ ფეროვნების სიტყვით (მეტყველებით) გამოხატვაა თ. ჩალაბაშვილის პოეზია, კონკრეტულ განწყობას, ემოციას კონკრეტული ფერი ამეტყველებს. ფერს ზუსტად ეძებნება, ეთანადება სიტყვა-ლექსიკური ერთეული, თანაც უფრო კონოტაციური-ქვეტექსტური (მეტის მთქმელი), ვიდრე პრაგმატულ-კომუნიკაციური. აზრიც შესაბამისი ფერადოვნების მზიდი სიტყვებით არის გადმოცემული (როგორც ნათელი, ღია, კაშკაშა, ისე მრუმე ფერებით – წუთისოფლის აღმართ-დამართების შუქ-ჩრდილების შესატყვისობით). ზუსტად ისე, როგორც ნიკო ფიროსმანმა დაგვანახა თავისი ყალმის ჯადოსნური მოსმით. ეს მოვლენა აკი შენიშნეს კიდევაც და თ. ჩალაბაშვილის პოეზიაში ფიროსმანული ნაკადის არსებობაზე მიუთითეს (გ. სოსიაშვილი). **ფიროსმანულობა მიიჩნიეს მისი პოეტური ცნობიერებისა და მხატვრული სამყაროს თავისებურებად. ახსნა ამ მსგავსებას, ცხადია, იმაშიც ეძებნება, რომ ორივენი ერთი კუთხის შვილები არიან.**

თ. ჩალაბაშვილი თავად მიუთითებს მკითხველს ნიკო ფიროსმანთან სულითხორცეულ განუყოფლობაზე. არაერთ ლექსს უძღვნის. მაგალითად, ლექსში „ნიკო ფიროსმანაშვილს“ დიდ მხატვარს „ჩემი ოცნების უცვლელ ღმერთს“ უწოდებს, უფროს ძმად სახავს, საერთო წარმომავლობაზე მინიშნებით

მირზაანში შეხვედრაზე ოცნებობს, თავს მისიანად აცნობს („შენი ვარ ჯიშით და მოდგმით“, „მე შენი ბედი მაწამებს დღემდე“).

ნიკო ფიროსმანი თემურ ჩალაბაშვილის ლირიკული პერსონაჟიც არის, მარადიული თანამგზავრიც, მისი მაჩხაანის, მირზაანის დიდი მეტაფორაც. ფიროსმანული იყო თ. ჩალაბაშვილის ცხოვრების სტილიც – თავისებურად ბოჰემური, სიმდიდრესთან გაუცხოებული, სადაც, უბრალო, ალალი, სხვისი წარმატების აღტაცების უნარით გაშინაარსიანებული ყოველდღიურობაა.

ფიროსმანული იყო მისი კალმის მოსმა – უბრალო, სადა, ძალდაუტანებელი და მსუყე, ფერადოვანი განცდებით გაჯერებული... მისი ლექსის მშვენიერება ხალხური მთქმელის (მელექსის) კალმის უბრალო მოსმით ამეტყველებული განცდების ემოციური რეგისტრებით განისაზღვრება. აღნიშნულის დასტურად მეჩვენება ისიც, რომ თ. ჩალაბაშვილი თავის ყველაზე სრულ ლექსთა კრებულში („საუბარი გულთან“) მკითხველს საკუთარი პოეტური სამყაროს კარს ნიკო ფიროსმანისადმი მიძღვნილი ლექსით უღებს (ლექსი „სანთელი“). ამ ლექსში ფიროსმანის სახეხატის მეტაფორაა სანთელი.

პატარა სანთელს, მის ნათებას სულითხორცეულად ერთ არსებად უქცევია მრევლი – საქართველო და გულმოდგინედ ჭირისუფლობს. ფიროსმანულთან ერთად ამ ლექსს გარკვეულწილად ავტოპორტრეტული იერიც დაჰკრავს.

ერთი სიტყვით, ფიროსმანულობაა თ. ჩალაბაშვილის პოეზიის შემოქმედებითი ტვიფარი; ფიროსმანულია მისი სიტყვის მოქნევა, რადგან ფერადოვანია მისი პოეტური თქმა და კალმით ნაძერწი ფერები, უბრალო, მაგრამ საოცარი სიღრმეების შემცველი და ამის გამო ბოლომდე შეუცნობელი, რაღაცნაირად დიადი, განუმეორებელი... და მიუხედავად ამისა, თ. ჩალაბაშვილი ყველგან და ყოველთვის მაინც მეტია თავის ლექსებზე და ეს დიდი შემოქმედებითი პოტენციალის ნიშანიც არის, ნიშანი პოეტური სათქმელის ჯერაც უთქმელობისა.

* * *

თემურ ჩალაბაშვილის ბევრი ლექსი მიძღვნითია, თუმცა არ არის მომენტური აღტკინების გამომხატველი, ოდენ ემოციური მუხტის შემცველობით მომხიბვლელი. ამგვარი ლექსების ადრესატები მისი პოეტური სამყაროს უბრალო ბინადრები კი არ არიან, არამედ ქართველი საზოგადოების გამორჩეული ადამიანებია, თ. ჩალაბაშვილის ლექსების პერსონაჟებია და სახეობრივად ქმნიან სახეობრიობას, პოეტურ ხიბლს. ამ ტიპის ლექსები თანამედროვე ქართულ პოეზიაში სახოტბო პოეზიის მიმდინარეობას ქმნიან და ამ მიმდინარეობის პოეტური თავჩენის ნიშნებად გამოდის ექსპრომტი, ლექსპრომტი, ლექსგაცვლა.

ექსპრომტი ზამბარასებრი გაშლაა უმძაფრესი მუხტადქცეული განცდისა და ამით წარუშლელი შთაბეჭდილების მოხდენაა.

ექსპრომტი შთაბეჭდილების ლექსად გამოხატვაა, მომენტურის მოხელთება, პოეტური განცდის რეგისტრში აზიდვა და დიდ სათქმელთან შეტოლება. მაგალითად, თ. ჩალაბაშვილი ექსპრომტით გამოეხმაურა 1991 წელს დამანგრეველ მიწისძვრას, მყისიერად, როცა ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული ტრაგედიის მასშტაბები, ზარალის ოდენობა. პოეტმა სტიქიის შემოტევის საშინელებაში კიდევ უფრო მეტი საშინელება ამოიკითხა – კატასტროფის პირისპირ თავისთავის იმედად ქვეყნის დარჩენა, ქვეყნისა, რომელიც თავისი ისტორიის გრძელ გზაზე მუდამ სხვას ჭირისუფლობდა.

„ცა იძრა თუ მიწა იძრა,
თავად უწყი, უფალო!
მებრალები, საქართველოვ –
სხვათა ჭირისუფალო“.

გულიდან ამომსკდარი გმინვაა უჭირისუფლოდ დარჩენილი სამშობლოს ტრაგედიის გამო, წამიერებაში ჩატეული განცდა უსასობისა.

„ლექსპრომტი“ სახოტბო პოეზიის საუფლოში სახეობრივი აზროვნებითი დიალოგია, რის რეალიზებას დიდი პოეტური ნიჭი და გამბედაობა სჭირდება. თ. ჩალაბაშვილს ამ სახის არაერთი ლექსი აქვს შექმნილი, რაც მისი მხატვრული წარმოსახვის სიძლიერეს ცხადყოფს. „ლექსპრომტი“ სახოტბო პოეზიის სახეობადაც წარმოგვიდგება.

სახოტბო პოეზიის კიდევ ერთ, უფრო მაღალი რეგისტრის, სახეობად უნდა ჩაითვალოს „ლექსგაცვლა“. ასეთი ცნება, ტერმინოლოგიური გამიზნულობით, ვგონებ, თ. ჩალაბაშვილს ეკუთვნის, სხვაგან არ შემხვედრია. „ლექსგაცვლა“ ლექსით გადაძახილია (ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილი გალექსების მაგვარი), ერთი სათქმელის სხვაგვარად თქმა, ერთი განცდის სხვა სიტყვებით (და სხვა კონტექსტში) გამოხატვა. ასე რომ, „ლექსგაცვლა“ მხატვრული აზროვნების, პოეტური განცდის შინასამყაროში ჩაღრმავების შედეგია, თანაგანცდა განცდილისა, პოეზიის ენით აზრისა და განცდის რეპრეზენტირებაა. მაგალითად, პოეტ მარი აბრამიშვილის საიუბილეოდ თ. ჩალაბაშვილმა თანამოკალმის მანერითა და პოეტური თქმით მიულოცა ღირსშესანიშნავი თარიღი. ამგვარი ლექსი ბევრი აქვს თ. ჩალაბაშვილს, რის გამოც ეს მოვლენა მისი პოეზიის ერთი თავისებურების გამოვლენად წარმოდგება.

* * *

რაკი დასრულდა თემურ ჩალაბაშვილის ამქვეყნიური სიცოცხლე და დადგა ჟამი მისი პოეზიის გულდინჯი ანალიზისა და შეფასებისა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ძალიან მალე გამოჩნდება ლიტერატურის კრიტიკოსების, ლიტერატურისმცოდნეების წერილები, ნარკვევები და თემურ ჩალაბაშვილს, მის პოეზიას, მიუჩენენ კუთვნილ ადგილს ქართული მწერლობის ისტორიაში. მანამდე კი გზამკვლევად უნდა გავიხადოთ თემურ ჩალაბაშვილის მიერ ოთარ ჭილაძის მისამართით თქმული ფრაზა: „პოეტები სიკვდილის შემდეგაც იბადებიან“, რომლის დეშიფრირებაც იუწყება: პოეტი მისი ნაწერების ყოველი ახალი წაკითხვით ხელახლა იბადება, რადგან ყოველ ახალ მკითხველს ხელახლა უცოცხლებს თავის ავტორს. ვიკითხოთ და სიკვდილზე უფროის სიკვდილს – დავიწყებას არ დავანებოთ ერთი ალალი, გულწრფელი პოეტი თემურ ჩალაბაშვილი.

ივანე ჯაფარიძე – 80

ზაურ ნაჭყებია

არისტოკრატი

მსგავსი ტიპის ათეულობით კრებული გამომიცია, რედაქტორიც ვყოფილვარ, მაგრამ იუბილარის მიმართ ასეთი მოფერება და გულწრფელი სიყვარული იშვიათად წამიკითხავს!

გულწრფელი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ხშირად მე მრცხვენია ზოგიერთი ავტორის ნაცვლად – ისეთი ეპითეტით შეამკობენ ხოლმე ადრესატს, რომ ახლოსაც არ არის რეალობასთან... ვერ დავიჩემებ, ბატონ ივანე ჯაფარიძეს ათეული წლებია ვიცნობ-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელი და გვარი ადრეც გაგონილი მქონდა (უფრო „საქართველოს რადიოდან“), პირადად რამდენიმე წლის წინ გავიცანი. პირველი შეხვედრა სიმბოლურიც იყო იმგაგებითაც, რომ ორივეს გალაკტიონის ახალგაზრდობისდროინდელ მასპინძლებთან მოგვიწია ღამის გათენებამ. ეს იყო დაახლოებით 7-8 წლის წინ, როცა საქვეყნოდ ცნობილმა ქალბატონმა, ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელმა, უნიჭიერესმა, იზა ვეფხვაძემ ლიტერატურულ კონკურს – „ოდეონზე“ მიგვიწვია, რომელიც ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალში ტარდებოდა... (სწორედ იზას წყალობით გავიარე გალაკტიონის ნატერფალზე და მის ნაქონ სკამზეც დავსკუპდი).

მე და ბატონ ვანოს ერთ ოთახში მოგვიწია ღამის გათენებამ. იმდენი ვისაუბრეთ, იმდენ მტკივნეულ თემას შევეხეთ, ფაქტიურად, არც გვიძინია.

აღფრთოვანებული დავრჩი, როცა არა მარტო ღრმა ერუდიციის, მრავალმხრივად განათლებული პიროვნება გავიცანი, არამედ ვიპოვე ჩემი თანამოაზრეც. ბატონმა ვანომ მომხიბლა საკუთარი არისტოკრატიზმით, დახვეწილი მანერებით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უბრალოებითაც! ასე მეგონა, რამდენიმე წლის მეგობრები ვიყავით...

მერე და მერე, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს სხვადასხვა ღონისძიებებზე, საკუთარი ავტორობით გამოცემული წიგნებიც მაჩქუქა. განსაკუთრებით მოვიხიბლე მისი არაორდინალური ხელწერით და დახვეწილი აზროვნების სტილით. წინამდებარე საიუბილეო კრებულზე მუშაობამ ეს აზრი კიდევ უფრო გამიმყარა...

მის სახელოვნად განვლილ გზას კრებულში წარმოდგენილი ავტორები ზედმიწევნით წარმოაჩენენ. ამდენად, ამაზე არ შევჩერდები, კრებულზე მუშაობამ

დამარწმუნა: თურმე შეიძლება ადამიანი სხვადასხვა ფრონტზე თანაბრად ნიჭიერი იყოს – ამხელა ტვირთი ზიდოს, იმდენი კეთილი, სამშობლოს სიყვარულით გასხივოსნებული საქმე აკეთოს და ამპარტავნების ჭია არ აწუხებდეს – როგორც იტყვიან: დიდთან დიდი იყოს და პატარასთან პატარა!

უბრალოებასთან ერთად, რაც ყველაზე მეტად მომწონს ბატონ ვანო ჯაფარიძეში, საკუთარი პრინციპების ერთგულებაა, რაც ასე იშვიათია თანამედროვე ეპოქაში – ადამიანები გაუხეშდნენ, სიყვარულმა არა მარტო იკლო, თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი ქვეყანა ორ შაურად გაყიდონ...

ბატონი ვანო დღესაც ხმალამოღებული დგას საქართველოს სადარაჯოზე ახალგაზრდული ენერგიით და ცინცხალი გონებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისთვის 80 წელი მხოლოდ ციფრია და კიდევ ბევრი კეთილი საქმის გაკეთება უნდა მოასწროს! და ბოლოს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი: ვანო ჯაფარიძით არა მარტო მისი ოჯახი და ჯაფარიძეების გვარი ამაყობს, იგი თანაბრად საამაყოა მეგობრებისთვის და სრულიად საქართველოსთვის. გულწრფელად ვულოცავ 80 წლის იუბილეს.

მრავალჟამიერ!

ივანე ჯაფარიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ჭიათურაში

ჭიათურის კულტურის ცენტრში საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, გეოლოგიის დოქტორის, სპორტის დამსახურებული მოღვაწის, „ქართული კულტურის რაინდის“, ჭიათურის საპატიო მოქალაქის – ივანე ჯაფარიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

საიუბილეო ღონისძიებას ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერი გივი მოდებაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ციცქიშვილი, ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლები, ივანე ჯაფარიძის მეგობრები და ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

ცნობილი ალპინისტების, და-ძმა ჯაფარიძეების ღირსეული შთამომავლის და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ივანე ჯაფარიძის ბიოგრაფია სავსეა საინტერესო ფურცლებით. ის ბავშვობიდან ეზიარა მთების სიყვარულს, რაც მის ცხოვრებას ლაიტმოტივად გაჰყვა. მან დიდი ამაგი დასდო ქართული ალპინიზმის ისტორიას, მის მეცნიერულ კვლევასა და შესწავლას, გამოცემული აქვს წიგნი „ყინვარწვერიდან – ევერესტამდე“. მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას და მოღვაწეობდა რადიოსა და ტელევიზიაში. ასევე წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ღონისძიება კვარტეტმა „ჭიათურამ“, საჩხერის სამუსიკო სკოლის მევიოლინეებმა (პედაგოგი ნანი შეყილაძე) ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ჩანგმა“ და ივანე ჯაფარიძის შვილიშვილმა ივლიტა უგრელიძემ გააფორმეს.

ჭიათურის მერმა გივი მოდებაძემ სახელოვან თანაქალაქელს იუბილე მიულოცა და დიდხანს სიცოცხლე და წარმატებები უსურვა.

ივანე ჯაფარიძეს 80 წლის იუბილე მიულოცეს: მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელმა ზაალ ბოტკოველმა, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შალუტაშვილმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა გუბაზ მეგრელიძემ, თბილისის საპატიო მოქალაქემ, მწერალმა და ჟურნალისტმა დემიკო ლოლაძემ, პუბლიცისტმა ზაურ ნაჭყებიამ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვახტანგ ჯაფარიძემ, მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ცერცვაძემ, ექიმმა მერაბ კვიცარიძემ, გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორმა მურთაზ კანკაძემ.

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის დრამატული თეატრის დირექტორმა ნანა წერეთელმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით ნიკოლაძემ იუბილარს თეატრის განსაკუთრებული სიყვარულისთვის მუდმივი ბილეთი გადასცეს, თავისი რიგის და ადგილის მითითებით.

იმ დღესვე ნინოშვილის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობდნენ მთამსვლელობის ფუძემდებლები საქართველოში და-ძმა ალექსანდრა, ალიოშა ჯაფარიძეები და ჭიათურაში ალპინისტური სექციის დამაარსებელი ნოე ჯაფარიძე, მემორიალური დაფა გაიხსნა.

• • •

შეხვედრები წყალტუბოს მუნიციპალიტეტში

24 მაისი ჩემთვის და ნინო უძილაურისთვის დავიწყარ დღედ ჩაიწერა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოფურჩხეთის სასოფლო ბიბლიოთეკაში. ოფურჩხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პოეზიის ზეიმი მოგვიწყეს თბილისიდან ჩასულ პოეტებს.

წყალტუბოს მთავარი ბიბლიოთეკის შარშანდელი აქცია „მწერალი სოფელში“ წელს ასეთი სახით გაგრძელდა – „ვსაუბრობთ ლიტერატურაზე“.

მადლობა წყალტუბოს მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერს, ქალბატონ სულიკო სვანიძეს; ოფურჩხეთის ბიბლიოთეკას, ბატონ კახა ქორიძეს, ოფურჩხეთის საჯარო სკოლის დირექციას და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს, ქალბატონებს – მარინა ბოლქვაძეს და თეა ხაცავას.

მადლობა მოსწავლეებს, დიდი შრომისთვის, წიგნის, მწერლობის, ლექსის სიყვარულისთვის! აი, ეს მოსწავლეები:

გაბრიელ იობიძე, შალვა გამეზარდაშვილი, საბა ჯანგავაძე, ნიკოლოზ ნაჭყებია, ლაშა უშვერიძე, ნელი ქორიძე, ბარბარე სოფრომაძე, მარიამ სიმსივე, ბარბარე ტუკვაძე, ანი კისკეიძე, ბარბარე კუბლაშვილი, ნინელი კვიცარიძე, ბარბარე იობიძე, ლიზი იობიძე, მარი ციხარიძე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მეორე სოფელი ოფურჩხეთის შემდეგ, სადაც პატარები გველოდნენ, იყო მაღალმთიანი დერჩი... დერჩში გველოდებოდნენ დერჩის, დღნორისას, საჩხეურისა და ლეხიდრისთავის სკოლების მოსწავლეები. სამწუხაროა, რომ თავად დერჩის საჯარო სკოლაში, რომელიც დიდი მეცნიერის, გიორგი ახვლედიანის სახელს ატარებს, მხოლოდ 7 მოსწავლე სწავლობს. გულდასაწყვეტია, რომ ეს სოფელიც ცარიელდება... გზა მაინც რომ გაკეთდეს, იქნებ დაბრუნდნენ?

დღეს ასეთი სოფლებისთვის ჰაერივით აუცილებელია ზრუნვა და ყურადღება... ჩემი საქართველო სწორედ აქ არის!

თამარ შაიშმელაშვილი

პოეზია

ნინა სამხარაძე

* * *

ზამთარში ქალაქში მყოფ ჩიტებს
ვაპურებდი,
ალბათ ამიტომ შეგხვდი.
იმ უსაძირკვლო სახლივით ვერ
დავინგრევი
ნიავზე რომ ირხევა.
შენ მწყურვალიც არ დაადნობ
თოვლს სუფთა წყლისთვის,
მას მზეც რომ უყურებდეს..
სულელი თუ იკითხავს, რატომ
შემიყვარდი...

* * *

„იქ, სადაც ფეხს დაადგამ, ყვავილი აღარ
ამოვა“, – ამბობდა ბებია.
უდედოდ დარჩენილი ბარტყებივით
იხუტებდა ყვავილების თესლს.
ნეტავ, რამდენი ყვავილი მოვკალით
ღამით სახლიდან გაპარვის დროს?!
გოგონებმა შეყვარებულის სანახავად, მე
„ზაფხულის ნაძვის ხის“ –
ასე ვეძახდი ხმელ თივის ზვინს, როცა
მის თავზე მთვარე ჩერდებოდა.
შემდეგ ყველაფერი გაქრა, ქვეყანა,
სახლი, ოჯახი, ზამთრის ნაძვიც...
თივის ზვინები უთავო აქლემებს ჰგავს,
ზაფხულის ნაძვი არ არსებობს.
შემდეგ ისე გავუხეშდი და დავიბზარე,
როგორც გვალვების დროს მიწა.
თუ ფეხის წვერებზე დავდივარ, ესე იგი,
ვინმე ძალიან მიყვარს,
თუ გიყვარს, არ უნდა გაალვიძო, ფეხი
ყვავილებს არ უნდა დაადგა.
მთვარე თუ კიდევ გამოგორდება თივის
თავზე, სუნთქვასაც შევიკრავ.

* * *

წარმოვიდგინე შენი ხელები,
ბევრი წლის შემდეგ წარმოვიდგინე..
მე ვხედავ ოდნავ დაკუჭულ პერანგს,
მესმის ხმაური, ზღვის და ჩიტების.
ხელისგულებით დაიზელ თვალებს,
მაგრამ არც ახლა იცვლება ხედი.
ხედი, რომელიც შენი სახლია,
ბებერი ხით და ბევრი გირჩებით.
წარმოგიდგინე ბევრი წლის შემდეგ
ყველას მშველელი, გადამრჩენელი,
ვხედავ კიბეზე ციტრუსის კალათს
აღარ აქვს სევდა შენს ბავშვურ სიცილს...
წარმოვიდგინე შენი თვალები,
ბავშვობაში რომ ვაფერადებდი
მზეს ლურჯი ფანქრით,
(რადგან ყვითელი თეთრზე არ ჩანდა)
იმ მზედ იქეცი...

* * *

ჩემი რვა ნათესავი გარდაცვლილა
თებერვალში,
„ამ თვეს კარგი არაფერი მოუტანია“ –
თქვეს მათ,
„მე დავიბადე“... – ვამბობდი ყოველი
მოსმენის დროს.

შემდეგ „შვლის ნუკრის ნაამბობზე“
ტირილი შევწყვიტე,
კიდევ უფრო შემდეგ გაყინული
ბარტყების გლოვა,
ახლა ჩემს მაჯაზე კბილებით დახატული
საათია,
რომელიც ყოველთვის ერთ დროს
აჩვენებს, ტკივილის დროს.

„ამ თვეს კარგი არაფერი მოუტანია“ –
თქვეს მათ.
„ნამდვილად“... – ვამატებ მე და თმას
ვიჭრი ჩემი ხელით.

ზამთრის გოგონებზე ხომ გსმენიათ?!
მე მათ არ ვგავდი,
„შვლის ნუკრის დედაც თებერვალში
მოკლეს“? – ვკითხე პაპას,
პასუხი არ მომისმენია... ჩემს ხელზე
საათია...
კბილებისგან, რომელზეც მუდამ
ტკივილის დრო იქნება
ყოველ თვე, ყოველ წელს, ყოველ სეზონზე...
სანამ ვსუნთქავ.

ვის სჭირდება ლექსები, როცა მუდამ
შემოდგომაა,
როცა „ზაფხულის გოგონები“
მარტივად იღიმიან.
ეს ლექსი ისე ძალიან ჰგავს
ჩემს უკანასკნელ ლექსს,
როგორც უნაყოფო ქალის ბოლო ცდა
გახდეს დედა...

* * *

„ანგელოზებმა გაკოცეს“ –
ამბობდა დიდი ბებია ყოველ ჩემს
გაღიმებაზე,
უყურებდა ღრმულს ლოყაზე.
(მას შემდეგ გველი რომ ტყავს იცვლის,
იმდენჯერ შევიცვალე).
„ანგელოზებმა წაიყვანეს“ –
მითხრეს, როცა დიდი ბებია
გარდაიცვალა.
ყოველ დღე ანგელოზებს ვეძებ.
მარჯვენა მხარზე, ადამიანში,
ცისარტყელაზე...
ძალიან მინდა წამიყვანონ.
იქ, სადაც ღიმილისგან ლოყა
დამეჩვრიტება.
„ნახე, კიდევ მარტო მოვიდა“, –
ჩაილაპარაკა ბავშვმა მამების კრებაზე,
იქაც გავიღიმე რატომღაც..
სამაგიეროდ მე ანგელოზები მკოცნიან...

და მაინც... რომ არსებობდნენ...

* * *

არსებობენ მკვლელი ქალაქები,
საცეცებს გაჭერენ იარებზე...
ცოტაა, ვისაც ეტყვი – „ცუდად ვარ“
და ის არ გკითხავს – „ხომ არ გაგიჟდი“...
ვისაც ეტყვი, რომ ჩაცმულს გძინავს
ზაფხულში ჰუდით, თმას არ ივარცხნი.
ის გიპასუხებს, რომ სიცხიანიც
ლამაზი ხარ, წვიმის დღესავით...
ვერავის ეტყვი, რომ ავად ხარ და
უსაძირკვლო სახლივით დარჩი,
რომ შენი დილა ბინდით იწყება.
ვერავის ჰკითხავ, როგორ გადარჩე,
მხოლოდ დროებით თუ ითხოვ ვინმეს,
მისწერ, „ცუდად ვარ, ვილაპარაკოთ“
და შემდეგ მუდამ გემახსოვრება,
ისევ მარტო ხარ და გებრალება
ხელმეორედ სალაპარაკოდ...
ცოტაა ვისაც ეტყვი, რომ კვდები –
ისე ძალიან გინდა ახლა
გქონდეს ოცნება ანდა მიზანი,
ვისაც ეტყვი, რომ დაიწყე დაშლა
საყრდენგამოცლილ შენობასავით
და ის არ წავა სხვა ლამაზ სახლში...

* * *

როცა გავიგე – ძილში ფეხებს
ამოძრავებდა,
„დავიძინე“, ფეხების მოძრაობა
დავიწყე...
ასე გავიგონე ნანატრი ფრაზა:
„მამას ჰგავს“ –
ეს იყო უკანასკნელი მსგავსება
ჩვენ შორის.

ასე მივეჩვიე მჭიდრო წინდებით
დაძინებას.

პაპამ მითხრა: „ბროწეულს გავხარ“ –
და მიმითითა
ნერგის გარეშე თვითნებურად
ამოსულ ხეზე..
ბროწეული ვარ! თავს რომ ვხრი,
გვირგვინი არ მძვრება...

როცა გავიგე, კარგად უკრავდა, გავათენე,
ერთ ღამეში ნასწავლი „მთვარის
სონატის“ მსგავსად
გაქრა ხესთან დაცემული ნაყოფობის
სურვილი..
ეს ისეთივე ფუჭი იყო, როგორც
სინანული.

და როცა მიყვარს, თავზე საბანი არ
მახურავს,
ახლა შევნიშნე, როცა სიყვარული
ვისწავლე...
რადგან ნაყოფი ვარ, ხისგან შორს
დაცემული.

* * *

ბავშვობაში თამარის საფლავს ვეძებდი,
მეზობლის ეზოს ყვავილებში.
ასე გავაფუჭე „ტიტა“ და „ფურუსელა“,
შემდეგ მე მეძებდნენ ეზოში.
მაყვლის ბუჩქთან დავჯექი, დავიწყე
კითხვა.
წიგნის არა, ადამიანების.
ასე გავიგე ვინ, როგორ ბრაზობდა ჩემზე.
ამ მეთოდს ხშირად მივმართავდი.
ახლა, როცა ადამიანებს ვაკვირდები,
მათ შუბლზე მხოლოდ „მინდას“ ვხედავ.
იშვიათად „მჭირდებაც“ გამოერევა...
ბარზე ნეონის სანათივით,
მკრთლად ანათებს მათი შუბლები.
მზეს მეტი სხივი არ სჭირდება,
წარმოიდგინეთ, უბრალოდ რომ
მოუნდეს...
....
ესეც ერთგვარი ნუგეშია –
მათ არაფერი უნდათ, რაც მე მჭირდება!

ლეილა სიჭინავა

* * *

ათასმეერთე ზღაპრიდან ერთიც,
ვეღარ მოირგე კოლიედ, მძივად,
სულს გიწვავს კვართი
განდევნილ ღმერთის,
და სასთუმალზე სამყაროს სძინავს...
ფიქრს გკიდებს ღამე კვლავ, გიშერივით,
ხან ფოთლებს ისხამ, ხანაც კი ხმები,
და როიალის კლავიშებივით
შავ-თეთრ ცხოვრებას მიათრევ
მხრებით...
რად უკვირთ, თუკი მზენაკლ თვალებში
ცა გიდგას, როგორც ბავშვობის სახლი,
როს ასე კვდება აწმყო ქარებში
და უსასოო წარსულს თავს ახლი...
სევდის ბარტყები ვერაფრით გაშრნენ..
დ ღ ე ს უ ჩ ი ნ ო ნ ნ ი ს ძ ლ ე ვ ენ
ჩ ი ნ ი ა ნ ს...
გაკეცილ მთვარეს გავხარ ახლა შენ,
ცად გამოჩენის რომ ეშინია!..
ძერწავ ღამეებს ფიფქების შუქზე,
თითებზე ითვლი დღეებს ცისწორებს,
და ბუხარივით თაკარა შუბლზე
აწრიალებულ ლექსებს ისწორებ...
ღმერთო, კვალი გაქვს რამდენი წვიმის,
ქარტეხილების, დღეთა მზიანის,
და რ ა რ ი გ გ ტ კ ი ვ ა ყ უ რ ე ბ ა
ი მ ი ს,
თ უ ვ ი თ კ ნ ი ნ დ ე ბ ა ა დ ა მ ი ა ნ ი !
ახლა ცის გვერდზე ღამე წერს
საგას...
შენც ესსეს წერდი სენტიმენტებით,
სუნთქვით გითბობენ ზამთრის
ცივ საბანს,
ლექსები — სულის თეთრი მტრედები!..
...მთვარე ზის კლდეთა თეთრ უნაგირზე..
და ამ ხატებას იწერ ხსოვნებად!...
ს ი კ ვ დ ი ლ-ს ი ც ო ც ხ ლ ი ს
შ ო რ ი ს ბ ა გ ი რ ზ ე,
თ ი თ ი ს წ ვ ე რ ე ბ ზ ე დ ა დ ი ს
ც ხ ო ვ რ ე ბ ა !!!

ღამის მეუფება!

სადღაც, ამოთქვეს ღამე მამლებმა,
სადღაც, გაბზარა ძაღლმაც სიჩუმე...
ჟამი, უღვთოდ რომ მიინავლება,
ჩემში ღვთის ანბანს
ვერ გამიჩუმებს!..
ვით მარაოში ჩარჩენილ ნიავს,
მე ჩემში კკეცავ მზეებს ხსოვნებად,
და ის, რასაც აქ სიცოცხლე ჰქვია,
იქ, ზეციურშიც მემახსოვრება!..
ახლა სარკმელთან კეკლუცობს ღამე,
და გრილ თითებით დალალებს იწნავს,
ვიღაც, წყალივით გარეთ
ღვრის გამებს,
ცას შიშველ ტერფებს უკოცნის მიწა...
არსით მოსული, არსით მივდივარ...
(ცა არასოდეს ბრუნდება უკან)...
საწუთროს ერთ წვეთ ლექსად ვკიდივარ,
და კვლავ ვკითხულობ
მთოვარის რუკას...
ყველას აქვს თვისი რაღაც იარა,
თვისი აპრილი, ბედი, წილად და,
აქ რომ უფალმა ჩამოიარა,
ციცინათელებს მზე უწილადა!..
სადღაც გვირილაც კისკისებს ქარში,
და ხომლთა ოქროს ბილიკზე ცეკვავს..
მერე კი, ღამე ჭვირვალ
ფრთებს გაშლის,
და მიმაახლებს უსამნო ზეკარს!..
იქ, ცის კლავიშზე დავუკრავ შოპენს,
და გზად დავტოვებ დღეებს ლოდებად...
დგას მთვარე თმეხით,
ვით პენელოპე
და თვის ულისეს — მზეს ელოდება!...
...და, ვიწუწები წვიმაში მთვარის...
იქნებ, სიკეთემ ბოროტს უფაროს!..
იქნებ, ეს ღამეც სულ ბოლო არის...
მაინც, ამ წვისთვის
გმადლობ, უფალო!!!

* * *

მთოვარის თმებით მოქსოვილ ბილიკს,
შენ ფოთოლ-ფოთოლ ათოვებ ფიქრებს...
და ჭორიკანა წვიმების ქილიკს
თუ გადაურჩი, ილექსო იქნებ!
რა მანძილია, ნეტავი ცამდე?
გულიდან მზერა თაველებს ერთვის,
და იასავით, რაც სულში ზარდე,
თითებმა ვეღარ ამოთქვეს შენთვის...
დაგაქვს ეს ჟამი მოგუდულ მუჭით,
და ვერ იშორებ იუდას ამბორს,
მუდამ მუხლნატკენ სიმართლეს უჭირს,
თორემ მტყუანზე ვერაფერს ამბობ...
ვერ აუდიხარ განცდების თავსხმას,
და სიტყვის ბაღშიც უთქმელად ვერ ძლებ,
შენ წვიმის თოკზე ლექსს მძივად ასხამ,
ვიღაც, თივაში ნემსის ყუნწს ეძებს...
შენ კი, ფრთებს ეძებ ქირომანტიით
და ხელისგულზე მიკვალავ შარას,
ვიდრემდე ჟამი გიჟი მარტივით
გამოგიცხადებს ბოლო სვლით შამათს!
...და კვლავ ცით ნამავ სულის საკურებს,
მზის შალსაც უკვე აღარ მათხოვრობ...
უფალი შენთან სულ აკაკუნებს,
ოღონდაც ყური უნდა ათხოვო!!!

* * *

ვუსმენ ღაღადისს უენო ქვათა...
ხან ვთენდები და ხან კი ბინდი ვარ,
თვალაცვეულნი დავდივართ რათა,
რომ არ ვუწყოდეთ საით მივდივართ.
და, მზეა მერე ისეთი შორი,
თითქოს ფრთებიდან გადმოვარდნილვარ..
და ზეცასა და ამ მიწას შორის
დგას ეს სიცოცხლე, მალმსხვრევადი რამ!...
ალბომივით ვშლი ხსოვნის მემორებს,
რაც ვიყავ გუშინ, ახლა როდი ვარ..
ბუნება თავის თავს იმეორებს,
და ჩვენ კი, მხოლოდ ერთხელ მოვდივართ...
სულს აღარ ძალუძს სხეულს მისდიოს,
მას საკუთარი აქვს უფლის ნიშა,
და განცდების და ლექსის სიმბიოზს
დაფარავს ბოლოს არყოფნის ქვიშა...
ისეთი დროა, შიშველ ტერფებით
შუშის ნამსხვრევზე დადიხარ თითქოს,
მერე ღამეებს სუნთქვად ერთვები
და სულს უბერავ ნატკენზე სტრიქონს...
ენკენის ბაგე მიმქრალ ღიმს აკმევს,
მე მკერდში უფლის სხივს ვინახავდი...
ვეღარ ვაწვდინეთ მზერა ცის სარკეს,
თორემ, ჩვენს „ეგოს“ დავინახავდით!...
ცაო, ვით დალის დაწნული თმები,
ჩამომიშალე კიბე შენამდე!..
ლექსშემცივნული მე შენით ვთბები,
კვლავ სასო-ლექსის გამოჩენამდე...
ცაო, გვირჩიე, გზა ვით არ ვთელოთ,
როგორ ჩავკიდოთ სული მზის ნაწნავს,
დ ღ ე ს ო ბ ო ლ ო ც რ ე მ ლ შ ი
ფ ე ვ ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო,
დ ა ლ ა მ ი ს ა ა ჩ ა მ ო ს წ ყ დ ე ს
ფ ა მ წ ა მ ს!!!

გზად, – ლიხს იქით...

მზე ინით ღებავს მთათა სართულებს..
ძვლებში ტეხს ხეებს ქარი და ღელვა,
და რკინის ჯვარზე გაკრულ მავთულებს,
ძარღვში მუდმივად დაუდის ელვა...
მომდევს ზამთარი კვამლის ხველებით,
და გზები ფიქრის ტევრში მტოვებენ,
გოროზი მთები, ხეშეშ ხელებით
თოვლის დაკემსილ შალს ისწორებენ...
ფიქრის თავთუხებს, ნეტავ, ვწნავ ვისად,
სად არის ის მზე, ან ის ფეთება!
მე დავეცემი მუხლად, კრწანისთან,
და ყაყაჩო ზედ დამეწვეთება...
სულში გუბედ დგას სევდის სისველე,
ვეღარ გავთალე ხეკნი საჯვარედ,
თუ უფლის კვართი გულს არ გისველებს,
მაშინ ცოდვა-ძადლს ვით შეაჯაბებ...
ღრუბლები მზის სისხლს დევივით სვამენ,
ვეღარ ძივსდიე გუთანს კალომდე...
ვაითუ, დარჩათ საამზეო სვავებს,
და ბულბულებმა ვერ იგალობეს...
ვაითუ, გმირი წარსულში დარჩა,
ბოლო იმედიც მუხლს იმტვრევს ქარში...
თუმცა საშველი არსაით არ სჩანს,
სვეტიცხოველი მაინც ძგერს ქართლში!..
მაინც რწმენად დგას მცხეთა და ჯვარი,
ხელშესახებად ვგრძნობ მათთან შერთვას,
მზემ თმით მოგუდა ღრუბელთა ჯარი,
და, თითქოს... ხელი ჩამკიდა ღმერთმა!...

* * *

ჩემი სიჩუმის თოთო კვირტები
ამოთენდება ლურჯად ფურცლიდან,
და ჩემში ისევ ბავშვს ვაკვირდები,
მთვარის ბილიკზე ლექსს რომ უცდიდა...
მერე, ვწერ ცივ ჟამს და მღვრიე ფიქრებს
ვაგროვებ პეშვში და გარეთ ვისვრი,
ძრავალწერტილი ასტკივდათ თითებს,
ვითარც ნაჩხვლეტი ძონღოლურ ისრის...
ღამე კვლავ ირგებს გიშრის სველ პლისეს,
და თითისტარზე ართავს ცის გამას,
მე ლექსების ქოხს შემოვრჩი ისე,
ვითარც ბელურა ზამთრის ცივ დრამას!..
ახლა წვიმების თქორის ჟამია,
და ერთ ყლუპ მზესაც ვეღარ იგემებ,
მე სულს ვაცეცებ წამწამნამიანს
და თვალთა ტბებში ვარწევ ცის გემებს...
სიმარტოვის ჩრდილს გავკიდებ მზეზე,
და ფიქრებს ვათბობ ლექსის ბწკარებზე,
და გარბის ჩემი ცხოვრების ესსე,
სადღაც, გაწყვეტილ ლიანდაგებზე...
მერე გავდივარ ჩემი ეგოდან,
და გზა-გზა ვიცვლი მიწის ბახილებს,
ნუკვად შვილი და ლექსი მერგო და,
ჩემში კვლავ სულის ძზე გავახილე!..
ახლა, ხელმკლავით ვაცილებ წამებს,
ჟამის პორტრეტიც იცვლის იერებს,
და წვიმის თმებზე ჩამომხვრჩვალ ღამეს,
ხელოვნურ სუნთქვით ვასულიერებ!..
...თუმც, ბინდში კვდება ყველა სინაზე,
სულის ფრთაზე ვფენ სიტყვის აკიდოს...
და შემკრთალ პროფილს ვტოვებ მინაზე,
ზეცამ რომ დედის ხელი ჩამკიდოს!!!

სენტიმენტები...

ბოლთას სცემს ახლა ოთახში ღამე,
ძილის ღვთაებას მეც დავეთხოვე,
მერე, შემომყავს ხელმკლავით მთვარე,
და მთელი ღამე ვუკრავთ ბეთხოვენს!..
ასე გაწუწულს „სონატით მთვარის“,
სული თოთო ლექსს ეძბაზში განბანს,
ო, ახლა ჩემში მხოლოდ ცა არის,
და არმიწიერს ვკითხულობ ანბანს!..
სადღაც, ჩემს იქით შრიალებს ფიქრი,
ბალახს თავისი სიმორცხვე უკვირს,
ხოდაბუნებში თავს დახრის იფქლი,
და ჩიტებს ხომლებს, საკენკად უყრის...
სევდა ძჭირს ახლა დაჭრილ ოცხების,
და გვირილების, გათიბულთ, ველზე...
ჩემი დღეები ლოცვა-ლოცვებით,
ქარმა შორ ნისლებს დაჰკიდა ყელზე!..
მე კვლავ სიმშვიდე უნდა მეცადა,
სანამ თითებში ლექსს გამოვცრიდი,
ბავშვივით მეწვა ხელში ზეცა და
ვარსკვლავმთვლემარე თვალს ვუკოცნიდი...
თითქოს ზღაპარს ყრის ვიღაც გუდიდან,
აუჩქროლდებათ ვარდებსაც სისხლი,
და გამოპარულს დედის უბიდან,
ჩიტის ბუდეში ეძინა მზის სხივს!..
მეც, კონკიასებრ ზღაპარს მოველი,
და მსტუმრობს ჟამი მზედ და ფიფქებად,
და ჩემში ლოცვად სანთლობს ყოველი,
რაც უკვე იყო და რაც იქნება...
...და სულს ვახატავ ამ ცას და ალაგს,
ზენარს ვთხოვ, ფუნჯთან აღარ გამყაროს,
და ვით ქვებს შორის ამოსულ ბალახს,
თვალის გახელად მჭირს ეს სამყარო!!!

თამარ გაბოძე

I. უკვდავმზიანობ, ქეთევან!

მიიხმო შაჰმა შირაზის კარზე ქართველი მძევალნი,
მაჰმადის მოწამედ სურდა ქეთევან – ქრისტეს
მხევალი...
შვილიშვილების სიმწარე არ აკმარეს ტყვე
დედოფალს,
ვერ უმფარველა სამებამ ამ მსხვერპლშეწირვის
ეპოქას...
შაჰი არ ელოდა უარს, ნაფიქრ-სურვილის მეტოქეს,
იგრგვინა – „დასწვითო ცოცხლად“! – ქეთევანიც,
მყის, შეთოკეს.
შაჰმა დამცრობად შეიგნო უარი თავაზიანი
და სისასტიკემ შეიდნო დღე – ჯვარცმის
თანაზიარი;
...ცისკრის ობოლი ვარსკვლავი უკვდავების ნიშას
ჭვრეტდა.
ცეცხლის ალი დიადემად ედგა – უკვდავ
ნიშანსვეტად,
სატანამ დედა-დედოფლის გულ-მკერდზე
გაინავარდა –
საკმევლის? – დამწვარი ხორცის – სურნელი ცაში
ავარდა!
ალავერდი უნდილაძის უარყო რჩევა კეთილი,
ამალაშემოძარცულმა გვისაგზლა სხვა გაკვეთილი
– თავდადებულმა ქრისტესთვის შვებად იღირსა
გოლგოთა,
ქალ-ძელქვამ, ცალმა ბზის ფესვის, იმედმა
უსამშობლოთა!
ჩამოშავბნელდა შირაზი... მზეო, არ ხარ მზე,
შავდები...
ამომწვარ მკერდზე შუაზე ბოღმით გაიპო შანთები!
მზეობდა მკერდდაშანთულიც, უსულოც ანგელოზს
ჰგავდა
და ერთგულს რწმენის – ქართულის – მფარველად
იესო ჰყავდა!

მსოფლიოს დიდად გააცნო მან საქართველო
პატარა –
რწმენაც და ქვრივის მანდილიც შეუბღალავად
ატარა!
და ქეთევანმა თქვა მტკიცედ – რაც ზღვა განძზე
არ იცვლება –
ფასდაუდებელ სიმდიდრეს ჰქვია სახელად ღირსება!
ქრისტეს მხედრებად მოსული ერის შვილს როგორ
გაკადრეს,
დაგეთმო უმანკო სული – რწმენისთვის ჯვარზე
გაგაკრეს!
შენი სიმტკიცის წინაშე ღრუბლებიც კრთიან
ოსანით...
განედლდა ზეცის წვიმაში ბრმა ბედის კრიალოსანი!
ვერ დავარქმევდი მზიან დღეს დიდი სიცოცხლის
მსუსხავ დარს,
ხსოვნა რომ გაგიმზიანდეს, უხვად გიძღვნი ბზა –
სუსამბარს...
ქეთევან, ჟამი ოსანით საუკუნობით მოგძახის –
ხარ თვალი პატიოსანი ქრისტეს მხევალთა ოჯახის.
გულში სამშობლო კი არა – საქრისტიანო გეტევა:
გჭირს ოთხასი წლის იარა, უკვდავმზიანობ, ქეთევან!
მრავალი ქვეყნის გენიამ უკვდავგყო, ხოტბა შეგასხა,
უკვდავმზიანო, სულმნათო, ერმა წმინდანად
შეგრაცხა!
ქეთევან, სიმტკიცე სულის უსაგზლე მადლად
ათასებს –
ამ თავგანწირვით რწმენისთვის წმინდანს მსოფლიო
გაფასებს!
მიეცათ ძალა კურნების შენს დღემდე უხრწნელ
ნაწილებს –
მიეახლება ვინც რწმენით, ამარცხებს ბედის
ქარ-წვიმებს!...
გამარჯვებული მრავალგზის ზეობდა „ირანის
ლომი“,
უნახავთ ბრძოლის ველზეც ის, მბრძოლი სისხლიან
ჭრილობით...
მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოინელა ის
ომი –
ქეთევანის გამარჯვების – ქრისტესთან
სიამტკბილობით!
ორმოც წელს აღზევებული მფლობელი
მაშრიყ-მაღრიბის,
ხუთ წელიწადში დანელდა სკიპტრა-სულ-ხორცით
ღარიბიც:
დასთმო ტახტის და სიცოცხლის პყრობილი ყველა
მწვერვალი!...
...ასე სჯის ცოდვილ მოკვდავებს უკვდავი
წერამწერალი!!!

II. ამბავი ორი გვირგვინისა

ქეთევანს ედგა გვირგვინი შარავანდედად წამების!
ხოლო შაჰს – პირსისხლიანი უსასტიკესი
მწამებლის!
შაჰს ჰყავდა ოთხივე ცოლი – ქართველი – (დედა!
ბებიაც!)
უმცროსს – თამარ ამილახვარს – მემკვიდრეც
უჩუქებია!
სიხარულით კი შაჰს ნაზი ლექსებით უღმერთებია...
ხაზინის კარიც მიანდო უზღუდველ უფლებებიანს!
თამარს ქრისტესთვის ტაძრები ისპაჰანს უშენებია,
ტყვე ქართველთათვის მფარველის სახელიც
უმშვენებია!
მაინც სასტიკი მეუღლის ქვა გული სრულ ვერ
მოილბო –
შაჰმა მწვალებლის გვირგვინი შვილის ფასადაც
მოირგო![1]
...შაჰს ალავერდი – ხანისაც შეშურდა
პირველკაცობა,
ის – ბეგლარბეგი – თუ მართლაც შაჰის
ბრძანებით
მოწამლეს,
გამზრდელის – მარჯვენა ხელის – თუ ვერ
შეიმშნოვა ცნობა,
მუჰამედიც[2] კი დასჯიდა ალაჰის ცოდვილ მოწამეს!
ქართველთმოძულე რად იყო? მამის გენთ ჰქონდა
რა ჟინი –
ვერ გაძღა – მიწით, ომით, ვერც სისხლის იკმარა
ვაჟინი?!
ტვინში რა ნერვი ჩაუწყდა
ნარგილე-თრიაქ-ჩეფირით,
უშუბლისძარღვომ სურვილებს რად ვერ უბახა
ჯებირი?!
...ქეთევანს, ალავერდი-ხანს, დრომ ასვა უკვდავთ
ქავსარიც[3]...
განსაცდელი ხომ ღირსეულთ, ღვთივკურთხეულთა,
თავს არის!...
P.S. ისტორიას შაჰინ-შაჰი ჰყავს ხოსროვ
ანუშირვანიც[4]...
ქველის, კეთილის ზეობამ შვა „ოქროს ხანა“
ირანის!...

1. **.ხოსრო მირზა** – შაჰ-აბასის ქართველ მემკვიდრეს რომ მამის ღალტი დააბრალეს, შაჰმა თავად მოაკვლევინა.
2. **მუჰამადი (არაბ.)** – წინასწარმეტყველი, ისლამის ფუძემდებელი ცხოვრობდა 570-632 წწ.
3. **ქავსარი** – (სპარს.) – სამოთხის წყარო.
4. **ხოსროვ ანუშირვანი** – შაჰინ-შაჰი, სასანიანთა დინასტიის უდიდესი წარმომადგენელი, სიკეთითა და ქველმოქმედებით ცნობილი. მისი ზეობისას (531579 წწ.) ირანმა მიაღწია განვითარების უმაღლეს მწვერვალებს, რაც „ოქროს ხანად“ შევიდა ირანის ისტორიაში.

III. სამი დაბრუნება

ნიმუშია ქეთევანი საკაცობრიო ზეობის –
თავისუფლების, მოყვასის ერთგულის,
თავდადებულის!
მხოლოდ სპეტაკი ღირსება ლიბოა
უკვდავმზეობის –
ღირსებით გასწვდა მსოფლიოს მუხრანში
დაბადებულიც!
ვინ თქვა წამების ბორბალი სიკეთედ
აბრუნებული?!-
ქართლიდან ერთხელ წასული სამჯერ გვყავს
დაბრუნებული!...
...იმ დღეს, როცა ქეთევანის დაიშანთა წმინდა
მკერდი,
გუმბათს თეთრი ალავერდის თეთრი დააფრინდა
მტრედი...
კახეთის დედა-დედოფლის უბიწო, ღვთივსათნო
სულმა,
დაიმკვიდრა სავანე იქ ზეცით მტრედად
გადმოსულმა!
ცა სხივებით მნათობი მზის, ვინ თქვას, რამდენჯერ
გაწითლდა –
პირველ ჩამობრძანებამდე – წმინდანის უხრწნელ
ნაწილთა...
სამუდამოდ კი მესამე დაბრუნებაა სათქმელი,
სამი წლის წინ რომ დაუნთო უკვდავს მამულმა
სანთელი.
...ოთხ საუკუნეს, ვითვლით ხომ, საწმინდანო
კრიალოსნით!...
საქართველოს არც დაღლის დრო ქეთევანზე
წირვა-ლოცვით!...
წელს ნახავს გრემ-ალავერდში მრევლი
დედოზართა გუგუნს.
ქეთევან – მზე, რწმენის ელჩი, გააცისკრებს ჟამთა
უკუნს!

26.09.2016 –14.01.2024

პროზა

შალვა კვასხვაძე



ივლისის თბილი ღამე

ქალაქის ეს უბანი კომერციული მიმართულებით განვითარდა. დასაწყისში ღია ვაჭრობამ უამრავი ხალხი მოიზიდა, დაასაქმა, გაახარა, გააწბილა, ააქოთქოთა, ააფუსფუსა, ახალი მიზნები, მისწრაფებები და სურვილები გაუჩინა. ფულის კეთების სურვილი, მოლოდინისამებრ, ყოვლისმომცველი აღმოჩნდა და სავაჭრო დინამიკა დღითიდღე გაიფურჩქნა, განვითარდა, გამრავალფეროვნდა. ერთი შეხედვით მიძინებული, მაგრამ უკიდეგანო პოტენციის მქონე ზღვისპირა დასახლება გამოაცოცხლა და დროის ცვალებადობის კვალად, ნირიც იცვალა და ფერიც. სასაუბრო ლექსიკაში აქტიურად შემოიჭრა სიტყვები: ბანკი, სესხი, პროცენტი, ფართის ქირა, სანდო პარტნიორი, საბითუმო ტვირთი, კვალიფიციური მუშახელი, კლიენტი, ზევიდან პატრონი... იმატა წნევიანების, თავშალწაკრული და დროის ნებისმიერ მონაკვეთში ფინჯანი ყავის მოყვარული ქალების, აღრენილი და ხასიათწამხდარი, გაანჩხლებული კაცების, ურიკების და მას გამოდევნებული წვერგაუპარსავი, გამურული, იღლიებდასველებული ადამიანების რიცხვმა. დასაწყისი იდეისადმი უფრო ველური მიდგომის თვალსაჩინო სიპტომებს ამჟღავნებდა, მაგრამ ეს არავის უკვირდა. სიახლეს ხომ ზოგადად მსგავსი სიტუაციები ახასიათებს, რომელიც დროთა განმავლობაში იხვეწება, ირანდება და სასურველ ფორმას თუ ვერა, მასთან მიახლოებულს ყოველთვის ღებულობს.

ახლაც ასე მოხდა. ნელ-ნელა გარე ვაჭრობამ ჯიხურებში გადაინაცვლა და მათი რაოდენობა თვალსაჩინოდ გაიზარდა, სავაჭრო ტერიტორია შემოიღობა, და ერთ ვრცელ გაშლილ სივრცეს აღარ წარმოადგენდა უკვე, სახელიც დაერქვა –„ჩემი, შენი, ჩვენი სიხარული“, ადმინისტრაციამ ელექტრო და წყალგაყვანილობა გამართა, ანტისანიტარიასაც შეებრძოლა, წვრილმან ქურდობასაც, აქა-იქ მალულად გამართულ აზარტულ თამაშებსაც გადაწვდნენ პოლიციის ყოჩაღი წარმომადგენლები და გადიდგულებულ მოძველბიჭო ელემენებს ჯერ მორიდებით კარებისკენ მიუთითეს და აგრძნობინეს, მათთან საერთო ენის გამონახვის სურვილიც არ გააჩნდა. ვინც მათ დაუჯერა, თავის გზას ეწია და განერიდა იქაურობას, ვინც იყოჩა და იდიდგულა, მოგვიანებით ადვოკატის აყვანა და მივიწყებული სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეული მუხლების შეხსენება-გადახედვა დასჭირდათ. ნუ, გარკვეული ფინანსური ხარჯის გაწევაც, რა თქმა უნდა...

ბაზარი მართლაც მრავალფეროვანი იყო. ძირითადად, თურქული და ლილოს პროდუქცია სჭარბობდა, მცირე რაოდენობით – ერგნეთიდან შემოტანილსაც შეხვდებოდით. ენ რაოდენობით სურსათი, ტკბილეულობა, ჩასაცმელ-დასახური, ავტონაწილები, საპოხი – საცხი მასალა, ფეხდაფეხ შემოემატა საპარიკმახეროები, ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები, მცირე ზომის სამკერვალოები, დაზიანებული საოჯახო ტექნიკის შემკეთებელი პუნქტები, ფასიანი ტუალეტები და მანდ მისასვლელად ხელისშემწყობი მინი სასადილოები, რომელთა აუცილებლობამ დროს გაუძლო კი არა, გაუსწრო მგონი.

პირველი თუ არა, პირველს დიდი მანძილით რომ არ ჩამორჩებოდა, თამამად ბეგიზე ითქმოდა. ბაზრობის შუაგულში, ოთხ მაგიდიანი სასადილო კონტეინერში გახსნა, გვერდით ცოლი დაიყენა და ოჯახური ბიზნესის შენება დაიწყო. ესმა ქმარზე მეტი მონდომებული გახლდათ, ენერგიული და მოტივირებული. გეგმების დასახვა იცოდა ისეთი, ვერაფერს დაუწუნებდი. სამყოფი გემოვნებაც გააჩნდა, შნოც და ლაზათიც. სამი შვილიდან უფროსი მერვე კლასში სწავლობდა, მომდევნო – მეექვსეში, ნაბოლარა კი მეოთხეს ამთავრებდა წელს. დედამთილი სახლში ჰყავდა, შვილების აღზრდაში ხელს უმართავდა და ხშირად, დარიგებებით ტვინსაც უბურღავდა, მაგრამ როგორც ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღზრდილ ქალს, საჯარო მოხელესავით თმენის ვალდებულება გააჩნდა და გაგულისებული და გაბრაზებული, ენის ამოუღებლად ითმენდა უამრავ შენიშვნას, ტაქტიანს თუ უტაქტოს, მისაღებს თუ მიუღებელს, საჭოროს თუ ყურში არ შესასვლელს... აქ კი, სასადილოში, იმის მიუხედავად, რომ ვაჭრობის არაფერი გაეგებოდა და არც ის საქმე ხიბლავდა დიდად, რასაც აკეთებდა, თავს თავისუფლად გრძნობდა და ეს განცდა ხიბლავდა, მოწონდა, აბედნიერებდა. დედიდან ათვისებული დიასახლისობა აქაც წაადგა და თავისი უნარი მალევე გამოაჩინა, უგემრიელეს კერძებს ამზადებდა, მუდამ მოუცლელ კლიენტებს სხარტად ემსახურებოდა და დღის ბოლოს გასაყიდი აღარაფერი რჩებოდა. ნისიაზე არ მუშაობდა, ოღონდ ყველადღე ერთ ობოლ მეკაჭკეს და ბოსტნეულის სექციაში ერთ დამხმარე შშმ პირს უფასოდ ასადილებდა, მამის სიკვდილის შემდეგ ასე ისურვა ბეგიმ და არც მეუღლე წასულა წინააღმდეგი...

გაფართოებით, მეხუთე წელს გაფართოვდნენ. ამ დროს უკვე სულმოთქმულები ეთქმოდათ. გაუთხოვარი მამიდადან მემკვიდრეობით მიღებული ოროთახიანი ბინა სტაბილურად ქირავდებოდა. ბეგის, მართალია ასაკოვანი „მარშრუტკა“ ნერვებს უწიწკნიდა, მაგრამ ოჯახისთვის ფინანსური სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენდა და მასზე ცუდს ძნელად თუ დააცდევინებდი. ესმა სასადილოში დილიდან საღამოს ხუთ საათამდე ტრიალებდა, მეუღლეც დროდადრო შემოურბენდა, რაღაცას შემატებდა, რაღაცას წაიღებდა, წაუხემსებდა მადიანად და სანამ გაფრინდებოდა, ზოგჯერ ალერსიან თვალებს გააყოლებდა ესმას. ქალი უტყუარად გრძნობდა, ამ გამოხედვას დღის ბოლოს რა პერსპექტივა გააჩნდა. გამოხედვაც ნაცნობი იყო

მისთვის,პერსპექტივაც, მოსალოდნელი სასურველი სიამტკბილობაც და ქალურობის სრულფასოვანი განცდაც. „ნეტა თუ მოვესწრები იმ დროს, ჩემი ბერი ასე რომ არ შემომხედავს?“ – გაიფიქრებს გუნებაში ესმა და უმალ „იმ“ დროს რამდენიმე ათეული წლით გადაისვრის. – „სამაგისოდ, ჯერ ძალიან ადრეა“...

ბაზრობის მეხუთე შემოსასვლელთან, სახით რამდენჯერმე რომ ენახა, იმ დონის ნაცნობი კაცი კუთვნილ ფართს ყიდდა. ბეგის ადგილი მოეწონა. „ათი მაგიდა თავისუფლად დაეტევა, რომ მაქვს, იმაზე უკეთესი სამზარეულო მოეწყობა,ჩემთვისაც მცირე სამუშაო ოთახსაც მოვიწყობ,მაგიდას,სკამს და კომპიუტერს დავდგამ... სად რა მიყრია, ვერ ვუყრი თავს... თან ერთი კარი ქუჩის მხრიდან აქვს, ეს კარგია“... – გაიტაცეს ფიქრებმა.

მეპატრონემ შეხვედრისას არ დამალა, ბანკის ვალის მოშორება ეჩქარებოდა.

– დამახრჩვეს, სიცოცხლე არ მინდა... – უთქვამს.

საერთო ენა მარტივად გამონახეს. ითხოვდა რეალურ თანხას. სამ დღეში საქმე გაიჩარხა, ორ თვეში კი ახალგარემონტებული კაფე პირველ კლიენტებს ღებულობდა. სამი თვის ბოლოს დაანგარიშებული შემოსავლით,თუ ასე გაგრძელდებოდა, ბეგის იმედი გაუჩნდა, ექვს თვეში ბანკის ვალს დაფარავდა.

– იცი, „მარშრუტკაზე“ ბაჩის დასმას ვაპირებ, ჩემი ბიძაშვილის,დღეს მოვილაპარაკეთ პირობებზე. ის ირბენს კერძო დაკვეთებზე, კაფესაც მოემსახურება. თავისუფალ დროს თავის ოჯახსაც მოახმაროს მანქანა, მოითქვას სული, წინააღმდეგი არ ვარ... – დაძინების წინ უთხრა ცოლს, რომელიც ეს-ესაა ლოგინში შეწვა და ქმრისკენ მორიდებით გადაბრუნდა.

– დასვენება გადაწყვიტე? – ჰკითხა.

– არა, კაფეს მინდა მივხედო და ჩემ ანგელოზ ცოლს. – შეაგება პასუხი კაცმა. – ცოდო ხარ, ლამის მარტო დამირჩი კაფეში, შემხიდე გჭირდება, დასვენება, კვირაში შვიდ დღეს ვმუშაობთ, ეს უკვე აუცილებელი არაა, დამიჯერე, ვიცი, რასაც ვამბობ.

– ვალები?

– ძალე გავისტუმრებთ, ხომ გჯერა ჩემი?

– ჩემ თავზე უფრო.

– შემოგევლე – უთხრა ცოლს ბეგიმ. – კაფეში ვინმე ხომ არ დაგვემატებინა?

– ზედმეტი ხარჯია, ჯერ ფეხზე ვდგავარ, ვუმკლავდები, გოგონებიც მეხმარებიან...

– ვხედავ, იღლები.

– შენც იღლები, მაგრამ არ წუწუნებ... – ესმას ქმრის მზრუნველობა ესიამოვნა, მაგრამ არ უნდა, ბეგიმ შეატყოს. – ისედაც ჩემ გვერდით არ ხარ, მარტოს იშვიათად მტოვებ.

– რას ამბობ, ხშირად მთელი დღე ვიკარგები. თან მზარეული დიდი ენაწყლიანი კაცი არ ჩანს.

– თავისებური, მაგრამ სანდო და თავაზიანია. გემრიელ კერძებს ამზადებს, უქებენ მარჯვენას. ასეთი ახალგაზრდაა და ორი შვილიშვილი ჰყავს უფროსი ქალიშვილიდან.

– ხომ არ გავიწყდება, რომ შენი პირველი ქალიშვილი პირველკურსელია...

– ენა გააჩერე და მეორედ მაგი არც მიმანიშნო, თორემ ხმას არ გაგცემ, შევთანხმდით...

– რა ვთქვი ასეთი. – დაიბნა კაცი და გაჩუმდა.

ესმამ შეახსენა:

– კაფეზე მელაპარაკებოდი...

– ჰო,კაფეზე. – სათქმელს ძლივს მოუყარა თავი ბეგიმ. – მენიუს გამრავალფეროვნებას ვფიქრობ, ყავის ჩამოსასხმელი აპარატის შეძენას, ტკბილეულობის კუთხის მოწყობას.

– ეგ რაღაც ახალია.

– გვერდით იმდენი ქალი მუშაობს. ვფიქრობ, სიამოვნებით შემოვლენ ჩვენთან,ჩაის, ყავის, ნამცხვრის მისართმევად. თუ დასჭირდათ, დაკვეთასაც მივიღებთ. მინიმალური ფასებით ბევრს გავყიდით.

– ცდად ღირს.

– ჰო და ვცადოთ.

– საპარიკმახეროს გახსნის ვარიანტიც მიტრიალებს კიდევ თავში და ვფიქრობ,როგორ მოვიქცე.

– სილამაზის სალონი დავარქვათ,უფრო თანამედროვედ ჟღერს.

– კარგი, ბატონო...

– ადგილი?

– გოგია დამპირდა. მაღაზიას მაინც ვერაფერი გავუგე, დავხურე და ადგილს თუ რამეში გამოიყენებ,მეც მახეირე პატარა და შენაც სიკეთე ნახეო, შემომითვალა.

– მერე?

– ამ ეტაპზე თავს შევიკავებ ზედმეტი რისკიდან.

– რატომ?

– რომ ვიანგარიშე, შემოსავალი ხარჯს ვერ ფარავს და უკმაყოფილობის სათავე გახდება. ფართი გააქირაოს სჯობია, რომ შემხვდება, ამას ვურჩევ გოგიას...

– საყვარელი,მაგრამ რაღაცნაირი უფხო ბიჭია გოგია, კიდევ კარგი, ცოლი შეხვდა მარჯვე და ყოჩაღი.

– ყველას კი არ უმართლებს მასე...

– რაო? – აიფოფრა ესმა და ქმარს გადახედა. – შენ რომ გაგიმართლა, ისე ვის გაუმართლა, არ დამიმალო, ახლავე მითხარი, რაზე ხარ გულნაკლული?

გახალისებული ბეგი პასუხს შეგნებულად უგვიანებს.

– სამი შვილი გაჩუქე, მთელი ჩემი ახალგაზრდობა, ახლაც გვერდით გიდგავარ

და სულ იმას ვფიქრობ, რა ვასიამოვნო ოჯახს და გამოკვეთილად, შენ როგორ გაგახარო...

– მერე რამე მოიფიქრე, თუ მინიშნება გჭირდება? – შემპარავი ხმით ეუბნება კაცი და გვერდით მწოლიარე ქალისკენ ბრუნდება..

– დაიძინე და ხვალისთვის ძალები მოიკრიბე. – ყურთან ალერსიანად ჩასჩურჩულებს ესმა და ინაბება.

ბეგი ორი თითით ცხვირზე მორიდებით მოუჭერს ცოლს. იცის,ამ დროს სულის მოსათქმელად,ქალი მოკუმულ პირს ადრე თუ გვიან გააღებს, რასაც ყოველთვის მღელვარებით ელოდება. რამდენიმე წამიც და... სიბრაზე დამშვენებული ვარდისფერი ტუჩები მისია. ორივესთვის ნაცნობი და გაშინაურებული სიტუაციაა, ხოლო კაცის ეს ქმედება მრავალჯერ გამოცდილი, საიმედო და უტყუარი, დღემდე გაწბილებული რომ არ დაუტოვებია,ისეთი.

ესმა მორჩილად შესცქერის ქმარს და ამოსუნთქვას არ ჩქარობს. გაძლება ჯერ კიდევ შეუძლია, მერე კი...

ოდნავ შეღებულ ფანჯრიდან ივლისის თბილი ღამე ჩაბნელებულ ოთახში ჭორიკანა დედაკაცივით დაუკითხავად იჭყიტება და წყვილის სასიყვარულო პრელუდიის უნებური თვითმხილველი ხდება.

თეატლსახლისი
გიული მურადაშვილი

ძველი და ახალი შემოქმედების ტენდენციები შოთა რუსთაველის შემოქმედებაში

7 თებერვალი, 2024 წელი.

„ზოგადად რომანტიულ ნაკადს მეტ-ნაკლები ზომა-წონით ყველა დროის ყველა მწერალთან შეხვდებით“...

(დავით წერედიანი, „ჩანაწერები“)

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ უმდიდრეს საუნჯეს შეიცავს; იმას ვგულისხმობ, რომ „დიდებული ღვთის დიდებას“ – აღვლენილს სახესიმბოლოების და ალეგორიების მეშვეობით, პეტრე იბერმა „სახის მეტყველება უწოდა V საუკუნეში; სახისმეტყველების ტრადიციამ ჰპოვა გარდასახვა რუსთაველის შემოქმედებაში – მითების პოეზიის, ფილოსოფიის, საღვთისმეტყველო ღირსებით.

გამოკვლევამ („რუსთაველი და ანტონ პირველი“; ზვიად გამსახურდია, „წერილები, ესსეები“; თბილისი, 1991 წ. 56-63), შოთა რუსთაველის პოეტური სამყაროს შეფასებიდან გამომდინარე, ახსენა საღვთო წერილის ანტონისეული განმარტებანი; ცხადჰყო, რომ შოთა რუსთაველის მეგობრობისადმი აღვლენილ ჰიმნში „შერთვა ზესთ მწყობთა მწყობისა“, – იყო გრიგოლ ღვთისმეტყველის თქმული:

„რადგან თავია სიცრუვე ყოვლისა უბედობისა,
მით ვისწავლებით მოგვეცეს „შერთვა ზესთ
მწყობთა მწყობისა“

(შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ. 1991, გვ.43).

ხსენებულ გამოკვლევას რუსთაველის პოეზიის სიღრმე, მისი მრავალმხრივობაც აქვს მხედველობაში (გვ. 48), გვსურს ჩვენს მხრივაც იმის ხსენება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს შუა-საუკუნეთა შემოქმედების სახასიათო ფერისცალებას; ჰპოვა გარდასახვა – ღვთის დიდება, ღვთაებრივი სამყაროს ქება, საუკუნეთა ღირსების მაღალპოეტური სივრცე – რომანტიულს ესადაგება.

ამასთანავე, გერონტი ქიქოძის ქმნილების საფუძველზე („ეტიუდები“; თბილისი, 1958, გვ. 30-31), რამაც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ცნო რომანტიულ პოემად უშუალო, პირდაპირი შეფასების ფორმით – გვსურს ჩვენი მხრივაც ვახსენოთ XVIII საუკუნეში ჩამოყალიბებული, თავდაპირველი რომანტიულის ზოგადი არსი.

ლიტერატურულ-ფილოსოფიურ მანიფესტებში ჩამოყალიბებული აზრი იმაზე, რომ „მრავალფეროვან სამყაროს ცნებითი ზედროულის გარეშე ვერ ავხსნით“ (ფრიდრიხ შლეგელი, „მითოლოგიაზე თქმული“, წიგნში „Литературные манифесты западно европейских романтиков“, Москва, 1980 г. стр.383), და ის, რომ „შემოქმედებას სულის სიღრმეს შეფარული სიყვარული ასაზრდოებს“ – ესადაგება რუსთაველის პოეზიას – „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, „წაგიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი ვით აქებენ“? („ვეფხისტყაოსანი“, გვ.143).

XVIII საუკუნეში ჩამოყალიბებულის საფუძველზე შევაფასეთ, – აქვს გამართლება, რადგან რომანტიული არ ცნობს დრო და სივრცით შეზღუდულს; რაინდთა პოეზიად მიაჩნდა, მაგრამ დე სტალმა ისიც აღნიშნა, რომ რომანტიული – არის ძველზე უძველესი და ახალზე ბევრად თანამედროვე“.

გვმართებს იმის თქმაც, რომ დასავლეთ ევროპელმა რომანტიკოსებმა ძველი და ახალი არსის გამოკვლევების გარდა, – XVIII საუკუნეს შესძინეს ნოველები, ზღაპრები, პიესები; არსით გაჯერებული ფილოსოფიის, თქმულებების, აღმოსავლური რენესანსის შორსმჭვრეტელობა დაიცვა თავის მხრივაც რუსთაველმა შუა საუკუნეთა თავისუფლების საფუძველზე; პლატონის ხსენებისას („ანდერძი რუსთაველისა“) იგულისხმება სიბრძნე. ამასობაში თქმული „იგი ჭაბუკნი ვნახენ, შუქითა მზისცა მეტითა“ – იმას გულისხმობს, რომ სიძველენი ქრისტიანული თვალსაწიერით არის ნაცადი; მაღალმხატვრული წყობით ჩამოყალიბებული არის გმირობის, სილამაზის, მშვენიერის სათავე; ამ გაგებით არ არის განყენებული იდეათა ანაბარი; პაექრობს ერთმანეთთან ძველი და ახალი დრო და სივრცე, აგვირგვინებდა გმირი ყველა ეპოქის სიტყვათა საუნჯეს „მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღვთისა“. მაძლევს იმის თქმის უფლებას, – რომ პოეზიის ტალღად ქცეულმა რუსთაველის ქმნილებამ საუკუნეთა საუნჯე დააგვირგვინა; მას ფილოსოფოსთა ცოდნა, მათი ზემხედი გონება ესადაგება, ეხმიანება რუსთაველი თავის მხრივაც იმდაგვარად, რაც მისებრი არავის ხელეწიფება – მის მიერ თქმული:

„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან
სწავლა-თქმულსა;
სიცრუვე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე
სულსა“.

„ვის ხატად ღმერთისად[1] გიტყვიან,
ფილოსოფოსნი წინანი,
შენ მიშველე რა ტყვედქმნილსა“ – ავლენს ქრისტიანულ თვალსაწიერის და ფილოსოფოსთა ცოდნისადმი მოკრძალებას.

* * *

იმძლავრა, სახასიათო ფერისცვალების ნიჭით, ქართველმა რომანტიკოსებმა – გრიგოლ ორბელიანმა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ნიკოლოზ ბარათაშვილმა XVIII საუკუნეს შესძინეს სახასიათო, მრავალმხრივი; ამასთანავე, სიძველენი ამაღლებული ხედვით ასახეს.

---

1. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“; წასვლა ავთადილისა ტარიელის შეყრად მეორედა, გვ. 150; თბილისი 1990 წ. ხსენებული სტროფი არის უცვლელად 1966 წლის საიუბილეო გამოცემაში; გვ. 160.

შთაბეჭდილება

მიუყვებოდნენ ფოთლების ნაშალით აჭრელებულ ქუჩას... ქალ-ვაჟმა ერთმანეთს შთაბეჭდილება გაუზიარა:

— ნაწრთობი ნიჭი ხელოვნებისა;

— ფერწერამ რუსთაველის პოეზია წარმოადგინა, — სიმრუდე წუთისოფლისა, გმირი, ტრფობის ჰარმონია.

თქმული დროდადრო ქუჩის ხმაურში უჩინარდება, ტრიალებს შემოდგომის სუსხი, ოხშივარი. წვიმა მიდამოს აკამკამებს, ამასობაში თავისი გააქვს იმასაც, რაც ფერწერამ შეძლო, თუმცა ვერ ამოწურა.

წყევილს აღმართ-დაღმართით მიაცილებს შთაბეჭდილება: — იდუმალია, ხან გამჭვირვალე წყობა სახეთა, მოქნილი მოძრაობის შთაბეჭდილება, სვლა დრო და სივრცის წიაღში; აწმყოს და წარსულის მარადიული შეხვედრა-განშორება; მათში მოარსე ზედროული;

— ფერწერის ავტორია რუსუდან ფეტვიაშვილი.

...მძლავრობს ბინდი, წვიმაში თავისებური ხიბლი აქვს შემოდგომის პალიტრას — მზის სხივებს თავი მოუყრიათ წითელ-ყვითელ გეორგინებში.

13 მარტი, 2024 წელი

• • •

ნინო ბოკუჩავა

ქართული წარმოდგენა მოცარტის თეატრში

პრაღაში, მოცარტის ოპერის თეატრში, ორმოქმედებიან ოპერას „დონ ჯოვანს“ დავესწარი. მეგობრებიც მახლდნენ თან: უკრაინელი მუსიკოსი მამაკაცი და მისი ულამაზესი მეუღლე.

სახლიდან ადრე გამოვედით და ვინაიდან, წარმოდგენა საღამოს იმართებოდა, ჯერ ქალაქში გასეირნება გადავწყვიტეთ. ამიტომაც ტანზე ძალიან უბრალოდ ჩავიცვი (არასაპეროდ) — ცისფერი ჯინსის შარვალი და სადა, ვარდისფერი, ტანზე მომდგარი მაისური. მაისური წინ, გულთან ორიგინალურად იყო ამოჭრილი, თან, თეთრი, პაწაწინა ზომის მაქმანი დაჰყვებოდა შიგნითა მხრიდან.

ბევრი ვიმსჯელეთ, ოპერამდე დრო სად გაგვეტარებია და ფუნიკულიორზე ასვლა გადავწყვიტეთ. საოცარი სილამაზე დაგვიხვდა იქ; ყველაზე მეტად, მაინც, ყვავილების სიუხვემ მომაჯადოვა. დავდიოდი, ვტკბებოდი მათი სილამაზით და სურნელით,თავი სამოთხეში წარმოვიდგინე და ამ ნეტარებაში დრო გაგვეპარა; თეატრის დროა, ჩვენ კი სახლში მისვლას და შესაფერისად ჩაცმას ვეღარ ვასწრებდით.

სხვა გზა არ გვქონდა, როგორც ვიყავით მოკაზმული, ისე შევაბიჯეთ ევროპის ამ, ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ თეატრში. ფოიეში დიდხანს ყოფნამ აღარ მოგვიწია, ვინაიდან წარმოდგენა მალევე იწყებოდა, მაგრამ ხალხის შეთვალიერება მაინც მოვასწარი: ფილმებში თუ მინახავს, ასეთი ჩაცმულობით, დამსწრე საზოგადოება. ბრილიანტების ბრჭყვიალება ყველა კუთხე-კუნჭულს ანათებდა... ჩვენ, თავჩახრილებმა, მორცხვად მოვიკითხეთ ჩვენი ლოჟა (თქვენ წარმოიდგინეთ) და, როგორც იქნა, ადგილზე მოვთავსდით. მალე, კიდევ ერთი, ჩვენი მასპინძელი, ჩეხი მეგობარი შემოგვიერთდა და ასე თუ ისე — დავლაგდით...

წარმოდგენის დაწყებამდე სულ რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი. მე თვალებს აქეთ-იქეთ ვაცეცებდი და ვაგრძელებდი ხალხზე დაკვირვებას. უცებ, ჩვენ გვერდით, ლოჟის კარი გაიღო და მასში ორი მოტლანდიელი მამაკაცი შემოვიდა. როგორ გამოვიცანი მათი წარმომავლობა?! — ისინი თავიანთ ნაციონალურ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი: ორივეს, ტანზე ახალთახალი ქილტი ემოსა, მკერდზე დიდი ბროშით; სქელი ქამრის დიდ ბალთაზე პატარა, ტყავის ჩანთები ეკიდათ, როგორც ადრე, ყველა მათ წინაპარს (ყოველთვის მაინტერესებდა, რას ინახავდნენ მასში). გავოცდი, მეტიც, მოვიხიბლე...

მათ შემყურეს საოცარი სურვილი დამეუფლა, მეც მომინდა, ჩემი, ქართული კაბა მცმოდა: ხარაბრეშუმის ქსოვილისგან შეკერილი, ოქრომკერდით ნაქარგი გულისპირით და სარტყლით წელზე. თავზე, კოხტად მორგებული ჩიხტიკოპი, ლეჩაქზე, ძვირფასი თვლებით შემკული ქინძისთავებით მექნებოდა დამაგრებული. ო, რას გავიხარებდი! თავმომწონედ გადავხედავდი მეზობელ ლოჟაში მჯდომ ევროპელ მეგობრებს და ჩემი ჩაცმულობით ვამცნობდი მათ ჩემი ერის სიდიადეს და სილამაზეს. ვუამბობდი, რომ ჩვენს ხალხებს ბევრი რამ გვაქვს საერთო და საამაყოც, ამავ დროს...

ჩემში, ამ ოცნებამ უეცრად გაიელვა, მერე, ისევ რეალობაში დავბრუნდი — ჯინსის შარვლით და ვარდისფერი, ტანზე მომდგარი მაისურით და იცით, რა მოხდა შემდეგ?! (ძნელი დასაჯერებელია) — შოტლანდიელებმა სიყვარულით სავსე თვალებით შეათვალიერეს ჩემი ჩაცმულობა, ორივემ გამიღიმა და მეგობრული სალამი გამომიგზავნეს.მეც გავუღიმე მათ. მეტად დიდი და ფასეული იყო მათი თანადგომა და ამ ფორმით,ჩემი,თითქოსდა,გამხნევება. „ტყუილად არ ვიოცნებე, ისინი ყველაფერს მიმიხვდნენ“ — გავიფიქრე და ისევ ჩემს მეგობრებს მივუბრუნდი. ვგრძნობდი, უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი... მერე, ნელა-ნელა შუქი ჩაქრა, ორკესტრმა, ძაღალ ხმაზე მუსიკის ჰანგები ააჟღერა, ფარდა ასწიეს და წარმოდგენა დაიწყო. მაგრამ ჩემი,წუთიერი, საოცარი წარმოდგენა ამ თეატრში,საუკეთესო იყო იმ საღამოს.

საბა ძვათაძე

Agni parthene

ჰოი, ყოვლადწმიდაო ქალწულო, სახიერისა ძისა სახიერო დედაო, სამეუფოისა ქალაქისა და წმიდისა ამის ტაძრისა მფარველო და ყოველთა ცოდვილთა მწუხარებათა, განსაცდელთა და სნეულებათა შინა მყოფთა უეჭველო წინამბრძოლო და ხელისაღმ-პყრბელო! მიითვალე სავედრებელი გალობაი ესე ჩვენ უღირსთა მონათა შენთაგან.. გვიხსენ ჩვენ ბოროტებისგან, ამინ.

— ციებ-ცხელება აქვს, მამა პაის, სულ კანკალებს, ფერიწამხდარი, გარედან ისეთი ცხელია ქვას კი არა ქვის გულსაც გაალღობს. სტკივა, მამა პაის, გესმით? სტკივა, იძახის დედა... მცივაო, არადა ხურს, შიშის სიახლოვე ასე ჯერ არ მიგრძვნია, თითქოს შიში ცოცხალია... აი, წინ დგას, შეხედეთ, კართან დგას, ნუთუ ვერ ხედავთ, მამა პაის, გთხოვთ, თქვენ მაინც თქვით, რომ ხედავთ!

პაისმა გახუნებული შავი კაბიდან ნაცარი ჩამოიბერტყა, დაღლილი, გალეული მოხუცი ფეხზეც ძლივს ადგა. ეპილეფსია უჩუქებია მისთვის შემო-ქმედს, შემოტევებიც ჰქონდა, მასაც კარგად ეს-მოდა სიცივისა და სიცხის ჰარმონია, რამდენჯერ გამოუცდია თავის თავზე ამ ვერაგი სენის შემოტევა, აპოკალიფსის ოთხი ცხენივით რომ დათარეშობს სხეულში. რად გაუმეტებია უფალს საკუთარი წრფელი მსახურისთვის ასეთი სენი?

მართალია, შეუცნობელია გზანი უფლისანი და ისიც მართალია, ყოველმან თვისი წილი ჯვარი უნდა ატარისო. ღმერთიც, თავის მხრივ, არავის მის-ცემს ისეთ ჯვარს, ვინც მის ზიდვას ვერ შეძლებს. ვინ იცის, რამდენი ტკივილი გამოუცდია პაისს ათონის მონასტრის ციმბირესებრ კედლებში. მით უმეტეს, ზამთარში, აქ ხომ შიგ ძვალ-რბილშიაც ატანს, ვინ იცის რამდენი ტკივილი.. და მაინც, ამ ჩია მოხუცმა, ქრისტეს მეომარმა, უკვე სიცოცხ-ლეშიდაც პირნათლად მოიხადა თავისი ვალი. მიუახლოვდა მართა-მარიას, უცქერდა და თვალები თითქოს ცრემლით კი არა ანკარა წყაროს წყლით ევსებოდა მოხუცს, ასეთი სუფთა და სპეტაკი იყო მისი ღია, სულ ღია ნაცრისფერ თვალებში დამ-დგარი გუბე. თავისი ფაფუკი თითები შუბლზე დაადო მომაკვდავს.

დადუმდა პაისი, თითქოს ის თვალებიდან მომ-დინარე წყალი პირში ჩაიგუბაო, კარგა დროით იდგა ასე, ჩუმად. შემდეგ მართა-მარიას დედისკენ გადადგა თავისი გამხმარი ფეხებით რამდენიმე მოკლე ნაბიჯი და ქალი ჩაიხუტა. საწყალ დედა-კაცს ძვლები გაუთბაო.. ასე ამბობდნენ ამ ამბის გამოხდის მერე დამსწრე ბერმონაზვნები. ყველა სულმოუთქმელად ელოდა პაისის სიტყვას, თითქოს მხოლოდ სიტყვაღა ყოფილიყო საჭირო სასწაულის ცხადყოფისთვის.

— ჩვენ ვიცით, რომ აღსარების საიდუმლოს გამჟღავნება დაუშვებელია, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. გუშინ მართა-მარია გვიან გვესტუმრა, მთელი ძალით აბრახუნებდა, ლა-მის სისხლში მოთხვარა თავისი ნაზად შეკრული მუშტები. მეც შემცბარმა გავაღე კარი. ამბობდა რაღაც მეზმანაო, რაღაც, რაც მხოლოდ თქვენ უნდა იცოდეთ და აღსარებად მიიღეთო. მაგრამ ასე მგონია, თვით ღრმა ერთიც არ მაპატიებს ამის გაუცხადებლობას.

ჰოდა, როგორღა წარვდგე მე უვიცი სამსჯავროს წინაშე. ერთია, ცოდვაში ვდგამ ფეხს, ცოდვაში, რა-საც ღვთის შეწევნით და ჩემი ადამიანური ვითომდა ძალებით მთელი ცხოვრებაა ვებრძვი, ვაშიშვლებ აღსარებას, მე... მე უგუნური.. მეორე სინდისია, თითქოს მრისხანე მთავარ ანგელოზი მიქაელი თავისი წმინდა ცეცხლაკიდებული მახვილით კიდევ უფრო მიხურებს შუბლის ძარღვს და მეც.. მეც ჩემებრ ვაპირებ გიამბოთ, რაც გოგონამ ჩემსავე ყურებს უსაჩუქრა.

ყველა სმენად იქცა, ბერმონაზონთა გულის ფეთქვა იფიქრებდი ათუქთუქებულ ძრავის ხმას დაემსგავსაო, საფეთქლებზე ოფლიც აღარ ეტეოდათ დამსწრეებს.

ასე მეხდაცემულნი, გაშეშებული თვალებით უცქერდნენ მოხუცს, სული ელეოდათ. თითქოს, თავად დროსაც დაავიწყდა თვისი არსებობა და ელოდებოდა — ეგებ დრო მალე გავიდეს და ბერმა მომხდარი გვიამბოსო..

— კარი გავაღე... მართა-მარიამ, მითხრა...

— დამლოცე, მამაო! უფალმა თუ არა ეგებ თქვენ მაინც შემიწყალოთ

— დამშვიდდი, ჩემო შვილო, დამშვიდდი, რა მოხდა, ღვთის გულისთვის, დამშვიდდი და ისე მიამბე

— ზმანება იყო ან ცხადი, უფრო კი ცხადი მგო-ნია, რომ იყო. არა, უეჭველად ცხადი იყო, მე ვნახე.. ვნახე.. გველი ვნახე, მამა პაის, ოღონდ ის კი არა ათონზე თითქმის ყოველ მეორეს რომ შეუმჩნევია, არა, ჭეშმარიტად არა, ღმერთს ვფიცავ, ეგ არ ყო-ფილა, მაგრამ ნეტავ კი ყოფილიყო.

— მჯერა, მართა, მჯერა. დაე, უფალმა უმალ მომკლას თუ არ მჯეროდეს. მაგრამ, თუ ეგ არა, მაშ რაღა იყო? რაღა იხილეს შენმა თვალებმა?

— ეგ... ეგ... პირველყოფილი იყო. პირველყოფილი ქვეწარმავალი, პირველშობილი ბოროტება, სახ-ლისკენ მივდიოდი, დედასთან რძე მიმქონდა, როცა წყაროსთან, ძველი, დამწვარი ბაღის მახლობლად

აღმართულ ვაშლის ხესთან, უცნაური ჩრდილი დავლანდე, ყოველი ხატის წინ მუხლმოდრეკილი შევფიცავ, რომ მსგავსი სიშავე ჯერ არაოდეს მინახავს. ცნობისმოყვარეობამ მძლია, ნელ-ნელა მივუახლოვდი ხეს, ანაზდეულად აიზვირთა შემზარავი, ცაში მიმართულ ვაშლის ხის უკანასკნელ ტოტს სწვდებოდა, მზეც კი გადაფარა თავისი სისქით, თითქოს მზე გაშავდაო. შავი მზე ვნახე, თვალები რომ გაახილა, მისმა მზერამ სული გამიჭრა, მამაო, გესმით?

— სული! თვალების მაგივრად, თითქოს ცეცხლი უელავდა. მათსავე ალმოდებულ ორკაპა ენას ასისინებდა, ზევიდან დამყურებდა ერთხანს, ასე გაქვავებული ვიდექი მის წინაშე, იმის თქმა კი არა ფიქრიც ვერ გავბედე.. ვერ შევძელი მეფიქრა: „იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი". შემდეგ განერიდა ხეს, დაბლა დაეშვა, როცა მიწაზე განერთხა, თითქოს მიწამ კვნესა დაიწყო და ამაოდ ითხოვდა შველას. მომიახლოვდა... რას არ გავცემდი, ნეტავ, გონება მაინც დამკარგვოდა... მხოლოდ მაშინ ვიყავი ისეთ საღ ბუნებაზე და ისეთი ფხიზელი, როგორიც ჩემ ცხოვრებაში ერთხელაც კი არა ვყოფილვარ. ჩემამდეც მოვიდა, გამიტოლდა და... და

— მაშ, გეშინია ჩემი? — რად თრთი ჩემ წინაშე, მე ვიცი შენი სახელი.

უხსენებელი მართა-მარიას გარს უვლიდა, როცა ლაპარაკს, უფრო სწორი იქნება, როცა ამ შემზარავ სისინს იწყებდა, მართას ყურთან მიდიოდა ახლოს, გოგონა გარინდებული იდგა, ისეთი თეთრი იყო შუა იანვრის ფიფქიც კი შურით შეხედავდა, რაღა შეეძლო? მხოლოდ გაფითრებულ სახეზე, ლამის ბუდიდან ამოვარდნილი წინ წამოწეული ტერორითა და შიშით გამძღარი თვალებით ადევნებდა ამ ვეშაპის სიგრძის ბოროტების პირმშოს მოძრაობას თვალყურს.

— მე ვიცი შენი სახელი. თავად კი ის ვარ, ადამიანო, ვინც შენივე ბრალით ედემის ბაღიდან განდევნეს. სადღაა სიცოცხლის ხესთან მისასვლელი, აღმოსავლეთით ქერუბიმნი და ცეცხლოვანი, მბრუნავი მახვილი მცველად უბოძებია ბაღისთვის. მე ის ვარ, ვისზეც დედაშენის, ევას საქები ერთგულების გამო ღვთისადმი, სამარადჟამო წყევლა უჩუქნია ყოველთა პირუტყვს შორის, ყოველთა გარეულ ცხოველს შორის, ჩემთვის, მამას ჩემსას. განდევნილი ხარ, მუცელზე იფორთხე და მტვერი შთანთქე მთელი ცხოვრებაო, სწორედ ამ სიტყვების მოსმენის შემდგომ დავტოვე ედემი. მერედა რისთვის, რისთვის, ადამიანო. ჩემი გარეგნობა შინაგანად გერგო, თავის მხრივ, შენი შინაგნობა ჩემი გარე სახეა. მაშ, საზარელი და მახინჯი ვარ, არა? — კვლავ შემომხედე, მაშ, მე ვარ საზარელი და მანკიერი. ხედავ, რა ხარ, ადამიანო? მე ვარ შენი სარკის ანარაკლზე წმინდა ანარეკლი. თურმე გარყვნილებით გახარებული უნდა ვძრწოდე დედამიწის ზურგზე და ვთესდე ბოროტებას. ეს ყოფილა ჩემი ხვედრი, ხვედრი უსასრულო.

იცი, რას მეძახდნენ ოდეს? — ცისკრის ვარსკვლავს, მაინც რა მშვენიერი ვიყავი, მწყაზარი ვარსკვლავთ ვარსკვლავი.. რა შემრჩა? დაფლეთილი, დამწვარი, განაცრებული ფრთები. უწინ ჩემი ბუმბულის თითო ღერს შურითა და ღვარძლით მისჩერებოდნენ არქანგელოზნი. ახლა ხორკლიანი, ცვალებადი კანი მერგო. ამ კანითვე ვფორთხავ და ნაფლეთნი ჩემნი მიწას ახშობენ, ყოველ სიმწვანეს კლავენ. გგონია, ვხარობ, ადამიანო? — არა, შენ ცდები.. ცდები მარადის. მაშ, მე ვარ მეფისტოფელი"! ვის ულოცნია ჩემთვის? განა კი მე არ მჭირდებოდა ლოცვა", განა არ მჭირდებოდა შენზე მეტად? ახლა კი უხსენებელსაც მეძახით, სახელიც აღარ გემეტებათ... ისმინე, ადამიანო, მოურიდებლად რომ თხოვ მამას დღეგრძელობა და მხნეობა არ მოგაკლოს, ურცხვად, რომ თხოვ ძმას ჩემსას, მრისხანე მიქაელს, რომ აღგვას მტერნი შენი პირისაგან მიწისა და მგლის დანახვაზე შიშნაჭამი დამფრთხალი ცხვრების ფარასავით გადამალოს. ურცხვადვე დგახარ უფლის სახლში და იქიდან წამოსული, თითქოს გრძელი გზა გქონოდეს სახლამდის შენ 7 გულითად მეგობარს ნახავ. გულწრფელ სალამს მიუძღვნი ამპარტავნებას, ხელს ჩამოართმევ ანგარებას, თბილ მოკითხვას შეუთვლი სიძვას. ხელს ჩაკიდებ მრისხანებას. ლოყებს დაუკოცნი ნაყროვანებას. ღვინოს შესვამ, ადღეგრძელებ შურს. მხრებს გაშლი, ხელებს მოჰხვევ, მთელი ძალდატანებით გულში ჩაიხუტებ სასოწარკვეთილებას.

რად თხოვ უფალს განგარიდოს მტერნი შენნი, 7 მტერი გყავს, ადამიანო, ამ 7 ძმას მიიჩნევ მტრად. ებრძვი „მთელი შენი ხანმოკლე ცხოვრება, ლამის მახვილმოღერებული ებრძვი სიმდაბლეს, მოწყალებას, უმანკოებას, სიმშვიდეს, მარხულობას, სიყვარულსა და სასოებას. ოდეს გატყდება, კარიბჭის კლიტული იქედან ადამი და ევა გამოვლენ. აე აიხსნას! აიხსნას ოთხი ბეჭედი. მოდი, მოდი და იხილე. ოდეს მხედარი თეთრ ცხენზე მოგიტანს კატაკლიზმებს შეხლა-შემოხლას კაცთა შორის, აჰა! მორბის

მხედარი წითურ ცხენზე მახვილით ხელში. დაე, გაიგე მხეცის ხმა იგი მოგიტანს ძალადობას, სისხლის ღვრას და იქნება მსაჯული უფლის სახელით. ხედავ, ადამიანო? ხედავ, ვინ დაძრწის შავ ცხენზე, აჰა! იგი მოგიტანს შიმშილს, ნაწლავებს დასჭამ ძმას შენსას და, აი, მხედარი ფერწასულ ცხენზე... მხედარი,

რომელსა სიკვდილი ჰქვია, სწორედაც იგი, რომელიც გახეთქავს კლიტეს ქვესკნელისას. მოდი, მოდი და იხილე. დაე, აგიხდეს მისნობა საღვთო წერილის.

სწორედ ამ დროს მე განვაცხადებ... რაც ედემის ბაღს არ დამცალდა, განვაცხადებ, რომ დედამ შენმან, რომელსა ვაჭამე ნაყოფი ხისა, კეთილისა და ბოროტის შეცნობისა, მართლაც, რომ შეიცნო კეთილისა და ბოროტის გარჩევა.

შეიცნო და იცის ადამმაც, რა არის სიკეთე და — ბოროტება. შეიცნო, ადამიანო და მიხვდა საზრისს, მაგრამ დახე დღეს შენს გავერანებულ კაცობრიო-

ბას. ბოროტი იციან და მაინც ბოროტს სჩადიან. მე მივალ მამასა ჩემსა და ვკითხავ მას. გარჩევა ისწავლეს და მაინც მანკიერნი არიან. გარჩევა ისწავლეს და კაენი აბელს კლავს, გარჩევა ისწავლეს და მაინც ნაცრად ქცეული სოდომ-გომორი ისე აღადგინეს როგორც ერთხანს ბაბილონის გოდოლი ყოფილა ცას მიწვდენილი. გარჩევა ისწავლეს და კვლავ გგმობენ შენ. ვკითხავ! რომ არ სცოდნოდათ, სადამდე წავიდოდა შენი სრულქმნილი ქმნილება, მსგავსად სახისა შენისა. ადამიანი იცნობს და სჩადის, რომ ვერ ხვდებოდეს, მაშინ გენახათ ,რაღასლა იზამდა.

თხრობაც დასრულდა. უსმენდნენ ბერმონაზვნები, უსმენდნენ ზარდაცემულნი...

აი, აქვე, ტირის დედაკაციც, მუხლმოდრეკილი. ანაზდეულად, ბერიკაცი თრთოლვამ აიტანა, გახსოვთ რა უჩუქნია მისთვის შემოქმედს? ზნემ მოუარა პაისს, ეპილეფსიას კვლავ მამის კალთას მოშორებული ბავშვივით მოუნდა მისი ჩახუტება. მუხლი მოეკეცა. გაწვა ღვთის სახლის გაყინულ იატაკზე. აზრაელს უფიქრია ეგებ სცივაო და თბილი საბურველიც კი გადააფარა მომაკვდავს. გარდვიდა ვალმოხდილი მოხუცი, იძინებდა და, იძინებდა სამარადჟამოდ. მაშინ, როცა იღვიძებდა მართა-მარია.

— გვიხსენ ჩვენ ბოროტებისგან!

— გვიხსენ ჩვენ ბოროტებისგან!

— გვიხსენ ჩვენ ბოროტებისგან!

ამინ.

კეხურა

— გაიგე, ბიჭო, სკოლაში ვაშლებს რომ არიგებენ?

— გავიგე, აბა, არ გავიგე? დღეს მოაქვთ თან.

— მაგარია რა. აუ, ნეტა მეოთხე გაკვეთილის მერე დაგვირიგონ.

— მეოთხე რა გვაქვს?

— სპორტი, ბიჭო, სპორტი.

— აუ, აბაა! რაჭაში ზაფხულობით სტო-პიატს რომ ვთამაშობ ხოლმე, მერე სულ ვჭამ. ბებიაჩემს ვპარავ. მეჩხუბება მერე მურაბისთვის მინდაო, მარა მაგარი გემრიელია და რა ვქნა, ხი-ხი!

— ე, მაიცა. ის დათიკო არაა?

— კი დათიკოა, ამას რა ვეშლი ეყოფა ნახე რამხელაა.

— დათიკო!

— დათიკო!

— ნახე რა...

— აბა, ახლა უყურე. ბომბორ!

— ნახე, ბიჭო, გამოიხედა.

ახითხიდნენ ბავშვები დათიკოზე. არა, ისე მართლაც კეხურა ვაშლივით ჰქონდა წითელ-მოვარდისფრო ლოყები.თვითონ მწვანეთვალება ბავშვი იყო, ციცინათელებივით უციმციმებდა. ის კია, რომ ბოლო პერიოდი ციცინათელას ვერას მოკრავდა ხოლმე კაცი თვალს, მაგრამ თუ ვინმეს ძალიანაც მოენატრებოდა, დათიკოს ხილვა გადაატანინებდა მაგ ჭირსა და ვარამს.

მკლავებიც კარგა-გვარიანად ჰქონდა ჩანაკეცებული დათიკოს. ტუჩებიც ძლივსღა უჩანდა.

ასე შემოგვანგვალდა მეხუთე კლასის ქუშ საკლასო ოთახში. აი, იმ საკლასო ოთახში, მარტო შესვენებებზე რომ შეფერადდებოდა ხოლმე 5-10 წუთით, დანარჩენი 45 წუთი კი ისევ უღალატოდ იძენდა რუხ ფერს. უფრო სწორედ, ჯერ მისი ბურთივით მუცელი შემოდიოდა ხოლმე და მერე დათიკოც მოსდევდა ფეხდაფეხ.

— ბიჭო, დათიკო, შენ გეყოფა ვაშლები?

— მომიტეხე რა ლობიანი.

— აუ! ვინაა ეს, ვაა. სულ როგორ მეუბნები, მომიტეხეო.

— შენ ლობიანზე გეუბნება და მე პიცაზე! აბა პიცა როგორ მოვუტეხო. თითებზე მეზილება მერე კეტჩუპი და მაიონეზი.

— მომიტეხე რა..

არაფრის დიდებით არ მოუტეხეს დათიკოს ლობიანი. შეუწყლიანდა ის ციმციმა თვალები. ჰოდა, მისმა ფუმფულა მუცელმაც თბილი ლობიანის მაგივრად, ლაზათიანი სევდა იგემა. მაგრამ ისე მოხდა, რომ მუცელიცა და თავად ჩვენი ბომბორაც კაკო მასწავლებლის სიის მკაცრმა ამოკითხვამ შემოაბრუნა დედამიწაზე.

— ჭეიშვილი.. დავით!

— ვარ!

გავიდა რუხი 45 წუთიც. ვიღას ახსოვდა შესვენება. მოჟამული სახეებით ისხდნენ ვაშლების მომლოდინე ბავშვები. გაიძურწა კაკო მასწავლებელი და ორიოდე წუთში შემობრუნდა ისევ, უკან, თეთრი ცელოფნით.

— თუ დავალებას შემისრულებთ და გამოიცნობთ რა მაქვს ცელოფანში... ვეღარ გაიგო რას უნდა შეპირებოდა კაკო ბავშვებს, ჰოდა, ისევ იგივე გაიმეორა.

— თუ დავალებას შემისრულებთ და გამოიცნობთ რა მაქვს ცელოფანში...

— ვაშლ... ვაშლები? — ხმადაბლა წაიბლუკუნა დათიკომ.

— ჭეიშვილი! მასე რო მიხსნიდე ამოცანებს, ხო გეყოლებოდა ვაშლივით ნიშნები! დასცხეს ხარხარი.. იცინოდა თექვსმეტი ბავშვი, იცინოდა კაკო მასწავლებელიც, მაგრამ დათიკოს არ გასცინებია. კაკომაც აღარ დააყოვნა და ჩამოარიგა.

— ჰე, წადით ახლა სპორტზე, მერხების ქვეშ შეინახეთ ეგ ვაშლები, არ წავლენ არსად, ამოხვალთ და შეჭამთ მერე.

გავიდა ფერადი 45 წუთი. დაბრუნდა 16 ბავშვი, დახვდათ დათიკო საკლასო ოთახში, მაგრამ ამ 16-დან 3 ბავშვს ნამდვილად აღარ დახვდა 3 ვაშლი. ატყდა ამბავი, ატყდა მაგრამ რა ატყდა. ვინ ვის ეჩხუბებოდა, რატო ეჩხუბებოდა, თავიდან ვერც კაკომ გაიგო და ვერც მამა ზეციერმა.

მთავრდებოდა დღე, თუმცა ვიღას ახსოვდა სახლი. ამ ჩოჩქოლში მივარდა ეს სამი ბავშვი ზურგჩანთა მოკიდებულ დათიკოს. გაადინა ზღართანი იატაკზე, იგორავა მტვერში და ბრდღვნასაც აღარ დაუტევდნენ ამ ჩვენ ბომბორას, კაკო მასწავლებელი რომ არ გამოცხადებოდა მესიასავით.

— რა ამბავია აქ! — შესძახა და გაისუსა თექვსმეტივე. მხოლოდ დათიკოს სლუკუნიღა ისმოდა აქა-იქ.

— მუხლი გიტკენია, ნუღა ტირიხარ, კაცი არა ხარ? ნახე მე ამათ რა ვუქნა, კარგი, შვილო, შენ გახარებას. ნუღა ტირიხარ, ჰე... მოდი, ახლა, მოდი... წამოდექი.

წამოდგომა იყო და მტვერთან ნაალერსალი, შეხსნილი ზურგჩანთიდან გამოჩნდა ორიოდე ვაშლი. მივარდა ერთი გატლეკილი ბავშვი ამ ვაშლებს და...

— აგე, კაკო მას, აგე კაკო მას! ხო ვამბობდი დათიკომ მოიპარა-მეთქი, ხო ვამბობდი!

ატყდა ჭყიპინი, აყვა ერთი, მერე ორი, მერე სამი, ოთხი, ხუთი და მივიდნენ თექვსმეტამდე. ყვიროდნენ: ჭეიშვილმა მოიპარა, ჭეიშვილმა მოიპარაო.

— არ გრცხვენია, შვილო? კი მარა, რას გაჭმევენ ამდენს სახლში გეკითხები, არა, გეკითხები, რას გაჭმევენ სახლში ამდენს?

ბომბორა მთლად აზლუქუნდა. იწმენდდა ამ თავისი ბუთქუნა ხელებით თვალებს, იწმენდდა... მაგრამ ვერა და ვერა აკავებდა კამკამა წყაროს, თრიალით რომ მოსდიოდა ციცინათელებიდან.

— ვსიო. კარგი ახლა შვილო, რა იყო, მორჩა.. ვსიო. შიოდა და აიღო, რა მოხდა მერე! თქვენ არ მოგშიებიათ? აწი რომ მოგშივდება დათიკო, თხოვე, შვილო... თხოვე და მოგცემენ.

— ვთხ... ვთხ... ვთხოვე მე... ლობ... ლობიანი და არ... არ მომიტ... მომიტეხეს.. მე...

— კარგი, შვილო, ლობიანის მერე ვაშლი ვის გაუგია, მაგიტო არ მოგიტეხეს, თორე მოგიტეხავდნენ, აბა რას იზამდნენ. ხომ მოუტეხავდით?

— კი, კაკო მას.

ეს „კი კაკო მას“ საკლასო ოთახში ზუსტად 16-ჯერ გამეორდა.

— ხმა და კრინტი ახლა! შერიგდით, თორემ მშობელთა კრებას მოვიწვევ, აბა! როგორ გინდათ! მოვიწვევ მშობელთა კრებას.

შერიგდნენ. დაიბრუნეს თავისი ვაშლები. დასცინცლეს თავისი კუთვნილი ვაშლი დათიკოსაც, ვერ დაინახა კაკო მასწავლებელმა, თორემ ნეტავი გენახათ რა დღესაც დააწევდა.

მორჩა სკოლა. წავიდნენ ბავშვები სახლში. წავიდა კაკო მასწავლებელიც.

ჩვენი დათიკოც თავდახრილი მიჰყვა მათ რიგებს. გზადაგზა ნატკივარ მუხლზე ისვამდა ბუთქუნა ხელებს. გაებერა კეხურა ლოყები. ნიკაპჩამოწეული მთლად ბურთს დაემსგავსა.

აღარ გამოჩენილა მომდევნო პარასკევამდე დათიკო. შემდეგ, ისევ ჩვეულად შემოგვანგვალდა, დარცხვენილი. სულ ბოლო და სულ მარტო. დაჯდა თავის ადგილას, კუთხეში. თვალები აღარ უციმციმებდა, გაჰყურებდა ფანჯრიდან ხედს და ეხუტებოდა გამათბობელს, ბარდნიდა.

ჩაეღიმა კაკო მასწავლებელს, როცა ვაშლებს არიგებენ მარტო მაშინ უშვებენ ამ ბავშვს სკოლაშიო.

და აჰა, ვაშლებიც დარიგდა მეოთხე გაკვეთილის ბოლოს საოცარი თეთრი ცელოფნიდან. 16 ბავშვი ჟრიამულით ჩავარდა სპორტის გაკვეთილზე. მხოლოდ დათიკო დარჩა თავის სკამზე და გაჰყურებდა ცივ სითეთრეს თბილი საკლასო ოთახიდან.

— დათიკო, შვილო.

— აღარ მოვიპარავ, კაკო მას... დედიკოს ვფიცავარ, თუ მოვიპარო...

— არა, დათიკო, არ გიბრაზდები.

— მართლა, კაკო მას?

— მართლა, დათიკო, მართლა.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოწვა. შეატყო რა კაკომ, ბავშვი ცოტა გუნებაზე მოვიდაო...

— რატომ არ დადიოდი, დათიკო, ნახე, რა ვუყო მე ამათ... ნახე, რა ვუყო! რატომ არ დადიოდი, შვილო.

— სოფელში ვიყავი, კაკო მას, დედიკოსთან.

— სოფელში?

— ჰო, მამას დავყავარ ხოლმე.

— იქ ცხოვრობს დედიკო?

— კი, კაკო მას, იქ ცხოვრობს. მაგიტო დავდივართ მე და მამა, მანქანით მივდივართ ხოლმე, კალთაში მისვამს და რული მე მიჭირავს.

— აი, ყოჩაღ შენ, დათიკო, როგორც მანქანას ატარებ, ისე უნდა ამომიხსნა ამოცანები, ჰო? ჰო ამომიხსნი მოცანებს.

— კი, კაკო მას.

— ისე.., დათიკო, რატო მოიპარე ის ვაშლები.. გშიოდა?

— არა, კაკო მას. არ მიყვარს მე ვაშლი, ვერ ვჭამ, მაგარია.

— აბა... აბა, რათ გინდოდა, დათიკო, 4 ცალი ვაშლი.

— დედიკოს უყვარს, კაკო მას. მამა მეუბნება, უყვარსო. ჰოდა, ხშირად დავდივართ სოფელში, ვაშლები რომ მივუტანოთ. დედიკოსთვის მინდოდა ვაშლები, კაკო მას. ბოდიში... მამას ეტყვით?

— არ ვეტყვი, დათიკო, გპირდები არ ვეტყვი. არა, შვილო, აბა, როგორ ვეტყვი... როგ... როგორ ვეტყვი. დამელოდე, დათიკო, მოვალ მალე.

ისევ გაიძურწა კაკო მასწავლებელი ოთახიდან, ზუსტად ისე, როგორც დათიკო გაიძურწა წინა პარასკევს. არავინ იცის, სად იყო წასული, ერთი ის ვიცით, სპორტის გაკვეთილის დასასრულს, საკლასო ოთახში დაბრუნებულმა ბავშვებმა მერხების ქვემოდან პაწია თითებით რომ გამოაცურეს 16-ივე ვაშლი, იმ საოცარ თეთრ ცელოფანში რომ ჩაყარეს და ისე მისცეს დათიკოს. 16 ვაშლი და ამდენივე ლობიანი. არა, არასწორად დავთვალე, დათიკოს თავის კუთვნილ ვაშლიანა 17 ცალი შეხვდა, წინა ჯერზე აწაპნილი ვაშლი კი, კაკო მასწავლებელმა თავისი ჯიბიდან დაუთმო, ესეც 18. ლობიანები კი კაკომ კაფეტერიიდან დაურიგა ბავშვებს და უთხრა, დათიკოს მიეცითო. თან სულ რბილ-რბილები ამოურჩევია, ბავშვი მაგარ საჭმელს ვერა ჭამსო...

გათბა თოვლი. დათიკოც გათბა, აღარა იყო გათოშილი. ჰოდა, ჩამქრალი თვალებიდან მალევე შემოანათა ამ ვითომ ძალიან მკაცრ მასწავლებელსაც,

გათბა კაკო. ნეტა გენახათ, როგორ უკვირდა, ამ შუა ზამთარში ციცინათელებს რა უნდაო. ერთი კია, მსუსხავად ბარდნიდა, მაგრამ სუსხი ვერაფრის დიდებით აკლებდა რაიმეს დედის საფლავზე მიმოფანტულ გამთბარ მიწას.

იმმორტალისი

უიმედო, მარტოსული, დაუდგრომელი
დავლსასლასებ და ზეცას ვებრძვი!
მომე მახვილი სპეტაკი კეთილმყოფელი,
აწ მე მარადის ვარ ვით მბორგავ ვეფხვი
და განმაშორეთ გვამს საბურველი...
მაშ მე ვარ, მე ვარ! შენ კი არ სცდები
მო, დამიძახე შავი ღრუბელი,
მე კვლავ აღვსდგები, მარად აღვსდგები!
გავყინავ ქარებს არა ქარაგმით,
ავზვირთავ ტალღებს მყისვე ღრიალით
დავსჭექ! მოგართმევ ნიშანს დადაღვით,
კლდეს მე ვახეთქებ ჩვილებს ფრიალით
რამდენი წყლული გადმომდებია
თქვენი ტანჯვებით ყოველღამ მართობთ
წარსულ ნატყვიარ არ მომრჩენია
სული ბობოქარ წარგწყმიდავთ მნათობთ
ჰა შეიგრძენი ჩემი გოდება
მოკლული გმირის სუნთქე ვარამი
ამ ტკივილთ ვფიცავ, მსწრაფლ არ მორჩება,
მიძახო თუნდაც მხეცი, ვარანი!
მალ მომაშორეთ ლეშს საბურველი
მე ვარ, მოკვდავო, შენ კვლავ არ სცდები!
მეხთამცემელი შავი ღრუბელი
კვლავაც აღსვდგები, მარად აღვსდგები!

გესმის, რაფაელ? ისმინე ჩემი! მაშ, მე დავბრუნდი! აქ იმისთვის ვარ, რაც მე მეკუთვნის. რაც მხოლოდ ჩემი ხელის მტევნების 10 ცალ გველს ერგო.

გესმის, რაფაელ? ისმინე ჩემი!

მეისრეებო! აღმართეთ დალოცვილი მშვილდები, ამ პათეთიკური, სასოწარკვეთილი, პირტიტველა არსებების მიმართ. მიეცით გეზი საბრძოლო სპილოებს. მხედარნო! იგრგვინეთ თქვენი ცხენებით, გაუმაძღარი მიწა სისხლით მოთხვარეთ, გახდით მსგავსნი ხელმარჯვე ცელ აღმართული ხელოვანი სიკვდილისა. გამართეთ კატაპულტები, დაე აიზვირთოს მათგან ცეცხლმოკიდებული ლოდები, როგორც მყეფარე ზღვის ტალღები მოურჩენელი შტორმისას. ანგრიეთ გალავანნი და გავიხარებთ! და თქვენ დაცემულთ, ზეციდან მწველი სინათლის სვეტი რომ დაეშვება, დაე ზმანებად არ მიიჩნიოთ, მუდამ გახსოვდეთ, რომ სიკვდილის ანგელოზნი მიწას დაეშვებიან, მკლავებს მოგხვევენ და ცად აგიტაცებენ.

და იმეორეთ მარადის! იმეორეთ ღრიალით! „მიუხედავად იმისა, რომ დავდივარ სიკვდილის ჩრდილის ხეობაში, ბოროტების არ მეშინია“, რადგან მე თავად ვარ ყველაზე ბოროტი პირმშო ამ დაწყევლილ ხეობაში! თქვა ბელიელმა და უმალ ასრულდა.

მხედარნი ველზე დაეშვნენ მოღერებული კამკამა მახვილებით უკუნ სიბნელეს ნათელს რომ გვრიდა. ბრძოლის ყიჟინით შეძრულ მიწას თავ-გზა აებნა. ჩიოდა, ამხელა ვარ და სად დავიმალოვო. დგაფუნით მტვერს ყრიდნენ გაწაფულ ცხენთა რკინის ჩლიქები. ცაში ელვარებდნენ მეისართა გატყორცნილი ისრები, რომლებიც კიდევ უფრო გაშლეგებულნი ხაოდნენ ტკივილით, რადგან ნავთსა და მწველ ცეცხლში იყვნენ გახვეულნი.

— დაე, მოვკვდე ბელიალისთვის!

— დაე, მოვკვდე ბელიალისთვის!

გამაყრუებლად გასძახოდნენ მეომრები — ბოროტების არ მეშინია, რადგან თავად ვარ ყველაზე ბოროტი პირმშო ამ დაწყევლილ ხეობაში!

დიდებულო მეფეო, რაფაელ, მზის მსგავსო პრინცო სიკეთისა, კეთილთმოქმედო, ხალხისთვის საყვარელო ძეო, რა გვეშველება ჩვენ უბედურთ, ურიცხვნი არიან, დასწყევლოს ღმერთმა! მოურჩენელნი როგორც ვარსკვლავნი ცის კამარაზე, რას გვეტყვი, რაფაელ, გვიხსენ.. გვიშველე...

ლუღლულებდა ხრინწიანი ხმით ცალფეხზედ თხა გამობმული მრჩეველი.

რაფაელი კი მშვიდი იყო, ისეთი მშვიდი, თითქო არც კი სუნთქავდაო. ოქროს ლომის სიმბოლო ერტყა ვერცხლის აბჯარზე. ოქროსფერი კულულები ყურს უკან გადაიყარა, მუხლზე ტორები დაიბჯინა და ფეხზე წამოდგა. თორის ჩაქუჩის სიმძიმის მუზარადი თავზე ჩამოიცვა. მამის დანატოვარი მახვილი ჩამოხსნა, მტვერი გადაწმინდა და წარწერას გულის ყურით დააკვირდა.

— იცი, რას ნიშნავს immortālis?

— უკვდავი.

დუმდა რაფაელი, დუმდა და ელოდა თავის ძმას, ბელიალს.

— ახსენით კარიბჭე, მომგვარეთ ჩემი ბუცეფალის სადარი კლიდესდალი. განკაცებულ ანგელოზს ჰგავდა რაფაელი, 2 მეტრის სიმაღლისა და 40 სანტიმეტრის კეთილი გოლიათი. ტორებს იფშვნეტდა, მაჯებს ახურებდა, აისხა ასკილოიანი მახვილი მამისა, რომელიც, თვით არქანგელოზი მიქაელის „სიკვდილის ცეცხლის“ მსგავსი გახლდათ. ისე ათამაშებდა ხელებში, როგორც დედა აიტაცებს ხოლმე უმანკო სიყვარულით თავის ერთადერთ ვაჟს.

— ეს თქვენი ბრძოლა არაა. ევედრებოდნენ რაფაელს პატივს, პატივს, რომ მასთან ერთად ამოეშვათ უკანასკნელი სუნთქვა, რათა პირნათლად მოეხადათ ვალი მეფის, საკუთარი თავისა და უფლის წინაშე. ყურიც არ ათხოვა რაფაელმა, სხივმფენარი ღიმილით გადახედა თავისსავე ხალხს და გაიმეორა.

— ეს თქვენი ბრძოლა არაა.

ნირწამხდარნი დამორჩილდნენ ბრძანებას, აიხსნა კარიბჭე. ელვაზე სწრაფად დაჰქროდა კლისდედალი, მარჯვენში ეპყრა რაფაელს იმმორტალისი, ბასრი წვერი უმოწყალოდ სუსხავდა ისედაც მთელი ღამის გავერანებულ მიწას.

ბელიალმა შესძახა მეომრებს — შესდექ! აღსრულდა ბრძანება და უმალ შეჩერდა თითოეული. ამ გასაცოდავებულმა, ფილტვებ დაფლეთილმა მიწამაც ძლივსღა ამოისუნთქა.

— ჩემო, საყვარელო, უგუნურო, ძმაო, მაშ, მარტო

მეახელი. უდრეკი რაფაელი – არა? მარტოდმარტო დგას ამ უთავ-ბოლო გველაშაპის წინაშე.

ვეფხვისებრ წვერზე კლანჭი ცინიზმით ჩამოისვა ბელიალმა. ცალ მხარეს შუაზე გაპობილი, ჩამოთლილი წარბი აზიდა. ცალყბა ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. რაზმს მედიდურად გადახედა,მიხვდნენ ძმას აქილიკებსო და მათაც უემოციო სიცილი ატეხეს.

– ხომ გაგიგია,რაფაელ,მკვდარი არ მოკვდებაო. მდორე სიცრუე, მე ორჯერ მერგება სიკვდილი. კამილა... მხოლოდ ის.. წყეულიმც ვიყო! მხოლოდ კამილა ჰყვარებია ჩემ დანახშირებულ გულს ამ დალახვრულ სამყაროში. მწველ უდაბნოში უწყლო კაცი მირაჟად ანკარა წყაროს ხედავს,მე მხოლოდ მას ვხედავდი. მის კუპრისებრ შავ ნაზსა და სქელ თმას, ნატიფ, ჩამოსხმულ თითებს,

ზურმუხტისფრად ელვარე თვალებს, წარბებს მსგავსად მერცხლის ფრთებისა,აფროდიტეს ტანსა და დადუღებულ ბადაგისებრ ტკბილ ტუჩებს. შენ,რაფაელ, შენ უყვარდი მას.

ჩემთვის არ ემეტებოდა სიყვარული. განგერიდეთ, ვიფიქრე ძმაა ჩემი, განდეგილ ვყავ ჩემი თავი. კამილა მოკვდა. აი,რა გავიგე,რაფაელ. არ მოუარეთ, არ მიხედეთ,დამიღუპეთ და დამღუპეთ. შენ იგემებ რისხვას ჩემსას, მრისხანე ბელიალისას, სხეულზე იგემებ ტკივილს სულში რაც განმიცდია,

იგრძენი ჩემი მახვილის გემო, უფროსო ძმაო, დაე, ძრწოდე ჩემ წინაშე!

რაფაელი დუმდა, შემდგომ დაეშვა ბედაურიდან. თავაწეული მიუახლოვდა ბელიალს, მუზარადი მოიხსნა. თვალებში უყურებდა ძმას და გრძნობდა, თითქოს კაცს კი არა,გამჭირვალე,უსულო კედელს მისჩერებიაო. ვეღარ ცნობდა, გული დაემდუღრა რაფაელს. ძმის მაგივრად, მხეცი რომ შეიცნო მასშში.

– კამილა არ მომკვდარა, ბელიალ, თავი მოიკლა. ზარდაცემულ ბელიალს ხმა ჩაუწყდა,იფიქრებდი როგორც იქნა ნაცემ-ნაგვემმა მიწამ შური იძია და ეს კაცი ქვეყნიერებას თავზარს რომ სცემდა ერთიანად ჩაყლაპაო. სულისშემძვრელი სიჩუმე სუფევდა ერთხანს, შემდეგ რაფაელმა განაგრძო.

– როცა მე, როგორც უფროს ვაჟს, ვალდებულება მხვდა წილად,ჩვენი მამისგან,რომ როგორც მომავალ მეფეს, უპირობოდ მასზე უნდა დამეწერა ჯვარი. ჩემი, შენი, სამეფოსა და ხალხის საკეთილდღეოდ, ქალის ერთ გამოხედვაშიც ვგრძნობდი გაშიშვლებულ სიძულვილს ჩემ მიმართ და საუკუნო სათნოებას ჩემი უმცროსი ძმისადმი. შედგა თუ არა ქორწილი, განსდექი და გადაიკარგე. აღიგვი პირისაგან მიწისა.

ვგრძნობდი თქვენს სიყვარულს, ბელიალ, ვგრძნობდი და ვხედავდი ცოცხლად.

ღირსებას ვფიცავ, თითიც აროდეს მიხლია მისთვის, ქალი წყეულია და შვილი არ უჩნდებაო, შენი აზრით, რად ამბობდა ყოველი. ამის გამო მან შემიყვარა, შემიყვარა მთელი გულით და ვუყვარდი როგორც არა როგორც ქმარი, არამედ ღვიძლი ძმა. და სიყვარული ჩვენ შორის მართალი იყო. მართალი ჩემი უმცროსი ძმის, ბელიალის მიმართ. არ მეშინია სიკვდილის ბელიალ, წრფელი ვარ მის წინაშე. მაშ მკვდარი ორჯერ არ კვდება, არა? თუ გინდ ყოველდღე მოვკვდები, რადგან მართლად მიცხოვრია და მართლადვე წარსვდგები ჩვენივე დედის, სიკვდილის წინაშე. განშორებამ იმოქმედა კამილაზე.

ყოველდღე იზრდებობა და ცხელდებოდა მისი გრძნობა შენდამი. ვეღარ აუვიდა ქალი ვეება სიყვარულს. ტკბილსა და მწარეს, საბოლოოდ კი საკუთარი თავი ზღვას გადასცა ძღვნად. ვეძებდი მის სხეულს, ბელიალ, ვეძებდი და ვერ ვპოვე. ერთ რამეს მივხვდი, ვინც ეძიებს ყოველთვის ვერა ჰპოულობს.

ცხენიდან ჩამოდის ბელიალი.

ძმას ეხვევა.

სიჩუმე.

ოდესღაც გმირად წოდებული ბელიალი.

სიჩუმე.

ცალ თვალზე ცრემლმა ლოყა გასერა.

იღიმის გაშიშვლებული მახვილი.

იღიმის და ბელიალიც საკუთარი ხელებით თავისვე მუცელს ელამუნება.

აცრემლდა რაფაელი.

აცრემლდა ლაშქარი.

აცრემლდა ანგელოზი.

კვდება ბელიალი, კვდება.

აცრემლდა კამილა.

ჩურჩულებდა ოდესღაც გმირად წოდებული მომაკვდავი, ძლივსღა არჩევდა

მიწა მის ჩურჩულს:

და მომაშორეთ გვამს საბურველი

მაშ მე ვარ, მე ვარ! შენ კი არ სცდები

მო, დამიძახე თეთრი ღრუბელი

მე კვლავ აღვსდგები, მარად აღვსდგები!

აცრემლდა მიწა.

მიწამ აპატია.

პოეზია

ლინა ბარათაშვილი

ლილე

ველისციხეში, გაზაფხული ფოფინა მკერდზე
ძლივს იკრავს ღილებს...
რა სილამაზე გარგუნა ზენამ
გლეხის ქალს, ლილე!
ველისციხეში, მეფის მზერა
კუშტია და უსათუოესიც...
შენ, მისი ერთი ნახვით სიყვარულო!
როგორ სჭირდება ჭაბუკ მეფეს ახლა ნუგეში...
ლაშა-გიორგი, ნეტავ
შენი ბედია თუ უბედობა?
რას გეუბნება მშვენიერო,
ეგ გული ურჩი?
მეფის თვალებში,
სიყვარულის ცეცხლი გიზგიზებს...
ლილე, ამ თვალებს თუ გადაურჩი
მეფის რიდი აქვთ, მაგრამ
სოფლის გნიასობს ხალხი,
ვერ გავიგეთო ცხოვრების არსი,
არ გვჩვევიაო, ოდით ქართველებს,
ცოცხალ ქმარს, ვინმე
ცოლს რომ ართმევდეს...
იქ, სასახლეში, მეჯლისია დიდგვაროვანთა,
მეფის სიყვარულს რომ ებრძვიან, ფაფარაშლილი,
ვინ გაიგოო მეფის ტახტის ასე შერცხვენა,
გაგონილაო? მეფისა და გლეხი ქალის კავშირი?
ლილე, ბარბაცებ? თუ სასახლე შეიძრა წამით,
ფეხქვეშ სამყარო გამოგეცალა
და ამით მოგცა ნიშანი წასვლის!
მეფისთვის იყავ დედოფალი უგვირგვინოდაც,
სხვათათვის მაინც „ხარჭა“ იყავი,
ტახტის მემკვიდრის მშობელი დედა,
პირქუშ სასახლის იყავ ხიზანი...
ველისციხეში, გაზაფხული ფოფინა მკერდზე
კვლავ იკრავს ღილებს,
ეს მერამდენე საუკუნეა,
ლაშა-გიორგი, ველისციხეში
დაგეძებს, ლილე!

* * *

გულო ჩემო, გედივით
ერთხელ კიდევ მიმღერე,
თორემ ჩამსაფრებია
კართან, ანჩხლი სიბერე...
ყველა კართან მიდის და
თან ყველაზე რაინდობს...
აბა, მე რას დამტოვებს,
ანდა, რატომ დამინდობს?
მომაჩეჩებს თბილ შალს და
თან ფუმფულა ფაჩუჩებს,
მაგრამ ვიცი, მწველ ღიმილს,
აღარავინ მაჩუქებს...
ვეღარაფერს ვერ იტყვი,
ჯობია, რომ გაჩუმდე,
შეეგუო ნაოჭებს,
„სამახსოვრო“ საჩუქრებს...
გულო ჩემო, არ შეკრთე,
ქენი ერთი სიკეთე,
ჩასვლის არა,
მზის ამოსვლის დროინდელი
მიმღერე!..

პოეტი სამზარეულოში

ვუძღვნი ჩემს პოეტ მეგობრებს

წყალი დუღს და საოცრებავ,
ქვაბში ტივტივებს ლექსი...
ავფორიაქდი, იქნებ სწორედ ისაა –
„მთავარი“, ჯერჯერობით რომ ვერ ვთქვი...
რა დრო შემირჩია დალოცვილმა,
სამზარეულო და ლექსი?
სად არ მოგძებნის, სად არ გიპოვნის,
ლამის ჭკუაზე შეგშლის!
ქვაბში ჩამჩას ვურევ,
ვაგროვებ მოგონებებს
რაც სულის სარკეში ჩამრჩა,
სანამ სადილი გაკეთდება
ერთ სტრიქონს მაინც დავწერ,
ლექსი არ მასვენებს, რა ვქნა?
გაორებული ვარ,
აქეთ კოვზს ვიმარჯვებ,
ხანაც დავდივარ კალმით,
სადილის კეთებას არ მაცლის,
ისევ ლექსთან ვარ აზრით.
არ უნდა დააკლდეს სადილს გემოები,
ლექსს – მხატვრულობა, რიტმი,
კარგი ქალი ხარ და ორივე შესძელი,
გაწიე ასეთი რისკი!
სადილი მზადაა! ო, საოცრებავ,
ქვაბიდან ამოდის ლექსი,
ავფორიაქდი, იქნებ ესაა „მთავარი“,
რაც ჯერჯერობით ვერ ვთქვი!..

რა ვქნათ

აღარც ავთანდილი ჩანს და
აღარც თინა თინათინობს,
სულ ამაოდ, სულ ამაოდ
ვიღაც დავითობას ცდილობს...
რა ვარდებით,
სულ ვარდებით
სისხლით ვწერდით
ისტორიას!
თურმე სულ ამაო არის,
რაც აქამდე გვიბრძოლია.
ამაოდ გვიშენებია,
მცხეთა, ჯვარი, ფიტარეთი,
ენაზე მოძდგარ ავ სიტყვას
ვერ ჩარეცხავ მდინარეთი.
ღმერთო, გვიხსენ,
უმეცართა,
უსახურთა
ძოდის ურდო,
ქართველ ჯალ-ალ-ედინებად
შაჰებად და მურმან ყრუდო.
რა გიშველო საფიცარო?
გმირს ვეძებ და
ვინა ვიხობს...
აღარც ავთანდილი ჩანს და
აღარც თინა თინათინობს...

ნეტავი იმ ქალს

ნეტავი იმ ქალს, ვინც ოჯახში ფუსფუსით
ჯვრისწერის ბეჭედივით
დალეულა,
ერთი იყო და ოცი გახდა,
იკურთხოს მისმა ანეულმა.
კერაზე უცხვია და უკერია,
აკვნები წყვილად ურწევია,
სიცოცხლის საბელი გადაუბამს
თავის უკვდავება უწერია.
ცხოვრების კალო ულეწია,
კერაზე ცეცხლი აუნთია,
ოჯახის გულისთვის კურთხეულს
არდასათმობიც დაუთმია.
წუთისოფელს მისი ცხოვრება
ფერთა საღებავით უღებია,
არ ემღერებოდა, მაგრამ მაინც
სხვების გასაგონად უმღერია.
ასე იყო თუ ისე იყო,
ტკბილ-მწარეს აბა, რა დალევდა,
ნეტავი იმ ქალს, ვისაც არ ეძძიმა
ცოლ-ქმრული უღლის ტარება!

სხვისი ბამბა ჩხრიალებს...

ვუძღვნი ერისა და ქვეყნის ღირსეულ შვილებს, რომლებიც დიდბუნოვნების გამო ჩრდილში ყოფნას არჩევენ...

„ჩემი ოქრო ჩუმად არის,
სხვისი ბამბა ჩხრიალებს“
და მავანი ყელყელაობს,
ყალბი ტაში გრიალებს...
მორევია ყალბი ნაღდს ამ,
ქვეყნის ორომტრიალში,
მე ვერ გავცვლი ოქროს დუმილს,
ბამბის ყალბად ჩხრიალში...

სავარძლებზე რიგია...

სავარძლებზე რიგია...
ცოტას ახსოვს საქართველო –
ძოთა, დიდი ილია,
მავანთ დღეს სხვა ფიქრები აქვთ,
სავარძლებზე რიგია...
ძიძგილობენ, არ ვუჯერებ
თვალებს ფართოდ გახელილს,
სავარძლებში ეფლობიან
საქართველოს სახელით.
და მავანნი საქმიანად
მოდიან და მიდიან,
ღმერთო ჩემო, საქართველოს
სავარძლებზე ჰყიდიან.
ვა, ჩემო საფიცარო,
დაგიკარგავს მთავარი –
შვილთა შენთა სამსახური,
ერთგული და ალალი.
შენს სისხლიან ისტორიას
სინანულით გავყურებ
და ვიგონებ უანგარო,
უსავარძლო მსახურებს.
ბევრ თევდორეს, არაგველებს,
ცოტნეს, სულმნათ დიდგორელთ,
მათი მადლით დღემდე რომ ხარ,
რომ აგრძელებ სიცოცხლეს.
მითხარ, ჩემო საფიცარო,
რას გიქადის კვლავ გული,
გვეყოლება კიდევ ნაღდი
უსავარძლო მსახური?!

1991წ.

ორივე მე ვარ

წარწერა ჩემი ახალგაზრდობის ფოტოზე

პირველყოფილი სიწმინდის განცდა,
იის და ვარდის სურნელის მჩენი...
ვუცქერ ფოტოს და ასე მგონია,
ეს გოგო, ღვიძლი შვილია ჩემი...
სადაა კაბა, არც სამკაული,
მაგრამ ღიმილი სასწაულია,
ახალგაზრდობა, ქალისთვის მართლაც,
ყველაზე დიდი სამკაულია!
დღეს თვალს ვარიდებ სახის ნაოჭებს,
რომ დამიტოვა „სახსოვრად“ წლებმა,
მას აღარ ვგავარ, მაგრამ რას შევცვლი?
ის გოგო, მაინც, მაინც ხომ მე ვარ!
გაოცებული დავცქერი ფოტოს,
რა სასწაული მარგუნა ბედმა,
ამ ორ ფოტოზე, ორივე მე ვარ,
ორივე მე ვარ, შვილიც და დედაც.

* * *

მე შენს ფუძეზე
შემოდგმული,
სიყვარულით
სავსე სურა ვარ
და წვეთწვეთობით
გულზე გეღვრები.

მარიამ ხელაშვილი

* * *

ქაშუეთიდან ავყე კიბეებს,
მზეს მიელულა უკვე თვალები,
კიბეზე ლოთი და ბომჟი ერთად
ითვლიდნენ ხურდებს დანაწვალები,
სული სიცილში ერეკლებოდათ,
ვერ ავუარე ვერაფრით გვერდი
და, როგორც გულში ვაბევრებ დარდებს,
საერთო ჭიქას შევმატე ერთი.
მაღალს – არაყი, დაბალს – საჭმელი,
გადაქცეოდათ უკვე ლოცვებად,
ვიღაც ნაგავზე დატოვებს ძველებს,
სხვას კი უხდება ამით ოცნება.
მერე გამოვყე გზას ნაბიჯ-ნაბიჯ,
ბევრი ვიარე, ფიქრებით – უფრო
და დავინახე ხალხის წრის შიგნით
ფერმკრთალი იწვა ვიღაცა უცხო.
არ მიფიქრია, გავყევი უმალ,
დავდგი კლინიკის ეზოში ფეხი,
რომ მიიწურა საათი სამი
გავარდა სიტყვა, ვით ცაზე მეხი.
შეერთებოდა მარადისობას
უწინ ცოცხალი და უცხო ჩემთვის,
ტიროდა ყველა, სიტყვით თუ ცრემლით,
მაგრამ რას იზამთ, ნებაა ღმერთის.
გავშორდი ცოტა, მოვედი გონზე
და მანამ ფიქრებს ვკეტავდი სხვენში,
შევბრუნდი გვერდით, რომ გამეგონა,
რაღად მესმოდა ტირილი სხვების.
ეს აღარ იყო გლოვის გოდება
რომ გვაგონდება ტკივილის გამო,
მას სრულიად სხვა რამ ეწოდება,
იყო ტირილი, მაგრამ საამო.
ცრემლებს პატარაც აჰყვა სინქრონში,
გაოგნებულმა დავტოვე კარი,
უნდა მეტირა, უნდა მეცინა
მე კი ცოცხალი ვიყავ, თან მკვდარი.
სიტყვა გროვებად ვაგროვე ბოლოს,
მწერალი ვარ და კარგად ვიცი ეს,
რა პატარაა, ხედავ, ცხოვრება,
წიგნის გვერდებმაც რომ დაიტიეს.
ქაშუეთიდან ავყე კიბეებს,
ფურცლები ხელში ყოფნას იშლიდნენ,
ქარია, ლოთი და ბომჟი ერთად
მიყურებდნენ და თითქოს მიცდიდნენ.

* * *

ცუდად მყოფს ვერ მხედავ და, ხელებს მიშლი თან,
რა გჭირსო, მოდიხარ, საქციელს მიწუნებ,
სანაცვლოდ ლანგარზე სიყვარულს გიწვდი, შენ
უარობ, ავსებულს უკანვე მიბრუნებ.

ორპირად მიწუის ყურებში სიჩუმე,
თებერვალს სჩვევია, ძვირფასო, ქარები,
სიმართლედ ჩავთვალე ნათქვამი სიცრუე,
წერისგან დავღალე გამხდარი კალმები.

ცხოვრება უბერავს კვლავ ცივი ქარივით,
წაიღო ნაგროვი იმედი, ნუგეში,
გაათრევს ეს ღამე ფიქრებსაც ხარივით
სიმწრისგან დაღლილი შებმული ურემში.

ძვირფასო, დღეს სუნთქვებს სხვისი ხმა გითვლიდა,
სიმშვიდეს გაცლიდა კვლავ ჩემზე ფიქრები,
ჩემზე თქმულ სიტყვებსაც ნაგავზე ისვრიდა,
მაინც ვერ უარყოფ, რომ აღარ გჭირდები.

ფეხებმა ჩვენს გზებზე რამდენი იარა,
იმდენი რამდენიც სიტყვით არ ითქმის და
ვერ ხვდები, რომ ფიქრებს გრიგალი კი არა
მე შენთან ვერყოფნის ტკივილი მიშლიდა.

მიდიხარ, მიტოვებ გათოშილ ოცნებებს,
სიყვარულს გულიდან თოვლივით იფერთხავ,
იტოვებ იმედებს, მიპოვი ოდესმე
და ცრემლებს ზვავებად თვალიდან იხვეტავ.

დრო გავა უსიტყვოდ, იფიქრებ, არ მყავს სხვა
და, როგორც იცოდი, კვლავ შენად მიგულებ,
შემხვდები რწმენებით, რომ ისევ მიყვარხარ,
შეცდი-თქო-გეტყვი და ნაცნობად ვიცრუებ.

* * *

ალბათ ყველანი
ფერგამოცვლილ ვგავართ ამინდებს,
ჩუმი ქარები გვიშლიან დღეს
იისფერ კაბას,
გიშრისფერ თმებს და
მიტოვებულ დარდის ქარავანს,
ფეხზე კი მაინც
უკეთესის ლოდინით ვდგავართ.

* * *

ქარში მთლად დაშლილი
შენი ნაწნავები
რომ ვეღარ შეგიკრა დედამ,
მაშინ მიმხვდარხარ, რომ
თურმე გაიზარდე
და შემოგწოლია სევდაც.

* * *

ალუბლებს ფერი შეზრდიათ ვარდის,
ვიღებ შავ კაბას და კომპლიმენტებს,
რომ არ დავკარგოთ ავს ვხსნი ფიქრებს და
ალკოჰოლივით ვისხავ იმედებს.

ვეღარ მიმეტებს ცა დასანამად,
ვეღარც თვალები იმეტებს ლოყას,
ადამიანი რომ გაგიმეტებს,
ისე არავინ არასდროს ცოცხალს.

ვრჩები სცენაზე, ფერი შავია
მეუბნებიან, გშვენისო ასე,
მაგრამ დღეს სულ სხვა რამის ბრალია,
ეს დროებითი ფერები ტანზე.

შავის მშვენებით ვიმშვენებ ტანს და
ვხედავ, ალუბლებს ფერი აქვთ ვარდის,
სიმბოლურია, ძვირფასო, რადგან
მე დღეს სხეულში მოვკალი დარდი.

* * *

სისხამ დილას
ალიონზე გასულს,
შეუნიშნავს ფანჯრის
რაფას მტრედი,
ატყობინებს ზარი
ნანატრ მშობელს,
გილოცავთო, მალე
დედა ხდები.

* * *

ნისლისფერ მზერას შეხუნძვლია ლურჯი ზმანება,
შორს,ცის კიდესთან დაკიდული ვარსკვლავი მოჩანს,
მერე რა, თუ არვინ იყო სათქმელი მეთქვა, რომ
ჩემმა სულმა ვერ მოასწრო გამოზამთრება.
რომ ყოველღამე მალინისფერ სიზმრებს ვასუნთქებ
და ფეთქვა-ფეთქვით მაჯერებენ, ესაა აწმყო,
მე ერთი ვიცი, ისე ძლიერ უნდა გიყვარდეს,
რომ როგორც ქარის დაძახილზე ბაბუაწვერამ,
ის ერთადერთი, ნაჩუქარი სიცოცხლე დათმო.

* * *

აჰ, ეს საწუთრო სიკვდილმისჯილს
საით მიმაქცევს,
მე ვერსად ვპოვე თავი ჩემი
და ჩემი ღმერთი,
როგორც ზღვის ყურეს
გარიყული პატარა თევზი,
ფარფლებს ვიკეცავ
და ნაპირზე უსულოდ ვწვები.

* * *

ცაცხვების შრიალმა წაიღო ტყეები,
ნაავდრალ ნაზამთრევს დროება მიჰყვება,
დღეს წვიმის წვეთებზე მეტია ქოლგები
და ყველა სხვადასხვა ამბავზე მიყვება.

მე ვყვები ნაწვიმარ ქვაფენილს გზადაგზა
და წვიმის წვეთები ნაბიჯებს ჰყვებიან,
რა კარგი ყოფილა, რომ იცი, სადღაც, შორს
ყოველდღე მხოლოდ შენ გელიან, გელიან...

* * *

დღეს მე გავმხდარვარ ჭირისუფალი,
თუმც ვერ მივმხვდარვარ, რად ვტირი მარტო,
ცხოვრება გვცდის თუ მაღლა უფალი,
ვერ გამიგია და მაინც ვნატრობ,

ამ პანაშვიდზე ვინმე მოვიდეს,
ვინმე უცნობი, თუნდაც სულერთი,
გვერდით მომიჯდეს, თქმაც არ მომინდეს,
ეს დღე არ იყოს მისთვის სულერთი.

ირგვლივ ბევრია, მაგრამ ნუ ველი,
მაინც არავინ არ მეკარება,
რად ვერ ხვდებიან, ამდენს ვიცინი,
გაუთავებლად რომ მენატრება,

თუ მენანება, მართლა არ ვიცი...
რა მოხდებოდა, რომ დაგეცადა?!
ახლა თქვენ მოდით, მე დაღლილი ვარ,
დღეს იმედები გარდამეცვალა.

* * *

ნუ გაუხმები, იავ, ვარდებს, იყავით ერთად,
ცხოვრება თოფის სროლასავით ერთი წამია,
მე ნამიანი ყვავილებით მოვედი შენთან,
შენ უჩემობით ეგ თვალები დაგინამია.

კარგი ცოდნაა

ნინო არსენაშვილი

ქართული მჭევრმეტყველების მოკლე ისტორია და თანამედროვეობა

სანამ მჭევრმეტყველებაზე საუბარს შევუდგებოდე, მინდა აღვნიშნო, რომ მეტყველების წარმოშობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის წარმოშობასთან. ამ მხრივაც,რადგან პირველი ადამიანის ნაშთი (ჩონჩხის ნაწილები) საქართველოში, დმანისის მიდამოებშია აღმოჩენილი, მეტყველების წარმოშობის საწყის ადგილადაც შეგვიძლია, საქართველო მივიჩნიოთ.

ადამიანის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას ამ მოხსენებაში მე არ და ვერ შევეხები; ამას შესაბამისი დარგის სპეციალისტები, ანთროპოლოგები და ისტორიკოსები უკეთ გაართმევენ თავს. უბრალოდ აღვნიშნავ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემთვის მისაღებია ადამიანის წარმოშობის ბიბლიური ისტორია, რომლის მიხედვითაც ღმერთი თავიდანვე ქმნის ადამიანს მეტყველ არსებად, რომელიც თვითონ ღმერთთანვე საუბრობს; ღმერთმა მას თავისი სულის ნაწილი, გონიერი სული შთაბერა.

თუ ადამიანის წარმოშობას ბიბლიური თხობის მიხედვით განვიხილავთ, მაშინ მეტყველება ადამიანისა,როგორც ღვთის ქმნილებისა,ასე წარმოჩინდება. „თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ.... და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვისა და ხატად ღმრთისა შექმნა იგი“(დაბ. 1.26-27). „და მოიყვანა უფალმან ღმერთმან კაცი, რომელი შექმნა და დაადგინა იგი სამოთხესა მას საშვებელისასა საქმედ მისა და დაცვად“ (დაბ.2.15). ამავე დროს ღმერთი სთხოვს ადამს, რომ მის ქმნილებებს დაარქვას სახელები. სახელის დარქმევა რომ მეტყველებაა და ის აზროვნებას (გონიერებას) უკავშირდება,ცხადია. საგანს სახელი რაიმე ნიშნის მიხედვით უნდა დაერქვას. ანუ ადამიც, პირველი ადამიანი, ღმერთივით მოაზროვნე და მეტყველია.

ასევე მრავალგვარია ენათა წარმოშობის ისტორიაც. თუმცა იმ აზრზე, რომ თავდაპირველად ერთი საერთო ენა არსებობდა, თითქმის ყველა მეცნიერი თანხმდება.

ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 3500-მდე ენაა. ამ ენათაგან ერთ-ერთი უძველესი ენაა ქართული,რომელიც მეთაური ენაა ქართველურ ენათა ოჯახისა. ქართული ენა უმთავრესი სულიერი მონაპოვარია ქართველი ხალხისა. ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა და მას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. გავიხსენოთ, რას წერენ ქართული ენის შესახებ ქართველი თუ უცხოელი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი:

„ჩვენს ენას ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა,უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შეჰნატრიან“(ილია ჭავჭავაძე). „ქართული ენა არის განვითარებული, გაშლილი, კულტურული,მდიდარი როგორც ლექსიკონით,ისე გრამატიკული ფორმებით...(იაკობ გოგებაშვილი). „ქართველების კულტურულ საუნჯეში მოიპოვება ერთი ძვირფასი სპეკალი, რომელიც მარტო, თავისთავად, მეცნიერებაში ანიჭებს მას უპირველეს ადგილთაგანს. მე ვამბობ უდიდეს განძზე ქართველობის არსებისა – ქართულ ენაზე.

ქართულ ენაზე ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით... ქართული ენა თავისი შინაგანი თვისებებით ისეთია,რომ თამამად შეიძლება გვერდში ამოუდგეს მსოფლიოში დიდად გავრცელებულ ენებს“ (ნიკო მარი).

„ქართული საოცარი ენაა, იგი არც ერთ ევროპულ ენას არ ჩამოუვარდება“ (მარი ბროსე). „ქართული მშვენიერი ენაა, მოქნილი და ზუსტი, ორიგინალური აგებულებისა (რენე ლაფონი).

ასეთი გამოთქმების დამოწმება კიდევ მრავლად შეიძლება,მაგრამ ამჯერად მოყვანილი მაგალითები ვიკმაროთ.

როგორც მრავალი სხვა ენა, ქართული ენაც მნიშვნელოვანი იარაღია ადამიანთა ურთიერთობისა და, ამასთან, არის საშუალება აზრის გამოთქმისა. ადამიანთა ურთიერთობაში ძირითადად ზეპირი მეტყველება გამოიყენება ანუ გამოიყენება სასაუბრო ენა.

ქართულში გვაქვს ზეპირსიტყვიერების უძველესი და შესანიშნავი ნიმუშები. მაგ. „თქმულება ამირანზე“, ხალხური პოეზიის ნიმუშები და სხვ. თუ ზეპირი მეტყველების უმაღლესი ფორმა მჭევრი მეტყველებაა, წერილობითი ფორმა თავის სიმაღლეს ლიტერატურაში (განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურაში) აღწევს.

ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალა მოგვეპოვება ქართულ სასულიერო მწერლობაში,კერძოდ ჰაგიოგრაფიაში: იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებასა“ თუ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებაში“.

საინტერესოა საბერძნეთში, ათონის მთაზე, ივერთა მონასტერში მოღვაწე მღვდელ-მონაზვნის – გიორგი მცირის აღწერილი „ცხოვრებაი გიორგი მთაწმინდელისაი“ (მისი მასწავლებლის). ეს

ნაწარმოები მაშინდელი ქართული ორატორული ხელოვნების სრულ სურათს გვიხატავს. ორატორული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს თვითონ ავტორის მიერ გიორგი მთაწმინდელის დატირება, რომელიც სამგლოვიარო მჭევრმეტყველების შედევრია. გიორგი მცირე თავის ნაშრომში ხაზს უსვამს ზეპირი თუ წერითი მჭევრმეტყველების სოციალურ დანიშნულებას და აღნიშნავს, რომ წმინდანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის გადმოცემა შესაძლოა „წერილობითაც და უწერელადაც“. ზეპირიმჭევრმეტყველებისა და ლიტერატურის წერილობით ნიმუშებს შორის არის მსგავსებაც და არის განსხვავებაც. მსგავსებაში უმთავრესია ის,რომ ორივე იყენებს სიტყვაკაზმულ ფორმებს,ორივე გავლენას ახდენს მსმენელზე,მკითხველზე. თუმცა ზეპირი მეტყველება დროით შეზღუდულია. ის მიმდინარეობს მსმენელის პირისპირ. ასეთ შემთხვევაში ორატორს არ შეუძლია შეჩერდეს, უკან დაბრუნდეს და შეცვალოს ნათქვამი (ეს მის სიტყვას დამაჯერებლობას დაუკარგავს). ორატორი მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოს, რომელშიც წარმოთქვამს სიტყვას. მისთვის მნიშვნელოვანია აუდიტორიის რაგვარობაც. ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი კი დროში შეუზღუდავია. მას წინასწარ რაიმე კონკრეტული აუდიტორია, ან კონკრეტული ვითარება ნაკლებ ან საერთოდაც არ აინტერესებს. შეუძლია, მიუბრუნდეს ნაწერს, წაშალოს, შეცვალოს და ამით არანაირი ზიანი არ მიაყენოს მხატვრული ნაწარმოების ხარისხს. სამაგიეროდ, ზეპირი მეტყველებისას შესაძლოა გამოვიყენოთ დამატებითი, დამხმარე საშუალებები: ჟესტი, მიმიკა, ხმის ტონალობა, რასაც წერითი მეტყველებისას ვერ გადმოვცემთ აგრერიგად.

ვნახოთ, როგორ განმარტავს მჭევრმეტყველებას ამ საკითხის საუკეთესო მკვლევარი ნიკოლოზ კანდელაკი: „მჭევრმეტყველება არის ზეპირი მეტყველების უმაღლესი სახე,რომელსაც განსაზღვრავს კაზმული ფორმით გამოხატული ღირსშესანიშნავი შინაარსისგამომეტყველი წარმოთქმა მსმენელთა დასარწმუნებლად“ (ნიკოლოზ კანდელაკი,ქართული მჭევრმეტყველება, 1968 წ, გვ.15).

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ სინამდვილეში არ ყოფილა მკვლევარი, ვინც ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის შესწავლას მიუძღვნიდა თავის მეცნიერულ გამოკვლევებს და ბოლოს, წიგნადაც შეკრავდა მანამ, სანამ ეს არ გააკეთა ნიკოლოზ კანდელაკმა.

ნიკოლოზ ილიას ძე კანდელაკი დაიბადა სოფ. ბახვში (მაშინდელი მახარაძის, ახლა ოზურგეთის რაიონი), 1907 წლის 9 ივლისს. 1914 წელს იგი შედის სოფლის ორკლასიან სასწავლებელში, შემდეგ ამთავრებს ბათუმის ჰუმანიტარულ ტექნიკუმს და სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიური ფაკულტეტის სიბრძნისმეტყველების დარგზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წლების მანძილზე მუშაობდა პედაგოგად საქართველოს სხვადასხვა სასწავლებელში; პარალელურად მუშაობდა დისერტაციაზე „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების მეთოდიკა, რომელიც წარმატებით დაიცვა 1943 წელს. 1963 წელს მან უკვე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ამასთან, ნიკოლოზ კანდელაკი კითხულობდა საჯარო ლექციებს მთელ საქართველოში. გარდაიცვალა 1965 წელს.

ნიკოლოზ კანდელაკი თავდაპირველად თუ მხოლოდ პედაგოგიკის საკითხებით იყო დაინტერესებული, მალე მისი კვლევის საგანი გახდა ორატორული ხელოვნება,კერძოდ,პირველი ნაშრომი ამ მიმართულებით მიუძღვნა ქართული ორატორული ხელოვნების უბადლო ძეგლს – სოლომონ ლიონიძის სიტყვას, წარმოთქმულს ერეკლე მეორის დაკრძალვის დღეს. ამ ნაშრომს მოჰყვა სხვა, ფუნდამენტური მნიშვნელობის წიგნები: „ქართული მჭევრმეტყველება“, „ძეგლები და მასალები“(1957წ.), „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“(1961 წ.) და „ქართული საელჩო მჭევრმეტყველება“(1966 წ.).

როგორც ნიკოლოზ კანდელაკის „ქართული მჭევრმეტყველების“ შესავალ წერილშია მითითებული, მის ნაშრომებში ქართული მჭევრმეტყველების საისტორიო მასალები წარმოდგენილია შემდეგი ქრონოლოგიით: I-IV საუკუნეები და VI-X საუკუნეები. პირველი მონაკვეთი უცხო წყაროებითაა დამოწმებული, ხოლო მეორე დადასტურებულია მშობლიური წყაროებით. ზეპირი მეტყველების ისტორიის სათავეები და ადრინდელი განვითარების მასალები უმთავრესად დაცულია ბერძნულ-ლათინურ წყაროებში (მათი ავტორები არიან: სტრაბონი, კორნელი, ტაციტუსი, დიონ კასიოს ლიბანიოსი, თემისტიოსი, აგათია სქოლასტიკოსი, პროკოფი კესარიელი). მათ ნაშრომებშია დაცული ცნობები ქართული მჭევრმეტყველების პირველსაწყისებისა და ძველი დროის ქართველი ორატორების – ფარსმან პირველის, ბაკურის, გუბაზ მეფის, აიეტის, ფარტაზისა და სხვათა შესახებ.

„ნიკოლოზ კანდელაკის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენში ქართული მჭევრმეტყველების შემსწავლელი დისციპლინის დაფუძნება“, – წერს აკადემიკოსი შოთა ძიძიგური 1968 წელს გამოცემული ნიკოლოზ კანდელაკის წიგნის – „ქართული მჭევრმეტყველება“, წინასიტყვაობაში.

როგორც აღვნიშნეთ, უძველესი მასალები ქართული მჭევრმეტყველების შესახებ დაცულია უცხოურ წყაროებში. ქართული მწერლობა (საისტორიოც და მხატვრულიც მჭევრი მეტყველების ნიმუშებით კი არის გაჯერებული, მაგრამ მათ მეცნიერულ შესწავლაზე არაფერია ნათქვამი). მოგვიანებით, XVIII-XIX საუკუნეების მოღვაწის, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ გვხვდება ცნობა, რომ რიტორიკა იმდროინდელ საქართველოში შეისწავლებოდა ორ საღვთისმეტყველო-საფილოსოფოსო სკოლაში – 1755 წელს თბილისში, ხოლო 1782 წელს თელავში გახსნილ რუსულ-სლავური ტიპის სემინარიებში. სავარაუდოდ, ეს საგანიც რუსულ ენაზე ისწავლებოდა,რაც ქართულ მჭევრმეტყველებას დიდად ვერაფერს შესძენდა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მომზადდა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ფილოსოფოსის. სოლომონ დოდაშვილის „რიტო-

რიკა“ (დოდაშვილი, 1989 წ.), რომელიც ჩვენამდე მოღწეულ პირველ ორიგინალურ ქართულენოვან სახელმძღვანელოდ ითვლება.

ჩვენი ვარაუდით, ამ წიგნის შექმნაც სასწავლო მიზნებით უნდა ყოფილიყო განპირობებული, თუმცა, მისი, როგორც საბოლოო სახით გამართვა, ისე გამოქვეყნება ავტორს არ დასცალდა.

კითხვებზე: რა არის რიტორიკა? რიტორიკა ხელოვნებაა თუ მეცნიერება? სოლომონ დოდაშვილი ასეთ პასუხს სცემს: „წიგნი რიტორიკა არს ჰსწავლა და არა ხელოვნება, ვინაიდგან იგი იპყრობს თავის შორის თეორიასა ანუ კანონთა სისტემატიკებრ დაწყობითა. ხოლო ხელოვნებასა ქვეშე იგულისხმების მოყვანა რიტორიკასა შინა წარწერილთა კანონთა აღსრულებასა ანუ მოქმედებასა შინა. ესრეთითა ხატითა რიტორი განსხვავდება ორატორისგან“ (ს.დოდაშვილი, 1989 წ. გვ 181). ანუ დოდაშვილი რიტორიკის თეორიას მეცნიერებად მიიჩნევს, ხოლო რიტორიკის პრაქტიკას – ხელოვნებად, დაასკვნის ნათია კენჭიაშვილი თავის ნაშრომში „ქართული მჭევრმეტყველების ლინგვისტური ანალიზი: ტროპის სახეები (ნაშრომი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი. 2020 წ.).

პირველი სახელმძღვანელო მჭევრმეტყველებაში – „რიტორიკა“ შეიქმნა ძვ. წ.აღ. IV საუკუნეში. მისი ავტორია უდიდესი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, ესთეტი, ისტორიკოსი, ბუნებათმცოდნე და მეცნიერების მრავალ სფეროში მოღვაწე **არისტოტელე.** არისტოტელე დაიბადა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 384 წელს ქალაქ სტაგიროში, საიდანაც წარმოდგა მისი ზედწოდება (თიკუნი) სტაგირიტი. მამამისი ნიკომაქე მაკედონიის მეფის ამინტა მეორის კარის ექიმი იყო. მართალია, არისტოტელეს მამა ადრე გარდაეცვალა, მაგრამ მისგან მიღებულმა ცოდნამ მედიცინაში, ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში მოაზროვნის შემდგომ მოღვაწეობას დიდი კვალი დაამჩნია. არისტოტელე იყო პლატონის მოწაფე. 17 წლის არისტოტელე ათენში შეხვდა 60 წლის პლატონს და აკადემიაში ისმენდა მის საუბრებს. თაყვანს სცემდა თავის მასწავლებელს, მაგრამ ხშირად გამოთქვამდა პლატონის მოსაზრების საწინააღმდეგო მოსაზრებას. არისტოტელეს ბიოგრაფიული მონაცემების დაწვრილებით გადმოცემას აქ აღარ შევუდგები, უბრალოდ, აღვნიშნავ, რომ თუმცა მის მიერ ახალგაზრდობის წლებში შექმნილი მრავალი ნაშრომი დაკარგულად ითვლება, გვიანდელი ხანის თითქმის ყველა ნაშრომმა მოაღწია ჩვენს დრომდე. ეს ნაშრომები მრავალფეროვანია და თემატურად არის დაჯგუფებული. ამ ჯგუფებიდან ჩვენთვის საინტერესოა ხელოვნების, პოეზიისა და მჭევრმეტყველების შესახებ დაწერილი ნაშრომები: „პოეტიკა“ და „რიტორიკა“. უფრო კი ეს უკანასკნელი. აქვე აღვნიშნავ, რომ არისტოტელესთან ორატორი, რიტორი და მჭევრმეტყველი სინონიმებად აღიქმება ანუ რიტორიკა იგივე მჭევრმეტყველება ანუ ორატორული ხელოვნებაა.

არისტოტელეს აზრით, ყოველ სიტყვას, მათ შორის ორატორულს აქვს სამი ნაწილი: შესავალი, შინაარსი და დასკვნა. შესავლის დანიშნულებაა სიტყვის (ნაწარმოების) მიზნის ნათელყოფა, დასკვნა კი სიტყვას დასრულებულ ფორმას აძლევს. მნიშვნელოვანია ასევე სამი მხარე: ორატორი, ის, ვინც წარმოთქვამს სიტყვას, სიტყვის შინაარსი, რასაც წარმოთქვამს და აუდიტორია, ანუ ვისაც სიტყვით მიმართავს.

არისტოტელეს აზრით, რიტორიკული სიტყვის ფორმაც სამგვარია: სათათბირო, სამოსამართლო და ეპიდიქტიკური. პირველი მომავალს ეხება, ის რაიმეს კრძალავს, ან რაიმესკენ მოუწოდებს; მეორე ბრალს სდებს ან იცავს, ანუ იურიდიულია და წარსულს ეხება, ხოლო მესამე რაიმეს აქებს ან აძაგებს, ანუ აწმყოს განეკუთვნება.

წიგნის დასაწყისშივე არისტოტელე რიტორიკას ამსგავსებს დიალექტიკას. ტერმინი დიალექტიკა აქ განიხილება როგორც ფილოსოფია. ხოლო არისტოტელეს აზრით, რიტორიკა ანუ მჭევრმეტყველება იმიტომ ენათესავება ფილოსოფიას, რომ ორივეს ზოგადი ობიექტი აქვთ შესასწავლი.

არისტოტელეს აზრით, კარგი სტილის სიტყვა ან ნაწარმოები მიზანშეწონილი უნდა იყოს, ე.ი. საგნის შესაბამისი. გარდა ამისა, იგი პათეტური უნდა იყოს. სიტყვა კი „პათეტურია მაშინ, თუ შეურაცხყოფის გადმოცემისას მრისხნეა, უღმერთო და სამარცხვინო მოქმედების გადმოცემისას უკმაყოფილებისა და სიფრთხილის გამომხატველი, ხოტბის შესხმისას – სადღესასწაულო, ხოლო სიბრალულის გამოხატვისას – დაბალი სტილისა“ (1408ა).

„რიტორიკის“ მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს ეთიკის პრობლემებს, რადგან არისტოტელეს აზრით, სიტყვა მაშინაა დამაჯერებელი, თუ ორატორი ზნეობრივად სუფთა და ფაქიზი პიროვნებაა და ასეთად წარსდგება მსმენელის წინაშე. მით უმეტეს, რომ „ყოველი სიტყვის საბოლოო მიზანია წინასწარგანზრახული სიკეთე: სარგებლობა, მშვენიერება, სამართლიანობა 1366 ა). არისტოტელემ რიტორიკის საბოლოო მიზნად სიკეთე გამოაცხადა და ის მშვენიერებასთან გააიგივა: „მშვენიერია ის, რაც არის რა თავისთავად სასურველი, საქებიცაა. ანდა არის რა კეთილი, სასიამოვნოცაა. თუ მშვენიერება ეს არის, აუცილებელია, რომ სათნოება მშვენიერება იყოს“, – წერს იგი იქვე. ზოგ შემთხვევაში ავტორი სასარგებლოსა და მშვენიერს თითქმის აიგივებს, თუმცა შეპირისპირებისას უპირატესობას მშვენიერს ანიჭებს. „რიტორიკაში“ ორატორისთვის მნიშვნელოვანია აუდიტორიაც. კონკრეტულად, ორატორის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია მსმენელთა ფსიქიკის ცოდნა. ამიტომ არისტოტელე განიხილავს ადამიანთა ისეთ სულიერ თვისებებს, როგორიცაა: აპათია, სიმპათია, მორცხვობა, ურცხვობა, თანაგრძნობა, სიბრალული, სიმშვიდე, სიბრაზე და სხვა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, არისტოტელესთან რიტორიკული ხელოვნება მჭიდროდ არის დაკავშირებული მორალთან, ეთიკასთან, რაც საფუძველს აცლის იმ ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებას, რომელთა აზრითაც, „რიტორიკა“ მხოლოდ კამათის ხელოვნებას ეხება.

საქართველოში, დღევანდელ მდინარე რიონის

ნაპირას (ქალაქ ფოთის სიახლოვეს), ჩვენი წელთაღრიცხვის 274 წელს დაარსებულა ცნობილი კერა კულტურისა და სულიერებისა, **ფაზისის აკადემია,** რომელიც, როგორც ბერძნული წყაროებიდან ირკვევა, საქართველოს ფარგლებს გარეთაც იყო ცნობილი. ამ მხრივ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ბერძენი ფილოსოფოსისა და ორატორის, თემისტიოსის (IVს.) 27-ე სიტყვა, რომელიც მიმართულია ერთი პროვინციელი ახალგაზრდისადმი. ეს სიტყვა შეიცავს ცნობას კოლხეთის რიტორიკული სკოლის შესახებ. „ამ ცნობის მიხედვით, IV საუკუნის შუა წლებში, კოლხეთში, დღევანდელი ფოთის მახლობლად, არსებობდა რიტორიკული განათლების ცენტრი, რომელშიც ფილოსოფიასა და მჭერმეტყველებას სწავლობდნენ ჩვენში საგანგებოდ მოვლინებული ბერძენი ახალგაზრდები. ამ სკოლაში სწავლობდნენ, მაგალითად, ხსენებული დოკუმენტის ავტორი თემისტიოსი და მისი მამა, ევგენიოსი. ეს იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ სკოლა მესამე საუკუნეში დაარსებულა... რიტორიკული განათლების ეს ცენტრი მეცნიერებაში დღეს კოლხეთის აკადემიის სახელით არის ცნობილი“ (ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, გვ.29).

ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში არსებული ფაზისის იგივე კოლხეთის აკადემია მხოლოდ ფილოსოფიითა და რიტორიკით ვერ შემოიფარგლებოდა. ამ კულტურულ-სამეცნიერო ცენტრში აუცილებლად იქნებოდა შესწავლისა და კვლევის საგანი სხვა დისციპლინებიც, როგორიცაა, მაგალითად, ხელოვნება. გავიხსენოთ, რომ სოლომონ დოდაშვილი ორატორულ ხელოვნებას, პრაქტიკულად წარმოდგენილს, ხელოვნებას მიაკუთვნებს, ხოლო თეორიულ მოძღვრებას ამ ხელოვნების შესახებ – მეცნიერებას. ეს კი ნათელია, რომ ხელოვნება მხოლოდ რიტორიკით ვერც მაშინ, მესამე საუკუნეში, შემოიფარგლებოდა, რადგან მისი სხვა დარგებიც განვითარებული იყო. ასევე არისტოტელე თავის „რიტორიკაში“ აღნიშნავს, რომ რიტორიკა დიალექტიკას იმით ჰგავს, რომ ორივეს შესწავლის საგანი ზოგადიაო. რიტორი თავის გამოსვლაში შესაძლოა შეეხოს პოლიტიკურ, იურიდიულ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებს. ამდენად, ფაზისის აკადემიაში შეისწავლებოდა: პოლიტოლოგია, იურისპრუნდენცია, ხელოვნება, უცხო ენები, მსოფლიო კულტურის ისტორია და ა.შ. ამათგან ყველაზე მეტი ყურადღება ექცეოდა ორატორულ ხელოვნებას, იმავე რიტორიკას, რითაც ასე სახელგანთქმული ყოფილა ფაზისის ანუ კოლხეთის აკადემია. და იმდენად ყოფილა განთქმული, რომ დღეს თითქმის გაიგივებული გვაქვს კოლხეთის რიტორიკული სკოლა და ფაზისის აკადემია. იმედი მაქვს, მეცნიერული კვლევა მოგვცემს საშუალებას აქ განვითარებული სხვა დისციპლინების შესახებაც შევიტყოთ უფრო მეტი.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ქრისტიანობას სრულად არ უარუყვია მანამდე არსებული მიღწევები. პირიქით, ეს ყველაფერი ქრისტიანული ხელოვნებისა და კულტურის, ქრისტიანული მოძღვრების არეალში გადაიტანა. სამეცნიერო კულტურული ცენტრები ეკლესია-მონასტრებში გადავიდა. ამდენად, ფაზისის აკადემიამ ერთგვარად ამოწურა თავისი მისია და მისი კვალი გაუჩინარდა, თუმცა სრულად არ გამქრალა და 1974 წელს ქართველ მეცნიერთა ძალისხმევით იგი ისევ აღდგა.

ძველ საქართველოში ოდითგანვე ყურადღება ექცეოდა მოზარდი თაობის აღზრდას; მათ აღჭურვას ცოდნითაც და შესაბამისი ქცევებითაც. ქრისტიანულ საქართველოში აღზრდის ორი სახე არსებობდა: საერო-ფეოდალური და საეკლესიო-სამონასტრო. პირველი ტიპის აღზრდა გულისხმობდა საერო და სასულიერო საგნების შესწავლასთან ერთად სამხედრო ხელოვნების დაუფლებასაც. სავარაუდოდ, სასულიერო-სარწმუნოებრივი დისციპლინები შეისწავლებოდა უფრო ზოგადად. საერო-ფეოდალური აღზრდა ხორციელდებოდა ფეოდალის კარზე ძირითადად ამ ფეოდალის შვილებისთვის, თუმცა არ არის გამორიცხული, მათი მსახურების შვილებიც დასწრებოდნენ ამ გაკვეთილებს. საეკლესიო-სამონასტრო აღზრდა გულისხმობდა ბავშვების აღზრდას ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში. აქ ძირითადი ყურადღება სასულიერო საგნების შესწავლას ეთმობოდა. საეკლესიო-სამონასტრო აღზრდის მაგალითები აღწერილია ქართულ სასულიერო მწერლობაში, კერძოდ, ჰაგიოგრაფიაში. მაგალითისათვის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც“ შეიძლება გავიხსენოთ. ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში არაერთი გამოჩენილი ქართველი საერო მოღვაწე თუ სასულიერო პირი აღიზარდა. საერო-ფეოდალური თუ საეკლესიო-სამონასტრო აღზრდისას, ჩემი აზრით, აუცილებელი საგანი იქნებოდა მჭევრმეტყველება ანუ რიტორიკა. მაღალი ფენის წარმომადგენლებს (ფეოდალებს) მჭევრი მეტყველება სჭირდებოდათ როგორც საერო საქმეების წარსამართად, ასევე ბრძოლისას (ამ მხრივ საინტერესოა დავით აღმაშენებლის სიტყვა, წარმოთქმული ქართული ლაშქრის წინაშე დიდგორის ბრძოლის დაწყების წინ); ხოლო სასულიერო პირებისთვის მჭევრი მეტყველება აუცილებელი იყო საქადაგებლად როგორც ადგილზე ეკლესია-მონასტრებში, ისე მისიონერული მოღვაწეობისას. ორატორული ხელოვნების ცოდნა მეროჭიკე ბერებსაც სჭირდებოდათ, რათა მონასტრისთვის შემოწირულობა უფრო ხვავრიელად შეეგროვებინათ.

მჭევრმეტყველებას რომ დაეუფლოს ადამიანი, საჭიროა ჯერ ელემენტარულად გამართული მეტყველება შეისწავლოს. ჩვენ მიერ ხსენებულ სკოლებშიც ალბათ ელემენტარულით იწყებოდა ორატორული ხელოვნების საფუძვლების შესწავლა, ასაკის გათვალისწინებით. შემდგომ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლებში არ ჩანს, რომ ეს საგანი შეისწავლება. მოგვიანებით, საბჭოთა სკოლებში, სასკოლო-საგაკვეთილო პროგრამაში მეტყველების კულტურას დათმობილი ჰქონდა 5-10 წუთი ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე. ცალკე საგნად ისწავლებოდა თეატრალურ ინსტიტუტში,

სასულიერო სემინარიაში. დღევანდელი ვითარება კი ასეთია: შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ უნივერსიტეტში გაუქმდა მეტყველების კულტურის კათედრა და ეს საგანი სამსახიობო ხელოვნებასთან ერთად შეისწავლება. ვფიქრობ, თანამედროვე მსახიობების დიდი ნაწილი მოიკოჭლებს მეტყველებაში.

რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ინგლისური ენა ნიაღვარივით შემოიჭრა ქართველის ცნობიერებაში (უცხო ენებს: გერმანულს, ფრანგულს, ინგლისურს მანამდეც ვსწავლობდით), ქართული ენისადმი ყურადღება ნულის ნიშნულს მიუახლოვდა. ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი თავს იწონებს იმით, რომ ინგლისური იცის და ამახინჯებს მშობლიურ ქართულს. განსაკუთრებით შემზარავია ამ მხრივ ტელეარხების წამყვანთა მეტყველება (თუ შეიძლება ამას მეტყველება დავარქვათ), ე.წ. პოლიტიკური მოღვაწენიც ტოლს არ უდებენ მედიის წარმომადგენლებს, რის გამოც კარგ მოქართულეს უჭირს მათი მოსმენა (ან საერთოდაც აღარ უსმენს) ეს კი წარმოშობს უფსკრულს მედიასა და საზოგადოებას, საზოგადოებასა და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის. თუ საქმე დროულად არ გამოსწორდა, ამ უფსკრულის ამოვსება შეუძლებელი იქნება.

მე-20 საუკუნის მიწურულს, ერთი საზოგადოებრივი ფორმაციის მეორეთი შეცვლით გაჩნდა საშუალება საშუალო სკოლებთან ერთად ქვეყანაში გახსნილიყო კერძო სკოლებიც. ასე დაარსდა დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარი“ 1994 წლის სექტემბრიდან თბილისის სამგორის რაიონში. ამ სკოლის გახსნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა ჩემ მიერ შედგენილი პროგრამა მეტყველების კულტურაში. ამ პროგრამის მიხედვით, დაწყებით კლასებში მეტყველების კულტურის გაკვეთილები (კვირაში ორჯერ) ჩატარდებოდა ფაკულტატური მეცადინეობის სახით. შემიძლია ვთქვა, რომ პროგრამამ და ამ პროგრამის მიხედვით ჩატარებულმა გაკვეთილებმა გაამართლა. მალე ჩვენი სკოლა საუკეთესოდ ითვლებოდა არა მხოლოდ რაიონში, არამედ ლამის თბილისის მასშტაბითაც. ამან სტიმული მომცა, სწავლების რამდენიმე წლის შემდეგ, დაგროვილი გამოცდილებით, დამეწყო მუშაობა წიგნზე, რომელსაც „გაკვეთილები მეტყველების კულტურაში“ დავარქვი. წიგნის შესავალში მისი გამოცემის აუცილებლობა ასე ჩამოვაყალიბე: თანამედროვე განათლების სისტემაში უცხო ენების ცოდნის პრიორიტეტულობამ, ერთი მხრივ, დადებითი როლი შეასრულა მოზარდთა ცოდნის ამაღლებაში, მაგრამ მეორე მხრივ, პრობლემები შეუქმნა ქართული ენის სიწმინდის დაცვას, განსაკუთრებით, მართლმეტყველებას.

ამის მიზეზი, ჩემი აზრით, ის არის, რომ ბავშვებს ადრეული (ბაღის) ასაკიდან ასწავლიან უცხო ენებს. ერთი შეხედვით, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ თუ ბავშვს ჯერ მშობლიურ ენაზე მეტყველება უჭირს, უცხო ენა აქ თავსმოხვეული იქნება და სწავლის ნაცვლად დააბნევს ბავშვს. უცხო ენების შესწავლასთან ერთად საჭიროა ყურადღება მივაქციოთ და მეტი გულისყურით მოვეკიდოთ მშობლიურ ენას, მშობლიურ ენაზე გამართულად მეტყველებას.

სკოლებში სწავლებისას მიღწეული შედეგების ტესტური გამოკითხვით შეჯამება და საერთოდ, ტესტური გამოკითხვის უპირატესობაც განაპირობებს იმას, რომ ხშირად მოსწავლეებს უჭირთ გაბმული თხრობა, აზრის გამართულად და დამაჯერებლად ჩამოყალიბება.

ბავშვის ნორმალური განვითარებისას ასაკის შესაბამისად ვითარდება მისი მეტყველება. მეტყველების განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სმენას. ნორმალური სმენის მქონე ბავშვი სიცოცხლის პირველი დღიდანვე იწყებს გარშემო მყოფთა ხმის მოსმენას და მასზე რეაგირებას. პატარა პირველად იმ ადამიანთა და საგანთა სახელებს სწავლობს, რომელთა გარემოცვაშიც უხდება ყოფნა: დედა, მამა, ბებო, პაპა, სათამაშოები და სხვა. პირველად მისი მეტყველება დაუნაწევრებელია და ხშირად არასწორი: დადა, ბაბა... გარკვეული ბგერა ბავშვს შეუძლია გაიმეოროს დაუსრულებლად; შემდეგ თანდათან იხვეწება მისი მეტყველება იმისდა მიხედვით, თუ როგორ ესაუბრებიან უფროსები. ზოგი უფროსი სიყვარულის გამოხატულებად თვლის ბავშვთან ენამოჩლექით ლაპარაკს, რაც გაუმართლებელია, ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება მისი ჩვევად ჩამოყალიბება. ბავშვი უმცროსი ასაკიდანვე უნდა მივაჩვიოთ გამართულ მეტყველებას.

მკვლევარი თამაზ გოგიჩაიშვილი, იმოწმებს რა პროფესორ შალვა ჩხარტიშვილს, აღნიშნავს: ერთ-ერთი სერიოზული ამოცანა, რომელიც პირველკლასელმა უნდა გადაწყვიტოს სანამ წერა-კითხვის სწავლას შეუდგებოდეს, მეტყველების, როგორც ფსიქოლოგიური ფაქტის აღმოჩენა და ანალიზის გზით მისი დანაწევრება წინადადებად, სიტყვებად, მარცვლებად და ბგერებად. 6-7 წლის ბავშვები ვერ ამჩნევენ, რომ სიტყვა ერთი მოვლენაა, ხოლო რასაც ეს სიტყვა აღნიშნავს – მეორე. მათთვის, მაგალითად, საგანი წიგნი და სიტყვა „წიგნი“ ორი რამ კი არ არის, არამედ – ერთი. მათთვის სიტყვა გამჭვირვალეა, აღიქვამენ იმას, რაც სიტყვაშია მოქცეული, მაგრამ თვითონ სიტყვას ვერ ხედავენ. წერა-კითხვის სწავლა კი პირველ ყოვლისა მეტყველების ფაქტების ნათლად გაცნობიერებას მოითხოვს. ბავშვმა ყურადღება უნდა შეაჩეროს არა მხოლოდ სიტყვათა საგნობრივ შინაარსზე, არამედ მის ფონეტიკურ და გრაფიკულ შედგენილობაზე, თვითონ მეტყველებაზე, როგორც სპეციფიკურ აქტივობაზე (დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა 4,1990 წ. ბავშვის ფსიქოლოგიური მზაობა სასკოლო ცხოვრებისათვის, თ. გოგიჩაიშვილი, გვ.33).

წარმოდგენილი სახელმძღვანელოს (იგულისხმება ჩემი წიგნი „გაკვეთილები მეტყველების კულტურაში“) მიზანია, მასწავლებელმა სწორედ ამ ფაქტს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება, რისთვისაც საჭიროა: 1.სწავლების დასაწყისშივე ბავშვებს მიაწოდოს ინფორმაცია მეტყველების კულტურის, როგორც ახლი ცნების შესახებ; 2.

აუხსნას ბავშვებს სწორი სუნთქვის მნიშვნელობა გამართული მეტყველებისათვის. შეასწავლოს მათ სწორი სუნთქვა თანამიმდევრულად და მთელი სწავლოების განმავლობაში პერიოდულად ავარჯიშოს. 3. ყურადღება მაქციოს თითოეული ბავშვის მეტყველების აპარატის მოძრაობას და შეასრულებინოს მათ მეტყველების აპარატის ვარჯიშები. 4.გამოავლინოს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი; იმუშაოს მის გამდიდრებაზე. 5. წინასაანბანო პერიოდში და შემდეგაც გამოუმუშაოს ბავშვებს თავისუფალი მეტყველების კულტურა. 6. სწავლების პროცესში დაეხმაროს ბავშვებს ფსიქიკის რეგულირებაში.

ყოველივე ამის მისაღწევად ჩემ მიერ გამოცდილი მეთოდი ჩამოვაყალიბე მასწავლებლისთვის განკუთვნილ მეთოდურ სახელმძღვანელოში „გაკვეთილები მეტყველების კულტურაში“. წიგნში წარმოდგენილი გაკვეთილების თემატიკა მრავალფეროვანია. იგი მოიცავს 35 ძირითად თემას, ზოგიერთ თემას აქვს ქვეთემები.

ამ წიგნში მოცემული სწავლების მეთოდი გულისხმობს შემდეგს:

წარმოდგენილ თემებზე სისტემატურ ვარჯიშს, რაც ხორციელდება თანამიმდევრულად;

თემების უმეტესობაში ინტერაქტიული გაკვეთილის პრინციპის გამოყენებას პირველი კლასიდანვე, ე.ი. მთელი კლასის აქტიურ მონაწილეობას საგაკვეთილო პროცესში და მასწავლებლის დახმარებით მის სწორად წარმართვას (მაგ.; ბავშვები ირჩევენ თემას თავისუფალი მეტყველებისთვის, კარნახობენ მასწავლებელს გაკვეთილის თანამიმდევრობას: ვთქვათ, შეიძლება გაკვეთილი დავიწყოთ სუნთქვითი ან მეტყველების აპარატის ვარჯიშით ან ეს ვარჯიშები, ბავშვების სურვილით, შევასრულოთ გაკვეთილის შუალედში).

მეტყველების კულტურის გაცნობიერებასთან ერთად მოსმენის კულტურის გაცნობიერებას. მასწავლებელმაც და ბავშვებმაც ერთმანეთს უნდა დააცადონ სათქმელის ბოლომდე ჩამოყალიბება, რათა უკეთ გაიგონ აზრი.

მასწავლებლის შრომის გაადვილების მიზნით მასწავლებლის წიგნს ერთვის გაკვეთილების თემების მიხედვით შერჩეული ტექსტების კრებული, სადაც შევიტანე ნაწარმოებები ქართული და უცხოური ლიტერატურიდან.

ტექსტების დანართი პედაგოგს აძლევს არჩევანის საშუალებას, ერთსა და იმავე თემაზე წარმოდგენილი რამდენიმე ტექსტიდან მასწავლებელს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია აარჩიოს რომელიმე.ტექსტების შერჩევისას შინაარსის გარდა გავითვალისწინე მათი ლექსიკური შედგენილობა, რიტმი და რითმა, რაც ავარჯიშებს მეტყველების აპარატს,ავარჯიშებს სუნთქვას და ამდიდრებს ბავშვის ლექსიკას. ტექსტების დანართში არის სუფთა ფურცლებიც, რომლებიც ბავშვთა ფანტაზიისა და უნარის მიხედვით ინდივიდუალურად გამოიყენება.

მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილი გაკვეთილების დიდი ნაწილი ან მთლიანად თამაშით („ჩემი საყვარელი სათამაშო“, „ზღაპრის ინსცენირება“) მიმდინარეობს,ან გაკვეთილის ერთი ნაწილი ეთმობა სხვადასხვა თამაშს. მაგ.: „სიტყვობანა“, „ჯაჭვობანა“, „ხმოვანი თუ თანხმოვანი“, „ეკვილიბრისტიკა“ და სხვა.

წიგნი „გაკვეთილები მეტყველების კულტურაში“ კი მრავალფეროვან თემებს გვთავაზობს: „ვინ ვარ მე“, „სად და ვისთან ერთად ვცხოვრობ“, „ჩემი საყვარელი ცხოველი (ფრინველი)“, „საყვარელი სათამაშო“, „რატომ მომეწონა თეატრში ნანახი სპექტაკლი“ და ა.შ. ასეთი საუბრები არა მხოლოდ აუმჯობესებს ბავშვის მეტყველებას, ამდიდრებს მის ლექსიკას, არამედ საინტერესოა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. წიგნში მოცემული გაკვეთილების სწორად წარმართვა ბავშვებს მოუხსნის არასრულფასოვნების, საზოგადოებაში გაუცხოვების კომპლექსს. თანამედროვე ცხოვრების სწრაფი ტემპის გამო მშობლებს ცოტა დრო რჩებათ შვილებისათვის. ამიტომაც აუცილებელია ასეთი გაკვეთილები, რომლებზედაც ბავშვები თავისუფალი საუბრით განიმუხტებიან არასასურველი ემოციებისგან. ზოგჯერ ემოცია დადებითია, მაგრამ მისი სიჭარბეც, თუ არავის გაუზიარა, უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ნერვულ სისტემაზე. მეტყველების კულტურის გაკვეთილების ერთ-ერთი მიზანი კი ბავშვთა ფსიქოლოგიური განწყობის რეგულირებაცაა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტყველება ფსიქოლოგიური ფაქტია. მეტყველების კულტურის გაკვეთილები დაარსების დღიდან,1994 წლიდან, ტარდება დამოუკიდებელ სკოლა „მოძღვარში“ ფაკულტატური მეცადინეობების სახით. ამ გაკვეთილების პროგრამა ჩემ მიერაა შედგენილი სკოლის დაწყებითი საფეხურის, კერძოდ, პირველი-მეოთხე კლასებისთვის და დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ. პროგრამასთან ერთად გაწეულ პრაქტიკულ მუშაობასა და გამოცდილებას მივუმატე ამ საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურიდან საგნის სწავლებისთვის საჭირო მასალა და 2011 წელს გამოვეცი წიგნის პირველი ნაწილი „გაკვეთილები მეტყველების კულტურაში I-II კლასებისთვის ტექსტების დანართით“, ხოლო 2016 წელს – მეორე ნაწილი – III-IV კლასებისთვის. ამ წიგნებზე დაყრდნობით, სწორად წარმართული მეტყველების კულტურის გაკვეთილები მოემსახურება საერთო მიზანს, რაც შეიძლება უკეთესად შევასწავლოთ ბავშვებს მშობლიური ენა და აღვზარდოთ არა უბრალოდ ნაკითხი, არამედ განათლებული ადამიანი, რომელიც საზოგადოების ღირსეული წევრიც იქნება.

დაწყებით კლასებში სწორად ჩამოყალიბებული მეტყველება, კულტურული მეტყველების ჩვევები აუცილებლად დაეხმარებათ მოსწავლეებს მაღალ კლასებში მხატვრული ლიტერატურის შედევრები გადმოსცენ გამომეტყველებითი კითხვით და სხვა საგნებშიც უბრალოდ ფაქტების კონსტატირება კი არ მაოხდინონ, არამედ შესწავლილი მასალა გადმოსცენ მეტყველების კულტურის დაცვით; საჭიროებისას გამოიყენონ მხატვრული კითხვის ელემენტებიც, რაც ერთგვარი ვარჯიში იქნება მჭევრმეტყველებაში. აღნიშნული ფაქტი კი ბავშვებს

განაწყობს იმისთვის,რომ შემოქმედებითად მიუდგნენ შესასწავლ მასალას. ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი მოსწავლეტა აღზრდის საქმეში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა გამომეტყველებით კითხვას, რადგან მიაჩნდა, რომ ნაწარმოების სმენით აღქმას დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების პროცესში და რომ ლიტერატურული ტექსტის წამკითხველი მხოლოდ მაშინ გადმოსცემს წასაკითხი მასალის შინაარსს უნაკლოდ, როდესაც იგი ზეპირად ამბობს ამა თუ იმ მასალას (გამომეტყველებითი კითხვის სწავლებისათვის სკოლაში, მეთოდური მითითება. თბ, 1974 წელი).

საქართველოში ძველთაგანვე უდიდესი ყურადღება ექცეოდა მეტყველების კულტურის სწავლებას. ჩვენც დავუბრუნდეთ კარგ ტრადიციას და პატარებს დედაენასთან ერთად შევასწავლოთ გამართული მეტყველება.

• • •

შალვა მჭედლიშვილი



ძველებური ანდაზა

„ირლანდიელს ირლანდიელი სძულს“.
ინგლისური ანდაზა

ვინც ალბიონის მხარეს სწვევია,
მას ეს ანდაზაც სმენია ალბათ,
ჩვენც ხომ გერი ვართ ბედისწერისა
და ამ წყეული სენით ვართ ავად?!
ქართველს ქართველი ოდითგან სძულდა,
„მხოლოდ ქართველი ამარცხებს ქართველს“!
...ყვავი თავს ბულბულს ამეტებს მუდამ,
ყორანი ჰკორტნის არწივის მართვეს...
ვინც მამულს თაყვანს სცემს უანგაროდ,
უნდა ჯვარს აცვან, ან მალვით მოკლან...
თავს ყველა ურცხვად ზეკაცს ადარებს,
სატანის სტვირზე ვინც მარჯვედ ცეკვავს!

* * *

ჯოჯოხეთურმა დამწვა სახმილმა,
ვით ბრმა დავრიში მიუსაფარი.
ეს წიგნი არის ჩემი სახლი და,
სიკვდილის შემდეგ ჩემი საფლავი!
ბედშავს ყორანი გულ-ღვიძლსა მძიგნის,
უღვთო ტკივილი მამუნჯებს პოეტს
და მაინც სისხლით დავწერე წიგნი,
და ამ ერთადერთ საუნჯეს ვტოვებ!

* * *

„ჩქარა თორემ წასულა ჩვენი ახალგაზრდობა“
გ. ლეონიძე

რადგან ოდესღაც სხვებსაც უყვარდათ,
ნუთუ ავკრძალოთ ჩვენ სიყვარული?!
სულს თუ ტკივილი არ ჩაუწყნარდა,
ფლეთავს და ჰბუგავს ცეცხლი ფარული?!
ნუღარ ვიმღერებთ. დუმილში ჩავკლათ
ჩვენი ჟინი და ჩვენი სულისთქმა,
აღარ იჟღეროს ღვთიურად ჩანგმა
უკვდავი ჰანგი სიყვარულისა?!
სიმღერის დროა, ვიმღეროთ, თორემ
საცაა სიყრმე გაგვეპარება,
მალე ჩაგვქოლავს ქვა-ღორღის ყორე,
ჩვენ არ ვიქნებით...
სხვებს ეყვარებათ!

გაბრიელ ჯაბუშანურის ხსოვნას

ვიღაცას მის სამარეზე სანთლის და
მუყაოს ყვავილები მოეტანა.

არი ათრთოლებთ მუყაოს ყვავილთ,
ქარი ათრთოლებს ვარდებს სანთლისას,
ფოთლებს აფლეთავს ხეებს უწყალოდ
ცივი, შეშლილი ქარი ზამთრისა!
ქარი ათრთოლებს მუყაოს ყვავილთ...
და ჩამოთოვლილ გუმბათზე მჯდარი,
ყრანტალებს, ჩხავის გულშემზარავად
ჟამთაცვლასავით შავფრთება ყვავი!
გაბრიელ! მთების ლაღო არწივო...
ბედი რარიგად გვდევნის, ვაიმე:
შენს სამარეზე ყალბ ვარდს რა უნდა,
მუყაოსა და სანთლის ყვავილებს!

* * *

ბედნიერი ვარ, ვცოცხლობ, ვმღერივარ,
არ მეშინია გარდავცალების –
მწამს, ცას შევხედავ სიკვდილის მერეც
ღიღილოების ლამაზ თვალებით!

თბილისი

ვაგრძელებთ ქართული საზოგადოებისთვის თურქული ლიტერატურის კლასიკოსების გაცნობას.

ასოცირებული პროფესორი ნანა კაჭარავა (შუაში), სტუდენტებთან – თამარ და მონიკა ნაჭყებიებთან ერთად.

ომერ სეიფედინი

ომერ სეიფედინი (1884-1920) – ჩერქეზული წარმოშობის თურქი მწერალი, პოეტი, ჯარისკაცი და მასწავლებელი. იგი ლიტერატურაში ითვლება თურქული ნოველის ფუძემდებლად და თურქიზმის მიმდინარეობის დამაარსებლად.

მომხრე იყო თურქული ენის გამარტივებისა და ხალხურ, სამეტყველო ენასთან დაახლოებისა.

ფიცი

გონენში დავიბადე. ეს დაბა, რომელიც ოცი წელია არ მინახავს, უკვე მირაჟივით ირეკლება ჩემს წარმოსახვაში. აქაურ ადგილთა უმრავლესობა დავიწყებულ, ძველ, შორეულ სიზმარს დაემსგავსა. ახლა ვცდილობ, გავიხსენო: ბაზრის მეჩეთი, რომლის წინაც ყოველთვის ჩავივლიდით ხოლმე მე და მამაჩემი (მამაჩემი იმ დროს ახალგაზრდა კაპიტანი იყო); მეჩეთის მოპირდაპირე მხარეს პატარა დანგრეული შადრევანი; ღელე, სადაც ათასობით ხის ჯირკი ეყარა; ღრმა, ცხელი წყლით სავსე აუზიანი აბანო, სადაც ზოგჯერ დასაბანად დავდიოდით.

მაგრამ ჩემ თვალწინ წვება დავიწყების თეთრი ბურუსი. ფერები ქრება, ფორმები იკარგება... ადამიანს, რომელიც უცხოეთში დიდი ხნით ყოფნის შემდეგ თავის სამშობლოს უბრუნდება, მღელვარება იპყრობს, რადგან მისი დაბადების ადგილი სქელ ნისლში გახვეულა, ჰორიზონტისა და საყვარელი, შეჩვეული ადგილების შორიდან გარჩევა უჭირს... მეც ახლა ზუსტად ასეთი ცნობისმოყვარეობისა და მოუთმენლობის მსგავს ტკივილს ვგრძნობ. ეს მტვრიანი ორღობეები, სადაც ყოველ საღამოს კამეჩების და ძროხების ნახირი დადის, ხავსიანი შავი კრამიტით დახურული სახურავები, დიდი კედლები, რომლებიც ისე დგანან, თითქოს საცაა ჩამოინგრევა, პატარა ხის ხიდები, თვალუწვდენელი მინდვრები, დაბალი ღობეები, ყველაფერი დავიწყების ბურუსში ირევა...

მხოლოდ ჩვენი სახლი და სკოლა შემიძლია ნათლად წარმოვიდგინო.

დიდი ეზო... შუაში კოშკის ფორმის ქათქათა თეთრი სახლი... მარჯვენა კუთხეში თეთრფარდებიანი ოთახი, სადაც ყოველთვის ვისხედით ხოლმე. დილაობით დედაჩემი ფანჯრის რაფაზე მსვამდა, პატარა ბავშვივით, გაკვეთილებს მამეორებინებდა და რძეს მასმევდა. ამ ფანჯრიდან ეზოს მეორე მხარეს მოჩანდა დიდი შავი შენობა, ერთი ფანჯრით, რომელსაც არც მინა ჰქონდა და არც საკეტი. ეს შავი ხვრელი ძალიან მაშინებდა. ჩვენ გვყავდა მოსამსახურე დედა აბილი, რომელიც ამზადებდა საჭმელს, რეცხავდა სარეცხს, წმენდდა მოაჯირებს, საკვებს უყრიდა მამაჩემის ცხენს და ზრუნავდა მონადირე ძაღლებზე. იმ წყვდიადით მოცულ ფანჯარაში მეჩვენებოდა საზარელი დათვი, რომელიც ყოველ ღამე დედა აბილის საშიში და დაუსრულებელი ზღაპრების გმირი იყო. ამ ფანტაზიით ყოველ დილით ვიგონებდი სიზმრებს დათვის შესახებ, ვუყვებოდი საწყალ დედაჩემს, რომელსაც სიზმრების მოსმენა და ახსნა უყვარდა. ვყვებოდი, რომ დიდმა მურა დათვმა ხელში ჩამიგდო, მთაში წამიყვანა, ტყეში თავის ბუნაგში ჩამკეტა, ხელები შემიკრა, ცხვირი, ტუჩები მომაჭამა და ბაირამიჩის გზაზე წყლის წისქვილის ბორბლებში ჩამაგდო. და ამ გამონაგონებს რომ ვჩმახავდი, დედა ხშირად წამოიძახებდა ხოლმე: „რა ხდება? ხომ მშვიდობაა“.. მაგრამ სიზმრის ახსნისას მეუბნებოდა, რომ დიდი ბატონი, დიდი ფაშა დავდგებოდი, ვერავინ ვერაფერს დამიშავებდა. როცა ამას მიხსნიდა, მავიწყდებოდა, ტყუილს რომ ვამბობდი და მეც ძალიან მიხაროდა...

როგორ ქუჩებში ან ვისთან ერთად დავდიოდი? არ ვიცი... ერთსართულიან სკოლას კედლები შეუღებავი ჰქონდა. კარებიდან შესვლისას გადიოდი დიდ, გადახურულ ეზოში. ცოტა უფრო წინ იყო პატარა, ერთი ხეც რომ არ იდგა, ისეთი ეზო, ბაღის ბოლოში კი – ტუალეტი და დიდი კასრი აბდესთისთვის[1]... სკოლაში ბიჭები და გოგონები ერთად ისხდნენ, ერთად სწავლობდნენ, ერთად თამაშობდნენ. „უფროს მასწავლებელს“ ვეძახდით ერთ ტანმაღალ, კუზიან, ბებერ, ჭკუასუსტ ქალს, მუდამ ინით რომ ჰქონდა შეღებილი თმები. ცისფერი თვალები მკაცრად უელავდა, ნისკარტივით მრუდე, ყვითელი ცხვირით ბუმბულგაცვენილ, ცბიერ, ავადმყოფ ძერას მიაგავდა.

„უმცროსი მასწავლებელი“ კაცი იყო. უფროსი მასწავლებლის ვაჟიშვილი. ბავშვებს მისი საერთოდ არ ეშინოდათ, მგონი ცოტა მოსულელოც იყო.

მე უკანა მერხზე ვიჯექი, სადაც უფროსი მასწავლებლის ჯოხი ვერ მწვდებოდა. გოგოები ყოველთვის „თეთრ ბატონს“ მეძახდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ქერა ვიყავი. ბიჭებიდან უფროსები ან სახელით მომმართავდნენ ან „კაპიტნის ვაჟს“ მეძახდნენ. საკლასო ოთახის კარის იმ ნაწილზე, რომელიც არ იღებოდა, აბრა იყო ჩამოკონწიალებული

1. **განბანვის რიტუალი მუსლიმთა ლოცვის წინ.**

წარწერით „მოვიდა-წავიდა“, რომელიც მიჭყლეტილ უსიცოცხლო სახესავით შემოგვცქეროდა; სქელი კედლების ჭერთან ახლოს გამოჭრილი ვიწრო ფანჯრებიდან შემომავალი მკრთალი სინათლე ბავშვების განუწყეტელი ყვირილით, ხმამაღალი კითხვითა და გაუთავებელი მჭახე ხმებით თითქოს უარესად მძიმდებოდა და იმღვრეოდა.

სკოლაში მარტო ერთი სახეობის სასჯელი იყო: ჯოხი... დიდი დამნაშავეები, გოგონებიც კი ფალაქით[2] ისჯებოდნენ. არავინ იყო ისეთი, ვისაც ფალაქისა არ ეშინოდა და არ აკანკალებდა. უმცროსი მასწავლებლის მწარე სილა... უფროსი მასწავლებლის გრძელი ჯოხი... რომელ თავსაც მოხვდებოდა, აუცილებლად დაასიებდა. მე არასდროს მომწვდენია ის ჯოხი, შესაძლოა, ვერ მიმეტებდნენ. მხოლოდ ერთხელ უფროსმა მასწავლებელმა თავისი დამჭკნარი, გაძვალტყავებული ხელით ტყუილისათვის მარცხენა ყური ამიწია. ისე ძლიერად მომქაჩა, რომ ყური საშინლად გამიწითლდა და მეორე დღესაც მეწვოდა. თუმცა დამნაშავე არ ვიყავი. სიმართლე ვთქვი. ეზოში აბდესთისთვის განკუთვნილი კასრი იდგა, ონკანი ვიღაცას მოეტეხა. უფროსი მასწავლებელი დამნაშავეს ეძებდა. ეს იყო ავადმყოფი, სუსტი, ლურჯქურთუკიანი და წითელსარტყელიანი ბიჭი. დავაბეზღე. ფალაქით უნდა დაესაჯათ. მან იუარა. შემდეგ სხვა ბავშვი გამოვიდა, რომელმაც თავის თავზე აიღო მისი დანაშაული. ძირს გაწვა. სცემეს დაუზოგავად. მაშინ უფროსმა მასწავლებელმა ყური ამიწია და სახეშეჭმუხნულმა მითხრა: „რატომ სწამებ ცილს ამ საცოდავს?“

ვიტირე, ვიტირე, რადგან არ ვტყუოდი. დიახ, ონკანს რომ აძრობდა, ჩემი თვალით დავინახე. საღამოს პირს, გაკვეთილები რომ დაგვიმთავრდა, ნაცემი ბიჭი ხელში მოვიგდე:

— მატყუარა რატომ გამომიყვანე? ონკანი ხომ შენ არ მოგიგლეჯია.

— მე მოვგლიჯე.

— არა, შენ არ მოგიგლეჯია, ჩემი თვალით დავინახე, რომ მან მოგლიჯა.

წინაღმდეგობა არ გაუწევია. სახეში შემომხედა, ერთხანს გაჩერდა. თუ დავიფიცებდი, რომ მასწავლებელს არ ვეტყოდი, არ დამიმალავდა და გამიმხელდა.

მე მაშინვე დავინტერესდი:

— ონკანი ალიმ მოგლიჯა. მეც ვიცოდი, მაგრამ ძალიან სუსტია და თანაც ავადაა, შენც ხომ ხედავ, ცემას ვერ გაუძლებდა. შესაძლოა მომკვდარიყო, ახლახან წამოდგა საწოლიდან.

— მაგრამ მის მაგივრად რატომ გაილახე?

— რატომ? ჩვენ შევფიცეთ ერთმანეთს, ძმადნაფიცები ვართ. ის დღეს ავად არის, მე კი კარგად, ღონიერი ვარ. მე ის უბრალოდ გადავარჩინე.

— კარგად ვერ გავიგე, ისევ ვკითხე:

— ფიცი რას ნიშნავს?

— არ იცი?

— არ ვიცი!

მაშინ გაიცინა, გაიქცა და შორიდან მომაძახა:

— ერთმანეთის სისხლი დავლიეთ, ამას ფიცის დადება ჰქვია. ვინც ფიცს დებს, ძმადნაფიცები ხდებიან, ისინი სიკვდილამდე ეხმარებიან ერთმანეთს და გაჭირვებაში ერთმანეთს შველიან.

და აღმოვაჩინე, რომ სკოლაში ბევრი ბავშვი იყო ფიცით დაძმობილებული და მეტიც, გოგონათაგან ზოგი ფიცითაც კი იყვნენ შეკრული. ერთ დღესაც ჩემი თვალით ვნახე, თუ როგორ სრულდებოდა ეს ტრადიცია, რომლის შესახებაც ახლახან შევიტყვე. ისევ უკანა მერხზე ვიჯექი, უმცროსი მასწავლებელი აბდესთის შესასრულებლად გარეთ გასულიყო. უფროსმა მასწავლებელმა ზურგი გვაქცია და ლოკოკინასავით ნელა, მძიმედ ასრულებდა ნამაზს. ორმა ბავშვმა ხისტარიანი ჯაყვით მკლავი გაიჭრა, დადენილი წითელი სისხლი ერთმანეთის სისხლს შეურიეს. შემდეგ ერთმანეთის მკლავიდან სისხლი მოწოვეს. ასე დაიფიცეს და ძმადნაფიცები გახდნენ... ამან დამაფიქრა. მეც რომ მყოლოდა ძმადნაფიცი, მასწავლებელს ყურს არ ააწევინებდა და მეტიც, თუ ოდესმე ფალაქის სასჯელს დავიმსახურებდი, გადამარჩენდა. ამ უზარმაზარ სკოლაში მეგონა, რომ სრულიად უთვისტომო, უამხანაგო და დაუცველი ვიყავი. დედაჩემს გავუმხილე. ვუთხარი, რომ ყველა ბავშვივით მეც მინდოდა ძმადნაფიცი მყოლოდა. განვუმარტე ფიცის რაობა. არ დამთანხმდა:

— ასეთი სისულელეები არ გამაგონო. იცოდე, მსგავსი არაფერი გაბედო!..

გამაფრთხილა. მაგრამ არ გავუგონე. მტკიცედ ჩავიფიქრე ფიცის დადება, მაგრამ ვისთან? ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ ძმადნაფიცი მაპოვნინა. პარასკეობით მთელი მეზობლის ბავშვები ჩვენი სახლის ეზოში იკრიბებოდნენ. საღამომდე ერთად ვთამაშობდით. ჩვენი სახლის უკან რომ სახლი იყო, იმ სახლის პატრონს, ჰაჯი ბუდაკს, ჩემხელა შვილი ჰყავდა, ყველაზე მეტად მისი სახელი მომწონდა — მისტიკი. ამ სიტყვის წარმოთქმაზე სიამოვნებას ვგრძნობდი და ისევ და ისევ ვიმეორებდი. ისეთი ჰარმონიული იყო... გოგონები ბაღსა თუ ქუჩაში მისტიკის დანახვისას, ერთხმად მღეროდნენ ამ ლამაზ, მშვენიერ გარითმულ სტრიქონებს. ჯერაც კი მახსოვს.

„მუსტაფა მისტიკი,
მანქანაში მივტისკეთ,
სამი სანთელი ავუნთეთ,
სეირს ვუყურეთ“.

ერთად ყვიროდნენ და მუშტებშეკრულნი ეღობებოდნენ. მისტიკი არასდროს ბრაზობდა. იცინოდა. ჩვენც ხანდახან ამ სტროფს ყვირილით ვიმეორებდით და ვხალისობდით. ამ პაწაწინა ლექსმა ჩემს ფანტაზიაზეც კი იმოქმედა. სიზმარში ვხედავდი ხოლმე ბევრ თავხედ გოგონას, რომლებიც ლტოლვილების მანქანაში ტისკავდნენ მისტიკს. მის გარშემო ანთებდნენ სამ სანთელს და სეირს უყურებდნენ. რატომ იდგა მისტიკი ასე მორჩილად? რატომ არ გადმოხტებოდა ამ კუპრის სუნით აქოთებული მანქანიდან, გოგონებს ერთ-ორ სილას არ უთავაზებდა და თავს არ იხსნიდა? ის ყველა ჩვენგანზე ძლიერი იყო. თავისი სახელივით გვარიანად ჩამრგვალებული და მოსული ბიჭი გახლდათ. თავი, მკლავები, სხეული... ხელებიც კი მრგვალი ჰქონდა... ჭიდაობაში ყველა ბავშვს ერეოდა... ზაფხულობით

2. **დასჯის ფორმა** (ფეხისგულების გაწმენდა).

ყოველ პარასკევ დღეს დილით დიდი ტირიფის ტოტების შეკვრა მოჰქონდა. ამ ტოტებისგან სათამაშო ცხენებს ვაკეთებდით, ჯირითობანას ვთამაშობდით და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. ის შეჯიბრებაში ყველას გვისწრებდა. ვერავინ ვეწეოდით. ერთხელაც, ერთ პარასკევ დღეს, მისტიკი ტირიფის ტოტებით მოვიდა. ყველაზე გრძელი ტოტი ჩემთვის გადავდე, დანარჩენი ბავშვებს დავურიგე. ჯაყვით ამ ტოტებს ბოლოებს ვაჭრიდით, ქერქისგან ცხვირსა და ორ ყურს ვუკეთებდით, ცხენის თავს ვამსგავსებდით. ამას ყველაზე კარგად მე ვაკეთებდი. ჩემს ცხენს ვთლიდი, მისტიკი და დანარჩენები რიგში იდგნენ, მიცდიდნენ. ვერ მივხვდი, როგორ მოხდა, ტირიფის ქერქი უცებ გაიხლიჩა, ჯაყვა ხელიდან გამიცურდა და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი გამიჭრა. წითელმა სისხლმა იფეთქა. იმ წამს რაღაცამ გამიელვა თავში: ფიცის დადება... თითის ტკივილი დამავიწყდა, მისტიკს ვუთხარი:

– მოდი, ნახე, ხელი გავიჭერი, დავმმობილდეთ, შენც გაიჭერი!

დიდი მრგვალი თავი გაიქნია და შავი თვალებით მიწას მიაშტერდა.

– როგორ შეიძლება?.. ფიცის დადებისთვის მკლავის გაჭრაა საჭირო?..

– ამით რა დაშავდება? სისხლი არ არის? ყველა ერთია... მკლავიდან თუ თითიდან... მოდი, ჰე! მოდი...

დამთანხმდა. ჯაყვა გამომართვა და მკლავი ცოტა ღრმად გაიჭრა. მისი სისხლი ისეთი მუქი იყო, რომ არც კი სდიოდა, მერე წვეთივით გაიბერა, ჩემი თითის სისხლს შევურიეთ, ჯერ მე მოვწუწნე, მარილიანი და ცხელი გემო ჰქონდა. შემდეგ მან ჩემი გაჭრილი თითი მოწუწნა.

არ ვიცი, მას შემდეგ რამდენი დრო გავიდა? შეიძლება ექვსი თვე... შეიძლება ერთი წელი... კიდეც დამავიწყდა, რომ მე და მისტიკი ძმადნაფიცები ვიყავით. ისევ ერთად ვთამაშობდით და სკოლიდან სახლში ერთად ვბრუნდებოდით. ერთ დღეს ძალიან ცხელოდა. უფროსმა მასწავლებელმა შუადღის მერე გაგვათავისუფლა. ზუსტად ხუთშაბათ დღესავით[3] ...

მე და მისტიკი ქუჩის მტვერში ნელ-ნელა მოვაბიჯებდით. ცხვირსახოცი ფესის[4] ქვეშ მქონდა ჩაფენილი... სახე მთლად სველი მქონდა, რადგან ოფლს ვერ ვიწმენდდი. დიდ განიერ გზაზე მივდიოდით. გზის პირად ჩამონგრეული კედლის დარჩენილი ძირი ჩანდა. უეცრად მოპირდაპირე მხრიდან შავი ძაღლი გამოჩნდა. მორბოდა. რამდენიმე კაცი უკან ჯოხით მოსდევდა. გვიყვირეს „გაიქეცით, გაიქეცით, გიკბენთ“! შეგვეშინდა, დავიბენით, გავშეშდით. პირველი მე გამოვფხიზლდი და ვიყვირე: „აბა, ჰე, გავიქცეთ“! გავეშებული ძაღლი დაგვეწია. მაშინ მისტიკმა მიყვირა: „ჩემ უკან დაიმალე“!.. და წინ გადამიდგა. ძაღლი მას ეცა. თავიდან სწრაფად შეეჯახნენ ერთმანეთს, მერე ყელში სწვდნენ, თითქოს ჭიდაობდნენ. ძაღლი ორ ფეხზე შემდგარიყო. ასეთი ორთაბრძოლის მერე ცოტა ხანში მიწაზე გაგორდნენ. მისტიკის პატარა ფესი და ლურჯი კაშნე მტვერში ამოიგანგლა. ეს ბრძოლა ძალიან გრძელი მომეჩვენა. ვკანკალებდი. ჯოხიანმა ბიძებმა მოგვისწრეს. ძაღლს მთელი ძალით დასცხეს. მისტიკი გადარჩა. საწყალს ხელებიდან და ცხვირიდან სისხლი სდიოდა. პირდაბჩენილი, კუდამოძუებული ძაღლი ქოშინით დაოთხილი გაიქცა. მისტიკმა თქვა: „არაფერია... არ მტკივა... პატარა ნაკაწრია“. სახლში წაიყვანეს. მეც მაშინვე სახლში გავიქეცი. დედას მოვუყევი, რაც გადაგვხვდა. დედა აბილმა ძირს დამაწვინა, გამჭიმა. ასე გამომილოცა. სახეში ისეთი შემიბერა, რომ მისი პირიდან ამოსულმა ნივრის სუნმა დამაცემინა.

მეორე დღეს მისტიკი სკოლაში არ მოსულა, შემდეგ დღესაც არ მოვიდა. დედაჩემს ვუთხარი, რომ ჰაჯი ბუდაკის სახლში უნდა წავსულიყავით და მისტიკი მოგვენახულებინა.

მიპასუხა: – ავად ყოფილა, შვილო, ღმერთმა ქნას, როცა გამოჯანმრთელდება, ისევ ერთად ითამაშებთ, სირცხვილია ახლა შეწუხება.

მას მერე ყოველ დღე სკოლაში იმ იმედით მივდიოდი, რომ გამოჯანმრთელებულ მისტიკს ვნახავდი.

რა სამწუხაროა, აღარ მოვიდა... ძაღლი ცოფიანი ყოფილა. გასასინჯად მისტიკი ბანდირმაში წაიყვანეს, იქიდან სტამბოლში უპირებდნენ გადაყვანას.

ბოლოს ერთ დღეს გავიგეთ, რომ მისტიკი გარდაცვლილა...

როცა ადრე ვდგები, მოწმენდილი უღრუბლო დილა ყოველთვის ბავშვობას მაგონებს. სულ მინდა წარმოვიდგინო ადგილი, სადაც დავიბადე, რომელიც ჩემს გონებაში დარჩენილა, როგორც უსაზღვრო, უკიდეგანო, ლაჟვარდისდარი ქვეყანა. და ყოველთვის უნებლიეთ მარცხენა ხელის საჩვენებელ თითს დავცქერი, თითის პირველ ფალანგზე დღესაც მამჩნევია თეთრი ხაზი, რომელიც ჩემთვის წმიდათაწმიდაა. საჩვენებელ თითზე ისევ ვგრძნობ ჩემი მეგობრის ცხელ ტუჩებს, მეგობრისა, რომელიც ჩვენს შორის დადებულ ფიცს შეეწირა. და ვხედავ ჩემი ძმის ლომივით აჩრდილს, რომელიც ჩემს გადასარჩენად თავისზე ბევრად დიდ, ცოფიან, შავ ნაგაზს ვაჟკაცურად შეეჭიდა.

რაც უფრო ვშორდებით ჩვენს ერსა და ემოციებით სავსე ჩვენს ეროვნებას და უზნეობის ბნელ უფსკრულში ჩაფლულნი ორგულობისა და ეგოიზმის, უსამსობისა და მუქთახორობის ჯოჯოხეთში ვიწვით და ვიკლაკნებით, ჩემი გმირი ძმადნაფიცი ჩნდება ჩემ წინაშე, როგორც ჭეშმარიტად შორეული მიჩაჟი წმინდა და ნათელი, დაკარგული სამოთხისა... ეს მაბედნიერებს. საათობით ვიხსენებ მისტიკს და ვგრძნობ, ჩემს გულში ჩარჩენილი სუფთა და კეთილშობილური ნაღველის ტკბილ და სევდიან ტკივილს, რომელიც რაც უფრო ძველდება და დავიწყებას ეცემა, მით უფრო ღირებული ხდება...

თურქულიდან თარგმნეს:
ნანა კაჭარავამ და თამარ ნაჭყებიამ

3. ჯუმა ანუ პარასკევი დღის წინ ხუთშაბათობით სწავლა მხოლოდ შუადღემდე იყო ხოლმე.

4. ფუნჯიანი ქუდი წაკვეთილი კონუსის ფორმისა; ათა-თურქის რევოლუციამდე თურქეთში კაცებისათვის აუცილებელი ატრიბუტი იყო.

საბაჰათინ ალი

საბაჰათინ ალი — დაიბადა 1907 წელს, ქ. ეღრიდერეში, რომელიც იმხანად ედირნეს ვილაიეთში შედიოდა. მწერლისა და პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება იწყება მას შემდეგ, რაც რედაქციებთან დაიწყო თანამშრომლობა. აქტიურად გამოხატავდა უკმაყოფილებას ქვეყნის მმართველი წრეების მიმართ, რის გამოც ციხეშიც მოუწია ყოფნა. მოკლეს ბულგარეთის საზღვარზე მალულად გადასვლის დროს 1948 წელს.

ქართველი მკითხველი მას ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებიდან იცნობს მოთხრობების კრებულით „მგელი და კრავი“ (თარგმნა ნოდარ ჯანაშიამ). ქართულად თარგმნილია ასევე მწერლის ორი რომანი: „ეშმაკი ჩვენში“ (თარგმნა გურამ ბათიაშვილმა) და „მადონა ბეწვის ქურქში“ (თარგმნა ნანა ჯანაშიამ).

ჩელო

I

მზე ფართოფოთლებიანი ხეების მიღმა იმალებოდა მორცხვი ქალივით, რომელიც სახეს მწვანე მარაოთი იფარავს. ამ დროს სხვადასხვა ეროვნების მოგზაურებისგან შემდგარი ქარავანი შევიდა აფრიკის ერთ-ერთ შავკანიანთა სოფელში, სადაც სახლები ყვითელი ჩალისგან გაკეთებულ ფუტკრის სკებს ჰგავდა.

ტომის ბელადი მათთან შესახვედრად მოემზადა. თეთრკანიანები, ოცი წელიწადია, არ ყოფილან აფრიკის ამ განაპირა კუთხეში. ბელადმა აისხა მძივები, სპილოს ძვლისგან გაკეთებული სამკაულები, ხელში დიდი ამოტვიფრული შუბი აიღო და ამალასთან ერთად სოფლის შუაგულ მოედანზე გავიდა.

რიგ საზეიმო ცერემონიათა შესრულების შემდეგ მოგზაურები ბელადის ქოხში დასასვენებლად ჩამოხდნენ. ამ დროს სოფელში სახეტიალოდ გასული მულატი თარჯიმანი ქოშინით მოვარდა. მან მოგზაურებს შეატყობინა, რომ, ასე ორმოცდაათ ნაბიჯში იდგა, სავარაუდოდ, ევროპელის მიერ აშენებული ხის მშვენიერი ქოხი.

მოგზაურებმა გოლფის შარვლის ქვეშ წინდების ჩაცმაც კი ვერ მოასწრეს, უცებ ყველა იქეთკენ გაიქცა. თარჯიმანი სიმართლეს ამბობდა. ეს გახლდათ გაუშალაშინებელი ხისგან აშენებული სახლი და წინ კი ველური ტყის ყვავილებით მორთული ბაღის მსგავსი მოედანი იყო მოწყობილი.

ბელადი მოგზაურებს მიუახლოვდა და უთხრა, რომ ეს ქოხი ეკუთვნოდა თეთრკანიანს, რომელიც, ორი წელია, მათ შორის ცხოვრობდა.

თარჯიმანს ჰკითხეს:

„თვითონ სად არის?“

„კაცმა არ იცის“ — უპასუხა ბელადმა, „ის ხელს ჰკიდებს თავის ინსტრუმენტს, მიდის და როცა მოუნდება, მაშინ ბრუნდება“.

„რა ინსტრუმენტია“?

„დიდი... თითქმის ნიანგის ნაშიერის ოდენა...

მოგზაურებმა ერთმანეთს გადახედეს:

„ალბათ არფაა“?...

„ჯოხზე მოჭიმული ცხენის ძუით იკვრება“— მიუგო ბელადმა.

„მაშინ კონტრაბასი“...

„ან ჩელო“...

„დიახ, დიახ... ალბათ ჩელოა“.

მოგზაურებმა ისევ ჰკითხეს ბელადს

„ის ამ ინსტრუმენტს სად უკრავს?“

ბელადმა ხელის გაშვერით აჩვენა:

„ტყეში!“

„კარგი, მიგვიყვანთ იქ“?

„არ შეიძლება, როდესაც უკრავს, არავის იკარებს“.

მოგზაურებმა დაჟინებით სთხოვეს:

„ჩვენ შორს დავდგებით, ვერ მიხვდება“.

ბელადი დათანხმდა. შებინდებისას სოფელი დატოვეს და ტყისკენ გაეშურნენ. როდესაც მიუხლოვდნენ, ჩელოს გამაცოცხლებელი ხმები მოისმა. გერმანელმა მოგზაურმა ცოტა ხანს უსმინა და თქვა:

„შემოდგომის სიმღერა“!..

რუსმა დაამატა:

„ჩაიკოვსკი“.

როცა ტყეში შევიდნენ, ბელადი გაჩერდა და ათი ნაბიჯის მოშორებით განიერი ბაობაბის ხის ქვეშ სილუეტზე მიუთითა:

„აი“!...

ყურადღებით დააკვირდნენ და მოსმენა გააგრძელეს. გაშეშებული ჩრდილი ერთსა და იმავე ნაწარმოებს დიდი მონდომებით უკრავდა.

ფოთლების თრთოლვის ფონზე, რომელიც ამ ხმებს ერთვოდა, ინგლისელმა მოგზაურმა თქვა

„ვინ შეიძლება იყოს ეს კაცი“?

ფრანგმა მოგზაურმა უპასუხა:

„ხელოვანი... იმედგადაწურული ხელოვანი... უბედური, რომელიც გაურბის ადამიანებს, რადგან ხედავს, რომ ნამდვილი ხელოვნება არ ფასდება“.

რუსმაც თავისი აზრი გამოთქვა:

„არა, იქნებ ეს ის ადამიანია, რომელიც საზოგადოების უსამართლობისგან თავის დასახსნელად აქ მოსულა და ხელოვნებაში პოვებს ნუგეშს“.

გერმანელი:

„მე თუ მკითხავთ, ეს არის ჭკვიანი კაცი, რომელმაც ამქვეყნად მოსვენებული და უდარდელი ცხოვრება არჩია ცივილიზებულ სამყაროსთან ჭიდილს“.

„მე ასე ვფიქრობ“ — თქვა ინგლისელმა, „ეს არის გონებამახვილი კაცი, რომელმაც ველურ

აბორიგენებზე გასაბატონებლად საკუთარი გეგმა შეიმუშავა, მოთმინებით ახორციელებს მას და ალბათ საკმაოდ სახიფათოცაა“.

დაღამდა. მთვარე ამოვიდა. როდესაც ტყის პატარა მოედანი მთვარის შუქით განათდა, მათ უკეთ დაინახეს მამაკაცი. იგი თვალდახუჭული უკრავდა ჩელოზე, რომელიც ქვებით მოკირწყლულ მიწის ბორცვზე ჰქონდა მიყრდნობილი... შავი, ხუჭუჭი წვერით დაფარულ სახეზე ღარები ემჩნეოდა, რომლებიც, ვერ გაიგებდით, სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა. არეული თმა შუბლზე ჩამოშლოდა და ფერმკრთალ ლოყებს უჩრდილავდა.

მოგზაურებმა იკითხეს:

„ყოველთვის აქ უკრავს“?

„და ეს მიწის გროვა რა არის“?

ბელადმა უპასუხა:

„აქ უკრავს, თავისი ცოლის თავთან“...

„ცოლიც ჰყავდა“?

„ჰყავდა და მოუკვდა“.

სიჩუმემ დაისადგურა.

,,წავიდეთ! სოფელში რომ დაბრუნდება, გავიგებთ“...

მაგრამ მეორე დილით დაბრუნებულმა მამაკაცმა თავისი ცხოვრების შესახებ მათ თითქმის არაფერი უამბო.

„გემის კატასტროფის შემდეგ აქ მოვხვდი, ჩემი ცოლიც აქ გარდაიცვალა და სხვაგან არსად წასვლა აღარ ვინდომე“,– მიუგო უცნობმა მამაკაცმა.

რადგანაც იძულებულნი იყვნენ გზა გაეგრძელებინათ, მოგზაურებმა დატოვეს ეს უცნაური განდეგილი. თითოეულმა მათგანმა სხვადასხვა რამ ჩაინიშნა თავის ბლოკნოტში, მაგრამ არც ერთი ჩანაწერი ამ ადამიანის რეალურ ისტორიას ოდნავადაც არ ესადაგებოდა.

II

კაცის თავგადასავალი

ხმელთაშუაზღვისპირა ქალაქში ცხოვრობდა ერთი ყმაწვილი. მასთან შეხვედრისას ქალები მორცხვად თავებს ხრიდნენ, რადგან ყმაწვილი ამ ქალების სიზმრების ხშირი სტუმარი გახლდათ. მისი კვერნის ბუმბულივით რბილი, წაბლისფერი ულვაშები გოგონების პაწაწინა გულებს დაუსუსხავს არ ტოვებდა.

მაგრამ იყო რაღაც უფრო ძვირფასი, ვიდრე ამ ყმაწვილის ტალღოვანი თმა, ლაჟვარდისფერი თვალები და აღმოსავლური მათრახივით მოქნილი სხეული. ეს იყო მისი მშვენიერი საცოლე.

ამ გოგონაზე ერთ დროს მთელი ქალაქის ყმაწვილები ოცნებობდნენ. ახლა იგი მათ მხოლოდ დაძმური სიყვარულით უყურებდა.ყმაწვილებმა იცოდნენ, რომ გოგონას აღმოსავლური მოვარდისფრო ელფერით შემკული ბაგეები უკვე სხვას ეკუთვნოდა, მისი ყავისფერი თვალები, რომელთა ამოკითხვაც შეუძლებელი იყო, მხოლოდ ერთი ადამიანის წინაშე ციმციმებდა.

ეს გოგონა ამავდროულად ქალაქში ყველაზე უკეთ უკრავდა ჩელოზე.

როდესაც სკამზე ჩამოჯდებოდა, ცალ ფეხს უკან გასწევდა, სავსე მკერდით ინსტრუმენტს მიებჯინებოდა, ისეთ ჰანგებს გამოსცემდა, რომ ქვეყნის მოხუც და გამოცდილ მუსიკოსებსაც კი აიძულებდა, თავი უკან გადაეგდოთ და თვალებზე ცრემლი შეეშრალებინათ.

გოგონა, როცა თავის საქმროსთან ერთად არ იყო, მხოლოდ ჩელოს ესაუბრებოდა და მას ათქმევინებდა იმას, რისი გაგონებაც საქმროსგან სურდა.

მაგრამ ონავარმა ყმაწვილმა ეს არ იცოდა და ეჭვიანობდა, რადგან ეგონა, რომ მის საცოლეს ჩელოც ისევე უყვრდა, როგორც ის.

და ერთ მშვენიერ დღეს საცოლეს უთხრა:

„ოჰ, ჩემო საყვარელო, მხოლოდ შენი ნატიფი სხეულით, აბრეშუმის თმებით, დაბინდული ვარდისფერი ტუჩებითკია რა, არამედ მთელი არსებით მინდა მარტო მე მეკუთვნოდე. თავი დაანებე ჩელოს, მხოლოდ მე მომისმინე და ეცადე, მხოლოდ ჩემი გულის თრთოლვა გაიგონო.“

როგორი ეგოისტი სიყვარული!

გოგონამ უპასუხა:

,,საყვარელო, რადგანაც შენ არ გინდა, ჩელოზე ამიერიდან აღარ დავუკრავ... მის ჰანგებს მხოლოდ-შენს სიტყვებში მოვძებნი“.

მაგრამ გოგონას თვალებში საოცარი სევდა იკითხებოდა, სევდა შვლის ნუკრისა, რომელიც პატრონის გამოტოვებს იმ ტყეს, სადაც ცხოვრობდა. ხელოვნება, ღვთაებრივი ხელოვნება სიყვარულმა დაამარცხა.

– და მაინც, როგორი ყოვლისშემძლეა სიყვარული!

„მაშინ, საყვარელო“,– მიუგო გოგონამ და ამას რომ ეუბნებოდა, საჭრფოს მისი ხელები მუჭში ჰქონდა მომწყვდეული.

,,უეჭველია, ერთ დღეს მოვხუცდებით და სიკვდილი წაგვიყვანს. თუ ის ჯერ ჩემთან მოვა, იცოდე, ჩემი ერთადერთი სურვილია, ბოლო წუთები ჩელოს მოსმენაში გავატარო, მპირდები, რომ ამას შემისრულებ?“

,,დიახ, თუ წილად მერგო სასჯელი, რომ უშენოდ მომიწიოს ცხოვრება, ვფიცავ შენს წაბლისფერ თვალებს, რომ შენს სასთუმალთან საუკეთესო მუსიკოსს ულამაზეს კომპოზიციას დავაკვრევინებ“,– მიუგო ბიჭმა.

ამის შემდეგ თავები უკან გადასწიეს და იმისთვის, რომ განემტკიცებინათ თავიანთი პირობა, ერთმანეთის ბაგეებს დაეწაფნენ.

* * *

სამწუხაროდ, ბედისწერა ნაკლებად ანებივრებს ადამიანებს. ამ ახალგაზრდებმა, რომელთაც ეგონათ, რომ მხოლოდ ღიმილისა და სიყვარულისთვის იყვნენ შექმნილნი, მალე იგემეს ბედისწერის მწარე სილა.

ისინი დაქორწინდნენ, ერთმანეთის გახდნენ, ბედნიერები იყვნენ, არ ისურვეს თავიანთი ბედნიერების

მხოლოდ ერთ ადგილზე გამოკეტვა. იმისთვის,რომ თავიანთი სიხარული ყველასათვის ეჩვენებინათ,ერთ მშვენიერ დღეს ქალაქის ნავსადგურში მდგარ ერთ-ერთ გემში ჩასხდნენ და სამოგზაუროდ გაეშურნენ.

ეჩვენებოდათ, რომ ყოველივე ის, რასაც მოგზაურობისას ხედავდნენ, მათი გაბედნიერებისთვის იყო შექმნილი. ზღვა მათ სიყვარულის ზღაპარს, ხოლო ტყეები კი ერთგულების ამბავს უამბობდნენ.

განსაკუთრებით ზღვის გაშლილი სივრცე უყვარდათ. ზღვა ზოგ ადგილას ყმაწვილის თვალებივით ლაჟვარდისფერი, ზოგ ადგილას კი ორივეს გულივით ნათელი და გამჭვირვალე იყო და ტალღებში ჩახვეული ქაფი კი ზღვის თავზე მოფრთხიალე თეთრ ჩიტებს ჰგავდა.

მაგრამ ერთ დღეს ჰორიზონტი ჩამობნელდა, ატყდა ქარიშხალი, ისეთი ქარიშხალი, რომლის წარმოდგენაც მხოლოდ წარმოსახვაში შეუძლია ადამიანს.

როდესაც გემის კარკასიაჭრიალდა,ისინი ერთმანეთს ჩაეხუტნენ და თვალები დახუჭეს...

თვალები მხოლოდ მეორე დღეს გაახილეს და დაინახეს,რომ სანაპიროს ქვიშაზე იწვნენ,გარშემო კი შავკანიანები შეკრებილიყვნენ, რომლებიც ველური ბალახებით ცდილობდნენ გადარჩენილების განკურნებას.

და შორს, კლდეებზე შერჩენილი გემის ნამსხვრევების გარდა, სხვა სულიერი არ ჭაჭანებდა.

წყვილი დასახლდა შავკანიანთა სოფელში, რომელიც ნაპირიდან საკმაოდ მოშორებით მდებარეობდა. აქ რამდენიმე თვის ცხოვრების შემდეგ დაიწყეს ადგილობრივების ენის შესწავლა, რის შედეგადაც გაიგეს,რომ ეს იყო აფრიკის ერთ-ერთი უკაცრიელი ადგილი,სადაც 18 წლის განმავლობაში თეთრკანიანს ფეხი არ დაედგა.

დროდადრო სანაპიროზე სათევზაოდ მიმავალმა აბორიგენებმა არაერთხელ გაუმეორეს,რომ ამ ზღვაში დღემდე შორიდანაც კი არავის უნახავს გემი. წყვილი მიხვდა, რომ სხვა არაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ მადლობელი ყოფილიყვნენ ბედისა თუ შემთხვევისა. იმიტომ,რომ ქარიშხლისგან ნაპირზე გამორიყულებს, აქ ადგილობრივები დახვდათ, რომლებმაც მათ სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

მაშინ კაცმა უთხრა ქალს:

,,ვინაიდან ჩვენ ერთად ვართ და ერთმანეთი ძალიან გვიყვარს, რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიცხოვრებთ, ჩვენი ბედნიერება ამან არ უნდა დაარღვიოს''!

მაგრამ ქალი ავად იყო...

III

დიახ, ქალი ავად იყო. დღითიდღე დნებოდა, ყვითლდებოდა. ხომ ხდება,როდესაც ხეს სხვა ადგილას გადარგავ, როგორი კარგი მებაღის ხელშიც არ უნდა ჩავარდეს, მაინც ვერ ხარობს. ასე იყო ახალგაზრდა ქალიც. მიუხედავად იმისა, რომ კაცი ძალ-ღონეს არ იშურებდა,ყველა ხერხს მიმართავდა, საბოლოოდ მიხვდა, რომ ვერაფერს გახდებოდა.

სურნელოვან ხეივანში,ანკარა წყლის ნაპირზე ასეირნებდა. ღამღამობით მთვარის კაშკაშა შუქის ქვეშ,რომელსაც მხოლოდ აფრიკაში თუ ნახავდით, ქალის ნიჟარასავით სადაფისფერ ყურებს ელამუნებოდა ვაჟის სიმღერები,რომლებიც ქალს ლამაზსა და ტკბილ ცხოვრებას უხატავდა. ეს სიმღერები მას სიცოცხლეს უხალისებდა. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ქალს ერთი წლის სიცოცხლეც არ დარჩენოდა.

ყმაწვილი ფიქრობდა, ამ მოკლე დროში როგორ გაებედნიერებინა სატრფო და უეცრად ჩელო გაახსენდა. ქალს ინსტრუმენტი რომ ჰქონოდა, იქნებ ასე აღარ მოეწყინა.

თავდაუზოგავი შრომის შემდეგ, ერთ დღესაც მაუნის ხისგან დამზადებული ჩელო მოუტანა და უთხრა:

,,ჩემო საყვარელო, ჩვენი ცხოვრება მარტოობაში გადის, ნახე, კიდევ ერთი მეგობარი მოგიყვანე. რომ იცოდე, რა უბედური ვარ იმის გამო, რომ ერთ დროს ამაზე დაკვრა აგიკრძალე''.

შემდეგ გაჭირვებით ესეც ამოილუღლუღა:

,,გთხოვ, მეც მასწავლე''.

ჩამავალი მზის შუქზე გამოჩნდა, როგორ შეუფაკლდა ქალს ფერმკრთალ სახეზე ღაწვები. მან ათრთოლებული ბაგეებით მიუგო:

,,მე მოვკვდები, ჩემს სასთუმალთან ჩელოს დაუკრავ და პირობას შეასრულებ''.

* * *

სწავლის დაწყებიდან მოკლე ხანში ჭაბუკს უკვე შეეძლო პატარა ნაწარმოებების დაკვრა. ქალი ცხოველის ტყავზე დაწერილ ნოტებზე ავარჯიშებდა და ვაჟიც უღრან ტყეში საათობით მეცადინეობდა.

ჭაბუკი ნასწავლ მონაკვეთებს საღამოობით უკრავდა, ხოლო როდესაც ქალის შექებას დაიმსახურებდა, გული სიხარულით ევსებოდა.

ზოგჯერ ქალიც უკრავდა და ამ დროს ამ უფორმო ინსტრუმენტს,ცხენის ძუისგან გაკეთებულ მშვილდს, სხვა სამყაროს ხმები მოჰქონდა ჭაბუკის ყურამდე და იქიდან კი მის სულში აღწევდა. ერთ დღესაც ქალმა დაუკრა კომპოზიცია,რომლის დასრულების შემდეგ ამ ჰანგებმა უხილავი ფესვები გაიდგა მამაკაცის გულში. ქალმა უთხრა:

,ეს შემოდგომის სიმღერაა. სიკვდილის პირას რომ ვიქნები, გთხოვ,ეს ნაწარმოები დაუკრა''.

კაცმა სთხოვა:

,,მომეცი, ვიმეცადინებ''.

,,არა,ამას მაშინ მოგცემ,როდესაც ბოლო დღის მოახლოებას ვიგრძნობ''.

ეს უთხრა და სხვა ნოტები გაუწოდა.

ზოგჯერ სევდით გახანგრძლივებული,ზოგჯერ კი მოჩვენებითი სიხარულით შემოკლებული დღეები ძალიან სწრაფად გავიდა. ქალი ისე ჩამოდნა, რომ ფეხზეც კი ვეღარ დგებოდა. კაცი ამჩნევდა, რომ ქალის თვალების ჩაშავებულ კუთხეებსა და გაფითრებულ ტუჩებში სიკვდილი ჩასახლებულიყო.

დიახ, ალბათ ორი-სამი დღის სიცოცხლეღა დარჩენოდა,მაგრამ ,,შემოდგომის სიმღერას'' მაინც არ ასწავლიდა.

იმ ტყავების არჩევისას,რომლებზედაც ნოტები

ეწერა, ქალს რამდენჯერმე ხელში მოხვდა ეს კომპოზიცია, მაგრამ სატრფოს მაინც არ აძლევდა. როგორც ჩანს, ვერ ამჩნევდა, აგრერიგად მოახლოებულ სიკვდილს.

ყმაწვილს ეშინოდა, რომ ქალს ბოლო სურვილს ვერ შეუსრულებდა. უეცრად რომ მომკვდარიყო, ჭაბუკი ამ სიმღერას ვეღარ დაუკრავდა. ამის გამო მკერდის ზემოთ გამუდმებით გრძნობდა უცხო სხეულს, რომლის ჩხვლეტაც სიცოცხლეს უმწარებდა.

ნოტების თხოვნა არ შეიძლებოდა. ამით ცხადი გახდებოდა ავადმყოფისთვის, რომ სიცოცხლე დასასრულს უახლოვდებოდა. მაშინ როდესაც ჭაბუკის ერთადერთი სურვილი იყო, ქალს სიცოცხლის დარჩენილი დღეები მშვიდად გაეტარებინა, ამას როგორ იზამდა?

ბოლოს, როდესაც ქალმა კიდევ ერთხელ გაუწოდა სხვა ნოტები, უეცრად თავი მამაკაცის მკერდზე ჩამოუვარდა, გონება დაკარგა... კაცი გაიქცა, თიხის თასიდან წყალი აპკურა, ქალმა თვალები გაახილა თუ არა თივისგან გაკეთებული ბალიშის ქვეშიდან „შემოდგომის სიმღერის“ ნოტები გამოიღო და უთხრა:

„აიღე და სწრაფად ისწავლე, მეშინია, რომ ცოტა დრო დამრჩა“.

კაცი უღრან ტყეში გაიქცა, ნოტები ბაობაბის ხეს მიამაგრა და სწავლას შეუდგა.

დრო გავიდა, მოსაღამოვდა. ჩელოთი და ნოტებით ქოხისკენ მომავალი მამაკაცი ტიროდა, გულში გაუყუჩებელ ტკივილს გრძნობდა. „და თუ მოკვდა, თუ ვერ მივუსწარი“... ეს ფიქრები არ ასვენებდა.

ქოხში რომ შევიდა, დაინახა საწოლზე მწოლარე ახალგაზრდა ქალი, რომელიც ჩამქრალი მზერით კარს მიშტერებოდა და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. მას ელოდა. ქალმა ხელი გაუწოდა...

ხელი ჩასჭიდა და კაცმა ჩასჭიდა და დაუკოცნა. წვერზე ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები. ქალმა თვალები ისევ დახუჭა.

ქალი უკვე გარდაცვლილიყო.

კაცმა ეს იგრძნო.

ამ დროს გაშმაგებულმა ხელში აიტაცა ჩელო და დაკვრა დაიწყო, უნდოდა „შემოდგომის სიმღერა“ საყვარლისთვის გაეგონებინა.

ყურადღებით დააჩერდა, ეგონა, ქალი თვალებს გაახელსო... არა, არ ახელდა.

სასოწარკვეთილმა, რომ სატრფოს უკანასკნელი სურვილი ვერ შეუსრულა, უფრო ძლიერად ჩაიჭირა ინსტრუმენტი და მონდომებით აათამაშა თითები. გახელებით უკრავდა, უნდოდა მოესწრო და ამ ჰანგებს სატრფოს სულამდე მიეღწია, სულამდე, რომელიც ეგონა, რომ ჯერ კიდევ ქოხის გარშემო ტრიალებდა.

თვალებით საწოლზე გაღიმებული სახით მწოლარე ცხედარს დასჩერებოდა, უნდოდა ეთქვა: „არ გესმის? შეხედე! როგორი სიყვარულით ვუკრავ, რა ლამაზად ვუკრავ, არ გესმის“?

ამ დღემდე ჩელოს მელოდიები ველურებს არ აინტერესებდათ. მაგრამ ახლა ამ სიმღერამ, ამ კომპოზიციამ, რომელიც ჩელოს სიმების საშუალებით ჭაბუკის ტანჯული გულიდან იღვრებოდა, ისინი გააოცა; მათ გაყინულ გრძნობებამდე ჩააღწია და ყველა სირბილით ქოხის ირგვლივ შეკრიბა.

ახლა ერთმანეთის გვერდით მწყობრად მდგარი შავკანიანები, რომლებიც ქოხიდან გადმოღვრილ მელოდიას უსმენდნენ, შავი ყურძნის მტევნებს ჩამოჰგავდნენ. პატარა ბავშვებიც კი დუმდნენ და დედის კალთას ჩაჰკვროდნენ. ველურები ტიროდნენ. დიახ, ეს სასწაული იყო, ყველა ტიროდა. ქოხის წინა მხარე აფუთფუთებული ფუტკრის სკას ჰგავდა.

ყმაწვილი ჩელოზე მანამ უკრავდა, სანამ მიწაზე უგონოდ არ დაეცა.

ორი დღის შემდეგ, როდესაც გამოფხიზლდა, აბორიგენებმა წაიყვანეს ტყეში, ხის ქვეშ, იმ ადგილას, სადაც აქამდე უკრავდა ჩელოზე.

აქ ახალი საფლავი იყო.

და აი, ეს ყმაწვილი, წლებია, სატრფოს თავთან უკრავს ჩელოზე, რათა ცოლის სულს გააგონოს ის მელოდია, რომელიც მან სიცოცხლეში ვერ მოასმენინა.

თურქულიდან თარგმნეს
ნანა კაჭარავამ და მონიკა ნაჭყებიამ

ანა ახმატოვა

რუსულიდან თარგმნა ნინო ქუთათელაძემ

რექვიემი

წინასიტყვაობის მაგიერ

არასოდეს მწვავდა უცხო ზეცის ალხი,
და არც სხვისი ხელით მიგლეჯია ნარი,
იქ ვიყავი, სადაც იყო ჩემი ხალხი,
მეც ვიგემე უცხო შემობერვა ქარის.

1961

ეჟოვშჩინის საშინელ წლებში მე ჩვიდმეტი თვე ლენინგრადის ციხეებთან, რიგებში, გავატარე. ერთხელ ვიღაცამ შემიცნო. ეს იყო ქალი, რომელსაც ტუჩები გალურჯებოდა. ის ჩემს შემდეგ იდგა რიგში და, რა თქმა უნდა, არასდროს სმენოდა ჩემი სახელი. ქალი უცებ გამოერკვა ჩვენთვის, ყველასთვის, ჩვეული გაშეშებიდან და ყურში ჩამჩურჩულა (იქ ყველა ჩუჩულით ლაპარაკობდა):

— თქვენ შეგიძლიათ ეს აღწეროთ?

და მე ვუპასუხე: შ ე მ ი ძ ლ ი ა.

აი, მაშინ რაღაც ღიმილის მსგავსი გაკრთა იმაზე, რაც ოდესღაც მის სახეს წარმოადგენდა.

1957 წლის 1 აპრილი. პიტერი.

მიძღვნა

მთებსაც წელში ხრის ასეთი ზარი,
დედა მდინარეც საწოლში ბორგავს,
ციხის გისოსებს ვერ ლეწავს ქარი.
ის — „კატორღული ბუნაგი“ — თავის
წყეულ სიმშვიდეს აწყდება როცა.
ვიღაცა ნიავს მიუშვერს სახეს,
ვიღაც მზის ჩასვლას ეალერსება,
აქ კი გულს ბზარავს ნაბიჯთა ჩქამი
და გასაღებთა ჩხრიალმა ლამის
თავს დაგვაქციოს ცა და ხმელეთი.
რიბირაბოზე გასულებს გარეთ
გვხვდება უცხო და თან მშობლიური
ქალაქი, ნევა, რომელიც მწარედ,
მორჩილად ხრიდა ნისლიან თვალებს
შორი იმედით გარემოსილი.
განაჩენი... და ცრემლების ღვარი...
დგახარ და მოთქვამ განცალკევებით,
თითქოს მკერდიდან გულს გგლეჯდნენ ძალით,
თითქოს დაგამხეს, გაგაძრეს ტყავი,
მაინც მიდიხარ... მიეხეტები...
დამწყვდეულები სად სხედან ახლა,
მეგობრები იმ უმწარეს დღეთა?
როგორ უძლებენ ციმბირულ ავდარს?
ვემშვიდობები და მტანჯავს განცდა,
რით იურვებენ გარდასულს, ნეტავ?

მარტი, 1940

შესავალი

ეს იყო მაშინ, როს იღიმოდი,
სიმშვიდე მხოლოდ გვამებს ახარებთ...
ციხისკენ ხალხი წყნარად დიოდა
და ლენინგრადმაც თავი დახარა.
და როცა ტანჯვით გაწამებული
მსჯავრდებულ შვილთა პოლკს მიჰყვა პოლკი,
მატარებელი გამალებულად
განშორებისას მღეროდა ოხვრას.
ემსგავსებოდა რუსეთი შეშლილს,
კრთოდა ვარსკვლავი სიკვდილის მაღლით,
მიწას განრთხმული სისხლიან ჩექმით
იკრუნჩხებოდა უბრალო ხალხი.

1.

მიჰყავდი, ჯერ არ იყო ნათელი,
მეც თითქოს კუბოს მივდევდი შენსას,
მოგყევ, ტიროდნენ სადღაც ბავშვები,
იღვენთებოდა სანთელი კენტად.
ოფლის წვეთებმა შუბლი დაცვარა,
ბაგეს ხატისებრ სიცივე კვეთავს...
ვით დაგივიწყო?! — სხვა ცოლთა დარად
ყმუილს მოვყვები კრემლის კედელთან.

2.

წყნარი დონი კი წყნარად დიოდა,
ყვითელი მთვარე სარკმელში ჭვრეტდა,
აჩრდილი ჩუმი შემოდიოდა
და ყვითელ ზაფრას აფრქვევდა ყველგან.
ქალი იწვა და თავშლად იხვევდა
სიმარტოვის დარდს — სნეული ერთი —
ქმარი — საფლავში, შვილი — ციხეში...
ილოცეთ, ილოცეთ, ილოცეთ ჩემთვის.

3.

არა, მე არა — სხვა იტანჯება,
ვერ გავუძლებდი მე ასეთ ტანჯვას! —
ჩამოაფარეთ შავი ფარდები,
და გაიტანეთ ფარნები სადღაც.

4.

ნეტავ განახა, გოგოს ნებიერს,
ცარსკოე სელოს ხალისს და ნეტარს,
თან მაცდურს... ნეტავ გაგაგებინა,
რა დაემართა ცხოვრებას შენსას —
შენ მესამასე იდექი რიგში,
ბადრაგს, ხიშტებს და სევდას შორის,

თან ცხარე ცრემლებს ღვრიდი და ღვრიდი,
რომ სიყვარულით გაგედნო თოვლი;
ახალ წლის ღამეს გეცქირა ობლად
ვით კანკალებდა ციხესთან ალვა,
უბრალო ხალხის სიკვდილის ოხვრა
როგორ გართმევდა სიცოცხლის ძალას.

5.

გავყვირი ჩვიდმეტი თვეა,
გეძახი, დაბრუნდი სახლში,
ჩვიდმეტი თვეა ტყვეა
ჩემი განწირული ვაჟი.
არ დალაგდება ალბათ,
ვერ მოვიკრიბე აზრი,
რამდენ ხანს ველოდო ჯალათს,
ვინ არს მხეცი, ვინ – კაცი?
და მტვრიან ყვავილებს მხოლოდ
საკმევლის სუნი ასდით...
ალბათ დასრულდება ბოლოს,
კვალი კვალს გაჰყვება არსით.
ჩამყურებს ვარსკვლავი თვალში,
კაშკაშით აწყდება ღამეს,
ვით ბედისწერის არჩივს,
მიქადის დაღუპვის წამებს.

1939

6.

სწრაფად მიჰქრიან დღეები თითქოს,
ვერ გამიგია, ქვეყნად რა ხდება...
ციხეში ღამის ეულ ნათებას,
როგორ გაუძელ, ნეტავი, შვილო?!
ალბათ მიმინოს სპეტი თვალები
ისე გთანგავენ ნელი წვალებით,
ვით თეთრ ღამეთა ჩრდილი უჩრდილო
...თან მძიმე ჯვარი გაქვს სატარები.
თან გიქადიან სიკვდილს უცილოს.

1939

7. განაჩენი

ჯერ კიდევ ცოცხალ მკერდზე დამეცა
გაქვავებული და მძიმე სიტყვა.
როგორმე გავძლებ, აღარ ვიბღავლებ,
არაფერია, მე ხომ მზად ვიყავ.
საქმე ბევრი მაქვს, უნდა ვიჩქარო,
ბოლომდე ჩავკლა დღეები მქისე,
გავქვავდე, სიმწრით გამოვიდარო
და გავაგრძელო ცხოვრება ისევ.
ნუთუ ვერ შევძლებ... ზაფხულის სიცხე,
როს სარკმლებს მიღმა ელვარებს დაღლით...
დიდი ხანია, წინასწარ ვიგრძენ
ნათელი დღე და ეული სახლი.

1939, ზაფხული

8. სიკვდილისადმი

შენ დაბრუნდები, მოგელი რადგან,
თუმცა ძალიან ვდარდობ და მიჭირს.
გავაღე კარი, ჩავაქრე ლამპა,
მოხვალ – დაგხვდები მშვენიერს, ვიცი.
არა აქვს აზრი, რა სახით მოხვალ,
ხელში სამსალით, ბანდიტად, მალვით,
კაცად, ყუმბარად, ციმბირულ თოვად,
თუ დამატყდები თავს, როგორც ზვავი.
დაბრუნდი! – მინდა ცისფერ ქუდს მიღმა
სახლის რწმუნებულს შევავლო თვალი,
როგორ გაფითრდა, გამტკნარდა იმ წამს
და აკანკალდა შიშით და კრძალვით.
აწ სულერთია, ნისლის ალებით
თუ ენისეი გზას იკვლევს სოველს,
შეყვარებული შენი თვალების
ლურჯი ციმციმი დაფარავს ყოველს.

15 აგვისტო, 1939

სახლი ფანტანკაზე

9.

სანახევროდ დაიბინდა სული,
ფრთით დაფარა უაზრობამ განცდა,
ღვინო ცეცხლით მიკლავს შავ-ბნელ სურვილს
და შავ ველზე მიმაქანებს სადღაც.
და მე მივხვდი, რომ დავნებდე უნდა,
დავმორჩილდე, მოვუხარო თავი,
ჩემად ვსახო სხვისი ბოდვა თუნდაც
და არ მოვყვე მოთქმასა და ბღავილს.
ის არ მომცემს არაფერის ნებას,
წამიყვანს და გადამაგდებს ლაფში,
არ მომელის მისგან მცირე შევებაც,
არც თხოვნასა და მუდარას მაცლის:
არც დანახვას შვილის ცისფერ
თვალში,
ვით გაქვავდა განცდილი და დარდი,
არც საკანში შეხვედრისას, მართალს,
რომ ჩაუქრა გულში გზნება ხანძრის;
არც გაყინულ თითთა ჩუმი თრთოლა,
არც აჩრდილთა ბორიალი ნელი,
არც ბგერების შორეული თოვა,
არც თვალები თანაგრძნობით სველი.

1940

10.

ჯვარცმა

1.

ჟამს დიდება უთხრა ანგელოზთა ქორომ.
ზეცა დადნა ქარში ჯერარნახულ ცეცხლით.
მამას შეჰღაღადა: „რისთვის მიმატოვე“!
დედას შემოჰხედა: „ნუ მიტირებ, დედი“...

2.

მაგდალენას მოთქმამ ზეცას კარი შეხსნა,
მოწაფე კი მისი ჰგავდა გამხმარ კედარს,
და მის იქით – ბინდში, სადაც იდგა დედა,
თვალის გაპარება ვერვინ ვერ გაბედა.

1940-1943

ეპილოგი

1.

მე მივხვდი ახლა, ვით ჭკნება სახე
და იტვიფრება წარბებს ქვეშ შიში,
როგორ აჩნდება სიმკაცრე ღაწვებს
და თვალში ცრემლი ვით იწყებს ლიცლიცს;
როგორ აწყდება თოვლი დალალებს,
შავსა და ქერას ჭაღარით მოსავს,
ბაგესთან ღიმი გაიალალებს
და თითქოს კრუნჩხვით დასერავს ლოყას.
მე კი ვლოცულობ ჩემთვის და სხვისთვის
ზამთრის ყინვაში, ივლისის ხვატში
წითელ კედელთან მდგარი და ვიცი,
ლოცვა-ვედრება არ ესმის მაცილს.

2.

მოხსენიების კვლავ მოდგა ჟამი,
მე თქვენ შეგიგრძნობთ და ვსუნთქავ ამით,
მესმის თქვენი ხმა, ვგრძნობ სიახლოვეს,
ვინც დაივიწყეს და მიატოვეს,
ვხედავ ქალს ლამაზს, კეკლუცს და სათნოს,
„ეს უკვე ჩემი სახლია“, – ამბობს.
მსურს მოგიხსენოთ ყველა სახელით,
ნუსხა წამართვეს, ვერ გასახელებთ...
მინდა, მოვქსოვო სუდარა თეთრი
მათი სიტყვებით – აშკარად ვერთქმის,
მემახსოვრებით, რაც გავა ხანი,
ახალ განსაცდელს თუ შევხვდი მაინც;
თუნდა ამიკრან სახვევით პირი,
რომლითაც ხალხი მოთქვამს და კივის,
თუნდაც ჩემს ხსოვნას მიაგდონ ლოდი,
თუნდ მომიხსენონ ავად და გმობით,
თუნდ ჩემს მამულში დამიდგან ძეგლი,
ოღონდ აღმითქვან პირობა ერთი –
ძეგლი არ იყოს ზღვის პირას, სადაც
მე დავიბადე... ზღვა მოჰგავს ზღაპარს;
ცარსკოე სელოს ნუ დადგამთ კუნძთან,
სადაც დაეძებს სული სულს მუდამ...
აქ დადგით, სადაც ვიდექი დიდხანს
და არ მიღებდნენ დაგმანულ ჭიშკარს...
რადგანაც მინდა მარად მახსოვდეს,
არ დამავიწყდეს აღარასოდეს –
ვით მარუსიას* ღმუდნენ თვლები
კარის დახურვა, ვით მსხვრევა ძვლების
ყურს ჩამესმოდა... და კიდევ ქალი,
თოვლს რომ ადნობდა ცრემლებით ცხარით...
ცას აწყდებოდა მტრედიც კი კდემით,
მისრიალებდა ნევაზე გემი.

1940, მარტი

*** მარუსია** – ასე უწოდებდნენ საბრძოლო ჯავშან-მანქანას.

პოეზია

ედუარდ უგულავა



თემურ ჩალაბაშვილს

ეს არ არის მხოლოდ სევდა,
გულს სიმძიმე აწევს ლოდის...
რა ლამაზად იცხოვრე და
რა კეთილად იღიმოდი.
მზე მოხატულ ცარგვალს გასცდა,
შეეფარა ფიქრის სურებს...
ამ ბოლო დროს, ფანჯარასთან
დგას გეტა და გზას გაჰყურებს.
ან ახალი მე რა გითხრა,
ფიროსმანის დოსტის დარო,
შენ ქართველი პოეტი ხარ,
მამავ, ძმავ და მეგობარო!..
სულ სხვა მადლი ჰქონდა შენს სულს
და ღამეებს, შემკრთალს თეთრად,
ღვინოს, შენთან ერთად შესმულს,
პურს, გატეხილს შენთან ერთად.
პოეზიის აშლილ შამბში
მოასვენე ძვლები ლომმა.
წევხარ ახლა იმ მიწაში,
სამშობლომ რომ მოგიზომა.
დრო მკაცრია, მიდის სწრაფად,
რომ წარსული გადათელოს.
შენ კი მალე, უფრო მძაფრად
ასტკივდები საქართველოს.
სისხლს მიდუღებს ძალა ლოცვის,
მკერდს, გადახსნილს, ვუშვერ ნიავს
და იმ მიწის ნაგლეჯს ვკოცნი,
სადაც მხრები გისვენია.

პოეტი - პოეტზე...



ჩემი ელგუჯა მარღია

ჩემი თაობის პოეტებში ელგუჯა მარღია გამორჩეული კალმის ოსტატია. რომც არ იცნობდე, ქუჩაში რომ შეხვდე, მიხვდები, რომ პოეტია... დიახ, ელგუჯა პოეტია არა მარტო ჰაბიტუსით, შეხედულათ, არამედ მთელი თავისი მსოფლმხვედველობით, არსით და ბუნებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საზოგადოებრივ მაუწყებელზე ერთ დროს ერთად მოგვიწია მუშაობამ, ელგუჯას გაცილებით ადრე ვიცნობდი. ჯერ კიდევ იმ საშინელ არეულ 90-იან წლებში დადიოდა ეს ახოვანი, ლამაზი, წვერმოშვებული კაცი და თავისებურ კაცურ-ქართულ ხიბლს დაატარებდა. მახსოვს ერთხელ, მეტროს ერთ-ერთ ამოსასვლელში ტაქსის მძღოლს, რომელმაც ირეალური თანხა მოითხოვა, როგორ ჯიქურ და სამართლიანად ესაუბრებოდა. მთელი მძღოლები შემოიკრიბნენ ირგვლივ, წრე დაარტყეს, მაგრამ უკან არ დაიხია, პირიქით, უხსნიდა ყველას, რა იყო კაცობა და ადამიანებისადმი თანადგომა.

ელგუჯა ქართულ ლიტერატურაში ქუჩიდან არ მოსულა. უნივერსიტეტამდეც უკვე შემდგარი პოეტი იყო და უნივერსიტეტი მისი შემდეგი წარმატებების ტრამპლინად იქცა. ის იყო ერთ-ერთი აქტიური დამფუძნებელი და ავტორი იმ დროისთვის უკვე საკმაოდ პოპულარული ლიტერატურული ორდენისა... მას მოჰყვა ლიტერატურულ გაზეთების, ლიტ.ალმანახების რედაქტორობა და მისი მშვენიერი ლექსებით დახუნძლული პოეტური კრებულები...

დღეს ელგუჯა მარღია ქართული პოეზიის სათავეებთან დგას და ახალ-ახალი ორიგინალებით ამდიდრებს ჩვენს ლიტერატურულ მონაპოვარს, რისი ერთ-ერთი მაგალითიც ბოლოდრინდელი რობაიებია.

ელგუჯას მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. უბრალოდ მინდოდა მეგობარზე ორიოდე სიტყვა მეთქვა და, რაღა თქმა უნდა, მისი შემოქმედების ანალიზი არ ყოფილა ჩემი მიზანი... ხანდახან გვეზარება, კარგი სიტყვა გავიმეტოთ ერთმანეთისთვის, გვგონია, რომ არაა საჭირო... არადა ყველაზე მეტად მაინც ამის დეფიციტი გვაქვს...

„ანეული“ სიამოვნებით უთმობს ადგილს ჩვენი თაობის ერთ-ერთ საინტერესო შემოქმედს.

ჯუბა ღებელი

ROBAIEBI

ელგუჯა მარღია

თავდაუხრელის

აკაკი წერეთელმა, 1894 წელს საქართველოში ჩამოსულ იმპერატორ ნიკოლოზ მეორესთან შეხვედრაზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ „ჩემი სამშობლოს დამპყრობელს თავი როგორ დავუხაროო“...

1.
თავს არ უხრიან პოეტები იმპერატორებს,
რადგანაც სკიპტრა, ღირსებაზე ვერ იბატონებს...
ძალით ღირსებას დამპყრობელიც ვეღარ
ნაგართმევს, —
თუკი მას ნებით არ დათმობ და არ მიატოვებ...

2.
„ნააძრახ სიცოცხლეს, სიკვდილი სჯობს, უფლის
ნაშობო, —
სახელოვანი“... სიტყვაც-საქმეს არ დააშორო...
ხდება, მიწა-წყალს, ღირსეულნი ეწირებიან, —
ხოლო უღირსებს სანავარდოდ რჩებათ სამშობლო!..

შოთა რუსთაველის

„რუსთაველ! ყოვლის ზეციურის მადლით
გაბრწყინებულო“!
ალექსანდრე ორბელიანი

(რომში, ვილა ბორგეზეს ბაღში, ბიუსტის ხილვის შთაბეჭდილებით...)

პეტრარკამ, ტასომ გვირგვინები უნდა დაყარონ,
ყოვლის უხილავ შემოქმედთან მზეწილნაყარო...
სამშობლოსავით პატარაა შენი ბიუსტი, —
სამყაროსავით უსამანო — შენი სამყარო...

თიხის და მგზავრის

ვინა ხარ, მგზავრო, წუთისოფლის, თუ იცი, ვინ ხარ?
— ნაწვიმარ გზაზე ნაცრისფერმა სიჩუმემ მკითხა:
უცებ ბავშვივით მომიცურდა ტალახზე ფეხი, —
მოკვდავის ხვედრი შემახსენა, მოწყალე თიხამ...

ჩიტისა და დოქის

მითხარი, დოქში რა გინდოდა, პატარა ჩიტო,
აქ ნახე ბუდე, გიპოვნია ნანატრი სითბოც...
იქნებ სული ხარ, გულალალი ძველი მეთუნის, —
ვინც თიხის მადლი უკვდავყო და თიხაა თვითონ...

დედამიწის

დედა დავარქვით. დედასავით გვზრდის და ტრიალებს,
მაგრამ არ გვიყვარს ორგულ შვილებს — ადამიანებს...
და იმ ერთადერთს არ ვპატრონობთ, არ
ვუფრთხილდებით,
რაც გვაცოცხლებს და საფლავითაც გვაერთიანებს.

გაუცნობიერებელი ბედნიერების

მომნუსხველია, ბურიანში, საღამოისხანს,
ცა-მოღადღადე, ვარსკვლავებს რომ უხვად
მოისხამს...
იქნებ მაშინ ხარ ბედნიერი, ადამიანი, –
როცა არ იცი, ბედნიერი მაინც როდის ხარ...

აღმოცენების რობაი

სანამ აქა ვართ, ჩვენში უნდა ვპოვოთ ედემი,
გულში სიკეთის ღუღუნებდნენ მუდამ მტრედები...
ბოლოს მიწაში უფლისაგან დათესილები, –
უფალმა იცის, ცაში როგორ აღმოვცენდებით...

სიკეთის

პატარა ჩიტი გულმოდგინედ ბუდეს იკეთებს
ფიქრიც ბუდეა, მე რომ თავი გამოვიკეტე...
კაცობრიობის თავაშვებულ უბედურებას, –
ჟამის კლანჭიდან გამოვსტაცო ლექსი – სიკეთე..

შეხმიანების

როგორ ცხოვრობ, ჩემო სამშობლოვ, ასე მზიანო – და ასე გულჩაღამებულო! (ხოსე ლოპეს პაჩეკო)

ველარ ვისწავლეთ შეცდომებზე სხვა გაკვეთილიც
ვერ შევითვისეთ ვერ ამარცხებს ბოროტს –
კეთილი...
ასე მზიანი და ასე გულჩაღამებული, –
მტკივა სამშობლო, შენი ძველი ესპანეთივით...

ქოლგას შეფარებულთა

ხანდახან წვიმაც აჩენს სახეს სიავკაცობის,
სხვა რამ მაშინებს და მადარდებს, ვიდრე
ღვარცოფი...
დიდი ქოლგის ქვეშ შეყუჟულან გადამთიელნი, -
ერთი ქართველიც აღარა ჩანს – სისხლით
ნაცნობი...

სევდის

გოდერძი ჩოხელის შესანდობარი

თავსაც და ცოდვილ სამყაროსაც ვატყობ
ცვლილებას,
ნახავ სიცხადით, რაც მეტი გაქვს გამოცდილება
შრება მდინარე ცხრება მნათი და მთვარესავით,–
ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდაც ილევა...

გაზაფხულის

მანანას...

როდესაც გიყვარს, ველარ ახსნი, რა გემართება,
გულში შემოდის გაზაფხული, როგორც ნათება;
ყოჩივარდები დავკრიფე და ვიჩქარი შენკენ, –
თითქოსდა პირველ პაემანზე მაგვიანდება.

ქრისტიანობისთვის წამებული აჭარის

ჯვარცმული არის მარადიდი, ჩაქვი, მერისი,
ეწამა ერის სასოება-გადარჩენისთვის...
ვერ დააჩოქა სახრჩობელამ და თავსაკვეთმაც,–
თავგანწირვაში არის ჩვენი ხსნაც და მერმისიც

მადლის

ვიარე ტყისპირ, ამერია განა გზაკვალი,
მტაცებდა მზერას, ბურიანის მზე და ცარგვალი...
ყოველდღიურად ქვაზე დავდოთ მცირედი მადლი,–
აგვისტოა და ბავშვებისთვის მომაქვს მაყვალი...

გადარჩენილი ჩიტის

ლოცულობს ჩემთვის ერთი ჩიტი და ეს მამშვიდებს,
შემსკდარი მინას სითბოში რომ დავსვი მაშინვე...
ფრთაჭრელო ჩიტო, განა მხოლოდ შენღა გიშველე?
.....
მე შენში ჩემი უმწეობაც გადავარჩინე....

გადარჩენილი ჯვრის

ამ ტაძრის ნანგრევს, რა ხანია, მარტოკა სტუმრობ,
ახლაც აქ დგახარ, სავანეში, იყუჩე სულო!..
დრო-ჟამმა ტაძარს თუმც დაატყო მსახვრალი
ხელი, –
მაგრამ ჯვარს მაინც ვერ ერევა ხავსი და სურო...

სილამაზის

გაზაფხულის მახარობლად მომევლინე, ჩემო ტიტავ,
ამოენთე იაგუნდად, ამობრწყინდი მარგალიტად...
სამყაროში ყვავილივით ფერმკრთალდება
სილამაზეც, –
მაგრამ ცოცხლობს საუკუნოდ –- ღვთაებრივი
სერაფიტა..

,,ქრისტეს ცრემლების"

ტყისპირ აყვავდა უნაზესი ,,ქრისტეს ცრემლები"
შენაც, ყვავილო, ჟამისაგან მოიცელები...
მინც რა არის ეს უკვდავი ძალა სიცოცხლის,–
ძალა – მარადჟამს განახლება-აღმოცენების...

ნინო უძილაური

მზე ილიასი

გაანათა საქართველო,
მზემ, ილიას გულიდან,
ამოხეთქა სიყვარულმა,
ზეციერის უბიდან,
მხოლოდ ერთი სხივი იწვა,
დედამიწის გულ-მკერდზე
და იმ ერთი სხივით წერდა,
სულნათელი ჩვენს ერზე.

უკვდავებამ აქ დახატა,
სიყვარულის პორტრეტი,
საქართველომ აამღერა,
ვერნამღერი სონეტი,
განმეორდა საუკუნის,
დროდ ქცეული მისია,
ჯერ ზვარაკად შეწირული,
დღეს დიდების ღირსია.

მზე აენთო სატრფიალოდ,
მშობლიური ცისკარზე,
თან სხივები ათამაშა,
უღმერთობის მიჯნაზე,
კალამს ცრემლი დასდიოდა
და მგოსანთა ენაზე,
იქმნებოდა ბრძენი სიტყვა,
საქართველოს მიწაზე.

მთავრდება ის, რაც...

აჰა, მილულა ღამემ თვალები,
სცენა იხსნება სიზმრების ფერზე,
ცამ გადათვალა ვარსკვლავთ ხალები
და მთვარის სხივი მოირგო ყელზე.

გამეფდა ფიქრთა სიჩუმის ნოტა,
მაყურებელი პარტერში რჩება,
დრო გაილია, დარჩა სულ ცოტა,
მთავრდება ის. რაც ნელ-ნელა ქრება.

ა ფ ხ ა ზ ე თ ი

ა რაფერია იმაზე მწარე,
ფ ესვი მოგლიჯო მიწას გულიდან,
ხ ეს მოაცილო ფოთოლი, მწვანე,
ა ღარ გალობდეს ჩიტი ბუდიდან,
ზ ღვის ბინადარი გარიყო ნაპირს,
ე დემში ვარდი გახმეს კვირტშივე,
თ ბილ სახლში ღია დატოვო კარი,
ი დინოს ღვინომ ქვევრის ძირშივე....

ზღვას ახატია ღრუბელთა ჩერო,
ო, აფხაზეთო, ტკივილო ჩემო.

დედობის ზღუდე

გათენებულ დღეს ჰქვია სიცოცხლე,
ცხოვრება ღირდა სწორედ ამ დღისთვის,
ქვეყნად მე მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ,
მზეს ჩამოგიყვან შენი ბაღისთვის.

უსაზღვრო გრძნობამ უხილავ ფორმით,
ისევ ჩემს გულში აგიგო ბუდე,
მე ვლამაზდები შენ გვერდით დგომით
და მაძლიერებს დედობის ზღუდე.

გამიფერადე ეს სიყვარული,
ღიმილით ვითვლი წუთებს და წამებს,
როდესაც თვალებს დაფარავს რული,
ცრემლად შევრჩები მაგ შენ წამწამებს.

მიყვარს

მიყვარს სიცოცხლე
და მძულს სიკვდილი,
მიყვარს მეგობრის თბილი ღიმილი
და სიყვარულით ნასროლი მზერა,
ერთგულების რომ უსიტყვოდ გჯერა.
მიყვარს ბალახს რომ ედება ნამი,
როცა სიცოცხლის კვლავ დგება ჟამი,
მზე ალიონზე მისწვდება მთვარეს
და დაუჩრდილავს ღამეს წამწამებს.
მიყვარს სიცოცხლის ყოველი წამი.

ვგლოვობ...

ვგლოვობ გულში,
ვგლოვობ ცხადად,
ველარ ვაშრობ ცრემლის გუბეს,
რომელ თარიღს შევეფარო,
შავი ნისლი ფარავს ღრუბელს,
წარსულის თუ ახლანდელის,
ვაფერადებ გლოვის ციფრებს,
გადაშავდა კალენდარი,
ლხინის ციფრი მითხრას ვინმემ...
აფხაზეთი, სამაჩაბლო,
ცხრა აპრილი, ივნისს ვერე,
ემატება დღეს დღე შავი,
გლოვის ზარი კვლავ დავრეკე...
შავი ლენტი უსაჩუქრეს
და დახარა დრომაც თავი,
რამდენ ვარამს ჩამოგითვლის,
დღესაც ტირის, დღესაც ბღავის.
ვაი, ბედკრულ საქართველოს,
დაღლილსა და გულდაშანთულს,
ბორგავს შოვი დარცხვენილი,
ველარ ითვლის შვილს დაკარგულს...
გლოვის ზარი რეკავს მძიმედ,
თარიღს მოსდევს სხვა თარიღი,
მტკივა გული, მითხრას ვინმემ,
ვის მიართვეს ღვთის ტარიგი...
ვგლოვობ ცხადად, ვგლოვობ მალვით,
ადრე ნალეწ პურის ყანას,
დაჩოქილი ვითხოვ კრძალვით,
ლხინი ჰქონდეს ჩემს ქვეყანას.

მარტოობა

მარტოობა... ფიქრთა განსჯის არენა,
ნაბიჯების დათვლის სწორი ხერხია,
მარტოობა... სულთან განმარტოება
და მსაჯულად აქვე, ჩემი ღმერთია.
მე და ღმერთი... ამ დროს წრფელად
ვჩურჩულებთ,
მე და ღმერთი... სიყვარული დიდია...
ეს სამყაროც, უსასრულო და მშვიდი,
ამ ჩურჩულით კიდევ უფრო მშვიდია.
მიწა, სიო, ცანათელი ფერებით,
მე და ღამე ერთურთს მივეფერებით,
დილით ისევ გავაღვიძებ ალიონს,
მზეც მომწვდება უსასრულო ხელებით.
მარტოობა... უფრო პირობითია,
როცა დგები შემოქმედთან პირისპირ,
ფიქრს იკავებს სიყვარულის სტრიქონი
და ფიქრებმაც შემომხედეს პირიქით.

რა ჰქნას ღამემ

რა ჰქნას ღამემ, თუ ვერ ხუჭავს თვალებს,
თუ ალიონს უცქერს კრძალვა-მალვით,
თუკი ფიქრობს, როდის დაივანებს,
სიყვარული ნებით, არა ძალით.

რა ჰქნას, თუკი ვარსკვლავები ცაზე,
აღტაცებით უმღერიან მთვარეს,
მთვარეც ღამეს ანთებს და სინაზე,
მიაქანებს მიწას ვნების მხარეს.

რა ჰქნას ღამემ, თუ ვერ დაივიწყა
კოცნით სავსე ტრფობის სარეცელი,
ალიონზე სურდა მოეხვია,
დაქანცული გრძნობით მთვრალი ხელი.

რა ჰქნას ღამემ, თუ იდუმალ ხმებით,
სამყაროსაც გაუმხილა გრძნობა,
გულო, ასე მკაცრი ნუ იქნები,
რომ ამ ღამეს დაუშალო ტრფობა.

ახლა ვხვდები, რად ვერ ხუჭავს თვალებს,
ღამე მშვიდი, ვარსკვლავების ელჩი,
უხილავი სიყვარულის ხალებს,
როცა გიყვარს, არასოდეს ერჩი.

კახეთს

ნისლმა მოხატა კახეთი
და ძველისძველი თელავი,
მისტიკას სხვაგან ასეთი,
ვერ შექმნის ალბათ ვერავინ.

სადაც ნისლები ცრემლებად,
მთებს ღვარად ჩამოდინდება,
ეს ვენახები, ეს ზვრები,
დღეს მასპინძლობას მპირდება.

კახეთს მივყვები, შარაგზას,
გადმონისლული ფიქრებით,
მრავალჭირვარამნახულო,
შენი წაწალი ვიქნები.

ბაღში

ბაღში აყვავილდა ალუბლები,
ეზოში ჰყვავის ვაშლი,
ბაღის ბოლოში კი თეთრი ბლები,
ყვავილებს ჯერაც არ შლის.
სხივი ატმისფერი ზეცის კიდედ,
ფერებს უწნავს აპრილს თმაში,
მოდი, მომეხვიე ერთხელ კიდევ,
ბზარი შემერია ხმაში.
ბაღში აფეთქებულ ალუბლებთან,
კვირტებს ალუჩაც ხომ გაშლის.

გერმანული პოეზია

გერმანულიდან თარგმნა გიორგი ვარამაშვილმა

დერ ფონ კიუერენბერგი

(მეთორმეტე საუკუნის მინენზენგერი)[1]

მე აღვზარდე ერთი შევარდენი

1

მე აღვზარდე ერთი შევარდენი ერთ წელზე მეტია.
როცა ვასწავლე, ის რაც მინდოდა სცოდნოდა
და მისი ფრთები მოწითალო ყვითელი ლენტით
შევუკარი,
ცაში აიჭრა და გაფრინდა.

2

ეხლა მე ვხედავ ცაში დიდებულ შევარდენს,
ფეხზე აბრეშუმის ლენტი უკეთია,
ფრთები მოწითალო ყვითელი ფერის აქვს.
ღმერთო, დააბრუნე უკან, რომლებიც ძალიან
მიყვარს.

1. **XII საუკუნის მინენზენგერი.** კიუერენბერგი მისი გვარია თუ უბრალოდ ფსევდონიმია, რომელიც პირველად ქონგურის სიმღერაში გამოიყენა, უცნობია. ასევე უცნობია სიმღერა „მე აღვზარდე შევარდენი“ გათხოვილი ქალიშვილის მამის მონატრებაზეა თუ ქალიშვილის სევდაზე შორს წასული საატრფოს გამო. დერ ფონ კიუერენბერგი ნიბელუნგების სიმღერის ავტორად სახელდება.

კარლ ვოლფი 1884-1938

ნიჟარა ყურზე მიიდე

ნიჟარა ყურზე მიიდე,
მოუსმინე ტალღების მომღერალ გუნდს,
როგორც ბავშვი, რომელიც იღიმის.
შენ ზღვის ჩუმ შრიალს
დიდიხანია უსმენ.
შენში ისევ არის
ბავშვურ გართობასა და თამაშში
ის გაურყვნელობა.
ნიჟარა ყურზე მიიდე
და შენ მოისმენ
დაბალ ხმაზე
ბედნიერებას.

მერსენბურგური შელოცვა

(მეცხრე საუკუნე)

ერთხელ დასხდნენ იდისები[1] – ყოვლადწმინდა
დედები
სადაც ომი იყო გაჩაღებული.
ზოგმა შეიპყრო მეომრები,
ზოგი ჯარისკაცებს წინააღმდეგობას უწევდა,
ზოგი კი ანთავისუფლებდა ხელ-ბორკილ დადებულ
ტყვეებს,
ყველა გაანთავისუფლეთ,
რომ ომში გამარჯვებულები გამოვიდნენ!

ფოლი[2] და ვოტანი[3] ახოში რომ შევიდნენ,
ბალდერის[4] კვიცს ფეხი დაეჭიმა,
თქვა ზინტგუნტ[5] – სუნას[6] დამ,
ფრიამ[7] – ფოლიას[8] დამ
ვოტანმა:
ფეხის დაჭიმვას, სისხლის ჩაქცევას,
სასხრების დაჭიმვას ეშველება,
თუ
ფეხს ფეხზე, სისხლს სისხლზე,
სახსარს, სახსარზე მიაწებებთ!

1. **იდისები:** ქალღმერთები სკანდინავიურ მითოლოგიაში, მათი ფუნქცია დღემდე გარკვეული არ არის: ზოგი ფიქრობს, რომ ნაყოფიერების ქალღმერთები იყვნენ, ზოგი კი მატრონების ძველგერმანულ კულტთან აკავშირებს.
ძველგერმანულ მთოლოგიაში მატრონა არის დედა ქალღმერთი. მატრონა სამია. გამოისახებოდა როგორც დედათა ტრიო, ან სამება. მატრონების კულტის თაყვანისცემისთვის ზამთარში „დედის დღეობა“ იმართებოდა.
2. **ფოლი** – ღმერთი სამხრეთ გერმანულ მითოლოგიაში. იხსენიება მხოლოდ მერსენბურგის მეორე შელოცვაში. დღემდე უცნობი და გაუგებარია ფოლის ფოლის ფუნქცია და მნიშვნელობა. ერთადერთი, რაც შეიძლება ტექსტიდან ვთქვათ, არის ის, რომ ვოტანის მხლებელია.
3. **ღმერთი ვოტანი**=ვოდანი სამხრეთ გერმანულ მითოლოგიაში. შეესაბამება სკანდინავიურ ღმერთს ოდინს.
4. **ბალდერი** – ღმერთი გერმანულ მითოლოგიაში. მისი ფუნქციის შესახებ მეცნიერები დღემდე დავობენ. ის იყო ღმერთ ვოდანის=ოდინის და ქალღმერთ ფრიგის ვაჟი. მას დაესიზმრა საკუთარი სიკვდილი და მოგვიანებით სიზმარი აუხდება.
5. **ზინტგუტი,** სავარაუდოდ, გერმანულ მითოლოგიაში ქალღმერთი, რომლის ფუნქცია დღემდე გაურკვეველია.
6. **სუნა** – მზის ქალღმერთი.
7. **ფრია**= ფრიგა. ასევე მოიხსენიება, როგორც ფრიგი. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალღმერთი, რომელიც ოდინის ცოლი და ბალდრის დედაა. ის ცნობილია თავისი ცოდნით და დაკავშირებულია მიწასთან, ნაყოფიერებასა და სილამაზესთან.
8. **ფოლია** – ქალღმერთი გერმანულ მითოლოგიაში. ფრიას და და მოსამსახურე.

თითქოს დღეს დაბინდოს

მედეა კახიძე

პატრიოტები

— გული გამისკდება,ჩემი ამბავი ვინმეს თუ არ შევჩივლე,— ამოიოხრა კაჭკაჭმა და თანაგრძნობის მოლოდინში თვალებში შეაცქერდა ქორს.

მომეშვი, უჭირველ-უტკივარი არავინ არის. თავი მტკივდება, როცა ვინმე შემომწუწუნებს — აიმრიზა ქორი.

— მაშ, შენ ცულის ხმა არ გაგიგონია და არც წამოქცეული ხის ჭრიალი? — არ ეშვებოდა კაჭკაჭი.

— იწილო-ბიწილოს მოსმენის გუნებაზე არა ვარ, შენი საქმე თავადვე უნდა მოაგვარო, ჩემგან შველას ნუ ელი,— თქვა ქორმა და ზურგი შეაქცია.

— უსახლკაროდ დავრჩი, შეშის მჭრელებმა ხე ძირში მომიჭრეს, ხვალ მოვლენ, ცულებით და ნაჯახებით,ტყეს ძირისძირობამდე გადაკაფავენ და შენც უბინაოდ დაგტოვებენ! — ნიშნის მოგებით ჩაიბურტყუნა კაჭკაჭმა.

ქორს ბუდის დანგრევამ თავზარი დასცა და მოუბოდიშა:

— დღეს უგუნებოდ გავიღვიძე... აბა,წვრილად მიამბე ყველაფერი.

კაჭკაჭს რაკი ყბედობის საბაბი მიეცა, რაც იცოდა და არ იცოდა, ჩამოარაკრაკა. მერე რაღაც გაახსენდა და აჩქარდა.

— სად მიისწრაფი? — ჰკითხა ქორმა,— ცოტა ხანს კიდევ დარჩი, შენთან საუბარი მსიამოვნებს.

— არა, — მტკიცედ თქვა კაჭკაჭმა, — ფუჭ ლაილაიში დროს ვერ დავკარგავ,დავალება მაქვს შესარულებელი.

— რას საქმიანობ? — ჰკითხა ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა ქორმა.

— პატრიოტი ვარ!

— პატრიოტი? — გაიკვირვა ქორმა,— რა არის პატრიოტი? ეს სიტყვა პირველად მესმის.

— არ გადამრიო,მთელი ქვეყანა გაპატრიოტდა და შენ ისიც არ იცი,რას ნიშნავს პატრიოტი?

— არა,არ გამიგონია, მითხარი,გეთაყვა,საჭმელია თუ სასმელი?

— ორივე ერთად! — თქვა კაჭკაჭმა და თავმომწონედ გადახედა ქორს,— პატრიოტი ვარ,დიახ, მერედა რა გიკვირს? პატრიოტობაზე სარფიანი საქმე მეორე აღარ მეგულება. ხელის განძრევა არ დაგჭირდება,მაძღრისად დალევ,მაძღრისად შეჭამ, ფეხს ფეხზე გადაიდებ და პატივდადებული იქნები, ოღონდ იმ პირობით,ხალხის გულს თუ მოიგებ.

ქორმა კისერი წაიგრძელა მოსასმენად,მაგრამ კაჭკაჭმა მოკლედ მოჭრა:

— არა,უნდა წავიდე,ხომ გითხარი,მეჩქარება! ამაღამ მოიფიქრე და თუ პატრიოტობა გადაწყვიტე, ხვალ მოდი,მოვითათბიროთ!

— აუცილებლად მოვალ,ოღონდ ეს მითხარი, სად გეჩქარება?

— აი,იმ ნეკერჩხლის ძირას ცისფერი ფურისულები მთელი ღამე ჩურჩულებენ და არ მაძინებენ, უნდა მივიდე და თავზე ჩამოვასკლინტო.

— შენ ნამდვილი პატრიოტი ყოფელხარ! — აცმუკდა ქორი, — მომწონს, როდესაც ვიღაცას აბუჩად იგდებენ. მაშ,პატრიოტობა ეგ არის,ვინმეს თავზე ლაფი უნა დაადო და მასხრად აიგდო?

გადასარევია,ლაფის დადებას ჩამოსკლინტება სჯობს! — ამოიძახა კაჭკაჭმა.

— რა თქმა უნდა,მაგრამ ჩამოსკლინტება ხომ ყველას არ შეუძლია. მოიცა,კიდევ რაღაც უნდა გკითხო...

კაჭკაჭმა ქორის შეკითხვას ყური არ ათხოვა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა. ის მთელი ღამე სკლინტვაში იყო გართული და ვერ გაიგო, ისე გათენდა.

— რა გატირებთ? — გულისტკივილით ჩამოსძახა ფურისულებს ტოროლამ.

— კაჭკაჭმა კოპწია კაბები სკლინტში ამოგვითხუპნა,— წამოიცრემლეს ყვავილებმა.

ტოროლამ დრო არ დაკარგა, მაშინვე ცაში ღრუბლის დედასთან აიჭრა და სათქმელი უთხრა. ცოტა ხანში შხაპუნა წვიმა წამოვიდა, დიდ მინდორს გადაუარა და მდელოდან სკლინტი გადარეცხა.

* * *

— რა გადაწყვიტე? გინდა პატრიოტი გახდე? — ჰკითხა პაემანზე მოსულ ქორს კაჭკაჭმა.

— არა, მე სათანადო განათლება არ მიმიღია, მხოლოდ ორი კლასი მაქვს დამთავრებული. ლექსებმა თავი შემაძულეს და სკოლა მივატოვე.

— ჰოდა, პატრიოტობა შენთვის ზედგამოჭრილია,არაფრის ცოდნა არ დაგჭირდება და არც არაფერი გექნება სასწავლი, ოღონდ ლაპარაკი უნდა გეხერხებოდეს და რაც შეიძლება, კარგად უნდა მოიქოქო. ჰო, კიდევ ტაშის ცემაში უნდა ივარჯიშო. აი,ასე — და კაჭკაჭმა ისეთი ტაში დასცხო,შეშინებულმა მგოსნებმა გალობა შეწყვიტეს. ქორს ტაშის ტყაპატყუპი მოეწონა და თვითონაც აჰყვა.

— ყოჩაღ! შენგან დიდი პატრიოტი დადგება. გასაყეყეჩებლად უკრავ ტაშს.

— იცი,რა? რამდენიც გინდა,მამუშავე,მაგრამ ყბედობა არ მეხერხება,არც საიმისო ცოდნა მაქვს და არც გამოცდილება.

— სისულელეა! რაც უფრო გაუგებრად იბჟუტურებ,მით უფრო მეტი ფასი დაედება შენს პატრიოტობას.

— რაღაცის ცოდნა მაინც დამჭირდება,ცოტა ხელოვნება,ცოტა ლიტერატურა,ცოტა მათემატიკაც...

— ხომ გითხარი,მხოლოდ სიტყვების რახარუხს გასწავლი,ოღონდ შნო და მარიფათი უნდა გამოიჩინო, ეცადო, აბდაუბდას მოჰყვე. აი, ისე, სიცხიანი ავადმყოფი რომ ბოდავს.

— ეგ როგორ,გათაყვა?

— ისე უნდა იორატორო, შენი ნათქვამიდან

აზრი ვერავინ გამოიტანოს, მორჩა და გათავდა, ეს არის მთელი ფილოსოფია.

— დიდებულია, მაგრამ კამათს ხომ ნიჭი უნდა?

— ხვალ მოდი და გაკვეთილს ჩაგიტარებ. პარტიის წესდებასაც გაგაცნობ.

— რაო? წესდება რაღა დოზანაა? რა განათლებული ყოფილხარ, ჭირიმე. ასეთ ბრძენს პირველად გადავაწყდი. იქნებ ახლავე ამიხსნა, ხვალამდე ნუ მალოდინებ, — შეეხვეწა ქორი.

— წესდება არც მე წამიკითხავს, ხომ გითხარი, წერა-კითხვის უცოდინარი ვარ, მაგრამ კრებებზე პრატორების გამონათქვამებს ვიზეპირებ და თუ-თიყუშივით ვიმეორებ.

— მოთმინება არ მყოფნის. ძალიან დაგიმადლებ, თუ გამანდობ რას ამბობენ.

კაჭკაჭი გაიფოფრა, წელში გასწორდა, კენწეროზე შეხტა და შთაგონებით წარმოთქვა:

— დემოკრატია, თავისუფლება, ძმობა, თანალმობა და რაც მთავარია, რევოლუცია! ქორმა თვალები ჭყიტა, თუმცა კაჭკაჭის ქადაგებას ვერა გაუგო რა და ვერც მის თავმოუბმელ წანადადებებს ჩასწვდა, მაგრამ მაინც მოუწონა.

— რა ჭკვიანური აფორიზმებია! აბა, კიდევ გაიმეორე!

ქებით შეგულიანებულმა კაჭკაჭმა ისეთი გნიასი მოართო, გეგონებოდა ვირმა საწინლე ქუსლი ფერდში ცასცხოო. როცა კრიახით და შემახილებით ქანცი გასძვრა ორივეს, დაოსებული კაჭკაჭი ბალახებში გადაესვენა და ჩაიბჟუტურა:

— დღეს ვიკმაროთ მეცადინეობა. ახლა წავალ პარტიული განკარგულება უნდა მოვაგვარო.

— ახლა რა საქმეზე მიდიხარ, გეთაყვა?

კაჭკაჭმა ჯიბიდან ბრძანების ქაღალდი დააძრო და ქორს მიაჩეჩა.

— მაგას რა გადამაბულბულებინებს?! — ფრთები შეაფართქუნა ქორმა, — მითხარი, შიგ რა წერია?

— ბულბულს ბუდიდან კვერცხები უნდა ამოვუყარო, რომ მათი სახსენებელი ამოვაგდო.

— ეგ რა გასახარებელი რამ მითხარი. მგალობლები არც მე მეპიტნავებიან. მეც მინდა შური ვიძიო მაგათზე. ბულბულებს ასე ადვილად ვერ მოატყუებ, ძალიან ნიჭიერები არიან. ერთი მოსძენით იზეპირებენ ყვავილების ჩურჩულს, ლექსებად გადათქვამენ და ტყეში ჰანგებად მიმოფანტავენ. არწივი ბრძანებს, ეგენი ბუნებას ალამაზებენ, ღმერთმა მომღერლებად გააჩინა და გაუშვი, იმღერონო.

— ახლა წავედი. ხვალ გაკვეთილზე მოსვლა არ დაგავიწყდეს.

* * *

— თანახმა ვარ პატრიოტი გავხდე! — თქვა პაემანზე მოსულმა ქორმა თავდაჯერებით, — ლოზუნგები თავში ჩაიბეჭდე, მაგრამ გამომსარჩლებელი არავინ მეგულება და ვაითუ, ვინმე შემეკითხოს რამეს და მეშინია, არ შევრცხვე.

— მიქარვაა! პარტიამ სირცხვილი რა არის, არ იცის. ეს სიტყვები საყოველდღეო ლექსიკონიდან არის ამოღებული.

— შენს პირს თაფლი და შაქარი! — ახტადახტა წახალისებული ქორი.

— კიდევ რა წერია წესდებაში, გეთაყვა?

კაჭკაჭმა პირი აიქაფა და აღარ გაჩერდა.

— რაღაც მინდა გითხრა, — შეაწყვეტინა ქორმა და თვალები დააკვესა.

— არა ჯობია, საკუთარი პარტია შევქმნათ, ვიდრე სხვების ბრძანებები შევასრულოთ? ეს უფრო სახეირო არ იქნება ჩვენთვის?

კაჭკაჭი მოულოდნელობისაგან ისე დაიბნა, რომ სლოკინი აუტყდა და ვიდრე საპასუხოდ პირს დააღებდა, ქორი შორიახლო ჩამომჯდარ წივწივას დააცხრა, წამში გაბდღვნა და სისხლიანი ნისკარტი ფრთებზე შეიწმინდა. კაჭკაჭს ცახცახი დააწყებინა, ელდისაგან გული საგულედან ამოუვარდა და ქვეშ გაუვიდა. მერე ხმის კანკალით ამოიკნავლა:

— წესდების თანახმად, პარტიის ჩამოსაყალიბებლად სამი კაცი საკმარისია. ამ ფულუროში ბუ ცხოვრობს, გავაღვიძოთ და ახლავე გავაპარტიულოთ.

— რომ არ დაგვთანხმდეს?

— ეს მე მომანდე. აუცილებლად შეგვიამხანაგდება. ტკბილი ცხოვრება ყველას უყვარს, — თქვა შეშინებულმა კაჭკაჭმა და თავი ფულუროში შეყო.

— საქმე მოვაკვარახჭინე, ბუ თანახმაა, პატრიოტი გახდეს. სასწრაფოდ კრება უნდა ჩავატაროთ და ოქმი, ოქმი გავაფორმოთ, — ახარა ქორს.

— წინ წაძღოლილი საქმე მიყვარს, რაღას ვაყოვნებთ? — აფაცურდა ქორი.

— შენთან მეგობრობა მეძვირფასება. თუ კაცი ვარ, ამაგს დაგიფასებ, — და გულაჩუყებულმა ქორმა კაჭკაჭს მაგრად ჩამოართვა ხელი.

— ვისი ჯავრიც გჭირს, ამოგყრი. ჩვენი კითხულის გარეშე ხეზე ფოთოლიც კი ვერ გაიფაჩუნებს. მატრაკვეცა ფრინველების სეირს მალე გაყურებინებ, ყველას დავიჭერთ და ცხრაკლიტულში გამოვამწყვდევთ, როგორც კი ქვეყანას გავარევოლუციონერებთ.

— გასაყეყეჩებელია! მზის სინათლეს რომ ვეღარ დაინახავენ, ჭიკჭიკის ხალისი დაეკარგებათ!

კაჭკაჭი გამარჯვებული სახის იერით ბელადს წინ გამოეჭიმა:

— თუ ნებას დამრთავთ, ჩვენთან თანამშრომლობას ჭილყვავებს შევთავაზებ.

ქორს სახე გაებადრა.

— საუცხოო არჩევანია. ყვანჩალებს უდიდეს პატივს ვცემ. არც შავი ფრთები მჭრის თვალებს და არც მაგათი ჩხავილი მშურს.

— ასეა, ასე, — კვერს უკრავდა თანამებრძოლი, — რაც უფრომეტი მტაცებელი შემოგვიერთდება, მით უფრო ძლიარ პარტიას შევქმნით. თქვენი ნებართვით, იქნებ ღამურები და ჭრიჭინებიც პარტიაში გავაწევრიანოთ! — წრიპინებდა თავისი აღმოჩენით აფოფინებული კაჭკაჭი და ბრძანების მოლოდინში ქორს მაამებლურად მისჩერებოდა.

— წინადადება მიღებულია! ოღონდ თუ უარს გვტკეცენ, ნუ დაეჯავჯგურები, წყენა არ შეიმჩნიო, სიცილით დაემშვიდობე, ბოდიში შეწუხებისთვისთქო, უთხარი. მერე მე ვიცი, ერთმანეთს როგორ შემოვანარცხებ.

კაჭკაჭს მღელვარებისაგან ენა ებმოდა.

— გვარებს შავ სიაში ჩამოვაწიკწიკებ და როცა ვიდროვებთ, გავუსწორდებით, ხომ ასეა? — კუჭკუჭებდა მოულოდნელი ბედნიერებით გაბრუებული კაჭკაჭი და ნეტარებისაგან სახეზე სისხლძარღვები ებერებოდა.

— დღეს თავისუფალი ხარ! — მიმტევებლურად თქვა ქორმა და ფეხზე წამოდგა, — ახლა წადი და ფურისულებს თავზე ჩამოასკლინტე. ეს ჩემი პირველი პარტიული დავალებაა! იმედია, პირნათ-

ლად შეასრულებ.

თრთოლვაშემჯდარმა კაჭკაჭმა ქორს თავი მდაბლად დაუკრა და ნეკერჩხლის ხეს მიაშურა.

* * *

— მხარდამჭერები და თანამზრახველები ბლომად მოვაგროვე, მხოლოდ კრების დანიშნვაა საჭირო. მიკროფონიც დადგმულია და ლოზუნგებიც მზადაა, — უპატაკა ბელადს კაჭკაჭმა და ბატიფეხურად ნაჯღაბნი სია დაუდო წინ.

— ეს რა არის? — იკითხა ასოების დანახვაზე გუნებაგაფუჭებულმა ლიდერმა.

— პარტიაში შესასვლელი ამხანაგების გვარსახელებია ჩამოწერილი,— თქვა კაჭკაჭმა და ქების მოლოდინში გაისუსა.

— კიდევ კარგი,— შვებით ამოისუნთქა ბელადმა, — მე ლექსი მეგონა. მაგის ხსენებაზე ტანში მბურძგლავს. ლექსის მოსმენას ოყნის გაკეთება მირჩევნია.

— მეც ჭირივით მძულს,— შეეშველა ლექსის ძაგებაში კაჭკაჭი, ლექსის წაკითხვას ფაღარათის შეყრას ვამჯობინებ.

— ძლივს არ შევხვდი ჩემი გუნებისას?!

— ერთადეერთი ლექსი ვიცი ზეპირად, ისიც სკოლაში ძალით გამაზეპირებინა მასწავლებელმა.

— ეს როგორ? ძალადობა ჩვენში ხომ კანონით ისჯება?

— როგორ და აი, ასე, პირი გამაღებინეს და საფაღარათო აბივით ძალით გადამაყლაპეს. აგერ რამდენი წელია, ვცდილობ თავიდან მოვიწყვიტო, მაგრამ უკან ვერ ამომისაქმებია.

— აბა, თქვი! ძალიან მინდა გავიგო, რა არის ლექსი. ალბათ სასაცილო რამ იქნება. უკვე სიცილის გუნებაზე მოვედი, — წინასწარ ახითხითდა კაჭკაჭი.

— კარგად აღარ მახსოვს.

— სწორედ რომ კარგია, თუ შიგადაშიგ გავიწყდება. ძალიან მინდა, ლექსი მასხრად ავიგდოთ და დავამახინჯოთ! — ქორმა ფრთები ააფათქუნა.

— ვიტყვი, მაგრამ აბდაუბდად მახსოვს.

— ძალიან კარგი! ისე გამაწვალეს სკოლაში ლექსების სწავლით, მაგაზე დაუძინებელი მტერი მე სხვა არ მეგულება. არწივი ამბობს, ერთადერთი სრულყოფილი და წმინდათაწმინდა, რაც მზის ქვეშეთში არსებობს, ეს პოეზიაა. ჰოდა, მართლაც, გამიხარდება, მე და შენ ლექსს თუ დავასახიჩრებთ.

— თქვი, შემოგევლე, სული ნუ დამალევინე! ამ დილით საქმეზე ვიყავი წასული, ტყეში არავისგან არაფერი გამიგონია, ენა რომ ვაჭარტალო. ამ სტრიქონებს ერთი მოსმენისთანავე დავიმახსოვრებ და დაღამებამდე დამახინჯებით ვილექსავებ.

— კარგი, გეთაყვა, მოემზადე საცინლად.

კაჭკაჭს თუმცა სიცილის საღერღელი უკვე აშლილი ჰქონდა, სიფრთხილე მაინც გამოიჩინა:

— მოიცა, მივიხედ-მოვიხედავ, აქ სადმე შაშვი ამ მოლაღური არ გვისმენდეს, თორემ მაშინვე აიტაცებენ, გადაამღერებენ და მშვიდობით სიმშვიდევ და შურისძიებავ.

— საკმარისია, რაღაც ისეთი წამოგცდეს, ისე დაგცინებენ, გარეთ თავს ვერ გამოყოფ. მაგათი დაბრიყვება არც ისეთი იოლია. ტყის ბინადრები აგვიმხედრდებიან, თუ გონივრულად არ მოვიქცევით.

ქორმა ლექსი კოჭლობით ჩაიკითხა და ორივენი სიცილით ჩაბჟირდნენ.

— დაიმახსოვრე ზეპირად? — უხალისოდ ჰკითხა ქორმა.

— დაზუთხვაში ბადალი არ მომეპოვება,ახლავე ჩამოვივლი კარდაკარ და მაგ ლექსის სიგონჯით მთელ საჩიტეთს ვახითხითებ.

— ახლავე გაფრინდი! ძალიან მეჩქარება ლექსის დასჯა. მერე დაივიწყე, კარგი?

— დავივიწყებ, აბა, რას ვიზამ, მაშ, მონად ხომ არ გავუხდები?!

— ეცადე, გულიდან ამოიგდო, ოღონდ აგერ, რამდენი წელიწადია მეც ვცდილობ, მაგრამ ვერ დამივიწყებია.

— ჯანდაბას მაგისი თავი. არც მე ვაპირებ ტყვედ ჩავუვარდე ხელში. ახლავე წავალ და კისერს მოვუგრეხ.

— ხომ გითხარი, ცოტა რაღაცის ცოდნა დაგჭირდება-მეთქი,ჰოდა,პოეზიას უკვე ვეზიარეთ! ახლა წადი, ხვალინდელი კრებისთვის სიტყვა დაიზუთხე!

* * *

ქორი მცირე ხანში თავადაც აღზევდა და სხვებიც აღაზევა. დროს თვალის წასატყუებლადაც აღარ ჰკარგავდა. ისეთი სახელი დაიგდო, რომ მისი მოხსენებების მოსასმენად ლეშიჭამიები ქუდმოგლეჯით გამორბოდნენ.

კაჭკაჭმაც შრომა გააათკეცა და შურისძიებების ფიქრს აყოლილი, ბელადთან ცინცხალი ცნობებით დატვირთული მიჰქროდ-მოჰქროდა. ბეჭედ-ტვიფარით ხელში სკამზე გადაღმერთილი ქორი ირგვლივ დიდი ხნით დაგუბებულ შხამცოფს ანთხევდა:

— რევოლუცია უნდა დაჩქარდეს! გადატრიალების გარეშე ჰაერი,მზე,მთვარე და ვარსკვლავები მასების საკუთრება ვერ გახდება! ამბოხების დაყოვნება ჩვენს დამარცხებას ნიშნავს!

— დადგა დრო, დუშმანს საკადრისად გავუსწორდეთ!

— რევოლუცია! რევოლუცია! — სისხლისმსმელ თვალებს ატრიალებდნენ ძერები და ღამურები. არემარეს ჩხავილით იკლებდნენ და შავი ფრთებით ღამეს აკუნაპეტებდნენ.

ტყე გულდახურული გახდა. ქორის გამოჩენაზე ჩიტებს გულისფეთება ემართებოდათ, ტანწვრილი ხეები წელში ორად იღუნებოდნენ, ფოთლები ტოტებზე მოუსვენრობდნენ.

— ცოფიანი ამინდი დგება. რა ეშველებათ ჩვენს შვილებს, უდანაშაულო სისხლი დაიღვრება, რევოლუცია იწყება! — თავში ხელებს იცემდნენ მგალობლები.

— რა არის რევოლუცია? — კითხულობდნენ ფურისულები და შიშით გულები ჩქარ-ჩქარა უცემდათ.

კაჭკაჭი კი შურისძიების მოლოდინში ბელადთან ენატანიობდა:

— ფრინველები თავს წავიდნენ, თავიანთ ნებაზე დაფრინავენ. სადაც მოეპრიანებათ იმ ტოტზე სხდებიან და ჭიკჭიკებენ. კუდაბზიკა მერცხლები მალემსრბოლებად არ მეგზავნებიან, გუგულები საომარი ბუკ-ნაღარის ჩაბერვაზე უარზე დგანან. ვერც ჩურჩუტი მტრედები დავითანხმე მოსაწვევების დარიგებაზე.

აჯაგრული და მუშტებშემართული ბელადი

იმუქრებოდა:

— პარტიის წევრების ნებართვით ხვალვე საგანგებო კრებას მოვიწვევ და ურჩებს დანაშაულს ერთი ასად ვაზღვევინებ!

* * *

ყელში ბოღმაწაჭერილი და ხვალენდელი დღით გაგულისებული კაჭკაჭი ხეზე ესკუპა, ძირს გოროზად ჩამოიცქირებოდა, ფურისულებს ასკლინტებდა და ოცნებაში წასულს ეღიმებოდა.

— ვაიმე! — წამოიძახა ყვავილთან ჩაცუცქულმა გოგონამ, — ჩიტმა ახალთახალ კაბაზე ჩამომასკლინტა. დღეს პირველად ჩავიცვი. ამ საშინელ ლაქას რა ამოიყვანს? — დატირილი მორთო.

— მაგის ჯავრს არ შეგაჭმევ, ცული გვერდზე მიაგდო შეშისმჭრელმა და ხეს ირგვლივ შემოუარა, — ვხედავ, სადაც ზის. ახლავე ჩამოვაგდებ!

გულმოსულმა შეშისმჭრელმა სატკაციტკუცო ხის დიდგულას ხელი წამოავლო და ჩიტს დაუმიზნა. კაჭკაჭს კენჭი შიგ შუბლში მოხვდა, დაკვნესებაც ვერ მოასწრო, დაბზრიალდა, ტრიალ-ტრიალით წამოვიდა ხიდან და თავისივე ნასკორებ უწმინდურებაში უსულოდ ჩაეცა.

— საწყალი, მგონი მოკვდა, — აკვნესდნენ ფურისულები, — ვინ ჩაიდინა ასეთი ულმერთობა?

ღობიდან თრითინა გამოძვრა, კაჭკაჭს პირი დასტაცა და უკანვე შეძვრა.

— ალბათ დედაა, გულწასულს წყალს მიაპკურებს და მოაცოცხლებს, — გაიხარეს ფურისულებმა.

— ახია! ადრე იყო ჩასაძაღლებელი, — თქვა ტოროლამ, — სკორეთი წაბილწა აქაურობა. იქნებ ახლა მაინც ამოვისუნთქოთ შვებით.

— კი მაგრამ, რას გვერჩოდა? ჩვენ ხომ არაფერი დაგვიშავებია? — გაიოცეს ფურისულებმა და ღრმად ჩაფიქრდნენ.

* * *

კაჭკაჭის ტრაგიკულმა დაღუპვამ ელეთ-მელეთი მოჰგვარა ქორს, მაგრამ არ დაიბნა და თავი მოიყოჩაღა.

— ახლა საკუთარი თავის გადარჩენაზე უნდა ვიფიქრო, — თქვა ქორმა და მძიმე ნაბიჯებით ტრიბუნაზე ავიდა.

ბელადის გამოჩენაზე გადაშავებული დარბაზი შექანდ-შემოქანდა და გამაყრუებელი ხმაურ-ჩხავილი ატყდა.

— რა სასიამოვნო მოსასმენია ასეთი მაამებელი შეძახილები და მქუხარე ოვაციები. ცოცხალი თავით არავის დავუთმობ წინამძღოლობას, — თქვა გულში ქორმა და მოიმთავმდაბლა, ტაშის შეწყვეტა მოითხოვა და დამწუხრებული ხმით წამოიწყო:

— ნება მომეცით, საკადრისად დავაფასო კაჭკაჭის თავდადება და სიკვდილის შემდეგ „ღირსების ორდენით“ დავაჯილდოვო! — ვფიცავ, არასოდეს გადავუხვევ სახელოვანი თანამებრძოლის გზიდან და მის უდანაშაულოდ დაღვრილ სისხლს არ ვაპატიებ არც ერთ მათგანს. დიახ, არ დავივიწყებთ პარტიის ღვაწლმოსილ მუშაკს, თავისუფლებისათვის მებრძოლ კაჭკაჭს!

— წავიდეთ! — ----- წავიდეთ!

— გავილაშქროთ! — კიოდნენ საომრად აღტკინებული მტაცებლები და ირგვლივ ისეთი გუგუნი ტრიალებდა, თითქოს ცა ჩამოიქცაო.

გმყინავმა ხმებმა ძველი ციხის კედლები გამოხეთქა და ბუდეებს შეასკდა. საჩიტეთი გაისუსა, ფოთლებმა გულისცემა შეწყიტეს.

— რევოლუცია იწყება! — გადასძახოდნენ ხეები ხეებს და ტყე თავით ფეხამდე კანკალებდა.

ცაში მალემსრბოლად წარგზავნილ ტოროლას კი ღრუბლის დედა ამშვიდებდა:

— არხეინად იყავით, მაგ მუცელხარბებს მიწაზე არ გავაბატონებ!

* * *

რიჟრაჟზე თითქოს ლუსკუმი ღამე ჩამოწვაო, ლეშიჭამია ფრინველების უთვალავმა ლშქარმა შემოგარენი შემოამწყვდიადა და შემზარავმა ხმებმა ჩაგუბებული ჰაერი შუაზე გაკვეთა. საომარი ყიჟინით გამხნევებული ბელადი ადგილს მოსწყდა და ქვასავით ჰაერში აიჭრა.

— მომყევით! წინ გამარჯვებისაკენ!

— რევოლუციის სახელით! — დასჭექა და იმავ წუთს ცამაც საზარლად დაიქუხა.

სეტყვის ღრუბლები მიწაზე დაეშვნენ, ელვა გაიკლაკნა, თვალის დამაბრმავებელმა სინათლემ, მხედრებს გზა-კვალი აუბნია და ვიდრე ბელადი საბრძოლო ტაქტიკას შეცვლიდა, კვერცხის ხელა ხოშკაკალამ წამოუშინა, წამში ფრთებდამსხვრეული რევოლუციონერები ჰაერში დაციბრუტდნენ და კისერწაწყვეტილები მინდორზე ზედიზედ მილაგდნენ. სეტყვას კოკისპირული თავსხმა მოჰყვა, ალაფულ ტალახში აზინთლული მეომრები ღვარ-თქაფმა ქარაფში ჩარეცხა და ადიდებულ მდინარეს გაატანა.

— რა საჭირო იყო რევოლუცია? ისინი ხომ ყველანი დაიხოცნენ?! არასოდეს არ გავხდებით რევოლუციონერები! — ამოიოხრეს ფურისულებმა.

— რევოლუცია და სიკვდილი ერთი და იგივეა. ყოველგვარი რევოლუცია სისხლით იწყება და სისხლით მთავრდება. არასოდეს მოვინდომებთ პატრიოტობას, — გაუბედავად ამბობდნენ ყვავილები.

— ისინი ცრუ პატიოტები იყვნენ. დაუნდობლები და პირსისხლიანები, — ჩამოსძახოდათ ტოროლა.

დამწუხრებული ღრუბლის დედა კი ცაზე მირონინებდა, თვალში ატარებდა ჭალა-კორდს და სინანულნარევი ხმით მოსთქამდა:

— ვიდრე კაცობრიობა იარსებებს, არც მოძალადეები მოისპობიან და არც ბოროტების მსახურნი გადაშენდებიან. ზღვები და ოკეანეები წარღვნად რომ წარმოდინდნენ, მაინც ვერ წარხოცავს ირგვლივ გამეფებულ უსამართლობასა და ავისმქმნელობას. ერთხელაც იქნება, მშველელი აღარ გამოჩნდება და ცოდვა-ბრალით დამძიმებული დედამიწა უფსკრულში დაინთქმება.

ტყე კი ძველებურად ხმიანობდა და ნეკერჩხლის ძირში კვლავინდებურად სულმოუთქმელად ჩურჩულებდნენ ფურისულები და მათ ჩურჩულს ისევ ლექსებად გადათქვამდნენ სიმღერის დიდოსტატი მგალობლები.

1995 წლის 17 აგვისტო, ახალსოფელი

მადლობა ქ-ნ ნინო ქუთათელაძეს, მოთხრობის მოწოდებისთვის.

დებიუტი

ანა სამსიანი

სახლი

რომ ამბობდნენ, წერას სიმშვიდე მოაქვსო, ასეც ყოფილა. ცოტა ხანს მოგწყვეტს მოსაწყენ ერთფეროვან რეალობას, რომლის გაფერადებასაც მუდამ განსხვავებული ხერხით ვცდილობთ. არ ვიცი, რისი წერა მსურს ზუსტად, ამაში დარწმუნებული თითქმის არასდროს ვარ, თუმცა ერთი ვიცი, რომ ცხოვრების ყველა კუნჭულში ახალი თავგადასავალი გვხვდება.ყველაზე ხშირად მაინც ის მახსენდება, რომ ბებია მენატრება, აქამდეც მიცდია წერა და ბებიაჩემზე საუბარს ვერასდროს ავმცდარვარ. ეს ალბათ იმიტომ,რომ ბებია ჩემი სიმშვიდეც, სიფორიაქეც,სიბობოქრეც და სიძლიერეც არის. მენატრება სახლი, დილით გაღვიძებისას სოფლის მშვიდი ხმები და გაზაფხულის სურნელი,რომელსაც ქალაქში ვერასდროს ვგრძნობ. სანამ სახლს დავტოვებდი,ვფიქრობდი,რა კარგია,ცხოვრების ახალი ეტაპი მელის, ალბათ არ გამიჭირდება სახლის დატოვება-მეთქი, თუმცა სახლიდან წამოსვლის მეორე დღიდანვე ჩემს ძილთან ერთად მაკითხავდა სახლის მოგონებები, ტკბილი თუ მწარე.

მეორე წელი იწურება ჩემი თილისში მოღვაწეობის, თუმცა სახლის ნდომის სურვილი არ ნელდება,ალბათ არც უწერია განელება.მენატრება დილაობითჩემი ბობოქარი ბებიის ხმაურიანი და მრისხანე ხმა რომ მაღვიძებდა, მენატრება დედის ტკბილი კოცნა შუბლზე სამსახურში წასვლის წინ, მენატრება,ბებია-ბაბუა ერთმანეთს რომ აპარებდნენ სიმართლით გაჟღენთილ ხუმრობებს, ბაბუას თანხმობა ყველა სურვილსა და შეთავაზებაზე,მუდამ რომ ამახსოვრდებოდა, რაც მიყვარს. ერთხელ მახსოვს, ზეთისხილი მიყვარდა ძალიან და დავაბარე,სახლში რომ წამოხვალ, წამომიღე-მეთქი, მას შემდეგ მისი სამუშაო დღის შემდეგ ხელს გამოყოლებული პროდუქტების ცელოფანს მუდამ ამშვენებს ერთი ქილა ზეთისხილი,რომელსაც საღამოობით მე, დედა და ბებია შევექცეოდით ხოლმე.

კარგია სახლი,სახლი სადაც გაიზარდე,სადაც მთელი ცხოვრების მოგონებები გვაქვს და სადაც ბებიამ მოგვასუქა მრავალი ჩვენგანი. ამ უკანასკნელს მუდამ ბებიას ვაბრალებ. მესამე კლასის შემდეგ, ჩემი სკოლიდან მობრუნების ჟამს, ბებია მუდამ გზად შემხვდებოდა,სადაც კი დასაჯდომ ადგილს ვიპოვიდით, იქვე, გზად, სახლიდან გამოყოლებულ ახლად გამომცხვარ ღვეზელებს თუ ალადებს დიდი სიყვარულით შემაჭმევდა, შემდეგ კი სახლში მისულს ცხელი სადილიც მხვდებოდა. ამას არ სჭირდება ახსნა, თუ რატომ იქცეოდა ასე, იმიტომ რომ ყველა ბებია ასეთია, იყო და იქნება.

ყველაზე მეტად მაინც ის პერიოდი მეტკბილება, ცურვა რომ კარგად ავითვისე და მარტოც მიშვებდნენ მდინარეზე,ბავშვებთან ერთად. ზაფხულის მოსვლა მეტწილად მდინარის გამო გვიხაროდა სოფელში ყველას. ჩემი ბიძაშვილიც გვსტუმრობდა ზაფხულში გრძელვადიანი არდადეგებისას, მაშინ ანდრიამ არც ისე კარგად იცოდა ცურვა და მე მაბარებდნენ. მაშინ თავი ძალიან დიდი მეგონა. გაიზარდა ჩემი ანდრია და ახლა მას უშვებენ მდინარეზე დამოუკიდებლად. ვერ ვეგუები, რომ უკვე დიდია,მაგრამ უფრო მეტად მიხარია ის ,რომ ერთმანეთისთვის გასაზიარებელი და საკითხავი მეტი გვაქვს. ანდრიასთან ერთად კიდევ ბევრი მოგონება მაქვს დასაგროვებელი.

სოფელში ჩვენი,შვილიშვილების ჩასვლას ყველაზე მეტად ჟუჟუნა ბებო ელოდება და ალბათ ყველაზე მეტად მას უხარია ჩვენი – ყველას ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი წარმატებისკენ და ჩვენს ცუდსაც ყველაზე ძლიერად ის განიცდის.არ ვიცი, რატომ, მაგრამ ალბათ მაინც იმიტომ, რომ იცის ცხოვრების ყველა გამოწვევის შესახებ, მის სახეზე ასახული თითოეული ნაოჭით შეიძლება მისი ცხოვრების მანძილზე დაგროვილი წყენებისა თუ სიხარულის შემჩნევა.

სახლში ყოველი მომდევნო ვიზიტისას ვამჩნევ, რომ, მგონი, ყოველი ჩასვლისას თითო ნაოჭით მეტი აქვთ ჩემს ძვირფას ადამიანებს, და ეს კიდევ უფრო მიღვიძებს სახლში რაც შეიძლება დიდი ხნით ყოფნის სურვილს.ყ ველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ტკივილი, დარდი, წყენა, გულში ღრმად ჩაფლული ფიქრები სახლში მეტად მინელდება, რადგან მეტ ნუგეშს ვგრძნობ. არ ვიცი, რომელი ასაკიდან მოხდა ისე,რომ სახლი ჩემს სიმშვიდესთან ასოცირდება, თუმცა რაც დრო გადის, მით უფრო ვაფასებ სოფელს, სახლს.

ვიღაცისგან მსმენია, რომ სახლი, სადაც მშობლები არ გელოდებიან, ის ნამდვილი სახლი არ არისო, მეც სრულებით ვეთანხმები ამ აზრს და მეტიც, სახლი, სადაც ახლა ვცხოვრობ, საერთოდაც არ ასოცირდება ჩემთვის სახლთან, ეს არის ჩემთვის ისეთი ადგილი, რომ არ მოგწონს და გიყვარს, მაგრამ აბა, სხვა რა გზაა, რადგან უნდა ვისწავლო, რადგან მინდა,რომ ვისწავლო და შემდეგ მომავალში მქონდეს სახლი, რომელიც ჩემი შვილებისთვის გახდება, – ნამდვილი სახლი.

სამეგრელო – სამოთხე

სამეგრელოსკენ მიმავალი გზა ძალიან ლამაზია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იმ გზას დაადგები, სადაც სახლებია ჩამწკრივებული. აბაშაში შესვლის მომენტიდან სხვანაირად უხარია თვალს ყველაფრის დანახვა. ყველა ეზო-კარი ერთმანეთზე ლამაზია, მოვლილი ეზოები, აყვავებული, ფერადი ყვავილები, ფერადი წიწილები, ხილის ხეები და ბუჩქები მუდამ დახუნძლული რომ არის. მსგავს ეზოებს ვერსად შეხვდებით, ამას გულრწფელად გეუბნებით, ყოველ ჯერზე სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩებით მათი ხილვით. კიდევ ძაღლები, ლამაზად, მწვანედ აბიბინებულ მდელოზე რომ გორავენ, თან ისე საოცრად და გემრიელად, შენც რომ მოგანდომებს, მიუგორდე, კატები რომ მუდამ ეჭვის თვალით ჩუმად უყურებენ ყველაფერს.

ყველა ეზო თავის ისტორიას ყვება, ყველა ეზოში დგას ჭაღარაშერეული, თბილი ხალხი, ზოგი რომ ჯოხს ეყრდნობა და გაზაფხულის მზეს ეფიცხება, ზოგიც შინაურ ცხოველებს დევნის, ზოგსაც წყალი ამოავს ჭიდან და ისმის მეგრული ენა, ერთ ქართულ სიტყვის მრავალი ვარიანტი რომ არსებობს, თან ყველა საოცრად და განსხვავებულად რომ ჟღერს. მუდამ გამახარებს ის, რომ მეგრული ვიცი. მეგრელების ერთი თბილად და სხარტულად ნათქვამი: „მუ ჯექერია ცირა რექ“[1] ისე მიგყვება მთელი დღე, რომ ხასიათს ვერაფერი გაგიფუჭებს. მეგრული კომპლიმენტებიც სულ სხვაა: ჯექერია[2], კვეკვერია,[3] გოსილონგირი[4], სკვამი[5]. მეგრულად მეტაფორები ამოუწურავია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითიც. მეგრელი დიასახლისების კომენტარები ხომ ცალკე განზომილებაა, დღის განმავლობაში, საკუთარ თავზე და გარშემო მოვლენებზე. ყველა შემთხვევისთვის გამოიძებნება სიტყვა ან ფრაზა, რომელიც მეგრულ მუსიკას ჰგავს, ენერგიულს და სხარტულს. ყველა მეგრული დიალოგი მეგრელ ხალხს შორის „სისა ტურას“ მსგავსია, მაგრამ მეტად ბობოქარი და ხალისიანიც.

გზებზე მოჩანს მთები, რომ გგონია, თითქოს ერთი ფეხის ნაბიჯზეა და ადვილად მიწვდები. სამეგრელოს გზაზე ჩრდილიც სხვანაირია, მაღალი შრიალა ხეები ლამაზ და ესთეტიურ ჩრდილებს რომ ქმნიან, მუდამ რომ სასიამოვნო სიო ქრის. არ მბეზრდება ყურება, მოსმენა, დამახსოვრება, სტუმრობა, გულდასმით რომ მოგისმენენ და უამრავი მეგრული კერძით ისე გაგიმასპინძლდებიან, უარსაც რომ ვერაფრით ეტყვი.

სამეგრელოში ღომს მთელი ბატალიონის სამყოფს ამზადებენ, ჩემს ოჯახში ასე იყო, ყოველი მომზადებისას გაოცებული ვუყურებდი ღომის რაოდენობას, თუმცა ბოლოს თითქმის არაფერი რჩებოდა და ბებოც ყოველ ჯერზე ამაყად ადასტურებდა, რომ ღომი ბევრი არასდროს არის.

მთელი ბავშვობა სამეგრელოში მაქვს გატარებული, იქ გავიზარდე და მუდამ მოწმე ვიყავი ეზოებში მოქოთქოთე მოფუსფუსე ქალბატონების, საქმე რომ არასდროს ელევათ და თუ მათ დახმარებას გადაწყვეტ, ეს ამბავი არც ისე კარგად სრულდება, რადგან მათი პერფექციონისტობა საზღვრებს ცდება და სჯობს თავად, ისე აკეთონ ყველაფერი, როგორც მათ სურთ. ერთი ეზოდან მეორეში გადაძახილი დიასახლისების, თითქოს ანგარიშს აბარებდნენ ერთმანეთს, დღის მანძილზე შესრულებული სამუშაოსი და თან ამაყად და ბედნიერად რომ აჯიბრებენ ერთმანეთს გაკეთებულ სახლის თუ ეზოს საქმეებს, გულის სიღრმეში კი მაინც ყველას საკუთარი გაკეთებული საქმე მიაჩნია საუკეთესოდ.

სამეგრელოში ცხოველებსაც სხვანაირი ხიბლი აქვთ. იმ საოცრად მოვლილი ეზოების მსგავსად ისინიც სუფთად და მოხდენით დააბიჯებენ სამოვრებზე, ზაფხულში, გამწვანებულ მდელოზე კრუხის ირგვლივ შემომწკრივებული წიწილების ყურებას არაფერი სჯობს. მდინარეც რომ განსაკუთრებით მომხიბვლელად მიჩუხჩუხებს, ტყეებიც სხვანაირად მწვანეა და მაყვალიც მეტად გემრიელია, მდინარისკენ მიმავალს რომ ეკლების არმია უნდა მოიგერიო, თუმცა ვერაფერი შეგაჩერებს, რადგან შესახედადაც მეტად ბზინავს შავი მაყვალი და მოუკრეფავს ვერაფრით დატოვებ.

აქ წვიმაც გამორჩეულია, ყველა სახლის სახურავზე განსხვავებული, სასიამოვნო ჰანგებით გატკბობს. მე მაინც ყოველთვის მგონია, რომ ისიც რაღაც ამბავს ყვება. ხან ბობოქრობს კოკისპირულა, ხანაც საშინლად განრისხებულია ელვითა და ქუხილით, ხშირად კი ცრის წყნარად და ისე ყვება ლამაზ ამბავს. თუმცა მე ბობოქარი წვიმა მიყვარს. ერთხელ თუ გამოცდი სამეგრელოში წვიმიან საღამოს, ტკბილად ჩაძინებას, მუდამ წვიმაში, სახურავის შიშინის ხმებში მოგინდება ძილი.

ასეა სამეგრელო თავს ადვილად შეგაყვარებს, მისთვის ეს საკმაოდ ადვილია, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა მრავალი მიზეზის გამო. სამეგრელოში ერთი ჩასვლა საკმარისია, რომ ყველაფერს სხვანაირად შეხედო და შეაფასო, რადგან მას აქვს ის ეშხი, რაც აქამდე შეიძლება არასდროს გენახა, და ამის შემდეგ მისი მსგავსის პოვნა ერთობ რთულია.

1. **როგორი ახოვანი გოგო ხარ**
2. **ახოვანი.**
3. **კოხტა.**
4. **აშხვართული.**
5. **ლამაზი**

ნეტავ...

ადრე ზაფხული მიყვარდა, ბავშვობაში, უშრეტი ენერგიის წყარო მქონდა, ბავშვებთან ერთად თამაშში დიდ დროს ვატარებდი. ახლა შემოდგომა მიყვარს, მარტოობა და სიმშვიდე შემიყვარდა. კარგ მუსიკას და ფიქრს რა სჯობს, სიო რომ ქრის და გიყვება ამბებს. სკვერში რომელიმე ხის ქვეშ ჩამომჯდარს მრავალჯერ მიფიქრია, ნეტავ რამდენს გაუნდია საკუთარი ფიქრები ამ ხისთვის და სიოსთვის-მეთქი, მაგრამ მაინც ყველაზე კარგი მესაიდუმლე ფურცლებია, გვერდები, რომლებიც ფიქრების მსგავსად უშრეტია.

პატარა რომ ვიყავი, მარტო იმაზე ვფიქრობდი, ნეტავ, როდის გავიზრდები, დიდი როდის ვიქნები, რომ ჩემით მივიღო გადაწყვეტილება-მეთქი, მაგრამ შევმცდარვარ, ძალიან შევმცდარვარ. რას არ მივცემდი, ისევ რომ ისე მიწევდეს საქმის გადაწყვეტა, დედა და ბებია რომ მეტყოდა. რჩევები მათგან არასდროს მაკლია, თუმცა მაინც არა. დიდი რომ ხარ, მეტი საფიქრალი გაქვს და მუდამ ნანობ შენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

,,ნეტავ" – ამ სიტყვის სიჭარბით ჩვენს ცხოვრებაში მეტად ვრწმუნდები, რომ რა, როგორც არ უნდა გავაკეთოთ ახლო მომავალში, იმავე საქმის უკეთესად გაკეთების უამრავი ვარიანტი მოგვივა აზრად, ან იქნებ მანამდეც, სანამ რამეს გავაკეთებთ, მაშინაც ხომ ვამბობთ ამ სიტყვას, ნეტავ, ეს გამეკეთებინა და უკვე, როცა გავაკეთებთ, პირიქით, ნეტავ არ გამეკეთებინა. იმედია, მიმიხვდით, ამით იმის თქმა მსურს, რომ სინანულის და უკეთესის მოლოდინი არასდროს დაგვტოვებს.

ახლა რომ პატარა ვიყო, არ ვიცი, რაზე ვიფიქრებდი, ან რას ვინატრებდი. სავარაუდოდ, ისევ დიდად ყოფნა მომინდებოდა. მაგრამ პატარა ანას ახლა ვეტყოდი, რომ სჯობს, იმ დროში სამუდამოდ დარჩენა, როდესაც ჩემი მთავარი გადაწყვეტილება მხოლოდ ის იყო, თუ რას ვისურვებდი სადილად, ან თუნდაც საკმარისი იყო, თავი დამექნია კითხვაზე, მშია თუ არა და ამით ჩემი მოვალეობა შესრულებული იქნებოდა. არ ვიცი, რამდენად უდარდელი ბავშვობა მქონდა, თუმცა ნამდვილად დავაბრუნებდი პატარა ანას, ყოველი კვირის ბოლოს დედის მოლოდინში რომ იძინებდა და იცოდა, რომ დილას, გამოღვიძებისთანავე, დედის თბილ მკერდზე მიხუტებული იქნებოდა და თავს იგრძნობდა მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ ბავშვად.

დედა ჩემი გმირია, ყველა დედა გმირია, მაგრამ ბებიების ამაგს მუდამ მეტად დავაფასებ. ნაოჭიანი, თბილი თვალებით, ხელებით და ხმით რომ გვეფერებიან ყოველი ნახვისას, წყენაც რომ მალევე ავიწყდებათ და ჩვენს შემორიგებას მუდამ ცხელი სადილით ან ვახშმით ცდილობენ.

კარგია შემოდგომა, შემოდგომას დაცვენილი ხრაშუნა ფოთლებიც რამ დენ საიდუმლოს ინახავენ, ჩვენი ბებია-ბაბუების მსგავსად, და, ყოველი ფეხის დაბიჯებისას, მათი ხრაშუნით გვიყვებიან სეზონის მახვილზე დაგროვილ საიდუმლოებებს. ნეტავ, მე როგორი ბებია ვიქნები, რას მოვუყვები ჩემს შვილიშვილებს, ან მე თუ დავაგროვებ მათთვის მისაცემ ბევრ რჩევას და გასანდობ საიდუმლოებებს. ნეტავ, ის ხრაშუნა ფოთლები თუ უზიარებენ ერთმანეთს საიდუმლოებებს, ან ნეტავ, ჩვენთვის შეეძლოთ რჩევების მოცემა.

თამარ გაბროშვილი

ბეწვის ხიდი

ბეწვის ხიდზე მარტო თუ გახვალ...

ადამიანს სულ ტყუილად ჰგონია, რომ მიწაზე დადის, ასფალტზე დააბიჯებს, კლდეზე მიცოცავს, წყალში დაცურავს, გემით, მატარებლით, თვითმფრინავით მოგზაურობს, მშვიდად ძინავს თავის საწოლში... სინამდვილეში ადამიანი მუდამ – ცხადშიც და სიზმარშიც – ღვიძილის დროსაც და ძილის დროსაც – ბეწვის ხიდზე დადის, გადის. რომ იცოდეს, რომ ეს ასეა, განსაკუთრებულ სიფრთხილეს გამოიჩენდა წონასწორობის დასაცავად და საკუთარი თავის გადასარჩენად: აღარ ივლიდა უსაზღვროდ გადაღლილი, ნასვამი, განერვიულებული და ა.შ. ეცოდინებოდა, რომ ყოველ წამს ამ წუთისოფელში ფეხი შეიძლება ჩაუცდეს ბეწვის ხიდიდან და გადაიჩეხოს. ჰოო, ჰგონია, რომ მიწაზე დადის და თვლის, არა უშავს, თუ სადმე წაიქცევა, ისეთი არაფერი მოუვა, მაგრამ რომ იცოდეს მისი სიცოცხლის ბეწვის ხიდი ცაშია გაკიდული, კლდეებს შუა, ან სადღაც – უკიდეგანობაში, ფეხთაქვეშ მიწა კი არა – სიცარიელეა, ან ზვირთთა ცემა და ვინ იცის რა – მაშინ – ნამდვილად, მუდმივი სიფხიზლისკენ, გონიერებისაკენ, სიმშვიდისკენ, წონასწორობის დაცვისკენ მოუწოდებდა საკუთარ თავს; თანაც – როცა ბეწვის ხიდზე გადიხარ, ნელა უნდა იარო და სასურველია, ხელები, ცოტათი მაინც, გაშლილი გქონდეს – ეს აიოლებს წონასწორობის დაცვას. ამ დროს კი – ხელგაშლილი ადამიანი თავისი ფორმით – შორიდან ჯვარს ემსგავსება. ჯვრის იქით კი უფალი სუფევს. ანუ – ადამიანი როცა ღვთისნიერად ცხოვრობს, იქცევა, ფიქრობს, მოქმედებს – მას ამ ბეწვის ხიდზე სიარულისას იფარავს და ეხმარება თავად უფალი!

სხვანაირად რომ იყოს, ჩვენს სოფელს, სადაც ადამიანები ვცხოვრობთ, წუთისოფელი არ ერქმეოდა. აქ ყველა წუთი გათვლილია. **თუ სიარულს აპირებ, არც თვალის მოხუჭვის, არც მოდუნების, დათრობის, გადარევის და ა.შ. საფრთხის შემცველი მოქმედების უფლება არ გაქვს, ადამიანო! გახსოვდეს, რომ მუდამ ბეწვის ხიდზე დადიხარ! მაშინაც კი – როცა ერთ**

ადგილას ზიხართ, წევხართ, ან გძინავს!

ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა სულ მიმდინარებს; სისხლი – თხემით ტერფამდე – მუდმივ მოძრაობაშია, რაც განაპირობებს ჩვენს სიცოცხლეს. სწორედ ეს – ჩვენი სხეულის შინაგანი, უწყვეტი მოძრაობა ჩვენი მუდმივი სვლაა ბეწვის ხიდზე... ძილი ღვიძილის გაგრძელებაა... და შეიძლება ითქვას, რომ ძილის დროს უფრო რთულია ბეწვის ხიდზე სიარული, რადგან, თუ ღვიძილისას ჩვენ რამდენადმე შეგვიძლია საკუთარი თავის მოვლა-პატრონობა, ძილისას ჩვენი ყურადღება მთლიანად დაფანტულია და მართლაც ღვთის ანაბარად ვართ... როგორ ჩაიარა ჩვენმა წინა დღემ, დღეებმა, ცხოვრებამ, გარკვეულწილად, ღამე ამ დღის, ამ დღეების, ცხოვრების ასახვაა – **ღამე დღის სარკეა!** როგორ ჩაივლის ეს დღე და ღამე, არავინ იცის – წამის ყოფაზე აგებული ჩვენი დიადი მიზნები და მისწრაფებები ზღაპარს უფრო ჰგავს – იყო და არა იყო რას...

ვინ შეგვეწევა, ვინაა მართლა ჩვენი კეთილმოსურნე?

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, გვახსოვდეს, რომ გულთბილი, სიყვარულიანი, მეგობრული დამოკიდებულება – თანადგომა ჩვენ გვაძლიერებს, უხილავ ფრთებს გვასხამს და ამ ბეწვის ხიდზე სიარულში, ანუ სიცოცხლეში – კარგად მყოფობაში, გადარჩენაში, მშვიდობიან „გადაადგილებაში“ – ქმედებებში, წინსვლა – წარმატებებში გვეხმარება. პირიქითა ქმედებებისას – ბოროტი ძალის გამოვლენისას – ყვირილისას, ჩხუბისას, ნებისმიერი სახით ჩვენი მწყობრიდან გამოყვანისას კი – მავანნი ხელს გვკრავენ ბეწვის ხიდზე მოსიარულეებს და არ აინტერესებთ ჩვენ რა მოგვივა... უხილავ ფრთებს გვაჭრიან, ანუ – ავლენენ, რომ არ ვუყვარვართ...

ამდენად, გვმართებს ჩვენი თავი ჩვენვე დავიცვათ, მით უმეტეს, თუ ვაცნობიერებთ ჩვენს ამქვეყნიურ მისიას და ვხვდებით, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ჩვენს ფეხთაქვეშ გადებული ბეწვის ხიდები საიდან საით მიემართებიან!!!

მოკაშკაშე და ჩამქრალი ვარსკვლავები

დედა – ქალებს ღმერთმა ღვთიური საჩუქარი უძღვნა: გასაოცარი – განაყოფიერებული კვერცხუჯრედი იწყებს ციმციმს, ნათებას, მასში იქმნება დენი, დენის წყარო ხდება სიცოცხლისძალამიცემული ციცქნა კვერცხუჯრედი... რომელიც დღეების, თვეების განმავლობაში იზრდება, მეტად ინთება – ანათებს თავის თავს, დედას – შიგნიდან – ასე – ქალში თითქოს ვარსკვლავი – მანათობელი იბადება, ჩნდება... დედა ცხრა თვე დაატარებს მას და თვითონაც, შეიძლება ვერც კი აცნობიერებდეს, ამ ვარსკვლავბიჭუნასთან, ან ვარსკვლავგოგონასთან ერთად მიწაზე კი არა, მეცხრე ცაზე დაიარება, მეცხრე ცამდე ადის, აღწევს – მაღლა და მაღლა... ეს რამხელა წყალობა და ბედნიერებაა – ქალი ხდება დედამიწაზე ცოცხალი ვარსკვლავის დამბადებელი... ამ ვარსკვლავის სიდიადეს სულაც არ ამცირებს ის ფაქტი, რომ ჩვენ – დამხვედრნი სულაც ვერ, ვეღარ აღვიქვამთ ახალშობილის ნათებას; საამისოდ, ამის შესამჩნევად თვალი არ გვიჭრის...

უცნაურია, ადამიანი – ვარსკვლავი გვამცნობს – ვარ-ს-კვლავ-ი, ვარ კვლავ! ანუ ადრეც ვიყავი, ახლაც ვარ და მერეც ვიქნებიო...

მაგრამ რა ვუყოთ ჩამქრალ ვარსკვლავებს? დედა, რომელიც შეგნებულად, ან შეუგნებლად, აბორტს იკეთებს და თავის სხეულში შექმნილ მანათობელს აქრობს, სპობს? ნეტა ოდესმე, სადმე კვლავ აინთებიან ეს – განწირული ვარსკვლავები? ნეტა არ იყოს ნებაყოფლობითი ასეთი შემზარავი არჩევანის გაკეთება...

ძვირფასო ქალებო – დედებო! გაამრავლეთ სინათლე, სიცოცხლე ამ ქვეყანაზე! პატივი ეცით თქვენში ჩასახულ ჭეშმარიტებას, უფლის სახეს – სიყვარულის წმინდა აღთქმას – დაბადებას!

ეს შეუცვლელი მისიაა ქალისა – გახსოვდეთ მარად!

სიყვარულის ზეხვეულა



ამოვედი. წამოვიზარდე თუ არა, ჩემს შორიახლოს შეგნიშნე. შენკენ გადმოვიზნიქე, მოგიახლოვდი თანდათან და, როგორც იქნა, შენს წერწეტ ტანს ზედ შემოვეხვიე, ზედ ამოვეხვიე, წვრილ-წვრილი ტოტები ავშალე ჩემიდან და შენ ირგვლივ ჩემი ზეხვეულა საბინადრო შევქმენი... მწვანედ ავბიბინდი, ავფოთოლაკდი...

გავიზარდე, ძალიან გავიზარდე შენთან უხმო ბაას-შრიალში. თანდათან სიყვარულით გამომეფუღრა გულ-მუცელი. ღარმა ცხოვრებისამ ჩამიარა სხეულში და ჩემს თავშივე უღვთოდ ჩავმტვრიანდი; ფერდებიდან ახალ-ახალი მწვანე ქონდარა ტოტები ამომეყარა, მიწამდე დამეშვა გრძელი ნაწნავები... შორიდან – ჩემიდან შენამდე გახევებულ, გაქვავებულ საქანელას ვგავარ – ზედ თრთოლია ჩიტები მასხდებიან და დამჭიკჭიკებენ, უყურებენ ჩემს ტოტებზე ჩამოკიდებულ მარცვლებით დაბერილ პარკებს, იასამნისფერ ფუმფულა ყვავილებს და მადლიერებისას გალობენ.

შენ კი, შენ კი, როგორც ყოველთვის, ახლაც, უძრავად, ტანაწერწეტებული დგახარ და სმენადქცეულს მთავარზე შემოგღაღადებ:– შენ ბურჯი ხარ, დედაბოძი ხარ, რომელსაც გეყრდნობი, რომ არ წავიქცე, რომ ჩემი მსხმოიარე ტოტები, ასე უღთოდ გადმოხრილს, შემაკავებინო და ლოცვაღა აღმომხდეს: „დიდება შენდა, ღმერთო ჩემო, დიდება შენდა!“

მწერალთა სახლის წინ – ბათუმში

ავთანდილ არაბული

ბედი და ბედისწერა

ფიქრები რუსთაველის ახალი პორტრეტის გამო

ჭეშმარიტი პოეტის ბედი და ბედისწერა, საზოგადოდ, სრულიად ამბივალენტური ბუნებისა ჩანს; ის სწორედ ამ საბედისწერო ტრაგიზმით გამოირჩევა სხვა ღვთივდანაბადთა შორის.

ერთი მხრივ, იგი რჩეულია რჩეულთა შორის („მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ"), რაკი სწორედ მას მოჰმადლა დამბადებელმა ნიჭი ახლის შემოქმედისა, გაუხსნა თვალი გონებისა და მიანიჭა მადლი სიტყვისა...

მეორე მხრივ, იგი არ არის შექმნილი ამქვეყნიური ცხოვრებისათვის, მისი ნიჭი, მისი შემოქმედებითი უნარი მისივე ჯვარცმაა ამქვეყნიური („რომელმან შეიძინა მეცნიერება, შეიძინა ვნება")...

ბედისა და უბედობის ეს ამქვეყნიური ჯვარი განცდილი და გააზრებული აქვს ყველა ჭეშმარიტ შემოქმედს. აი, როგორ ხატავს გალაკტიონის გენიის მოვლინებას შოთა ნიშნიანიძე: „სთქვეს ერთხელ სამთა ანგელოსთა,როგორ დავბადოთ კაცი, ყველაზე ბედნიერი და უბედურიც"?.. იმსჯელეს და გადაწყვიტეს, შექმნან იგი ყველაზე „მდიდარ" ადამიანად, „ოღონდ დავბადოთ... უთუოდ მგოსნად და უთუოდ საქართველოში"! (ე. ი. პოეტის ბედისწერა საქართველოში მაინც სულ სხვაა!). ხოლო იგივე ანგელოსები, ანა კალანდაძის შესანიშნავი ლექსით, პოეტის მოვლინებას ამგვარ ბეჭედს ასვამენ: „— ბედი ჰქონდეს! — თქვა შავთვალა ანგელოსმა, — ბედი ჰქონდეს? ხა, ხა, ხა, ხა, არასოდეს!.. — სთქვა სატანამ"...

მართალია, ჩვენ ერთი დეტალიც არ ვიცით დიდი შოთა რუსთაველის რეალური ბიოგრაფიისა, მაგრამ უკვე ეს არცოდნა გვიდასტურებს, რომ შეუძლებელია სხვაგვარად გავიაზროთ ბედი და ბედისწერა გენიალური მოაზროვნისა და პოეტისა.

განა ვინმემ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ ისეთი ზებუნებრივი ნიჭის შემოქმედი, როგორიც იყო შოთა რუსთაველი,იმდროინდელი ისტორიული პერიპეტიებისაგან განრიდებული, „კომფორტულ" სიმშვიდეში აღასრულებდა თავის შემოქმედებით მისიას?!

ყველა შესაძლებელი წარმოსახვა საქართველოს ისტორიიდან „დიდი საშლელით" ამოშლილი პოეტის ბიოგრაფიისა მეტყველებს იმას, რომ ეს ასე არ ყოფილა (თავად „ამოშლილობაა" ამისი არგუმენტი). ხოლო თუ რუსთაველის მასშტაბური პოეტური ჭვრეტის დეტალებს დავაკვირდებით, თვალში სწორედ ეს ტრაგიზმი გვეცემა. მივაყურადოთ მის გულისთქმას:



„მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან
რჩებიან,
იშვებენ, მაგრა უჭიროდ ბოლოდ ვერ
მოურჩებიან;
ვაქებ სიმხნესა ბრძენთასა, რომელნი
ეურჩებიან"!

ანუ, დიდი პოეტის კონცეფციით, შემოქმედის სიბრძნე განრიდებაში და გარინდებაში კი არ არის, არამედ მხნეობასა და ურჩებაში.

ამიტომაც რუსთაველი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ განრიდებულად და განზე მდგომად იმ ისტორიული პერიპეტიებისაგან,რომლებიც ქვეყნის ისტორიული გზის არჩევანს უკავშირდებოდა.



ამიტომაც უსამართლოა ისტორიაც და მეცნიერებაც,რომელიც პოეტის მოღვაწეობის აქტიურ

პერიოდს ფაქტობრივ ააცდენს იმ ისტორიულ ეპოქას, იმ კონცეპტუალურ პაექრობას, რომლის ცენტრალურ ხაზსაც პოემის იდეური განაზრახი წარმოგვიდგენს.

აშკარაა: შოთა რუსთაველის შემოქმედებითი ბედი (ღვთივმონიჭებული პოეტური ტალანტი) და მისივე სამოღვაწეო ბედისწერა ფატალურად დაპირისპირებული აღმოჩნდა ერთმანეთთან, იმდენად სასტიკად, რომ ისტორიამ არსებითად წაშალა ამ დიდი მოაზროვნის რეალური ცხოვრების ყოველი დეტალი.

რუსთაველს არ გაუმართლა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი, უნდა ვივარაუდოთ, რეპრესირებული აღმოჩნდა გამარჯვებული მმართველი ძალისაგან, არამედ, არანაკლებ, იმიტომ, რომ წამყვანმა შემოქმედებითმა ელიტამ ან ვერ გაიგო, ან განზრახ დაამახინჯა ის სიბრძნე და წინასწარმეტყველური განსჯა, რასაც პოემა ქართველს უქადაგებდა (სახალხო სიყვარული, რომელმაც ასე თუ ისე გადაარჩინა ნაწარმოები დაღუპვას, სრულიად სხვა ფენომენია).

დიახ, რუსთაველის გენია დაჯილდოებული იყო წინასწარმეტყველური ჭვრეტის უნარით და მან წინასწარ განჭვრიტა ისტორიის განვითარების არსებითად ყველა დეტალი, რასაც, ჩვეულებისამებრ, თანამედროვენი მტრობად სახავენ ხოლმე („არა-ვინ წინასწარმეტყუელი შეწყნარებულ არს სოფელსა თვისსა“).

ამიტომაც არ აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი არცერთ დაცულ წიგნსაცავში.

ამიტომაც დაიწყო სასულიერო წრემ პოემის ავტორის მორალური შეფასება.

ამიტომაც მისცა თავს უფლება ყველამ (გვირგვინოსანმაც და მდივან-მწიგნობარმაც) აზრისა და სიტყვის დიდოსტატისთვის ნათქვამი ესწორებინათ და „დაკლებული“ შეევსოთ!..

ნიშანდობლივია, რომ პოეტის მოღვაწეობიდან დაახლოებით სამ-ნახევარი საუკუნის შემდგომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი უკვე საფუძვლიანად არის შერყვნილი. უპირველესად იგულისხმება ცნობილი სასულიერო მოღვაწის, იოვანე ავალიშვილის მიერ შექმნილი ნუსხა მე-16 საუკუნის ბოლოს. კერძოდ, უკვე ამ ხელნაწერს პირველ სტროფად „ამშვენებს“ არა გენიალური დასაწყისი – „რომელმან შექმნა სამყარო“..., არამედ სასტიკი მორალური ვერდიქტი:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ
სპარსულად,
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქმნა
ხორც არ სულად,
საერია, არ ახსენებს სამებასა ერთარსულად,
თუ უყურა მონაზონმან, შეიქნების
გაპარსულად“.

როგორც ვხედავთ, აქ უკვე დომინირებს პოემის „სპარსულობის“ ის აზრი, რომელსაც, ცხადია, საფუძველი დაუდო ნაწარმოების პროლოგის ტაეპმა – „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“..., რაც (თუ ის ნამდვილად ავტორს ეკუთვნის) აშკარად არის გამოხატულება სიუჟეტური შენიღბვის ხერხისა...

რაც მთავარია, უთუოდ ეს აღმოჩნდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორები ამ დროის ხელნაწერებში, განსაკუთრებით მამუკა თავაქარაშვილის ნამოღვაწარში, უგამონაკლისოდ ხატავენ პოემის პერსონაჟებსა და თავად ავტორსაც კი აღმოსავლური მინიატურების სტილისტიკით (ყველა თავისი დეტალით და აქსესუარებით).

სწორედ ამის გავლენით საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთგვარი სტერეოტიპი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ აღმოსავლურ გამომსახველობას დაუკავშირა და ამას ახალმა ქართულმა მხატვრობამა და პოლიგრაფიამაც კი ვერ დააღწია თავი. არადა, უეჭველია, „ვეფხისტყაოსანი“ ესთეტიკითაც და მსოფლმხედველობრივადაც ევროპული რენესანსის სათავეებს წარმოგვიდგენს.

უპირველესად, სწორედ ამ თვალით უნდა შევხედოთ ცნობილი მხატვრის, ორიგინალური მოაზროვნის, ბატონი რეზო ადამიას სრულიად ახლებურ მიდგომას, სხვაგვარ ძალისხმევას შოთა რუსთაველის პორტრეტისა თუ პოემის პერსონაჟთა სურათების შექმნისათვის. ეს პასუხისმგებლობა თავად ბატონ რეზოს ერთ ვრცელ ნარკვევში ამგვარად აქვს გამოხატული: „მხოლოდ შოთა რუსთაველის გენიის დონის და ნიჭის მხატვარი თუ კომპოზიტორი შეძლებდა ყოვლად საოცრებაპოემის მხატვრულ-მუსიკალურ დასურათებას“...

ცნობილი მხატვრის ამ ახალ ძალისხმევას, პირველ რიგში, ამგვარი თვალით უნდა შევხედოთ: იგი მიზნად ისახავს აღნიშნული „აღმოსავლური“ სტერეოტიპის დარღვევას და გენიალური შემოქმედის „ქართული“ სახის შექმნას.

მაგრამ, ვფიქრობთ, აუცილებელია მნახველმა იცოდეს, რომ ეს ახალი „ქართული“ სახე კონცეპტუალურია და არა რეალისტური. მეტიც, ეს არის ერთგვარი ფრესკული სახე, წმინდანის გამოსახულება, დაახლოებით ისეთი, ჩემეული ინტერპრეტაციით, როგორიც იქნებოდა რუსთაველი არა პოემის წერის ასაკში, არამედ მიღებულ ტანჯვათა შემდგომ, ამ სოფლიდან გასვლის ჟამს. თუ მკრეხელობად არ ჩამომერთმევა: რომ წარმოვიდგინოთ აღსრულებული გენიალური შემოქმედის სახეზე დაფენილ ტილოზე საწაულად აღბეჭდილი გამოსახულება...

სწორედ ამას მეუბნება პირადად მე ამ პორტრეტ[ებ]ის გრაფიკული გამოუკვეთლობა: თითქოს სახე სამყაროს ქმნადობიდან „ამოდის“, თითქოს თვალებს არა აქვთ ზუსტი კონტური და გამომსახველობა, თითქოს პოეტის მზერა პიროვნების კი არა, სამყაროს სიღრმიდან მოდის... სრულიად ბუნებრივია, თუ ამ კომპოზიციაში ილანდება გარკვეული თეოლოგიური თუ კოსმოლოგიური მინიშნებანი...

ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული კულტურის შემფასებელთა და დამფასებელთ მნიშვნელოვან სიახლესთან უწევთ შეხვედრა და, ჩემი მხრივ, მინდა გამარჯვება და აღიარება ვუსურვო ამ ახალ სიტყვას!..

ესე

როსტომ ჩხეიძე

რატომ არის შავი ზღვა ასეთი მლაშე?

მიხეილ ლოხვიცკი

არა, მართლა რატომ არის შავი ზღვა ასეთი მლაშე?

პასუხს ნუ იჩქარებთ.

გულმა უნდა გიგრძნოთ, რომ აქ რაღაც პოეტური აღქმა იმალება და იმას უნდა მიგნება.

რატომ და თურმე: ჩერქეზთა ცრემლისაგან.

ამ ლექსს ჩერქეზულად იტყვიან მიხეილ ლოხვიცკის ხსოვნის საღამოზე და იქვე ქართული თარგმანიც რომ მოჰყვებ, კავკასიური სახლის დარბაზში აღტაცების ნიავი გადაიშრიალებს.

ჩვენთვის გასაგები ჩერქეზთა ტკივილი, რუსეთსა და ოსმალეთს შორის მომწყვდეული თავისუფლებისმოყვარე ხალხის ტრაგედია, ეროვნულ ნიშან-თვისებათა წაშლას რომ ვერ ეგუებიან და თავგანწირვით შებმიან ულმობელ ბედისწერას, მაგრამ სასტიკია რეალობა და სრესთ, ანადგურებთ, ეროვნულ თავისებურებებს უკარგავთ და, რაც მთავარია, მშობლიურ ენას გლეჯთ. იწრიტება სასიცოცხლო ძალა, მორღვეული ტერასებივით და აჩეხილი ბაღებივით იშლება ჩერქეზული მოდგმა, მაგრამ დაშლა ჯერ მაინც არ ნიშნავს გადაშენებას, გაორებული ყოფა ჯერ მაინც მიბმულა საკუთარ ფესვებზე და თუ მწერალსაც გაუნელებელი სევდის გამოსათქმელად რუსული ენა აურჩევია, ეს ვერ მოაკლებს ტკივილს სიღრმესა და სიწრფელეს, სურათებს — ექსპრესიას, განცდას — სიმძაფრეს.

მით უფრო მაშინ, როცა მწერალი მთელი ცხოვრება ამ მთავარი სათქმელის მხატვრულად გაცხადებისთვის ემზადება. მანამდე იქნებ ვერც აერიდოს კომპრომისებს, შეაფერადოს სინამდვილე, დაწეროს ის, რაც არა სწამს, გულგარეთა მოვლენებს გამოედევნოს, მაგრამ როცა მოაწევს გადამწყვეტი ჟამი, მაშინ პირნათელი დგება ლიტერატურული სიმართლისა და ზნეობის, ისტორიის მიუკერძოებელი განსჯის, თვისი ხალხის წინაშე. ასეა ამჯერადაც:

მიხეილ ლოხვიცკის მოთხრობა „მეხთატეხა“ ჯერ კიდევ საბჭოურ ეპოქაში აშიშვლებდა ეროვნულ ტკივილებს, დაურიდებლად ამხელდა ძალისძალათი თავსმოხვეულ ყალბ ისტორიას და მარტოდენ წარსულს კი არ გამოიგლოვდა, მკაცრი რეალობის დაუსრულებლობასაც განიცდიდა იმ შმაგი ვნებით, რაც ჯილაგით მოსდგამდა.

„აბა, ვის შეუძლია თქვას, როდის მორჩილება სჯობს და როდის ისეთად დარჩენა, როგორიც ჩვენი მამა-პაპანი ყოფილან? კაცი ერთხელ რომ დაიჩოქებს, მერე ხოხვასაც მიეჩვევა, ხალხსაც ყბის ქვეშ მოექცევა თვალები, როგორც თხუნელას აქვს... მე ერთი რამ ვიცი: კაცმა თავისი სახლი უნდა დაიცვას, ხალხმა კი — თავისი მიწა. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება“! — ეს ის უბრალოდ ნათქვამი ჭეშმარიტებაა, სულიერ სიმხნევესა და ღირსებას რომ უნარჩუნებს პიროვნებასაც და ხალხსაც და გადაბუგული აულები და ჩახოცილ თუ გადასახლებულ მოძმეთა ბედი სასოწარკვეთაში კი არ აგდებთ, დიდი შემობრუნების იმედს უტოვებთ.

დაუმორჩილებლობას გამოხატავენ იარაღის ხელში აღებითაც და იმ, ერთი შეხედვით, უცნაური გზითაც, მინდორში რომ დაწვება ლამის მთელი აული და ელოდება ნელინელ სიკვდილს, მშვიდად, აუღელვებლად, საკუთარი მეობის შენარჩუნების შეგნებით, სწორედ ამ შეგნებით და არა გულუბრყვილო რწმენით, რომ რუსთ ხელმწიფეს გულს მოულბობენ და ხელს ააღებინებენ ჟლეტა-განადგურებაზე. ჩეჩნები ერთმანეთის დარწმუნებას სიტყვით კი არა ცდილობენ, თვითონვე ლამობენ გახდნენ მისაბაძნი. ეს სცენაც თავისებურად მისაბაძია ზნეობრივი სიღრმით და ისეთ შთაბეჭდილებას მოახდენს ერთ-ერთ რუს მეომარზე, ისე შემოუტრიალებს გულსა და გონებას, რომ თავისდაუნებლიეთ მიატოვებს პოლკს და ჩეჩნებს მიაკითხავს, რათა მათი ჭირი და ლხინი გაიზიაროს.

ლხინი წამიერია, აულში ცხოვრება ცოტა ხანს დასცალდება, მაგრამ იაკოვ კაისაროვისთვის ეს მაინც ყველაფერს ნიშნავს და არაფრად აგდებს არც მძიმე ჭრილობებს და არც ციმბირში გადასახლებას, რადგანაც ტრაგიკული სცენის ხილვამ საკუთარი თავი აპოვნინა. პირველად ახლა შეზარა თვისი ცხოვრების წესმა.

არც ისტორიამ, არც ზეპირმა გადმოცემებმა არ იცის კავკასიური ომის ისეთი მონაწილე, ვინც მშვიდობიანი მოსახლეობის რბევას მათ გვერდით დგომასა და მუყაით გარჯას ამჯობინებდა. მიხეილ ლოხვიცკი თვითონ ქმნის ასეთ ლეგენდას: რაც არ მომხდარა, მაგრამ შესაძლოა მომხდარიყო.

ვითომ მართლა შესაძლოა? თუკი ასეა, ერთი, ერთადერთი პიროვნება მაინც რატომ არ გამოჩნდა ამ ზნეობისა? მაგრამ მწერალი ენდობა ადამიანურ ბუნებას, მასში ჩაბუდებულ კეთილ საწყისს, სწამს კაცობრიობის დასაბამიერი ერთიანობა და მიაჩნია, რომ ერთმანეთისგან დაცილებული ადამიანები ოდესმე მაინც ჰპოვებენ ურთიერთთან დაახლოების გზებს. კაისაროვი, ერთი რიგითი ოფიცერი, თავდაპირველად ოცნების სურათებში რომ ხედავს, თუ როგორ ჩეხავს კაცსაც და ხეხილსაც, თანდათანობით იქცევა ამაღლებულ, იდეალურ სახედ. ოღონდ

მისი სულიერი შემობრუნება მომაკვდავთა ველის ხილვამ კი გამოიწვია, მაგრამ იდუმალი განცდა ისედაც უბიძგებს სხვადასხვა ადამიანში რაღაც მშობლიური ნაკვთები შეიცნოს, ჩერქეზი ბერიკაცი ოდესღაც ნანახ რუს გლეხკაცად მოეჩვენოს.

ეს იდუმალი განცდა ლეიტმოტივად გასდევს მოთხრობას... გრძნობის ეს სიწრფელეა, კაისაროვი არაფრისდიდებით რომ არ დათანხმდება შეთავაზებულ სიყალბეს და მტკიცებას არ მოჰყვება, ჩერქეზებთან ჩემი ნებით კი არ მივსულვარ, არამედ ტყვედ ჩამიგდესო. უკვე ის აულიც გადამწვარი და გაჟუჟულია, ეს განდგომილი რუსი ოფიცერი რომ აფარებდა თავს. ამიტომ წასასვლელი აღარსად აქვს, გარდა თავისი პოლკისა: თანამებრძოლებიც ხომ მზად არიან თავი მოიტყუონ, კაისაროვი ტყვეობიდან დავიხსენითო. და ეს იმიტომ, რომ დიდ მთავარს არაფრით არ უნდა გახმაურდეს, რუსი ოფიცერი მოღალატე აღმოჩნდაო. მაგრამ კაისაროვისთვის თავისი საქციელი ღირსებაა და არა ნაკლი და ცოდვა.

იგი არაფერს დახარბებია, უანგაროა და მხოლოდ გულის კარნახს მიჰყვება. სასჯელისათვის თავის არიდება ერთბაშად გააფერმკრთალებდა მისი სულიერი ფერისცვალების ზნეობრივ ღირებულებას და გადასახლებაში სტოიკური არსებობა, უშუალო გაგრძელება ამიტომაც არის მისი კაცური სიცოცხლისა, შემზარავი ცხოვრების წესს ერთხელ და სამუდამოდ რომ აქცია ზურგი.

მარჯვე კი გამოდგა ამ მოთხრობაში მისტიფიკაციის ხერხი, უცხოს, მტრად მოსულის თვალით რომ წარმოისახა ტრაგიკული ხალხის ბედი. ოღონდ ეგეც არის: ეს ხერხი მწერალს იქნებ იმ გარემოებამაც უკარნახა, „მეხთატეხა“, ისევე, როგორც ყველა მისი თხზულება, რუსულად რომ დაიწერა.

ესეც გაორებული ყოფის, მწარე ბედისწერის ნაყოფი იყო, რომ ჩერქეზულ ენას მოწყვეტოდა.

მიხეილ ლოხვიცკიმ რუსულად დაიტირა თავისი ერის ტრაგედია.

ჩინგიზ აიტმატოვმაც აკი რუსულად დაიტირა ყირგიზთა უბედური ხვედრი.

ირლანდიელი მწერლებიც აკი ინგლისურად მოთქვამდნენ ირლანდიის ტრაგიკულ ბედს.

გაორებული ყოფა...

არა, მაინც როგორ შეუნარჩუნებია მშობლიური ნიშატი, თანაც ასე უკიდურესი სიმძაფრით. ფესვები გაფერმკრთალებულიყო, სადღაც ნისლში ჩაძირულიყო, მაგრამ თავისებურ ნიშან-თვისებათა წაშლა და ალუფხვა არ ყოფილა აგრე იოლი და „მეხთატეხა“ ყოველთვის ამოტეხავს ყალბი ისტორიის გარსს და ექსპრესიულად შემოინახავს სახესა და სუნთქვას იმ ხალხისა, რომელნიც დაჩოქებით არასდროს იჩოქებდნენ, რათა მერე ხოხვაზე არ გადასულიყვნენ.

1998 წელი

მოამზადა
ლეილა ქიტოშვილ-სახლთხუციშვილმა

ინტერვიუ

„გაკვეთილის ახსნას ვიწყებ ილიას სახლ-მუზეუმის დათვალიერებით და მდინარე დურუჯის სათავეში ექსკურსიით“...

ბავშვობიდან სწავლის სიყვარულს და სიკეთეს უნერგავდნენ. დავალებებს ლამპის შუქზე წერდა... სტუდენტობის წლებიც გამორჩეული ჰქონდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე საუკეთესო ლექტორები ასწავლიდნენ.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თავის – ყვარლის №1 საჯარო სკოლაში. საათები მისმა ქართულის მასწავლებელმა დაუთმო. მას შემდეგ ამ სკოლაშია და მომავალი თაობების აღზრდის საქმეს ემსახურება. ღვაწლმოსილი პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი მთელ ყვარელს უყვარს და ეამაყებათ.

ყვარლის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ნინო იშხანიძის პერსონა.

– ბავშვობიდან დასამახსოვრებელი?..

– ბავშვობა მხიარული და ხალისიანი მქონდა. კარგი დედ-მამა, პაპა, ერთი და, ორი ძმა და მე ბედნიერად ვცხოვრობდით. ჩემი მამა-პაპა ბევრს შრომობდა, რომ ბავშვებს არაფერი მოგვკლებოდა. ნატურალური პროდუქტით გვკვებავდნენ, სიკეთეს გვინერგავდნენ და სწავლისთვის გვაქეზებდნენ. ბავშვობიდან დამამახსოვრდა, რომ მაგიდაზე ორი ქაღალდჩამოფარებული ნათის ლამპა იდგა და დავლებებს მის შუქზე ვწერდით.

– რატომ აირჩიეთ ფილოლოგობა?

– ქართულ ენასა და ლიტერატურაში საუკეთესო მასწავლებელი – ვენერა კოკორაშვილი მყავდა და მას მივბაძე.

– სტუდენტობის წლები?

– სტუდენტობის წლები ლამაზი იყო,

თბილი, მშვიდი და მე ვიყავი დედამიწაზე მოსიარულე ღმერთების შეგირდი,ჩემი ლექტორები იყვნენ: აკაკი და მზექალა შანიძეები, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, ივანე იმნაიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი,შალვა ნუცუბიძე,გიორგი ჯიბლაძე,გრივერ ფარულავა და სხვა მრავალი.

— ყვარლის №1 საჯარო სკოლაში მუშაობთ...

— უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე ჩემს სკოლაში (ყვარლის №1 საჯარო სკოლა). საათები ჩემმა ქართულის მასწავლებელმა დამითმო. ყვარლის №1 საჯარო სკოლა გამოირჩევა და მუდამ გამოირჩეოდა ძლიერი პედკოლექტივით, რაც არაერთი კვლევით დადასტურდა. აქ ვმუშაობ 1968 წლიდან დღემდე.

— ტრადიციად აქციეთ ყოველწლიური ილიაობისადმი მიძღვნილი საღამოები...

— სკოლაში ჩატარებული მრავალი ღონისძიებიდან თითქმის კანონად ვაქციე ყოველ წელს ილიაობისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო. ცალკე გამოვყოფდი მცირე თეატრალურ ნაწყვეტებს „ჰამლეტიდან“ და „მეფე ლირიდან“.

— ყვარელი დიდი ილიას საშობლოა...

— ყვარლელ ბავშვებს განსაკუთრებით გათვითცნობიერებული აქვთ ილიას როლი საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებული მონდომებით სწავლობენ პროგრამულ და არაპროგრამულ მასალას. გაკვეთილის ახსნას ვიწყებ მისი სახლ-მუზეუმის დათვალიერებით და მდინარე დურუჯის სათავეში ექსკურსიით, სადაც შემორჩენილია ჭავჭავაძის დროინდელი ჯებირები ამ ღვარცოფული მდინარის ნაპირებზე.

— „ბარბარიზმების ნიაღვარი ქართულში“ — თქვენი პროექტია. ქართული ენის სიყვარული და მის სადარაჯოზე დგომა — უწინარესად, სწორედ მასწავლებლის საქმეა. მაგრამ დღეს ეს რთულია, რადგან მავანნი უძველეს ქართულ ენაზე წერასაც კი თაკილობენ და ლათინურ დამწერლობას იყენებენ...

— დღეს მოდაშია ინგლისური ენა, ქართულის მასწავლებლებს გვევალება, შევაყვაროთ მშობლიური ენა, ამას ვახერხებთ შემდეგი საშუალებებით: ხშირად ვსაუბრობთ ჩვენი ენის უპირატესობებზე, ჩვენ რომ ვკითხულობთ მათ ნაწერს და ისინი ვერ კითხულობენ ჩვენსას. მსოფლიოში უამრავი ენაა, დამწერლობა კი მხოლოდ 14. მათ შორის ერთ-ერთი ქართულია. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში მიიღეს, ქრისტიანობის გავრცელება წიგნიერებით მოხდა და რომ ტრადიციები გვაქვს „სიბრძნით განსაზღვრებული და ბრძენთაგან დაუწუნებელი“.

— სასწავლო პროგრამა... რას შეცვლიდით?

— სასწავლო პროგრამაში შევამცირებდი უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს. ბევრი მათგანი ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო ნაწარმოებია, მაგრამ ვამჯობინებდი მათ გადატანას კლასგარეშე საკითხავად და სასწავლო პროგრამაში მეტი ქართული და პატრიოტული ნაწარმოების შეტანას.

— ამას წინათ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლებას სკოლაში დიდი კამათი მოჰყვა... ჰაგიოგრაფია ისე, როგორც დღეს ისწავლება, არაფერს აძლევს თანამედროვე ბავშვსო — მავანმა ასე მიიჩნია...

— ჩემი აზრით, ჰაგიოგრაფიიდან რაიმე არათუ ამოღებული უნდა იქნას, არამედ თოთხმეტივე ტექსტის შესახებ უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა ყველა ქართველს.

— მოზარდი ნაკლებად კითხულობს წიგნს... რა როლი ენიჭება ქართულის მასწავლებელს?

— ქართულის მასწავლებელმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს საზღვარგარეთული ლიტერატურაც და პარალელები უხვად მოჰქონდეს გაკვეთილზე. მის მონაყოლ ამბავს უნდა ჰქონდეს ქარიზმატულობა და ბავშვები თვითონ დაინტერესდებიან და მოძებნიან წიგნებს.

— ნატვრა, რომელიც ვერ შეგისრულდათ?

— ბავშვობიდან სურვილი მქონდა, ყვარელს სარკინიგზო ხაზები ჰქონოდა და ჰყოლოდა მატარებლები.

— ოჯახი...

— ოჯახში სამი შვილიშვილი,მყავს ერთი ვაჟი და რძალი. რძალიც მასწავლებელია. ბადრის და სალომეს — მე-9,მე-7 კლასის მოსწავლეებს კითხვა ძალიან უყვართ. ლაშა-გიორგი მე-3 კლასელია და სპორტი იზიდავს.

ვაჟმა, ჩემმა შვილმა — გიორგიმ თსუ-ის საინჟინრო-ეკონომიკური დაამთავრა, რძალი — ინგლისური ენის ფილოლოგია.

— რას შეცვლიდით ყვარელში?

— არაფერს. როგორიც არის, ასეთი მიყვარს.

— დამსახურებულ მასწავლებელს საამაყო გექნებათ... ალბათ...

— საამაყო ბევრი რამ მაქვს. ჩემი ნამოწაფრები პროფესორები და თანამდებობის პირები არიან. ჩემს სკოლაში 24 ჩემი ნამოწაფარია სხვადასხვა საგნის მასწავლებლად. ორი მათგანი ფილოლოგია.

— მწერალი, რომელსაც სიხარულით ასწავლით მოსწავლეებს...

— შოთა რუსთაველი.

— გეგმები...

— ვფიქრობ დრამატული წრის ჩამოყალიბებას. რადგან ბავშვებს ძალიან უყვართ მსახიობობა, რამდენიმე მწერლის ნაწარმოებს დავდგამ.

თამარ შაიშმელაშვილი

პოეზია

გუთი ბოლნელი

მიეფერეთ დედებს!

შვილებო!.. დედებს გაუფრთხილდით,
დედის ნაამაგარს ფესვ-ღერძიან,
სურნელება მისი შეისუნთქეთ,
ყნოსეთ თმას, აქა-იქ შევ-ღერიანს...

დედებს მიეფერეთ, ეხმატკბილეთ,
სანამ ღრუბლები არ გიბღვერიან,
სანამ ნატვრის ტოტებ გირჩებივით,
შენი სიხარულით ირთვებიან...

შვილის ფრჩხილის ტკივილ ფორიაქით,
გონის შეშლამდეც კი ირევიან...
ჩუმად ფარულ სევდით დაღალულნი,
წვეთ-წვეთ ცხარე ცრემლად იღვრებიან...

ნუ კი გეგონებათ, რომ დედები
არასდროს, არასდროს იღლებიან,
მხოლოდ თქვენი გულის სამხნევებლად,
თქვენი გულისათვის ლხინდებიან...

კლდენი უდრეკელნი ბუმბერაზებ,
შენით – შენთან ერთად იზრდებიან
წრფელი უანგარო სიყვარულით,
ზეცის ცათამბჯენებს მიწვდებიან...

თვალში მცირე სევდაც თუ შეგნიშნეს,
ტალღებ ბობოქრობენ, ზვირთდებიან,
ვერა, ვერ მონახავ სხვა სარწმუნოს,
ასე უტყუარს და იმედიანს...

სახე ვარდფურცლები ზამთრის სუსხში,
სუსხის ფერცვალებით ფითრდებიან...
ისევ შვილზე ლოცვებს შეყუჟულნი,
ლოცვა უკვდავების ფითრებია...

შვილები დედის ამაგ ღვაწლზე,
ნეტავი, როდისღა ფიქრდებიან...
ალბათ... როცა დედის მზე კალთები,
სოფელს, – სააქაოს ილევიან...

სანამ დედის თვალის ცის კამკამით,
ცაზე ვარსკვლავები ინთებიან...
დედებს გაუფრთხილდით, ეგურგურეთ,
ვიდრე, სანამ თქვენთან იქნებიან...

* * *

გაიყვავეს მთაში ალბათ გვირილებმა,
ყვითელ-გულა, თეთრი კაბით, მწვანე მინდვრის,
ნუ, ნუ მეტყვით, შრიალებენ თავმომწონედ,
როცა ცელქი სიო ქროლვით შემოივლის...

ფიქრი, ფიქრი, მონატრება თავგასული,
გეფიცები, რახანია ძლიერ მიჭირს,
ალბათ წნულებ შემოერტყნენ შენს სამყოფელს,
სამოსახლო აგიყვავეს თეთრი მიჯნით...

ამოვარდი, გულო, ბარემ საგულედან,
რას ფართხალებ?.. რას ძიგძიგებ?.. ვითომ დინჯი,
გაუხსენი ჩაკეტილი კარის კლიტე,
ფრთებს აიხსნის აფრინდება ზეცას ჯინი...

მთაში, მთაში დაიწყება გვირილობა,
პულსის ცემას, პულსის ცემას, როგორ ითვლი,
გიყვარვარ, თუ არ გიყვარვარ, ფურცელ-ფურცელ,
გვირილობას თუ ვერასდროს ვერ დაითვლი...

დავადევნო ფიქრი

უთენია ჩემს აივანს სტუმრობს,
გულხატულა, მგალობელი ჩიტი,
ჭიკ-ჭიკს მისას განაბული ვისმენ,
ტკბილი ენით, ახალს რამეს იტყვის...

როს ჭიკჭიკით გააჯერებს სივრცეს,
ოთახისკენ ფრთა ფართხალით ილტვის,
კარს ვუხსნი და აივნიდან ფრთხილი,
შეაჩერებს კარის ზღრუბლზე კინკილს...

წაიგრძელებს პაწაწინა კისერს,
ატრიალებს თვალთა მზერით ირგვლივ,
მეჩვენება... თითქოს სევდიანობს,
მეჩვენება... ტანს ეშლება ღინღლი...

არ აყოვნებს ჩემთან ყოფნას დიდხანს,
ფრთებს იშლის და ნიავივით მიჰქრის,
მარტოსულის, მარტოობის ლოცვის,
ისღა მრჩება... დავადევნო ფიქრი...

დამამშვიდებს, შემცვლის

ურიჟრაჟო, არეული ამინდების,
თითქოს ქარებს, შეუსვიათ გესლი,
თმა გაშლილის, ხმა კივილი მოსაშთობი,
სადაცაა, სადაცაა შემშლის...

ახლა შენი გამოჩენა ისე მინდა,
ვით თუთის ხეს, სასიცოცხლო ფესვი,
შენი ერთი გამოჩენაც დამამშვიდებს,
შენი ერთი შემოხედვაც შემცვლის...

სონეტი

წუხელის ღამეს სევდა ჩემი მკლავებს ეფინა,
არც მე, არც ღამეს მთელი ღამე არ დაგვეძინა,
სასჯელ ტკივილის მონატრებას სველი თვალებით,
სურდა ცრემლებად, თეთრ ბალიშზე ლაქად ედინა...

ჩამქრალი ჭრაქის ასანთებად შენ რომ მოგიხმე,
ღამეს ზეწარზე ხერხემალის ძვლები ეტკინა
და არ გამიშვა, ავმდგარიყავ, ხელი მომკიდა,
დავყევი ნებას, ცივი იყო ღამე ქვა-რკინა...

სასჯელ-ტკივილის მონატრებამ სველი თვალებით,
მე და ბნელ ღამეს უგულობით გული აგვიწვა...
გამთენიისას, დამსხვრეული ძვლების ჭრაჭუნი
აკრიფა ღამემ, არა უთქვამს, ისე წავიდა...

ო, მონატრებავ, უსასჯელო დღე ნატვრისფერი,
ნათილისმარი ოცნებებით რად არ მოვიდა...

სიყვარულით მაცხოვრა

ქრიან, ქრიან ქარები, მყინვარს ჩამოათოვა,
დავიჯერო... ძნელია!.. შენ მე აღარ გახსოვარ...
და რომ წერილ-ბარათებს ფურცელ-ფურცელ
სტროფების,
მელნისფერი ტკივილის წარუშლელი ხსოვნა ხარ...

მწარე ღიმილშეყრილი, მოგონება ბედკრული,
არ დაინდობს ხელგაშლილ სიყვარულის მათხოვარს,
ლურჯი ფერის ღრუბლები მიწას ჩამოემხობა,
მონატრება ჩემია, განა ვინმემ მათხოვა...

არცა ვიტყვი საყვედურს, არცა წყენას გავბედავ,
ვმადლობ, მაღლა სახიერს, უფალსა და მაცხოვარს,
მისაჩუქრა წუთები, ბედნიერი რაც მქონდა,
სიყვარულით შთენილი სიყვარულით მაცხოვრა...

მთვარევ!

მთვარევ, ნეტავ მაცოდინა ახლა,
რა დარდი გაქვს, შენ რაღაზე ფიქრობ...
სულ არვისთან არ გსურს საუბარი,
გაცრეცილხარ, სახეც გიკრთის თითქოს...

იქნებ შენაც მოგენატრა ჩემებრ,
ერთადერთი გულის სწორის სითბო,
დარჩენილი სევდის ანაბარა,
თვალ-ნამების წვეთით ლოყას ითბობ...

ვერვის უმხელ ვაისატკივარს და
ობოლ სულსაც ველარაფრით ირთობ,
თუ ასეა, მო, წაიღე, გჩუქნი!..
ჩემს ოცნებებს საუკუნოდ გითმობ...

პატარებისთვის

მზეგული ტყეშელაშვილი

აკიდო

ბებომ შვილიშვილს შეხედა,
ყური მიგდეო, სანდრიკო,
სამივე შვილიშვილისთვის
შენახული მაქვს აკიდო.

თუ თითოს შეგხვდათ ხუთ-ხუთი
მარაგში – ერთი იმდენი,
რამდენი შემინახია –
მითხარი, ღმერთი გიშველის.

არ დაბნეულა სანდრიკო,
თვალი უსწორა თვალშია,
მგონი, გვეყოფა სუყველას,
ოცდაათია ჯამშია.

დახატოს?!

რთველში რომ პაპას ვეწვიეთ,
მშობლებმა უთხრეს მამაჩემს:
ამ ერთი ბავშვის ამარა –
ღმერთს ვევედრებით, არ დავრჩეთ!
როცა სოფელში ჩამოვალთ,
ყველა ამაზე კამათობს...
თუ წერო ბავშვს არ მოუყვანს,
დედამ და მამამ დახატოს?!

ბადიში

ავად გამხდარა ბებია,
დარდობს პატარა ბადიში,
საბანი ამოუკეცა
და გაუსწორა ბალიში.
წყნარად იწექი, ბებიკო,
დროზე მიიღე წამლები,
რომ დამიძახებ, მოვირბენ,
მაშინვე შენთან გავჩნდები.
თუ ყველა წამალს არ დალევ,
იცოდე, ბუა წაგიყვანს
და ჩურჩხელები ზამთრისთვის
ნეტავ, ვინ უნდა ამიბას?!

წიგნი

თუ გინდა რომ ყველას,
ჰქონდეს შენი რიდი –
შეიყვარე კითხვა,
შეიყვარე წიგნი!
მეგობრობა იცის,
ერთგულია მუდამ
და ამ გრძნობას, კარგო,
გაფრთხილება უნდა!
შენი ჰობი თუა,
ბევრი წიგნის კითხვა,
მიზნისაკენ სწრაფად
და იოლად მიხვალ!

ორივე გემრიელია

ელენე, ჩემო ბებია,
შენ უნდა გამცე პასუხი:
სწორი ფორმაა ჩურჩხელა,
თუ იმერული ჯანჯუხი?!
ორივე სწორი ფორმაა,
ჩემო ხუჭუჭა ბენჟამენ,
ერთი ნიგოზით მზადდება,
მეორეს თხილით აბამენ!
ერთს პურის ფქვილი უხდება,
მეორეს ფქვილი მჭადისა,
ორივე გემრიელია,
როგორც თითა და ადესა!

პაპა გურო

ფრონის პირას, სიმინდს პაპას,
მაჩვი ყოველ ღამე პარავს...
ეს გაიგო გურო პაპამ –
ასე დაემუქრა მპარავს:
მე არ ვიყო პაპა გურო,
სახრით თუ არ შეგახურო!
თუ ტაროებს თათსაც ახლებ,
არ წაგივა კარგად საქმე!
მაჩვმა თავი მოიყრუა,
იქნებ ბრმაა, ანდა ყრუა!
ჰოდა, მახე ვერ შენიშნა,
თავი გაჰყო... შეეშინდა.
პაპამ სახრე რომ გადაჰკრა,
მაჩვი ხვეწნით თან გადაჰყვა.
გამიშვი და აღარ გავნებ –
გაფიცებო: ფრონეს, ავნევს!

ჩიბუხი

ბაბუმ ჩიბუხი დაკარგა,
სადილის მერე, პარასკევს.
ბებიამ მთხოვა: უპოვე
და საჩუქრებით აგავსებ!
მერე კი დააკონკრეტა:
მალე იპოვე – ჯანსუღი,
თუ გინდა, გამოგიტანო,
ტკბილი კვერი და ჯანჯუხი!

და.... იყიდეს დემნა!

ძმა არ ჰყავდა ორ დას...
მოიწყინა ყველამ
და შებედა მშობლებს,
ცუგრუმელა ლელამ:
თეკლას თუ ჰყავს ძმაი,
ნონას – ტყუპი ძმები...
ჩვენ რა დავაშავეთ –
მე თქვენ გეკითხებით!
გეხვეწები, მამი,
გევედრები – დედა:
იმ ბაზარში, იქნებ
ძმაც მიყიდო, ნეტა!
რას იზამდა – მამა,
ანდა კიდევ – დედა,
ფული მოიძიეს
და.... იყიდეს დემნა!

დღეს პირველად

ყველა ასოს ცნობა ვიცი,
ანგარიშიც ვისწავლე,
ექვსი წელი შემისრულდა,
წელს გავხდები მოსწავლე!
ყურშა, ფისო, დღეის იქით,
თქვენთვის სადღა მცალია,
მოსწავლეა თქვენი თემო –
სწავლა უნდა ძალიან!
გიმეორებთ – მეგობრებო,
ახლა უკვე დიდი ვარ,
დღეს პირველად, სულ პირველად
მე სკოლაში მივდივარ!

ციცქნა ბიჭი

სამაჩაბლოს ლაღი ცის ქვეშ,
სოფელია, ძმაო, ერთი,
იქ ვისწავლე ანი, ბანი,
ჰო, იქაა ჩემი ფესვი.

ომის შემდეგ არ მინახავს,
ვერ ვივიწყებ, ვერა...
ძალე ვნახავ, სიზმრად მაინც,
შემიძლია ფრენა!

ისევ „ციცქნას“ მეძახიან,
ათს გადავაბიჯე,
ნეტავ, ფრონევ, შენს ნაპირას,
გარუჯული ვიწვე!

რვა აგვისტო... სროლა, შიში,
დაბნეული ხალხი,
მაინც არ დამავიწყდება,
ჩემი კოხტა სახლი!

პატარა ვარ, წყენა დარდი
და ნაღველი – ვიცი,
ვენაცვალე, სამაჩაბლოვ,
შენს აპრილს და ივნისს!

ლალი ასაბაშვილი

ქიცი, ქიცმაცური...

ქიციც ვიცი, ქიცმაცურიც,
ძროხას ვწველი სავსე ცურით.
შეშაც მიჩეხია ცულით,
თუკი მიყვარს, მიყვარს გულით.
წყალში მოვისროლე ბადე,
მინდა მხოლოდ ჩემ თავს ვგავდე.
არ ვყოფილვარ უსაქმური,
არავისი არ მაქვს შური.
თვალს არ მეკარება რული,
დავალ მაინც მხიარული.
გინდა ერთად ვჯაგოთ ახო?
არც კი ვიცი, სადა სახლობ.
წყაროს მივადექი კოკით,
უცებ დამემართა შოკი.
შორიდან მომესმა ზარი,
კოკას შევამჩნიე ბზარი.
ღობეზე მივაბი ხარი,
წელში გადამიტყდა ბარი.
ზურგზე გადავიდე თოხი,
თავზე ჩამომენგრა ქოხი.
ამ ქიცმა და ქიცმაცურმა,
შემასწავლა ზღვაში ცურვა.
მერე ისე გამიჭირდა,
ბაზარში გავყიდე ხურმა.
ეს ცხოვრება ამად ღირდა?
მყიდველმა მაჩუქა ხურდა.
როცა სახლში ვბრუნდებოდი,
ვიღაც უგნურმა გამქურდა.
წამოვედი ცრემლიანი,
ალბათ ღმერთსაც ასე სურდა.
გუშინ მარტო ვლეწე კალო,
მომძახოდნენ, ზოგი ხვალო.
გრძნობა როდემდისა ვმალო,
დამეხსენი, ცეცხლის ალო.
მგელს მოკარი თვალი სერზე,
ვერ მოვდივარ დღემდე ფერზე.
დილას გადავკარი ჭაჭა
და დამეწყო სახის მანჭვა.
მოგაბეზრეთ, მგონი, თავი,
ნუ იქნებით ჩემთან ავი.
არაფერი დამიმალავს,
ყველას გიძღვნით მორიგ სალამს.
ვერ ვჩერდები, მუზა მძალავს,
გვერდზე დავდებ ამ ჩემს კალამს.
ქიციც ვიცი, ქიცმაცურიც,
თონეს ჩამიკვრია პურიც.
მიკრეფია შავი თუთა,
ახლა მოგონებებს ვფუთავ...

ოცნებებში

ოცნებებში ავიშენე,
ერთი მყუდრო ბუდე.
სიყვარული მეფოდა და
არსად იყო მრუდე.
შიგ ბარტყები ჭიკჭიკებდნენ,
ჟრიამულით სავსე.
ნეტარებით შევხაროდი,
დავფრინავდი ცამდე.
ეს ოცნება შემიყვარდა,
ვერ ვტოვებდი წამით.
სიყვარული მაცოცხლებდა,
შარბათს ვსვამდი ჯამით.
ვარსკვლავები მიცინოდნენ,
ღამე სავსე მთვარით.
ღმერთი მუდამ ჩემთან იყო,
მაკურთხებდა ჯვარით.

მაწვიმს

შემომაღამდა შენზე ფიქრებში,
განაბულიყო მთვარე ეული.
მაწვიმდა, წვიმა მივლიდა თმებში,
თან, ქარი ქროდა გადარეული.

წვიმდა და მაინც, მზის სხივს ველოდი,
ხან მთვარეს ვთხოვდი ზღაპრულ ნათებას.
ცხოვრება თუკი, მაჩვევდა ლოდინს.
ალბათ ჩემთვისაც გამონათდება.

შენზე ვხედავდი თვალხილულ სიზმრებს
და ვუყვებოდი დილის აისებს.
ცხოვრება რას არ გამოგატარებს,
მაწვიმის და მაინც გულს ვიხალისებ.

თბილისს

დავალ წყნარად, მივუყვები მტკვრის ნაპირს,
დავატარებ ჩემს სითბოს და თილისმას,
უსამშობლოდ რაც ვეწამე ვიარე,
მინდა მალე დამავიწყოს თბილისმა.

დავდივარ და გულს მედება მალამოდ,
მთაწმინდიდან მონაბერი ნიავი.
ნეტავ მალე, ყველა დაბრუნდებოდეს,
სამშობლოში რომ არ იყოს გვიანი.

მე თბილისი ლურჯი ფუნჯით მოვხატე,
მთაწმინდა კი გახვეულა მწვანეში,
უსამშობლოდ ვერსად ვერ გავიხარე,
აქ მინდოდა, ჩვენთან, ჩვენს სავანეში.

ნარიყალას თვალს შევავლებ შორიდან,
მეტეხიდან გორგასალი მაცილებს,
მე თბილისმა, თბილისურად მომხიბლა,
დავდივარ და თვალებს ვეღარ ვაცილებ.

თამარ ჭეიშვილი

დედა

მაღალმა ღმერთმა
შვილობა შენი
მარგუნა ბედად,
მეც დედა ვარ და...
კარგი შვილების
დედობას ვბედავ,
დედობის უღელს
შენსავით ღვთიურს,
თუ გავწევ, ნეტა?
მე მაინც ვბედავ...
მე მაინც ვბედავ...
— მიყვარხარ, დედა!

ივლისის წვიმა

წვიმის ხმა ისმის, სველდება ბაღი,
ჩაქინდრული აქვთ თავები ვარდებს,
ფანჯრიდან მოჩანს ცის რუხი თაღი,
წვიმით ღრუბელი გვიგზავნის დარდებს.
წვეთი წვეთს ასწრებს ფიქრები ფიქრებს,
ფანჯრის მინები ცივდება თითქოს,
მინაზე თითით ხატავ კაცუნებს,
რომ მათ გადასცე ოთახის სითბო.
თბილი პლედის ქვეშ მოიკუნტები,
ოცნების ჯოხით გარეკავ დარდებს,
და ასე მშვიდად იქნები შენთვის,
წვიმა კი, ისევ ასველებს ვარდებს...

ცივი მაისი

მაისში დაზამთრდა,
წვალობენ კვირტები,
ვერ ათრობს ეზოებს
გრაკლა და ვარდი,
უკოცნოდ ჩამომხმარ
ქალიშვილს წააგავს
მაისი,
დამჭკნარი დარდით...

წიწილა

დაიკარგა წიწილა,
დარბის წიავ-წიავით,
მოყვითალო ბუმბულებს
უფრიალებს ნიავი.
აქეთ კრუხი ქოთქოთებს,
ჰკიცხავს თავის პაწიას
— ალბათ ეზო არ ეყო და
ქუჩისაკენ გასწია.
— ადე, მურა, მიშველე,
მაპოვნინე წიწილა,
ალბათ უკვე სხვა კრუხმა
იპოვა და იშვილა...
ეძებს მურაც ერთგულად,
ქუჩის ბოლოს მიაგნო,
ძაანაც არ უცემია,
მხოლოდ თათი მიადო.
შემოუძღვა ეზოში,
დადნა კრუხი ცრემლებად:
— გენაცვალოს დედიკო —
წიწილს თავზე ევლება.
შეიფარა ფრთების ქვეშ,
გული უცემს ძალუმად,
ნრიპა თვალებს აპარებს
ქუჩისაკენ მალულად.
ძაგრამ სად გაიქცევა?
მურა დარბის ვენახში,
გულისყურით დარაჯობს
გახარებულ დედა-შვილს.

ინდაურის ჭუკები

ამერიკის ბინადარი
აქაც გახდა შინაური,
დაბრძანდება ჩვენს ეზოში
გაფხორილი ინდაური.
ეს, მამალი იფხორება,
თორემ წყნარი-დედალია,
უვლის, ათბობს, დასდევს ჭუკებს,
ძთელი ზრუნვა შეალია.
ბებოს მაინც ეცოდება
— ჭუკებს ძეტი ჭაბა უნდათ.
დაიჭერს და სათითაოდ
პირში ტენის მჭადის გუნდას.
სასაცილო ჭუკ-ჭუკები
უცნაურად „ყურყურებენ“,
ექოსავით მპასუხობენ,
თან ერთმანეთს უყურებენ.
ვერ უხსენებთ ჩემს ბებიკოს
საახალწლოდ აძათ დაკვლას,
გაგვაფრთხილა-ამ საკითხზე
ჩემთან ვინმემ რამე არ თქვას!
ბაბუ გაოცებულია
— თუ არ კლავდი ჭუკებს, შენებს,
ლამაზია, მგოსანია თუ
რაღატო მოაშენე?
მეზობლები დაგვიყრუეს,
გხიასი აქვთ ისე დიდი,
არ მერჩივნა, რომ მყოლოდა
ერთი მგალობელი ჩიტი?
ბაბუ ალბათ მართალია,
კერძად ჭუკი თუ არ ვჭამეთ,
ხმაურისთვის გადმოლახეს
ის ატლანტის ოკეანე?

ოთო ოთარ ნარმანია

კოლხური დაბლობი

რა სჯობია, კარგ ამინდში
გადაფენილ კოლხურ დაბლობს.
თითქოს შუაგულ ტყის უბეში,
მომლოდინე ჩიტი გალობს.
მზეც ახარებს მის ნაწილებს,
გაანათებს ჩაფლულ ყანას...
დრო კი, რბოლას არ აპირებს,
შერწყმულია უკვდავ ხანას.
მეპარება ძველი მადლი...
წინაპრებს რომ დაუთესავს...
არ სჭირდება ტონა სათლი,
წყარო ყველგან ამოხეთქავს.
აქაური ნესტიც არის
სასარგებლო, როგორც რკინა,
მისით ზოგი ხილი ჰყვავის...
ნაყოფს ისხამს და არ სცვივა.
აქ, ხომ ზღვაა ღრმა, სამყოფი,
აქვე არის მთებიც გზაზე...
ღმერთებია აქ ნამყოფი,
არქაული წლების თავზე.
მზა ველებზე კოლხი ხარობს,
ყველა ფერში გაწყობილი...
ის არ მირბის, ის არ დარდობს,
ცხოვრება აქვს აწყობილი.
რა სჯობია, კარგ ამინდში
აყვავებულ კოლხურ მიწას...
ცხენის წყალის დასავლეთში,
მიდამოებს ღმერთი იცავს.

საქართველოს მეგობრები

ჯუბა ღებელი

კადიევი ანვარბეკ მანსუროვიჩი

რამდენ ადამიანს არ ვიცნობთ და არ ვიცით მათ შესახებ არაფერი. ერთ-ერთი მათგანი ბატონი ანვარბეკ კადიევი გახლდათ, რომელსაც შინაურულად ყველა მანსუროვიჩს ეძახდა. საკმარისი იყო 600-ათასიანი დაღესტნის დედაქალაქის ქუჩებში, ტრანსპორტში, მაღაზიებში უბრალოდ ანავრბეკ მანსუროვიჩი გეკითხათ, რომ უცბად ეცვლებოდათ სახის მიმიკა, დამოკიდებულება, გიღიმოდნენ, პატივით გპასუხობდნენ. სულ რამოდენიმე თვეა, რაც ბატონი ანვარბეკი განეშორა წუთისოფელს, არადა რამდენი გეგმა ჰქონდა და ეს გეგმები უმეტესწილად საქართველოსთან იყო დაკავშირებული.

დედით ქართველ ბატონ ანვარბეკს ერთი დღე, ერთი წუთი არ უცხოვრია საქართველოზე ფიქრის გარეშე. დედულეთზე ზრუნვას ის დაღესტანში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობაში გამოხატავდა, მათდამი სიყვარულში ავლენდა.

ბატონი ანვარბეკი 1947 წლის 7 აპრილს, ჩრდილო კავკასიური რესპუბლიკებიდან ყველაზე დიდი და თბილი რესპუბლიკის, დაღესტნის დედაქალაქში დაიბადა. 1977 წელს დაამთავრა დსუ ეკონომიკის განხრით. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა დამსაქმებელთა ასოციაცია „დაღესტნის მრეწველებისა და მეწარმეთა კავშირს“, რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის დაღესტნის რეგიონალურ ფილიალს, იყო დაღესტნის რესპუბლიკის საზოგადოებრივი პალატის წევრი და პოლიტიკური პარტია „რუსეთის ლეიბორისტული პარტიის“ კოორდინატორი ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

2021 წლის ნოემბერში ანვარბეკ კადიევი რასულ გამზათოვისა და დავით გურამიშვილის სახელობის სახალხო დიპლომატიის ასოციაცია

„საქართველოს მეგობრების“ პრეზიდენტად აირჩიეს. მანამდეც და მას შემდეგაც, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მან სიცოცხლე მიუძღვნა სამშობლოს და ხალხს, ერთგულად ემსახურა ორივე ქვეყნის ინტერესებს.

ჩვენი დელეგაციის, „მეცნიერთა კონგრესის“ (ხელმძღვანელი ბ.-ნი თეიმურაზ შაშიაშვილი) დაღესტანში ორჯერ მოგზაურობისას, ორივეჯერ ყველა შეხვედრა, ყველა ღონისძიება ბატონი ანვარბეკის მასპინძლობით იწყებოდა და მთავრდებოდა.

სწორედ მისი დაფინანსებით და ხელშეწყობით ვიყავით მიწვეულნი დაღესტანში ქართველთა დიდი მეგობრისა და დიდი დაღესტანელი პოეტის, რასულ გამზათოვის 100 წლის თავზე, რომელიც გასული წლის ოქტომბერში გაიმართა. მათდა საქებრად უნდა ითქვას, როგორი პატივით, როგორი მასშტაბით აღინიშნა ბატონი რასულის იუბილე. ყველა სოფელ-აულში, ტრანსპორტზე და ბანერებზე გამოკრული იყო პოეტის სურათები, ლექსები...

ყველაზე მთავარი და ძვირფასი ჩვენი დელეგაციისთვის დაღესტნის სიღრმეში, 200 კმ-ის მანძილზე, ულამაზესი მთებისა და წყალსაცავების, გზებისა და გვირაგების მიღმა, შამილის რაიონში მდებარე ერთი ისტორიული ლამაზი სოფლის, „დათუნას“ აღმოჩენა იყო. არ იფიქროთ, ეს სიტყვა რამე ტრანსკრიპციასთან იყოს დაკავშირებული. ეს ქართული სახელია, ამ სოფელში მდებარე შუაქრისტიანული ტაძრის სახელწოდების მიხედვით შერქმეული.

ეკლესია, როგორც გადმოცემა გვიამბობს, აშენებული უნდა იყოს ქართველი მისიონერების მიერ, დაახლოებით X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში. კავკასიის ომის პერიოდში, რომელიც 57 წელი გრძელდებოდა (1817–1864 წწ.), ეკლესია იმამ შამილის მხარეს გადასულ რუს ჯარისკაცებს გადაეცათ ღვთისმსახურებისთვის.

მიუხედავად სიშორისა, ყოველდღიურად ამ უძველეს ქართულ ტაძარს 1200-ზე მეტი მნახველი ჰყავს... გასაკვირია, რა საოცარი რუდუნებით და სითბოთი უვლის ადგილობროვი ხელისუფლება და მოსახლეობა ამ ტაძარს, როგორი სუფთა და მოწესრიგებულია ყველაფერი... აქვეა თამარის ხიდი!..



სწორედ ბატონი ანვარბეკისა და მისი მოადგილის, დაღესტანში მცხოვრები ქართველის, ბატონ ჯემალ ილურიძის დიდი თანადგომით, ტაძრის მისასვლელთან იგეგმება ახალი ხიდის აგება, რომელსაც პირვანდელი სახე ექნება... აგრეთვე, საპატრიარქოსთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით იგეგმება ტაძარში ხატებისა და ჯვრის შეტანა, კარებისა და ფანჯრების დამონტაჟება...

რა სიყვარულით, რა სითბოთი გვესაუბრებოდა ბატონი ანვარბეკი ტაძრის ისტორიას, როგორ გადაურჩა ნგრევას და განადგურებას. თურმე შამილს, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდა მთიან აულებში ისლამს, ამ ერთადერთი ტაძარისთვის მცველები მიუჩენია. შამილს უბრძანებია, სასტიკად დაესაჯათ ის, ვინც გაბედავდა მონასტრის დანგრევას და ბერების დახოცვას, რადგან ხუნძებს მიაჩნდათ, რომ ტაძრისა და ეკლესიის მსახურთა ხელყოფის შემთხვევაში მათ დაატყდებოდათ ზეციური არსების სასტიკი რისხვა...

ლეკები, ისევე როგორც ყველა ქრისტიანულ ტაძარს, დათუნას ეკლესიასაც „ჰატანს“ უწოდებდნენ და თაყვანს სცემდნენ. როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, სიტყვა „ჰატანს“ ხატის დატვირთვა უნდა ჰქონდეს

სწორედ „დათუნას“ ტაძრის მოხატვა, თამარის ხიდის აღდგენა და ტაძრამდე მისასვლელი გზის მოპირკეთება ჰქონდა ბატონ ანვარბეკს დაგეგმილი, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ძველმა ავადმყოფობამ გაუხსენა და წაგვართვა ქართველი ხალხის დიდი იმედი და პატივისმცემელი 4-მილიონიანი დარესტნის რესპუბლიკაში, დედით ქართველი, ბატონი ანვარბეკ მანსურის ძე კადიევი.

მხატვარი – ქეთევან ჯავახიძე

ცოდნა – გამოგვხეულად ხნული